ა. გოლუბევა

უჩინარი ყმაწვილი

მოთხრობა ს. მ. კიროვის ბავშვობასა და სიჭაბუკეზე

მხატვარი ალოდიონ ქორაქიანი

საქართველოს სსრ განათლების საბჭოს
ს ა ბ ლ ი ტ გ ა მ ი
თბილისი * 1948

ავტორისაგან

სანამ ამ წიგნს დავწერდი, რამდენიმე ხანი დავყავი ურეუმში — კიროვის მხარის პატარა ქალაქში.

სიტყვა „ურეუმი“ მარიელთა ენაზე ნიშნავს „ციყვი დავინახე“. ურეუმის მცხოვრებლები გადმოგვცემენ: ოდესღაც, მრავალი წლის წინათ, აქ, ულრან ტყეებში, ბევრი ციყვი იცოდაო.

ლენინგრადიდან ურეუმს ჩასვლას დიდი დრო უნდა: ჯერ მატარებლით უნდა მიხვიდეთ ქალაქ ვიატკამდე, შემდეგ კი ცხენით გაიაროთ 165 კილომეტრი. ეს ზამთარში. ზაფხულში კი შეიძლება გემით იმოგზაუროთ ვიატკიდან პირდაპირ ურეუმამდე.

ურეუმს ზამთარში გავემგზავრე. მდინარეები გაიყინა და ისღა დამრჩენოდა, რომ ვიატკაში ცხენები დამექირავებინა. ჩემი მოხუცი მეეტლე სიტყვაძვირი იყო. თაფლა ცხენი ჰყავდა, პატარა და აბურძგნული. დაბალ და განიერ მარხილში მეეტლემ ბევრი თივა ჩააფინა.

ამ ადგილებში მკაცრი ზამთარი იცის. თბილი თავშალი მოვიხვიე, ჩავიცვი ვეებერთელა ტყაპუჭი და მაღალი, ნაბდის ჩექმები — მუხლზევით რომ მწვდებოდა. ჩავჯექი განიერ მარხილში და გზას გავუდექით.

— ეი, ბაბუა, როდის ვიქნებით ურეუმში? — დავუძახე ჩემს მეეტლეს.

— ურეუმში? რა სულწასულია! ჯერ ჩაჯდომაც ვერ მოასწრო, — ჩაიბუზღუნა მოხუცმა.

მაინც არა მიპასუხა რა, ხოლო როცა ისევ ვცადე საუბარი გამება, მან მხოლოდ ალმაცერად გადმომხედა და ცხენს შეუძახა:

— ეი, შენ, ჯაგლაჯო! ააჩქარე ფეხები!

მარხილის კავები ძლიერ ჭრიალებდნენ მოსახვევებში, ცალუღზე ეკვანი ყღარუნობდა. ვთვდემდი, ძლიერმა ბიძგმა გამო-

მაღვიძა. გზა თავქვე ეშვებოდა. მარჯვნივ პატარა გაყინული მდინარე მოჩანდა. ქოხები, რომელნიც თითქმის სახურავამდე დაეფარა თოვლს, შორიდან ნამქერებსა ჰგვანდნენ, რომლებზედაც ღუმელთა მილები და რადიოანტენები ამოშვერილიყო.

— კოლმეურნეობა „ახალი გზა“,—თქვა მეეტლემ ისე, რომ არ მობრუნებულა. — აქ ცხენს წყალი უნდა დავალევინოთ!

მივადექით პირველ ქოხს და მე გამოვძვერი თივიდან.

ღამე კოლმეურნეობაში გავათიეთ, განთიადზე კვლავ გზას გავუდექით.

მიდიხარ, მიდიხარ — გზა სულ ერთნაირია. მოგბეზრდება ცქერა, თვალებს მილულავ, ჩასთვლემ, მაგრამ როგორც კი გამოიხედავ—კვლავ იგივე სურათი გეშლება წინ: ფიჭვები და ნაძვები, ნაძვები და ფიჭვები, თითქოს ადგილიდან არც კი დაძრულვართ. გზის გასწვრივ თოვლიდან ამოშვერილან ზოლიანი საერსო ბოძები. მანძილი სადგურებს შორის აქ დიდია. სანამ ერთი კოლმეურნეობიდან მეორემდე მიაღწევდე, ათ ბოძს დაითვლი, შეიძლება მეტსაც.

მივდივარ, მივდივარ და სულ იმაზე ვფიქრობ, რა ქალაქია ეს ურჟუმი? ნაცნობები მე იქ არა მყავს, მივემგზავრები კი პირველად...

მხოლოდ ერთი რამ ვიცი: არის ურჟუმში პატარა სახლი, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა შესანიშნავი ადამიანი, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს. არ არის ჩვენში ისეთი ქალაქი, სადაც არ იყოს მისი სახელობის ქუჩა, ქარხანა, სკოლა, ან პიონერული რაზმი. ამ კაცს სერგეი მირონის-ძე კიროვს ეძახდნენ.

კარგი იქნება, რომ მოვძებნიდე ურჟუმში სკოლას, სადაც ის სწავლობდა. ეგებ ერთ-ერთ კლასში დღემდეც დგას დაფხაჭნილი, ლაქგადაშლილი მერხი, რომელზედაც ის იჯდა.

ეგებ, მოიძებნებიან ურჟუმში ისეთი ადამიანებიც, რომელნიც იცნობდნენ მას ბავშვობიდან.

— ბაბუა! — ვეკითხები მეეტლეს, — ჩქარა მივალთ ურჟუმს?

— ცოტა კიდევ მოითმინე.

ასე მივდიოდით ოთხ დღეს, ხოლო მეხუთე დღის საღამოს ჩვენს წინ აციმციმდნენ ნათურები.

— ესეც შენი ურჟუმი! — თქვა მეეტლემ.

ცხენი ჩაქჩაქით დაეშვა თავქვე და მალე ბაზრის მოედანზე გავედით. აქ სიცალიერე და სიწყნარე იყო, მხოლოდ ფარდულებს შორის, დიდი, ბანჯგვლიანი ძაღლი დარბოდა და თოვლს ყნოსავდა. კოოპერატივის ახლოს კი, პარმაღზე, ცხვრის ტყაპუჭებში გახვეული დარაჯი თვლემდა.

ჩემმა მეეტლემ უხეში ხელთათმანები წაიძრო, ქამარში გაირჭო, მომიბრუნდა და მოულოდნელად ალაპარაკდა. სულაც არ ვფიქრობდი, რომ მას ასე ბევრი ლაპარაკი შეეძლო.

— ჰოდა, მე ტიმოთე პალიჩს მეძახიან, — თქვა მეეტლემ. — ჩვენ აქაურები ვართ, ურჟუმელი... სამოცდათორმეტი წელია აქ ვცხოვრობთ. ყოველი ბოძი, ყოველი ქვა აქაური ვიცი. აი, მაგალითად რომ ვთქვათ, ვინ ცხოვრობს ამ სახლში? — არ იცი ხომ? მე კი ვიცი. აქ ცხოვრობს მასწავლებელი სპასკი, ვლადისლავ პავლეს-ძე. ის აქაურია, ურჟუმელი. მამამისი ექიმი იყო ჩვენთან. აგერ, ხედავ, ფანჯარაში სინათლე უნთია. გვიან წვება. ხოლო აქ, ქეშად რომ სახლი დგას, იმაში ვინ ცხოვრობდა? ცხოვრობდა ვაჭარი ცარეგოროდცევი. ქვის ავადმყოფობისაგან მოკვდა. ყვირილით აიკლო მთელი ქუჩა... იქ კი, მთის ძირას, სადაც თეთრი ქვის გალავანია, საპატიმრო იდგა. იქ ახლა, მგონი, საწყობებია... აი, ამ დაბალ სახლში კი, ვაჭარ ხარლამოვის დუქანი და ფოსტა იყო მოთავსებული. ძალზე მდიდარი კაცი იყო ვაჭარი ხარლამოვი. — მოხუცმა ენა გააწლაპუნა და თავიც გააქნია. — მის დუქანში სამი ელვა[1] ლამპა ენთო. ორი ნოქარი და ერთი ბიჭი ჰყავდა. ახლა ამ შენობაში საბჭოთა ხელისუფლებამ კოლმეურნის სახლი მოაწყო... ჩამოდით, უკვე მოვედით.

ორსართულიან ქვის სახლთან მოხუცმა ზარის მავთული ჩამოსწია. ორი წუთის შემდეგ ჭიშკარი გაგვიღო ქალმა, რომელიც დიდ ღინღლიან თავშალში იყო გახვეული.

მოხუცი ბნელ ეზოში დარჩა ცხენის გამოსახსნელად, მე კი ქალს შევყევი სახლში.

---

[1]. ძველებური დიდი ლამპა.

მთარგმნ.

— თქვენ საიდან მოდიხართ? — მკითხა ქალმა, როცა კანტორაში შევედით.

— ლენინგრადიდან.

— მივლინებაში ხართ, თუ სამუშაოთ ჩამოხველით ჩვენთან?

— მივლინებაში ვარ. წიგნი მინდა დავწერო ამხანაგ კიროვის ბავშვობაზე, უნდა მოვძებნო ის ადამიანები, რომელნიც იცნობდნენ მას.

ქალმა ტაში შემოჰკრა.

— ამ საქმეში მე შემიძლია დიდად დაგეხმაროთ! ქუჩის გადაღმა ერთი მოქალაქე ცხოვრობს, გვარად სამარცევი, ალექსანდრე მათეს-ძე. ის სერგი მირონის-ძესთან ერთად იზრდებოდა, — აი, ამ კაცს შეუძლია ბევრი რამ გიამბოთ.

ამ ამბავმა გამახარა.

— როგორ მოვახერხო, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ ვნახო ის? მე თუნდაც ახლავე წავიდოდი.

ამ დროს კანტორაში ჩემი მეეტლე შემოვიდა.

— ტიმოთე პალიჩ, — უთხრა ქალმა. — ვერ წაიყვან ჩვენს სტუმარს თავისუფლების ქუჩაზე სამარცევთან? მე თვითონ წავიყვანდი, მაგრამ დღეს მორიგე ვარ.

— ძველებურად რა ერქვა იმ ქუჩას? პოლსტოვალოვის ქუჩა ხომ არაა? — ჰკითხა მეეტლემ.

— დიახ, პოლსტოვალოვისა, ახლა კი თავისუფლების ქუჩაა.

— რატომ არა, შეიძლება წავიყვანო. ახლოსაა.

ნახევარი საათის შემდეგ, მეეტლემ წამიყვანა პოლსტოვალოვის ქუჩაზე. თოვდა, ბარდნიდა. სახლების გასწვრივ ვიწრო ხიდები მოლიპული იყო. თოვლის სიმაღლე თითქმის ფანჯრებამდე აღწევდა.

— უჰ, როგორ ბარდნის. კიდევ კარგი, რომ დროზე მოვედით, თორემ გზაში გაგვაჩერებდა.

გავიარეთ ორი პატარა ქუჩა, რომლებიც ერთმანეთს ძალიან ჰგვანდა, შემდეგ მარცხნივ მოვუხვიეთ.

— აი, მოვაღწიეთ კიდეც, — თქვა მოხუცმა და ძველი ხის სახლთან გაჩერდა. — აბა, დავუკაკუნოთ. მასპინძლებმა სტუმრები უნდა მიიღონ.

კარი გაგვიღო პატარა ჭაღარა დედაბერმა, რომელსაც ხელში საქსოვი ეჭირა.

— სამარცევებს ხომ არ სძინავთ? — ჰკითხა მოხუცმა.

— დიახ, მგონია ღაწვნენ...

მეეტლემ წინ წაიწია.

— როგორ თუ დაწვნენ? უნდა გავაღვიძო. ეს ქალი ხომ ლენინგრადიდან ჩამოვიდა!

შორეულ ოთახში ვიღაცამ დაახველა და მამაკაცის ხრინწიანი ხმით იკითხა:

— ვინ არის მანდ?

— განა თქვენ არ გძინავთ, ალექსანდრ მატვეევიჩ? — ჰკითხა დედაბერმა. — აქ ლენინგრადიდანაა თქვენთან მოსულები..

ოთახში კიდევ დაახველეს. შემდეგ სკამის გადადგმის ხმაური გაისმა და სამზარეულოში მაღალი, ჭაღარა კაცი შემოვიდა, სინათლეზე თვალები მოჭუტა. მას თეთრი ხალათი და შავი ნაბდის ჩექმები ეცვა.

— შემობრძანდით ოთახში, — თქვა კაცმა. — რით შემიძლია გემსახუროთ?

ავუხსენი, თუ რისთვის ვიყავი ჩამოსული.

— მერე რა, გიამბობთ ყველაფერს, რაც ვიცი. მე და სერიოჟა ერთად გავიზარდენით. მე მას ბავშვობაში სერგას ვეძახდი. მისი ნამდვილი გვარი კოსტრიკოვია. სწორედ ამ ქუჩაზე ვცხოვრობდით მე და ის, აქედან ერთი სახლის მოშორებით... მხოლოდ, საქმე ისაა, რომ, სამწუხაროდ, კარგი მოსაუბრე არა ვარ... მაგრამ რას იზამ, როგორც შემიძლია!...

ბევრი რამ მიამბო იმ საღამოს ალექსანდრე მათეს-ძე სამარცევმა. გვიან წამოვედი მისგან. უკვე სინათლე არსად ჩანდა. მთელ ურჟუმს ეძინა იმ ღრმა ძილით, რომლითაც სძინავთ მიყრუებულ სოფლებს ზამთრის ღამეში. და ისევე, როგორც სოფელში, სადაც ეზოებში ჰყეფდნენ ძაღლები.

დილას კი მე წავედი იმ პატარა სახლის დასათვალიერებლად, რომელიც სამარცევების სახლის გვერდით იდგა — ღამით მას ვერ დავინახავდი.

ძველი, ჩაჯორგილი სახლი გაშავებულა ქამთა ვითარებაში და ღრმად ჩამჯდარა მიწაში. სარდაფის ფანჯრების ჩამუქებული მინები ძლივსღა აშუქებდნენ მიწას.

გავიარ-გამოვიარე ქუჩებში, შევიარე სკოლაში, სადაც წინათ ურჟუმის სამოქალაქო სასწავლებელი იყო, ხოლო საღამოს ალექსანდრე მათეს-ძემ წამიყვანა იმ ადამიანებთან, რომელნიც კარგად იცნობდნენ სერგეი მირონის-ძე კიროვს, როცა ის ჯერ კიდევ სერიოჟა კოსტრიკოვი იყო. ზოგი მათგანი ბავშვობისას იცნობდა მას, ზოგი მასთან სკოლაში სწავლობდა, ზოგი უკვე ჭაბუკობისას შეხვედრია. ამ ხალხის ნაამბობი ძალიან დამეხმარა წიგნზე მუშაობისას.

მაგრამ ყველაზე მეტი, სერგეი მირონის-ძე კიროვის ბავშვობაზე, მისი დების — ანა მირონის-ასულისა და ელისაბედ მირონის-ასულისაგან გავიგე.

თავი პირველი

პატარა სახლი პოლსტოვალოვის ქუჩაზე და მისი მოგბინადრენი

1886 წელს — ნახევარი საუკუნის წინათ — ელექტრონის სინათლე თითქმის დიდ ქალაქებშიაც არ იყო, ურჟუმში კი მით უმეტეს. ქუჩებს ძლივძლივობით ანათებდა ნავთის ფარნები. ზამთარში ზოგჯერ ფარნებზე სქლად დაათოვდა, სინათლე ძლივსღა ბჟუტავდა. ქარისა და წვიმისაგან ფარნები ხშირად სულაც ქრებოდნენ.

სახლებშიაც ნავთს ხმარობდნენ. მდიდრებს ფერად-ფერადი მინის აბაჟურებიანი ბრინჯაოსა და ფაიფურის ლამპები ჰქონდათ, ხოლო იმათ, ვინც ღარიბები იყვნენ, თუნუქის ჭრაქები.

ქუჩებში, განსაკუთრებით შემოდგომაზე, ისეთი სიბნელე და ტალახი იყო, რომ არც ცხენით და არც ფეხით გავლა არ შეიძლებოდა. ტალახი ზაფხულამდე არც კი შრებოდა, მერე კი მშრალ და უსიამო მტვრად გადაიქცეოდა. უჰ, რა მტვრის კორიანტელი იდგა ქალაქში! გზის პირას ბალახი და ხეთა ფოთლები შუა ზაფხულს მტვრის სქელი ფენით იფარებოდა.

ერთადერთი, რაც ქალაქში კარგი იყო, — ეს ჩქარი მდინარე ურჟუმკა და მთავარ ქუჩაზე ჩამწკრივებული ძველი ალვის ხეები.

ქალაქის გამგეობაში დაკიდებულ გეგმაზე ამ ქუჩას ვოსკრესენსკაია ერქვა, მაგრამ თვით ურჟუმელებმა მას „დიდი ქუჩა“ შეარქვეს და არავითარი სხვა სახელწოდების გაგონებაც არ სურდათ.

გამოზაფხულებისას, აქ, დიდ ქუჩაზე, გამოჩნდებოდა მთელ ქალაქში ცნობილი მოხუცი ბოშა-მეარღნე გაქუცული მწვანე თუთიყუშით, რომელიც მას თავზე აჯდა და ბრჭყალები თავისი პატ-

რონის ჭუჭყიან ხუჭუჭა თმებში ჩაევლო. მოხუცი-მეარღნე ვაჭრების სახლების ფანჯრებთან ჩერდებოდა. ეზოებში შესვლისა ეშინოდა, რადგან თითქმის ყველა ეზოში ავი ვეებერთელა ძაღლი ჯაჭვს აჩხარუნებდა. მეარღნეს უკან დასდევდა ურჟუმელი ბიჭების გროვა იმ ქუჩებიდან, სადაც მეარღნე იშვიათად გაივლიდა ხოლმე. განაპირა პატარა ქუჩებში ღარიბი ხალხი ცხოვრობდა: ხარაზები, მეღუმელეები. აქ, რასაკვირველია, მოხუც მეარღნეს არაფერი შეეძლო ეშოვნა. ღარიბებს თვითონაც ძლივს ჰყოფნიდათ სარჩო.

ამ ქუჩებში ხის სახლებიც საწყალობლად გამოიყურებოდნენ. სულ სხვა იყო დიდ ქუჩაზე, სადაც ქვით ნაგებ სახლებს მაღალი ჭიშკრები ჰქონდათ. ქვის სახლებში ურჟუმელი ვაჭრები და ხელისუფალნი ცხოვრობდნენ. ყველაზე მნიშვნელოვან სახლად ვოსკრესენსკაიაზე პოლიციის სამმართველოს სახლი ითვლებოდა. აქ, ჭიშკართან, ზოლებიან სადარაჯოსთან, მუდამ ყარაული იდგა, — ულვაშებიანი თოფიანი ჯარისკაცი. ის იდგა გამოჭიმული, გულმკერდგამოზნექილი, და თვალდაუხამხამებლად მიშტერებული იყო ერთ წერტილს. ერთხელ ურჟუმელი ბიჭები ერთმანეთში ორ კაპიკზე დანიძლავდნენ, გუშაგს კალის თვალები აქვს, თუ ნამდვილია. პოლიციის სამმართველოდან ორი კვარტალის იქით კი იდგა გრძელი, თეთრი სახლი, რომელსაც ცხაური ფანჯრები ჰქონდა. ეს იყო საპყრობილე.

ურჟუმელი ბავშვები მშობლებს ხშირად გაეპარებოდნენ და მორბოდნენ აქ, რომ დაენახათ, როგორ მორეკავდნენ საპყრობილეში ჩამოფლეთილ, თმაგაწეწილ, სახედასიებულ ტუსაღებს. ზოგჯერ ტუსაღებში ერია ისეთებიც, რომელთაც სტუდენტური ქურთუკები, პიჯაკები და შავი ხალათები ეცვათ. ამ ხალხს ურჟუმელები „პოლიტიკურებს“ ან „კრამოლნიკებს“ ეძახდნენ.

ტუსაღები ქუჩის შუაგულში მიდიოდნენ, ხოლო მათ გვერდით ცხენზე შემსხდარი და ხმალამოწვდილი ბადრაგი მიჰყვებოდა.

მებადრაგენი შედგებოდნენ უზანგებზე და გაბრაზებით უყვიროდნენ ბიჭებს:

— დაიწით უკან!

ცხენები თვალებს ბრეცდნენ და ფრუტუნებდნენ.

ურეუმში მორეკილი „პოლიტიკურები“ აქა რჩებოდნენ არაწაკლებ სამი წლისა, ზოგნი კი—ხუთ წელსაც. ისინი თითქოს თავისუფლად ცხოვრობდნენ. ნამდვილად კი, მათ პოლიციის შეუტყობინებლად ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევდნენ. ისინი გადასახლებულები იყვნენ.

პოლსტოვალოვის ქუჩაზე, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა სერიოჟა კოსტრიკოვმა, გადასახლებულთა მთელი კოლონია ცხოვრობდა. ზოგი მათგანი დაასრულებდა თავის ვადას და წავიდოდა, მათ ადგილზე კი სხვებს მორეკავდნენ. გადასახლებულებს პოლსტოვალოვის ბოლოს, მთის ძირას ეჭირათ სახლი, სერიოჟას ოჯახი კი იმავე ქუჩის თავში ცხოვრობდა, ბოლოდან მესამე სახლში.

კოსტრიკოვების ოჯახი დიდი არ იყო: მამა, დედა და სამი ბავშვი — უფროსი ანიუტა, საშუალო სერიოჟა და უმცროსი — ლიზა. გარდა ამისა, სერიოჟას ჰყავდა მოხუცი დიდედა — მელანია ავდეის-ასული. ოღონდ ის ცალკე ცხოვრობდა, მოხელე პერევოზჩიკოვთან გადიად მსახურობდა.

კოსტრიკოვებს სახლის ნახევარზე ნაკლები ეჭირათ, ნახევარზე მეტი კი მიქირავებული ჰქონდათ სამარცეევებზე. სახლს ხუთი ფანჯარა ჰქონდა და ხუთივე ქუჩას გადაჰყურებდა: სამი სამარცეევებისა და ორი კოსტრიკოვებისა.

სერიოჟას მამას თავი ძლივს გაჰქონდა. შემთხვევითი საშოვარით. ერთ დროს შეეცადა სამსახურში შესულიყო. მოეწყო ტყისმცველად, მაგრამ იქ ისეთ მცირე ხელფასს იძლეოდნენ, რომ ოჯახს რის ვაი-ვაგლახით გაჰქონდა თავი. სახლში ღარიბულად და უბრალოდ იყვნენ. სამზარეულოში ედგათ გვერდელა ფიცრის მაგიდა, რომელსაც ძველი მუშამბა ჰქონდა გადაფარებული. იქვე ედგათ ორი სკამი. კედელზე ეკიდა საათი, რომელსაც ჟანგმოდებული ქანქარა ჰქონდა. ეს საათი ყოველთვის ჩქარობდა, კოშკზე რომ თორმეტს დარეკდნენ, კოსტრიკოვებთან კი, ერიჰაა, უკვე ორის ნახევარს აჩვენებდა.

სამზარეულოს კუთხეში ხის ჭრიალა ტახტი იდგა. იქ სერიოჟას დედას ეძინა, ბავშვებს კი ტახტლოგინზე ეძინათ, სოფლურად.

სამზარეულოს გარდა კიდევ ერთი ოთახი იყო. მას მოწიწებით „სადარბაზოს“ ეძახდნენ, ხოლო მთელ მის სიმდიდრეს შეადგენდა

ოთხი შეღებილი ძველი სკამი, რომელთაც რახანია შემოსცლოდა საღებავი, და მოქსოვილ-სუფრიანი მაგიდა.

აქვე კუთხეში იდგა ჩაის ჭურჭლის ძველი განჯინა. ზევითა ნაწილი მინისა ჰქონდა, ქვემო ხისა, სამი უჯრით. ქვედა უჯრა არასდროს არ იღებოდა. განჯინაში ჭურჭელი მუდამ ერთსა და იმავე ადგილას ეწყო. სამარხვო სუპისათვის, რომელსაც სახლში ყოველდღე ხარშავდნენ, საკმარისი იყო თუჯის ჭურჭელი და თიხის ჯამები, ხოლო კარტოფილისა და ფაფისათვის ქოთანიც კმაროდა. ღარიბული საჭმელი ჰქონდათ კოსტრიკოვებს. ბავშვები ხანდახან თავისი თხის — შიმკის რძესაც სვამდნენ, ხოლო აღდგომასა და შობას, თეთრი ბლითებითაც ჩაიტკბარუნებდნენ პირს.

როცა სერიოჟას ექვსი წელი შეუსრულდა, ბაზარზე ერთი სათამაშო მოეწონა — ხის ცხენი, რომელსაც ხრალის კუდი ჰქონდა. ეს სიამოვნება მხოლოდ და მხოლოდ ექვსი კაპიკი ღირდა. მაგრამ ზედმეტი კაპიკები დედას არ ჰქონდა და სერიოჟას ცხენი ვერ უყიდეს. ბავშვი რომ ენუგეშებინა, დედამ ნაჭრებისაგან ბურთი შეუკერა. ეს იყო და ეს.

მაგრამ სერიოჟას და მის მეგობარს სანკა სამარცევს უსათამაშოდაც შეეძლოთ იოლად წასვლა. ისინი თამაშობდნენ ჩილიკაჯოხს, რომელიც მოუტანა მათ ნაცნობმა ხურომ; თამაშობდნენ აგრეთვე კოჭობანასაც.

ზაფხულობით მათი ყველაზე საყვარელი გასართობი ურჟუმკაში ბანაობა იყო. ისინი საათობით ისხდნენ მდინარეში, — სანამ კანი გაულურჯდებოდათ და აუხორკლდებოდათ. ცურაობდნენ გასწრებაზე, გორაობდნენ სილაში. თავიდან ფეხებამდე ამოიგანგლებოდნენ სილაში და შემდეგ ჩახტებოდნენ წყალში. ასე ცხოვრობდნენ მთელი დღე მდინარის პირას. თავზე დუმფარას წამოიფარებდნენ, რომ მზეზე არ დამწვარიყვნენ, და ეს იყო მთელი მათი ტანისამოსი.

საღამოობით კი ისინი თავის ეზოში შეკრებდნენ მეზობელ ბავშვებს და თამაშობდნენ დარტყმა-გაქცევას, ან კუკუმალობანას.

ბევრია ეზოში სხვადასხვა კუნჭული, სადაც ჩინებულად შეიძლება დამალვა. მაგალითად, საჯინიბოში ან ფარდულქვეშ ორმოში. ეს ორმო ამოთხარა ძაღლმა — შარიკამ, როცა მან ლეკვები

დაყარა აქ ცოტა არ იყოს ციოდა, სინესტეც იყო. ბიჭები ბოსტანშიც იმალებოდნენ და ბნელ წინკარებშიც, ძველი, გამხმარი კასრის უკან.

განა ცოტა იყო ადგილი. ეზო დიდია!

ხანდახან კუკუმალობანას თამაშობის დროს სერიოჟა და სანია გამოიცვლიდნენ ტანისამოსს, ჩაიცვამდნენ სხვის ხალათს და განგებ გამოაჩენდნენ კუთხიდან მხარს ან იდაყვს. ის, ვინც გამრიგე იყო, მაშინვე მოტყუვდებოდა. „სანკა! — დაიყვირებდა; — სანკა!“ ეს კი სრულიად არაა სანკა, არამედ სანკას ხალათგადაცმული კოლკა საზონოვია.

მაგრამ კუკუმალობანასა და დარტყმა-გაქცევის თამაშს ბევრი ბავშვი უნდოდა. ხოლო როცა სერიოჟა და სანია ორნი დარჩებოდნენ, უფრო ხშირად სილისა და თიხისაგან აშენებდნენ საგუბარს ან ციხე-სიმაგრეს. მუშაობა ყოველთვის როდი იყო შეხმატკბილებული. ხანდახან საქმე ჩხუბით თავდებოდა. სანია თუმცა ორი წლით უფროსი იყო, და უკვე სკოლაშიაც სწავლობდა, მაგრამ რაღაც წყნარი და დონდლო იყო: ხალისით დაიწყებდა მუშაობას და უცბად აუცრუვდებოდა გული, დაჯდებოდა მიწაზე, ძლივს ზელავდა თიხას ხელისგულით. სერიოჟა კი ასეთი არ იყო — როგორც კი გამოხტებოდა ეზოში, მაშინვე დაიყვირებდა: „აბა, მოიტა, სან, ვაშენოთ!... აბა, ჯოხი გავაშალაშინოთ!... აბა, წავიდეთ პატარა ქარიყლაპიების დასაჭერად“.

თევზის საჭერად ბიჭუნები წისქვილის გვერდით მდებარე ტბაზე მიდიოდნენ. თუ ბევრს დაიჭერდნენ, შინ ხტუნვა-ხტუნვით, ყიჟინითა და სიცილ-ხარხარით ბრუნდებოდნენ. სერიოჟა ყველაზე მეტს ხარხარებდა. მის ყელს პირდაპირ რაკრაკი გაჰქონდა.

მეზობლები მას „ანცს“ ეძახდნენ, შინაურები კი „რატომს“. ეს იმიტომ, რომ ქვეყანაზე ყველაფრის ცოდნა უნდოდა. ის სანკასაც ხშირად ჩააცივდებოდა შეკითხვებით. გაშლიდა ანბანს და დაუწყებდა ხვეწნას: მასწავლე კითხვა, მასწავლეო. თავიდან რომ მოეშორებინა, სანკამ მას ერთხელ პირველი სამი ასო ასწავლა, რომელიც თვალში მოხვდა: პ, ს, და ო.

სერიოჟამ ასოებს მაშინვე სახელები შეარქვა: პ — ჭიშკარიაო, ო — ბლითიაო, ს — ნახევარბლითიაო.[1] ამ სამ ასოს ის მუდამ ჯოხით სწერდა მიწაზე, შემდეგ კი აზრად მოუვიდა ნახშირით ფარდულის კედლებზე დაეხაზა. ვეებერთელა გვერდელა ასოები ო, პ და ს. ამის გამო მამამ იგი მაგრად დატუქსა. ამის შემდეგ მას კედლები აღარ გაუსვრია. მაგრამ სწავლისადმი ინტერესი როდი მოჰკლებია! ყოველდღე ეკითხებოდა სანკას სკოლის შესახებ: რა ხდება იქ და როგორ? შინ კი სულ ბუზღუნებდა: „როდის წავალ სკოლაში, ა? მიმაბარეთ სკოლაში!“.

„რა დროს შენი სკოლაა, ჯერ პატარა ხარ“, ეუბნებოდა სერიოჟას დედა.

[1] რუსული დამწერლობით პ-ჭიშკარსა ჰგავს, ო-ბლითსა და ს-ნახევარ-ბლითს.

მთარგმნ.

თავი მეოთხე

კუზმოვნა

სერიოჟას დედას ეკატერინე კუზმას-ასული ერქვა, მეზობლები კი უბრალოდ კუზმოვნას ეძახდნენ.

ის პატარა ტანისა და გამხდარი იყო,მუქი თაფლისფერი თვალები ჰქონდა. მუდამ ჩუმად და ნელა ლაპარაკობდა. ეზოში ყველა ბავშვს უყვარდა ის, თავის ბავშვებს კი მით უფრო.

სერიოჟას შვიდი წელი შეუსრულდა, როცა მამას აზრად მოუვიდა საშოვარზე წასულიყო სხვა ქალაქში. ურჟუმიდან ყოველ გაზაფხულს მრავალი ხალხი მიდიოდა ვიატკაში, „მაშინით“, (ასე ეძახდნენ მაშინ რკინიგზას), ტყავისა და ხე-ტყის ქარხანაში.

მამა ვარაუდობდა ქალაქში ცოტა რამეს ვიშოვი, შემოდგომისას კი შინ დავბრუნდებიო. მაგრამ უკვე ყინვები დაიწყო, თოვლიც მოვიდა, მამა კი არ ბრუნდებოდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. დაიკარგა უგზო-უკვლოდ. ხმები დადიოდა, იქვე ვიატკაში მოკვდაო. მაგრამ დანამდვილებით არავინ არაფერი იცოდა. რამდენჯერ მიირბინა კუზმოვნამ ნაცნობ გადამწერთან, რამდენი შაური გადაუხადა მას წერილისა და თხოვნის დაწერისათვის, მაგრამ ვიატკიდან პასუხი არ იყო და არა. კუზმოვნა იძულებული გახდა თავად წასულიყო საშოვარზე, რომ თავისი თავი და სამი ბავშვი ერჩინა.

წერა-კითხვა მან არ იცოდა, ხელობა მისთვის არ უსწავლებიათ. მაშასადამე, მას ერთი გზაღა დარჩენოდა — დღიური სამუშაო: ხან რეცხვა მოხელეთა და ვაჭართა სახლებში, ხან იატაკის წმენდა, ხან სახლის დალაგება დღესასწაულების წინ. ასეთი სამუშაო უთენია იწყებოდა, ხოლო შეღამებისას თავდებოდა. იმ ხანებში დღიურ მუშა-ქალს ხუთ-ექვს შაურს აძლევდნენ და ამ ფულ-

საც ერთბაშად როდი უხდიდნენ. თავისი შაურისათვის რამდენი მუდარა სჭირდებოდა კუზმოვნას.

„შემოიარე, გეთაყვა, ხვალზევით, ასლა ხურდა არაა“, ან „დრო არა მაქვს“, ან — „სად მცალია შენთვის“.

კუზმოვნა მეზობელ ქალთან უსტინია სტეფანეს-ასულთან ერთად გადიოდა სახლიდან მთელი დღით, ბავშვებს კი ისინი ორივე ბინაში ჩაჰკეტავდნენ ხოლმე. სხვადან, სხვადან ბავშვები დაკეტილ ბინაში, მოსწყინდებათ და დაიწყებენ შეხმიანებას კედლის იქით-აქეთ, ანდა აძვრებიან ღუმელზე, დაუშენენ კედელს მუშტებს.

— სერგა, ეს შენა ხარ? — ყვირის სანია.

— მე ვარ! ეს შენა ხარ, სან?

ასე ეხმიანებოდნენ ერთმანეთს.

მაგრამ მალე მოსწყინდათ ეს მათ, — რაღაც ყრუდ ისმოდა კედელს იქით-აქეთ.

და აი, ბავშვებმა გადაწყვიტეს რამეთი გამოეხვრიტათ პატარა ჭუჭრუტანა კედელში, რომ უფრო იოლი ყოფილიყო ბაასი. სახლის ორივე ნახევარში ღუმელები ერთდაიმავე კედელთან იყო. აიღეს ბიჭებმა დანები და დაიწყეს ბათქაშის მოცილება.

ისეთი კაკუნი ატყდა, თითქოს მეღუმელები მუშაობდნენ სახლში.

დილიდან შეუდგებოდნენ საქმეს. დედები კარს გასცილდებოდნენ თუ არა, ბიჭები ღუმელს შიაშურებდნენ. სერიოჟას პატარა და, ხუთი წლის ლიზაც კი ეხმარებოდა მუშაობაში, ჩამოცლილ ბათქაშს აქუჩებდა. ბათქაშქვეშ მოყოლებული ფიცრის კედელი ერთობ თხელი აღმოჩნდა, მაგრამ მაინც ერთი კვირა დასჭირდა მის გაჭრას. მთელი დღეების განმავლობაში არ ჩამოდიოდნენ ბიჭები ღუმელიდან. აიტანდნენ ღუმელზე შავი პურის ყუას, სურით წყალს და დაიწყებდნენ კედლის აზოტეხვას, რამდენიც კი შეეძლოთ.

დაბოლოს, როგორღაც დღლას, დაარტყეს სულ სამჯერ, და ერთიც ვნახოთ — გაჩნდა ჭუჭრუტანა. მერე და როგორი ჭუჭრუტანა! შიგ ხელის გაყოფა შეიძლებოდა. ახ, რა სიხარული იყო! ყველა რიგრიგობით ჰყოფდა ხელს ჭუჭრუტანაში და ერთმანეთს ესალმებოდა. სახელითა და მამის სახელით მიმართავდნენ ერთმანეთს.

— გამარჯობა, სერგეი მირონიჩ!

— გამარჯობა, ალექსანდრე მატვეიჩ!

— ეს თქვენა ხართ, ანა მირონოვნა?

— მე ვარ, ეს კი თქვენა ხართ, ანა მატვეევნა?

— მე ვარ!

საღამოს კი ჭუჭრუტანას დაუცვეს ძველი ჩუთა და ჭინჭი, რომ დედებს არ შეენიშნათ. დედები სამუშაოდან დაბრუნებისას ყოველთვის ღუმელზე თბებოდნენ. მოვიდოდნენ დაქანცულნი, დაცივებულნი, დალევდნენ ჩაის, მიატანდნენ შავ პურს და ავიდოდნენ ღუმელზე. წვანან, ითბობენ ზურგს და ელაპარაკებიან ერთმანეთს კედლის ორივე მხრიდან.

— რა ჰქენი, კუზმოვნა, დაისვენე? — ეძახის სამარცევა.

— ცოტათი მომეშვა. ცხელი ჩაი დავლიე და მეშველა,—ხვეულებით უპასუხებს კუზმოვნა.

კუზმოვნას უკვე დიდი ხანია სტკიოდა გვერდები. ხანდახან ისე ახველებდა, რომ ცრემლებს ღვრიდა. საჭირო იყო მკურნალობა, მაგრამ ამისათვის არც ფული და არც დრო ჰყოფნიდა.

ერთხელ, საღამოთი, ორივე მეგობარი ქალი დაწვა და, ჩვეულებისამებრ, ბაასი გამართეს.

— სტეპანოვნა, ჰაი, სტეპანოვნა — თქვა უცებ სერიოჟას დედამ. — დღეს როგორღაც შენი ხმა ძალიან კარგად ისმის, — თითქოს შენ ჩემს გვერდით იწვე ერთ ღუმელზე?

— შენი ხმაც, კუზმოვნა, დღეს ძალიან კარგად მესმის, — უპასუხებს სამარცევა, — მილები თუა ღია?...

დაიწყეს კედლის დათვალიერება, — ორთავემ თავ-თავისა მხრიდან, და ნახეს ჭუჭრუტანა. ძლიერ გაუკვირდათ! საიდან გაჩნდა ჭუჭრუტანა?

იფიქრეს, იფიქრეს და მიხვდნენ. სხვა ვინ გახვრეტდა, თუ არა ბავშვები.

ქალებისათვისაც ეს უფრო მოხერხებულიც იყო: არ იქნება საჭირო ხმის ჩახლეჩა, კედელს იქით რომ გააგონო ლაპარაკი. საოჯახო საქმეშიაც გამოადგათ მათ ეს ჭუჭრუტანა.

დასჭირდება უსტინია სტეპანოვნას კოვზი, ხახვი, ან ერთი წება მარილი, დაიწყებდა ძახილს:

— მეზობელო, თუ გაქვს, გამომიგზავნე ხახვი სესხად!

დაავლებს სერგეი ხახვს ხელს და უცებ გაჩნდება ღუმელზე, იქ კი უკვე სანკა უცდის, ჰუჰრუტანაში ხელი გაუყვია და თითებს ამოძრავებს.

— მოდი, ვინ უფრო ღონიერია, დავქაჩოთ ერთმანეთი, — იტყვის სანკა.

ბავშვებს დაავიწყდებათ ხახვი, ჩასჭიდებენ ერთმანეთს ხელს და ეწევიან ერთი მეორეს მანამდე, სანამ უსტინია სტეპანოვნა დაუძახებდეს სანკას ღუმელიდან ჩამოდიო.

ბავშვები ცდილობდნენ, სადაც კი შეიძლებოდა, თავშესაქცევარი და გასართობი ეპოვათ. ტკბილეულობისა და სათამაშოების საყიდლად არაფერი გააჩნდათ. დედებს დღიური სამუშაოსათვის გროშებს აძლევდნენ, მხოლოდ შავი პურის შესაძენად ჰყოფნიდათ.

დედების სამუშაო იოლი როდი იყო. ბატონებისას სიარული— იატაკის წმენდა, საცვლების რეცხვა. ისინი სიცივეში, ქარბუქში საცვლებით სავსე ორხელიან კალათებს მიათრევდნენ ურჟუმკაზე, რომ ყინულჭრილში გაერეცხათ. სამარცევა მაინც უფრო მაგარი იყო, კუზმოვნას კი ყოველდღე ძალღონე ელეოდა. ერთხელ იგი გაცივდა მდინარეზე და კიდევ უფრო მოუმატა ხველებას.

მიდის წყალზე, ქალები თვალს გააყოლებენ და თავის ქნევით ამბობენ:

— ცუდადაა ახლა კუზმოვნას საქმე. ვედროები სავსე არაა და ძლივს კი მიათრევს. ჭლექი სჭირს. გაზაფხულამდე ვერ მიაღწევს.

და მართლაც, ვერ მიაღწია. ჩავარდა ლოგინად კუზმოვნა. თმასაც ვერ ივარცხნიდა თვითონ, — ხელებს ვერ სწევდა.

ბებია მელანია, კუზმოვნას დედამთილი, იძულებული გახდა მიეტოვებინა აქციზის მოხელე პერეკოზჩიკოვი, ვისთანაც გადიად მსახურობდა. საჭირო იყო ავადმყოფის მოვლა, ბავშვებისათვის თვალყურის დევნება, სუპის მოხარშვა.

ნახევარი წელი ავადმყოფა კუზმოვნამ. ყველა ფიქრობდა: ეგებ მორჩესო. ის კი სულ უფრო და უფრო უარესად ხდებოდა.

ერთხელ დილით, დეკემბრის თვეში, მივიდა ბებია კუზმოვნას სა-
წოლთან. ხედავს, სულ ცუდადაა საქმე. დაიყვირა:

— ბავშვებო! დედა გიკვდებათ!

ამ დროს სერიოჟა დებთან ერთად ტახტლოგინზე იჯდა და უბედურებას არც მოელოდა. ბავშვები ტახტლოგინიდან ჩამოხტნენ და დედასთან მიიჭრნენ.

დედა ლოგინში იწვა. ხელები იქეთ-აქეთ გადაეყარა, გაყვითლებული და ჩაცვივნული ლოყები სიცხით აფარკლებოდა.

დედა მძიმედ სუნთქავდა, თვალები დაეხუჭა.

— დედი, — ნელა დაუძახა ანიუტამ. — დედი!

დედა პასუხს არ აძლევდა. ანიუტა აძიგძიგდა და ატირდა საწყალობელი ხმით. მისი შემყურე პატარა ლიზაც აღრიალდა. სერგეი იდგა ჩუმად, თავდახრილი.

— რა იყო, სულელებო, რა? — წყნარად თქვა კუზმოვნამ და თვალები გაახილა.

— არ მოკვდე, — ასლუკუნდა ანიუტა.

უცბად სერგეიმაც მიაყრდნო თავი დედის მხარს და ისიც ატირდა.

კოზმოვნამ თავს ძალა დაატანა, ბალიშზე წამოიწია და სერგეის მოეხვია.

— სულელებო, წადით, ითამაშეთ! მე არ მოვკვდები, — თქვა მან და პატარა ლიზას თავზე ხელი გადაუსვა.

ბავშვები დაწყნარდნენ და აცოცდნენ ტახტლოგინზე „სტუმრობიას“ სათამაშოთ.

მეორე დილას ანიუტამ ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა. მან გადმოყო თავი ტახტლოგინიდან და გაშეშდა.

დაბლა, დედის საწოლთან, ფუსფუსებდნენ ბებია და უსტინია სტეპანოვნა. ისინი დედას ეფარებოდნენ, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ ოხრავდა ბებია, ხოლო უსტინია სტეპანოვნა დედას ზეწარს აფარებდა, — ანიუტა მიხვდა, რომ რაღაც საშინელება მოხდა.

მაგიდაზე პატარა ლამპა ენთო, ფანჯრის იქით ჯერ კიდევ ღამე იყო.

— მორჩა ტანჯვას ჩვენი კატერინუშკა! — თქვა ბებიამ და თავსაფრის ყურით ცრემლები მოიწმინდა.

ორი დღე დადიოდნენ მეზობლები კოსტრიკოვებისას, რომ კატერინა კუზმას-ასულს გამოსთხოვებოდნენ. მესამე დღეს კი ჭიშ-

ქარს მოადგა უბრალო ხის მარხილი, რომელსაც ფეხებბანჯგვლიანი ცხენი ება. კუზმოვნა სასაფლაოზე წაიღეს.

ცივი, სუსხიანი და ქარიანი დღე იყო. კუბოს მიჰყვებოდნენ ბებია მელანია შვილიშვილებით და უსტინია სტეფანეს-ასული თავისი ბავშვებით. ძნელი სასიარულო იყო, — ბევრი მოეთოვა. ბავშვები მუხლებამდე ეფლობოდნენ ნამქერში. შუა გზაზე ბებია მელანიამ ლიზა და სერგეი მარხილზე დასვა კუბოს გვერდით.

სიჩუმე სუფევდა სასაფლაოზე. გარინდული იდგა თეთრი ხეები. ჯვრებსა და მესერებზე თოვლი ქუდებივით იდო. სასაფლაოს ვიწრო ბილიკებს კაცი ვერ გაარჩევდა ნამქერში.

დამარხეს კუზმოვნა შორეულ კუნჭულში—ძველ ზღუდესთან.

ვერც კი მოასწრეს მიწით ამოევსოთ სამარე, რომ უცბად წამოვიდა ხშირი თოვლი და წუთის შემდეგ თეთრი ზეწრით დაფარა დედის საფლავი.

თავი მესამე

სერიოჟას ბებია

სერიოჟას ბებია, მელანია ავდეის-ასული, გლაზოვის მაზრის სოფელში დაიბადა. აქვე გათხოვდა, მაგრამ ქმართან ცხოვრება არ დასცალდა. სერიოჟას ბაბუა, ივანე პანტელეიმონის-ძე, ახალგაზრდობაშივე წაიყვანეს ჯარისკაცად და კავკასიაში უკრეს თავი. ეს იყო მეფე ნიკოლოზ პირველის დროს. იმ დროს მეფის კანონით ჯარში ოცდახუთ წელიწადს მსახურობდნენ.

ჯარში ახალგაზრდა ბიჭი მიდიოდა, შინ კი მოხუცი ბრუნდებოდა. მაგრამ კიდევ კარგი, თუ დაბრუნდებოდა.

ბებია მელანია ავდეის-ასული ვერ ეღირსა თავისი ქმრის დაბრუნებას. ქმარმა იმსახურა ექვსი წელი, შემდეგ ავად გახდა ციებით და მოკვდა კავკასიაში — სამხედრო ჰოსპიტალში. მელანია იძულებული გახდა თან წაეყვანა თავისი პატარა ვაჟი და გადიათ ემსახურნა სხვადასხვა ხალხთან — ჯერ სოფელში, მერე ქალაქში.

ალსაზრდელად სხვადასხვანაირი ბავშვები ხვდებოდა მას — ალერსიანებიც, ჯიუტებიც, დამჯერებიც და ანცებიც. გადიას არჩევა როდი შეუძლია, მისი საქმეა დიდკაცის შვილი შეაქციოს და ისე მოუაროს, როგორც უბრძანებენ. ესეც კი ხდებოდა, რომ ერთის ნაცვლად, მთელი გროვა ბავშვებისათვის უნდა მოევლო.

დაიწყებენ დიდკაცთა ბავშვები ჯოგობანას თამაშს: ზოგი ზმუის, ზოგი ღრუტუნებს, ზოგი ბღავის, გადიას კი ძაღლობას ავალებენ. დაფორთხავს ბებია მელანია ოთახში და ჰყეფს. უარის თქმა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია. ბავშვები იტირებენ, მუისვე ეჩივლებენ დედასთან:

— გადიას ჩვენთან თამაში არ უნდა!

ქალბატონი კი საყვედურს ეტყვის:

— რა გადია ხარ შენ, თუ ბავშვების გართობა არ შეგიძლია? უნდა დაგითხოვო.

სანამ მელანია ავდეის-ასული ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მას ეს არც თუ ისე ემძიმებოდა. კიდევაც დარბოდა დაოთხებული, სახურავიდან ან არხიდან ბურთიც ამოჰქონდა. მაგრამ მოხუცებულობისას არამც თუ არხში ჩასვლა, არამედ ბავშვებთან ერთად მაგიდის ქვეშ შეძრომაც ეძნელებოდა, როცა დიდკაცის შვილები ყაჩაღობანას ან დამალობიას თამაშობდნენ...

ერთხელ ბავშვებმა აიძულეს გადია მელანია კიბის მოაჯირს გადაჯდომოდა და დაბლა ჩაცურებულიყო. დიდხანს ამბობდა უარს ბებია ასეთ მოგზაურობაზე, — ბავშვებს კი ამის გაგონებაც არ სურდათ. დიდკაცის შვილმა ტირილი დაიწყო და ფეხებიც გაასავსავა.

— ეჰ, თქვენი ნებაა, — თქვა ბებიამ, დაჯდა მოაჯირზე და ჩაცურდა.

არაფერია, ცოცხალი გადარჩა, მხოლოდ ხელისგული ისე გადაიყვლიფა, რომ სისხლი დაედინა. სამი დღე ჰქონდა შეხვეული ხელები.

პირველ ადგილზე, ბატონ ანტუშევსკისთან, ბებია მელანიამ ცამეტი წელი დაჰყო. და უცბად გლაზოვის მაზრიდან ბატონი ქალაქ ურჟუმს გადაიყვანეს სამსახურში. დაუწყეს ბატონებმა გადიას შეგონება:

— წამოდი ჩვენთან. როგორც კი ჩავალთ ურჟუმს, მოვნახავთ სხვა გადიას, შენ კი უკანვე სამშობლოში დაგაბრუნებთ. შედი, მელანია, ჩვენს მდგომარეობაში.

ჰოდა, დაუჯერა ბებია მელანიამ, შევიდა მათ მდგომარეობაში, გაემგზავრა ბატონებთან ერთად ურჟუმს. ბატონებმა კი, მადლობის ნაცვლად, აწყენინეს მას.

წინათ ასეთი წესი იყო: იმას, ვინც ბატონს მოსამსახურედ დაუდგებოდა, მაშინვე პასპორტს ჩამოართმევდნენ. უპასპორტოდ კი ფეხს ვერსად გადგამ.

ჩამოვიდა ბებია ბატონებთან ერთად ურჟუმში, იცხოვრა იქ სამი თვე და შემდეგ შეუდგა მზადებას სამშობლოში დასაბრუნებლად.

— მოძებნეთ, ქალბატონო, ახალი გადია. მე შინ წავალ.

ქალბატონმა კი ყურიც არ ათხოვა და პასპორტსაც არ აძლევს. რა უნდა ჰქნა? სად იჩივლებ?..

ჩააქნია ხელი ბებია მელანიამ, იტირა, იდარდა და დარჩა სამუდამოდ ურჟუმში.

ანტუშევსკისგან სხვა ბატონებთან გადავიდა სამსახურში, ხოლო როცა სულ დაბერდა, აქციზის მოხელე პერევოზჩიკოვთან დადგა.

„ვიმსახურებ ხუთიოდე წელს, მერე კი, იქნებ, მოხელემ შემიბრალოს და ერთგული სამსახურისათვის დავრდომილთა თავშესაფარში მომაწყოს; მოვასვენებ იქ ჩემს მოხუც ძვლებს“,—ფიქრობდა ბებია.

მაგრამ ყველაფერი სხვანაირად დატრიალდა.

თავი მეოთხე

ო ბ ლ ე ბ ი

მოხელე პერევოზჩიკოვთან სამსახურის მეხუთე წელი უსრულდებოდა გადიას. მოხელემ ბებია მელანიაზე თხოვნაც კი შეიტანა დავრდომილთა თავშესაფარში. ბებიამ უკვე აჩუქა მოხელის მოახლეს თავისი სახეებიანი და ფოჩიანი შალი, — დავრდომილთა თავშესაფარში ასეთი შალი რად მინდპ.

ამ დროს კი უეცრად ჭლექისაგან მოკვდა მელანიას რძალა კუზმოვნა და სამი სრულიად ობოლი ბავშვი დასტოვა. სიბერის ეამს ბებიას ბედმა არგუნა ღვიძლი შვილიშვილების მოვლა-პატრონობა. ოთხმოცდაორი წლისა იყო იგი მაშინ.

გაასწორა ანგარიში ბებიამ მოხელესთან და დავრდომილთა თავშესაფრის ნაცვლად პოლსტოვალოვის ქუჩაზე გადასახლდა. იქ გადაიტანა თავისი მწვანე კიდობანი, სადაც ელაგა ხანგრძლივი სამსახურით ნაშოვნი ავლადიდება: სამი კაბა, ფლანელის კერესი, ქიშმირის თავშალი, პრიუნელის ფეხსაცმელები და რამდენიმე ცალ საცვალი.

ბებიამ ახალი ცხოვრება დაიწყო. შვილიშვილები პატარები იყვნენ და საზრუნავი საქმე საკმაო ჰქონდა. საჭმელიც უნდა ეხარშა, ბავშვებიც უნდა შეემოსა და წყალიც უნდა ეზიდნა მდინარიდან. იოლი როდი იყო მოხუცისათვის მეურნეობის თავის გართმევა.

ხელი მიჰყო ბებიამ თანაშემწის მომზადებას: ანიუტას აჩვევდა საქმიანობას. ანიუტა სულ ათი წლისა იყო. ბებია მას ხან დუქანში გააგზავნიდა პურისა ან ნავთისათვის, ხან იატაკს მოაწმენდინებდა, ხან სარეცხს ამოარეცხვინებდა. ცდილობდა ანიუტა, როგორც შეეძლო, ესიამოვნებინა ბებიასთვის. ხანდახან მას სერიო-

— წყნარად, თქვე, ყაჩაღებო! — ყვიროდა ბებია. — მშიერი კუნძულიდან ხომ არა ხართ? რას ტაციაობთ? ცხელი საჭმელისაგან ნაწლავები ხმება.

სანამ შვილიშვილები სუფრას უსხდნენ, ბებია მათ არიგებდა და ასწავლიდა.

— რადგან ობლები ხართ, — ობლურადაც უნდა იცხოვროთ. უსაქმოდ არ იხეტიალოთ, უფროსებს ასიამოვნეთ, მუშაობას შეეჩვიეთ.

ბებია დაბალი და სქელი მოხუცი იყო. ჭაღარა და ბუმბულივით რბილი თმები ორ ნაწნავად ჰქონდა დაწნული და ზედ შავი შალი ჰქონდა მოხვეული.

ბებიას ბურნუთის ყნოსვა უყვარდა. ამბობდა, ბურნუთი კარგად მოქმედობსო მხედველობაზე: „როგორც კი დავყნოსავ, თვალში სინათლე ჩამიდგებაო". სათუთუნე ჰქონდა შავი, სახურავიანი, რომელზედაც დახატული იყო მორთული ქალბატონი ცისფერი ბანტით და ხელში ყვავილების თაიგულით. ეს სათუთუნე მას ბატონებმა აჩუქეს დღეობაზე. ბებია წესიერად იცვამდა. გრძელ ფართო კაბაზე და კერესზე მუქი ფერის წინწკლებიანი ჩითის წინსაფარს იკეთებდა. ბავშვებსაც სიფაქიზეს ასწავლიდა.

— როცა წვებოდე, ტანისამოსი თავის ადგილზე დაალაგე, რომ დილას ნამძინარევმა ძებნა არ დაუწყო. გახეულს შეამჩნევ, მაშინვე გაჰკერე, რომ უფრო არ გაიხეს. რასაც საიდანმე აიღებ, იქვე დადევი.

ძალიან ბრაზდებოდა ბებია, როცა რომელიმე ბავშვი გაუფრთხილებლობით თეფშს ან ფინჯანს ბატეხავდა.

— შოვნა არ შეგიძლიათ, მხოლოდ ამტვრევთ და აფუჭებთ ყველაფერს. მყიდველი კი არავინაა სახლში! სახლის დამაქცევრებო!

ერთხელ, დედის სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ, მოხდა ისეთი შემთხვევა, რომელიც დიდხანს დარჩა ბავშვების მეხსიერებაში. ერთ საღამოს ისინი ისხდნენ ღუმელზე და ფაფას ჭამდნენ. მათ წინ დაბალ სკამზე თიხის ჯამი იდგა. უცბად სერიოჟამ გაჰკრა ხელი სკამს, ჯამი ჩამოვარდა და გატყდა.

— ნახავ, ბებიას თუ არ ვუთხრა, — წაიჩურჩულა პატარა ლიზამ.

მას უყვარდა მოეხსენებინა ბებიასთვის ყოველგვარი წვრილ-შანი — მთელი დღე კუდში დასდევდა და თავს აბეზრებდა: „ბებია, სერიოჟამ შენი ნემსი შუაზე გატეხა! ბებია, ანიუტამ შიმკას რძე დაღვარა!“

ჯამი რომ გატყდა, ყველა ბავშვს შეეშინდა.

სერიოჟამ შეაბრუნ-შემოაბრუნა ნატეხები და თქვა:

— ჯამი შეიძლება ცვილით დაიწებოს.

ჩამოცოცდა ღუმელიდან, ჩამოიღო ხატის სანთელი, მოუკიდა და გატეხილი ჯამი ცვილით შეწება.

— მოიტა, მე უჩუმრად თაროზე ჩამოვდებ. ეგებ ბებიამ ვერც შენიშნოს, — თქვა ანიუტამ.

— მე თვითონ ჩამოვდებ, — უპასუხა სერიოჟამ, მიიდგა ტაბურეტი თაროს ახლოს და აცოცდა ზევით. მისწვდა თაროს და ჯამი გატეხილი პირით მიადგა კედელს.

დილას, როცა ბებიას თაროდან ჯამის ჩამოღება უნდოდა, მას ნატეხები თავზე გადმოაცვივდა. ერთი დიდი ნატეხი კი ხელში შერჩა.

— ეს ვისი ნაქნარია? — თქვა ბებიამ და აჩვენა ნატეხი.

ბავშვები სდუმდნენ.

— ახლავე გამოტყდით, ვინ გატეხა ჯამი?

ის-ის იყო ლიზას უნდოდა დაესმინა, რომ სერიოჟამ უცბად თქვა:

— მე გავტეხე...

— ღმერთმანი ბებია, მან გატეხა, ჩვენ კი არა! ჩვენ არ გაგვიტეხია, — პირჯვრის წერით წარმოსთქვა ლიზამ.

— აი თქვე უაჩაღებო! აი თქვე ოჯახის დამქცევებო! — დაიყვირა ბებიამ და, რომ არავის სწყენოდა, სამივეს სცემა.

ბებია მელანიამ ხანდახან ბავშვების დაშინებაც იცოდა.

— აი, მიგატოვებთ ყველას და წავალ, გადავიკარგები სადმე. იცხოვრეთ მარტო, როგორც შესძლებთ, რადგან ასეთი ანცები და გაუგონარები ხართ, — იმუქრებოდა იგი.

ერთხელ, როცა ბავშვებმა წინკარში ბურახიანი დოქი წააქციეს, ბებიამ მიტყეპა ისინი და წავიდა ცხენის დასაქირავებლად, რომ სოფელ პოპოვკას გამგზავრებულიყო.

მთელი დღე მარტო იყვნენ ბავშვები სახლში. სერიოჟამ რამდენიმეჯერ მიირბინა ჭიშკართან, ბებია ხომ არ მოდისო, მაგრამ ბებია არ მოდიოდა. პატარა ლიზამ შიშისაგან ღრიალი მორთო. როგორ იცხოვრონ ახლა იმათ უბებიოთ? სად იშოვონ ფული პურის სასყიდლად? ან ღამე როგორ იძინონ მარტო? ხომ საშინელებაა!..

მხოლოდ საღამოს, შებინდებისას, დაბრუნდა ბებია შინ, ბავშვები უცდიდნენ მას ეზოში, სახლის გვერდით. სამივემ დაუწყო ხვეწნა ბებიას, დარჩენილიყო მათთან და არ წასულიყო პოპოვკაში. ბებია უცებ როდი დათანხმდა!

— მე უკვე ცხენიც ვიქირავე ივანე პავლოვიჩისაგან, მარტო კიდობნის წაღებაა საჭირო. მაგრამ რა გაეწყობა, დავრჩები ამჯერზე. მხოლოდ გაფრთხილებთ — ნუღარ იანცებთ.

მკაცრი იყო ბებია მელანია.

მაგრამ, როცა ბებია ზღაპარს დაიწყებდა, ბავშვებს დაავიწყდებოდათ ყველა მისი სიმკაცრე და ბუზღუნი. ბებიამ ჩინებულად იცოდა ზღაპრის მოყოლა. ყველაზე უფრო ბავშვებს „ობლის“ ზღაპარი უყვარდათ. ზღაპარი ასეთი იყო:

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. და ჰყავდათ მათ გოგონა. ცხოვრობდნენ ისინი ბედნიერად, მაგრამ უცბად უბედურება ეწიათ: დედა ავად გახდა და მოკვდა. დარჩა გოგონა ობლად. შეუჩნდნენ მეზობლები მამას: ითხოვე და ითხოვე ცოლიო, მარტო კაცი ოჯახს თავს ვერ გაართმევსო, — მეურნეობაც გაქვს, ჩვილი გოგონაც გყავსო. იფიქრა, იფიქრა გლეხმა და შეირთო ცოლი. მოვიდა სახლში დედინაცვალი და მასთან ერთად ჭირიც მოვიდა. აშარი დედაკაცი აღმოჩნდა დედინაცვალი. ისეთი მავნე იყო, დილიდან საღამომდე გერს ჰკიცხავდა, მისი არაფერი მოსწონდა. ხან სცემდა ობოლს, ხან შიმშილით ჰკლავდა. გოგონა ტიროდა, ჩუმად ტიროდა, მამასთან ჩივილს კი ვერ ბედავდა.

მალე დედინაცვალს თავისი ქალიშვილი შეეძინა. ობოლს ხულ გაუმწარდა სიცოცხლე. ჰოდა, ერთხელ დილით მამა ეუბნება გოგონას: „მოემზადე, შვილო, წავიდეთ ტყეში“. წავიდნენ ტყეში. ტყეში კი მამა გამოუტყდა შვილს: „დედინაცვალმა მიბრძანა ხელები მოჭერი და ტყეში დატოვეო“. ატირდა გოგონა, დასდო ხელები კუნძზე. მამამ ნაჯახით მოჭრა ხელები იდაყვამდე, შეჯდა

ცხენზე და გააჭენა. დადის უხელო ობოლი ტყეში და ქვითინებს სიჩუმეა ტყეში, მხოლოდ გუგული ეხმაურება მას: გუ-გუ, გუ-გუ ლამე გოგონამ ხის ფულუროში გაათია, რომ დათვს არ შეეჭამა; დილით კი ისევ გაუდგა გზას ტყეში თავშესაფრის. საძებრად. იარა, იარა და ტყეში პატარა ქოხს წააწყდა, — ეტყობოდა, მონადირეებს ეცხოვრათ აქ ოდესღაც. დარჩა ობოლი ამ ქოხში საცხოვრებლად.

გადის წლები, იზრდება ობოლი ტყეში, როგორც არყის ხე.

ლამაზი ქალიშვილი გაიზარდა, ოღონდ უხელო იყო.

და აი მოიფიქრა ქალიშვილმა წასულიყო იმ მხარეს, სადაც შეტი მზე იყო. იარა, იარა და დაინახა დიდი ხილნარი. ხედავს ხეს საუცხოო წითელი ვაშლები მოუსხამს. ხეებზე სამოთხის ჩიტები გალობენ. უნდა ობოლს ვაშლის მოწყვეტა, მაგრამ ვერ შესძლო — ხელები არა აქვს, ვერც პირით სწვდება — მაღალზეა. დგას საწყალი და შეჰყურებს ვაშლის ხეს. უცებ მოესმა უკანიდან ვიღაცის ხმა: „მოწყვიტე, ლამაზო, ვაშლი, მოწყვიტე“.

მოიხედა და განცვიფრდა. მის წინ დგას მშვენიერი ჭაბუკი. ოქროს ტანისამოსი აცვია მარგალიტით შემკული, — მზესავით ლაპლაპებს.

გაიწოდა ობოლმა წინ თავისი მოჭრილი ხელები. ხედავს, — გაეზარდა ხელები, თითებიც ამოვიდნენ ხელებზე. ჯერ ცერი, შემდეგ სალოკი, შემდეგ შუათითი, შემდეგ არათითი, — ერთი ნეკი აკლია და, ბოლოს ისიც გაეზარდა. ორივე ხელზე ხუთ-ხუთი თითი გამოება. ატირდა ობოლი სიხარულისაგან. მივიდა მასთან ლამაზი ჭაბუკი. მოუწყვიტა „თეთრი-მწიფე“ ვაშლი და წაიყვანა თავის სასახლეში.

იმ დღიდან კარგი ცხოვრება დაიწყეს და სიმდიდრეც შეიძინეს“.

ბავშვებმა ზეპირად იცოდნენ ეს ზღაპარი, მაგრამ მაინც უყვარდათ მისი მოსმენა. მათ მოსწონდათ კიდევ ბებიას სიმღერა ყოჩაღ-ვაჟკაცზე. ლოყას ხელზე დააყრდნობდა ბებია და მღეროდა წვრილი, საცოდავი ხმით:

მიემგზავრება ვაჟკაცი ბედაურ ცხენით,
გაუვარდა ვაჟკაცს ხელიდან ლაგამი,

გაძვრა ხელიდან ვაჟკაცს ხელთათმანი;
— მიწია მე, ვაჟკაცს, ჯარში წასვლამ,
ჩემს ახალგაზრდა ცოლს კი მარტოდ ყოფნამ,
ჩემს პატარა შვილებს კი ცრემლმა და დარდმა...

სევდიანი იყო სიმღერა, მაგრამ კარგი. მთელი ღამე შეეძლო სერიოჟას ყური ეგდო ამ სიმღერისათვის. მაგრამ ბებიას გვიან დაწოლა არ უყვარდა. ენანებოდა ტყუილუბრალოდ ნავთის დაწვა.

თავი მეხუთე

ბ ა ჯ ი რ ვ ე ბ ა

იმის გამო, რომ ქმარი ჯარში გარდაეცვალა, ბებია პენსიას იღებდა — წელიწადში ოცდათექვსმეტ მანეთს და საბინაო ფულს — მანეთსა და სამაბაზნახევარს. წელიწადში თორმეტი თვეა. ამ ფულს რომ გაჰყოფ თორმეტზე, თვეში მხოლოდ სამი მანეთი შეგხვდება, თვეში კი ოცდაათი დღეა. სამი მანეთი რომ ოცდაათზე გაჰყო, დღეში მხოლოდ ორი შაური გამოდის.

სცადე და იცხოვრე ოთხმა სულმა ორ შაურად ისე, რომ ყველა მაძღარი და ჩაცმულ-დახურული იყოს.

ბებია სასოებას ჰკარგავდა — რა იღონოს, რა ჰქნას? სრულიადაც არ ჰყოფნის მისი პენსია. საცაა იძულებული გახდება შვილიშვილებს მხარზე ტილოს ჩანთები გადაჰკიდოს და სამათხოვროდ გაუშვას. ივლიან კარდაკარ, დადგებიან ფანჯარასთან და სამივე დაიწყებს სიმღერას:

— გაიღეთ მოწყალება ობლებისათვის. გვაჩუქეთ პურის ნატეხი.

ზოგი მდიდარი მათხოვრებს შორს გარეკავს, ზოგი ავ ძაღლებსაც მიუსევს.

ბებიამ რჩევა სთხოვა ახლობელ ადამიანებს. მივიდა იგი თავის მეზობელთან, სანკას დედასთან, უსტინია სტეფანეს-ასულთან.

— როგორ მოვიქცე, სტეპანოვნა? ვიღუპებით. შავი პური რა არის, ისიც არა მაქვს საკმარისად ბავშვებისათვის. ცალი ფეხი სამარეში მიდგას — მე ადრე მოვკვდები. პენსიას ხაზინა წაიღებს, რა ეშველება შვილიშვილებს?

იფიქრეს, იფიქრეს ერთად და ასე გადაწყვიტეს: არის ერთი გზა: წავიდეს ბებია ბავშვთა თავშესაფარში და ითხოვოს, რომ იქ მოათავსონ მისი შვილიშვილები.

თხოვნა იოლია, მაგრამ გამოთხოვნაა ძნელი!

თავშესაფარს ვაჭრები და მოხელეები ინახავდნენ. თავშესაფარში სულ ორმოცი ადგილი იყო. ღარიბთა რიცხვი კი, რომელთაც თავიანთი ბავშვების მოთავსება სურდათ იქ, ქალაქში ასზე მეტი იყო. ნაცნობი კაცი თუ არ დაგეხმარა, ვერას გააწყობ.

მოისაზრა ბებია მელანიამ მისულიყო თავის ძველ დამქირავებელთან, მოხელე პერევოზჩიკოვთან. მას დიდი ნაცნობობა ჰქონდა ურჟუმელ ხელისუფალთა შორის, ხშირად დადიოდა იგი ცოლითურთ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარესთან კარტის სათამაშოდ.

ჩაიცვა ბებიამ საუკეთესო კერესი, ამოათრია მწვანე ზანდუკიდან ქიშმირის თავშალი: რაც არ უნდა იყოს, ბატონებთან მიდიოდა — საჭირო იყო წესიერად ჩაცმა.

ეახლა იგი მოხელე პერევოზჩიკოვს, დაუწყო ხვეწნა-მუდარა, მიაღებინეთ ჩემი შვილიშვილები თავშესაფარშიო.

— უარს გეტყვიან, მელანია ავდეევნა,—უთხრა პერევოზჩიკოვმა — შენ ხომ საკუთარი სახლი გაქვს. სახლის მფლობელად ითვლები!

ბებია ბოღმისაგან კინაღამ ატირდა.

— აბა რა სახლია! ზოგ შოშიას უკეთესი ბინა აქვს. იატაკიდან უბერავს, კედლები ჩამოწეულია, კარები მოღრეცილია, ფანჯრებს ძლივს ვაღებთ: ყველა ჩარჩო დასკდა. მხოლოდ სახელად არის სახლი!

მოუსმინა პერევოზჩიკოვმა ბებიას, მოიფხანა ნიკაპი.

— მაშ, კარგი, ბებერო! მოვა კომისია, დაათვალიერებს შენს სახლს. მაგრამ შენ, გარდა ამისა, მგონია ნიკოლოზის ჯარისკაცის ცოლი ხარ, ქმრის პენსიას ღებულობ!

— აი, ბატონო, სწორედ ამ პენსიის გამო გთხოვ შვილიშვილების მოთავსებას თავშესაფარში. ისე დიდია ეს პენსია, — ატირდა ბებია და დაიწყო თითზე ჩამოთვლა, თუ რამდენი ბოდის დღეში ოთხ სულზე მისი დიდი პენსიიდან.

თითო სულს ორი კაპიკი და ცოტა მეტი შეხვდა.

— მაშ, კარგი, მელანია ავდეევნა, წადი შინ, ვეცდები შენი შვილიშვილებისათვის, — დაჰპირდა პერევოზჩიკოვი და უთხრა, ერთი კვირის შემდეგ მოდიო.

ბებიამ მადლობა გადაუხადა, თავი მდაბლად დაუკრა და წავიდა შინ. ჭიშკართან პერევოზჩიკოვის ცოლი შეხვდა, ლიდია ივანეს-ასული. იმასაც მოელაპარაკა და ისიც დაჰპირდა ვეცდებიო. იმასაც მდაბლად დაუკრა თავი ბებიამ.

თავშესაფრის შესახებ მოხუცმა ჯერ არაფერი უთხრა ბავშვებს.

ებრალებოდა ისინი, ძალიან დაღონებული იყვნენ ბავშვები დედის სიკვდილის შემდეგ. განსაკუთრებით მოწყენილი იყო სერიოჟა. დაინახავს ლურსმანზე ჩამოკიდებულ თავშალს დედისას და ატირდება. ბებია ჩაიცვამს კუზმოვნას ძველსა და გახუნებულ კერესს, შეხედავს სერიოჟა და მაშინვე მოაგონდება, თუ როგორ დადიოდა დედა ამ კერესში მასთან ერთად შამოვის დუქანში და როგორ უყიდა ერთხელ მას ვარდისფერი ნამცხვარი.

ზოგჯერ დაავიწყდებოდა, რომ დედა მოუკვდა. გაიტაცებს ეზოში თამაშობა, მოუნდება ჭამა, შემოირბენს დერეფანში გააღებს კარს და დაიძახებს:

— დედა! დედი!..

და ხიტყვა გაუწყდება. გაახსენდება, რომ უკვე არა ჰყავს მას დედა. გაჩერდება მარტო ბნელ დერეფანში და ნელა გაბრუნდება ეზოში.

რამდენიმეჯერ დაიწყო ბებიამ ბავშვებთან საუბარი იმაზე, რომ ის მოხუცდა და ვეღარ არჩენს სამ შვილიშვილს. ის ხომ, შესაძლებელია, მალე მოკვდეს, ბავშვები კი როდისღა შეესძლებენ მოუარონ თავს.

ბავშვები ყურს უგდებდნენ და არ იცოდნენ, რატომ ამბობდა ამას ბებია. მოხუცი კი თავშესაფარზე ფიქრობდა და სულ იმის მოლოდინში იყო, თუ რას ეტყოდა მას მოხელე პერევოზჩიკოვი.

გრძელი მოეჩვენა მას ეს კვირა. მაგრამ აი დადგა დათქმული დღე. ისევ მოვიდა ბებერი პერევოზჩიკოვთან, ის კი ეუბნება: „კიდევ ერთი კვირის შემდეგ შემოიარეო“. სამჯერ იყო ბებია მოხელესთან და მხოლოდ მეოთხეჯერ მიიღო პასუხი.

— მომილოცავს, მელანია ავდეევნა. ერთის მოწყობა შეიძლება თავშესაფარში, — თქვა პერევოზჩიკოვმა.

— როგორ თუ ერთის? მე ბატონო სამისათვის გთხოვე.

— არ შეიძლება ყველას მოთავსება. ასაკი არ შეეფერება, — დაიწყო განმარტება პერევოზჩიკოვმა.— რამდენი წლისაა უფროსი?

— ანიუტა? თერთმეტისა იქნება.

— დიდია.

— ლიზას კი ხუთი წელი შეუსრულდა. ესეც არ შეეფერება?

— ეს კი მცირეა!

— სერიოჟას რვა შეუსრულდა.

— აი, სწორედ ეს ასაკი ზედ გამოჭრილია თავშესაფრისათვის. მოიყვანე სერიოჟა.

„რა სალაპარაკოა, ახლავე უნდა დავთანხმდე", გაიფიქრა ბებიამ და მადლობა გადაუხადა პერევოზჩიკოვს.

შინ რომ დაბრუნდა, ყველაფერი მოუყვა უსტინია სტეფანეს-ასულს.

— რას იზამ, — უპასუხა მან, — ბიჭისათვის ეგებ უკეთესიცაა, რომ თავშესაფარში მოხვდება. მას განათლება და ხელობა სჭირდება უეჭველად. თავშესაფარში კი, ამბობენ, ბიჭებს მეჩექმის ხელობასა და ამკინძაობას ასწავლიანო, გარდა ამისა კალათების წვნასა და ჭილის ქუდების ქსოვასაც ასწავლიანო.

„მართალიცაა, — გაიფიქრა ბებიამ, — გაიზრდება სერიოჟა, ექნება თავისი ლუკმა პური, ხელობის კაცი კი არასოდეს არ დაიკარგება. სერიოჟა მეჩექმე გამოვა და ეგებ ისეთი ოსტატი გამოვიდეს, რომ ბატონებისათვისაც კი დაიწყოს მაღალქუსლებიანი ბაშმაკების შეკერვა. ასეთი ბაშმაკებისათვის დიდ ქუჩაზე მცხოვრები ურქუმელი მდიდრები ბევრ ფულს იხდიან".

თავი მეექვსე

თავშესაფარში

და აი, დაუძახა ბებიამ სერიოჟას, რომელიც ეზოში ბავშვებთან თამაშობდა.

შორიდან დაუწყო საუბარი. გაიხსენა თავისი ახალგაზრდობა, როცა უსათვალებოდ უყრიდა ძაფს ძალზე წვრილ ნემსის ყუნწში და ყველაზე უკეთესად მღეროდა სოფელში. საგარეო სარაფანი კი არა ჰქონდა. გაჭირვებაში ცხოვრობდნენ — ბებიაც ობლად გამოიზარდა.

ყურს უგდებს ბებიას სერიოჟა, თანაც ფეხებს ინაცვლებს — უნდა გაიქცეს ეზოში ბავშვებთან სათამაშოდ, მაგრამ არ შეიძლება. ბებია სულ ლაპარაკობს და ლაპარაკობს. გაათავა სარაფანზე საუბარი, დაიწყო ხბოზე, თუ როგორი სასაცილო ბოჩოლა ჰყავდათ მათ სოფელში, მთლად ყღალი, ხოლო შუბლზე და მკერდზე თეთრი ნიშანი ჰქონდა. გაიტაცა ამ ამბებმა სერიოჟა, და ამ დროს ბებია ეუბნება:

— ხვალ თავშესაფარში წავალთ მე და შენ.

— თავშესაფარში არ მინდა.

— რას ამბობ, სერიოჟა, როგორ თუ — „არ მინდა?“ რა უნდა ვქნათ, რით ვიცხოვროთ? თავშესაფარში კი კარგად იქნები. თავშესაფარში ბევრი ბიჭებია.

— არ წავალ! არ მინდა! — დაიყვირა სერიოჟამ, და ისე დააბრახუნა ფეხები, ისე ატირდა, სულ აკანკალდა...

ბებიამ დარიგება დაუწყო. მაგრამ განა დააჯერებ! სერიოჟას ეშინია თავშესაფრისა. თუმცა პირადად არ ყოფილა თავშესაფარში, მაგრამ მასა და სანკას არა ერთხელ უნახავთ თავშესაფრის ბავშვები. ისინი ყოველკვირა დილით დაჰყავთ წირვაზე სატუსა-

ლოს ეკლესიაში. მიდიან ისინი წყვილ-წყვილად, ნელ-ნელა, როგორც ბებრები, წელში მოხრილნიც კი არიან მოხუცებივით. გოგოსა და ბიჭს, ყველას სულ გადაკრეჭილი აქვთ თმა. გოგონებს გრძელი ნაცრისფერი კაბები აცვიათ, ბიჭებს — ჩითის თალხი ხალათები და შავი შარვლები. მათ ყოველთვის დაჰყვება უკან ქალი, ალბათ იმათი გამგე, ძალზე მკაცრი. მას გრძელი შავი კაბა აცვია. ოქროსჩარჩოიან სათვალეებს ატარებს. სათვალეების შავი ყაითანი ყურზე უკიდია. თუ ღრუბლიანი დღეა, გამგეს ძვლისტარიანი ქოლგა უჭირავს ხელში.

ახლა სერიოჟასაც მოუხდება იაროს თავშესაფრის ბავშვებთან ერთად. ვოსკრესენსკის ქუჩის ბიჭები მას ქუჩის კუთხიდან დაუწყებენ გამოჯავრებას: „ობლის ტილო, სად მიცოცავ?“

თავშესაფრიდან კი არ გამოგიშვებენ! ვეღარც გაიქცევი სანკასთან ერთად ურჟუმკაზე საბანაოდ. ვეღარც დაიმალები ძველ თავანზე და ვერ დაიჭერ წისქვილთან ქარიყლაპიებს.

— ბებიკო, გენაცვალე, ნუ წამიყვან თავშესაფარში. მე ვიმუშავებ. დავიჭერ თევზს და გავყიდი ბაზარზე. ანდა წავალ შეშის სახერხად.

ბებია ატირდა კიდეც ეს რომ გაიგონა. მერე მოვიდა უსტინია სტეფანეს-ასული და სთხოვა ბებიას გადაედო სერიოჟას წაყვანა კიდევ ერთი დღით. ეგებ ამ ერთ დღეში ბიჭი დამშვიდდეს და თვითონვე მიხვდეს, რომ მისთვის საჭიროა თავშესაფარში წასვლა.

— რა გაეწყობა, უნდა დავტოვო კიდევ ერთი დღით, — დათანხმდა ბებია.

ღამით, როცა ყველას დაეძინა, სერიოჟა დიდხანს ეხვეწებოდა თავის დას ანიუტას, დაიყოლიე ბებია თავშესაფარში არ წამიყვანოსო. ოღონდ არ წამიყვანოს და ვეცდები ბევრი ფული ვიშოვოო. მაშინ შეიძლება ყოველდღე სუპი მოვხარშოთ, ფაფა გავაკეთოთ, შავი პური კი იმდენი გვექნება, რომ ვერც კი შევჭამთო. მაგრამ თუ თავშესაფარში წასვლა აუცილებელია, მაშინ სამივე წაგვიყვანოს, თორემ რაღა მარტო მე აღმოვჩნდი სახლში ზედმეტიო?

— შეეხვეწები?

— შეეხვეწები, — დაჰპირდა ანიუტა.

* * *

ანიუტას ხვეწნამ ვერ გასჭრა. მეორე დღეს ბებიას არა უთქვამს რა, ისე შეუდგა მზადებას სერიოჟას თავშესაფარში წასაყვანად. ამ დილას მათთან შემოვიდა ლიდია ივანეს-ასული პერევოზჩიკოვა. ლიდია ივანეს-ასულს ეცვა თეთრი ბატისტის ნაქარგი კერესი და შავი აბრეშუმის ქვედა ტანი, რომელიც სიარულის დროს შრიალებდა. ვერცხლის ჯაჭვზე ქანაობდა ყვითელი ტყავის ჩანთა-რიდიკული. ლიდია ივანეს-ასული საუცხოო ნელსაცხებლის სურნელებას აფრქვევდა, თანაც ალერსიანი და მოწყენილი იყო.

— მე გავიგე, რომ შენ, სერიოჟა, გეშინია თავშესაფარში წასვლისა. იქ კი რა კარგია! ბევრი ბავშვია. შენ იმათთან არ მოგწყინდება. თავშესაფარში ბევრი სათამაშო და წიგნია. ცალკე ტახტი გექნება. შემდეგ კი სკოლაში დაიწყებ სიარულს.

სერიოჟა ყურს უგდებდა ლიდია ივანეს-ასულს და ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდა.

ლიდია ივანეს-ასული ჩაცუცქდა სერიოჟას წინ, გადაკრეჭილ თავზე ხელი გადაუსვა. მას თეთრი, ფაფუკი ხელები ჰქონდა და ხელებსაც ნელსაცხებლის სუნი ასდიოდა.

— თუ არ მოგეწონება თავშესაფარში, შეგიძლია დაბრუნდე შინ, — უთხრა ლიდია ივანეს-ასულმა და ლოყაზე ხელი მოუთათუნა. — მოისურვებ და წამოხვალ, მეტი არაფერი!..

ლიდია ივანეს-ასულის ეს სიტყვები ყველაზე უფრო მოეწონა სერიოჟას.

ტახტი, სათამაშოები, ამხანაგები — ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ შინ ყოფნა მაინც უკეთესია. სერიოჟა გამხიარულდა.

ბებიამ ჩააცვა მას საუკეთესო ცისფერი ჩითის ხალათი. მას არ უტირნია, ისე გამოემშვიდობა დებსა და სანკას. რატომ უნდა იდარდოს, თუ კი შეიძლება ხვალვე დაბრუნდეს შინ!..

გავიდნენ სახლიდან.

მარცხნივ ბებია მიდიოდა და ხელჩაკიდებული მიჰყავდა სერიოჟა, მარჯვნივ — ლიდია ივანეს-ასული. ის აშრიალებდა აბრეშუმის კაბას და აქნევდა პატარა რიდიკულს.

ჭიშკართან დიდხანს იდგნენ. მათ უყურებდნენ ანიუტა, ფიზა და სანკა.

თავი მეშვიდე

„თ ა ვ შ ე ს ა ფ ა რ ი“

თავშესაფრის სახლი იდგა სულ ბოლოს — ვოსკრესენსკაიას ქუჩაზე. დანარჩენი სახლებიდან ის გამოყოფილი იყო ნაცრისფერი ზღუდით. ჭიშკარის თავზე დიდ დაჟანგულ აბრაზე ეწერა:

მცირეწლოვან ბავშვთა თავშესაფარი

მთელი გზა სერიოჟამ მშვიდად გაიარა, მაგრამ როგორც კი მიადგნენ თავშესაფრის ჭიშკარს, გაქცევა მოინდომა.

— აბა, რას შვრები! ჩვენ მხოლოდ სტუმრად მივდივართ! — უთხრა ლიდია ივანეს-ასულმა.

სერიოჟა დამშვიდდა, მაგრამ შიშით გადახედა თავშესაფრის ჭიშკარს. ის გააკვირვა და შეაშინა დიდმა აბრამ. მას ურჟუმში აბრები უნახავს მხოლოდ საბაყლო და ღვინის დუქნებზე, აგრეთვე თეთრი სახლის ჭიშკარზე, სადაც ულვაშებიანი გუშაგი იდგა. მაგრამ დუქნებში ვაჭრობდნენ, თეთრ სახლში პოლიციელები ცხოვრობდნენ, რომელთაც გვერდზე ხმალი ეკიდათ. აქ კი რა საჭიროა აბრა?

სანამ თავშესაფრის ეზოში შევიდოდნენ, ბებიამ ახედ-დახედა სერიოჟას, გაუსწორა ხალათი და ხელი გადაუსვა კოხტად გაკრეჭილ თავზე. ბებია ტუჩებს აცმაცუნებდა. ის ჩურჩულებდა ლოცვას.

ბებიამ გააღო ჭიშკარი და ისინი თავშესაფრის ეზოში შევიდნენ. დაბალი, დაღრეცილი ჭიშკარი აჭრიალდა და დაიხურა მათ

უკან. აქ კი დაინახა სერიოჟამ საშინელი სახლი, რომელსაც ერქვა „თავშესაფარი". ბალახით დაფარულ გრძელ და ფართო ეზოს შუაგულში ორსართულიანი პირქუში შენობა იდგა. სიძველისაგან მისი ხის კედლები გაშავებულიყო, ფანჯრები პატარა და ჩაბნელებული იყო. თუნუქის წითელი სახურავი მზისგან ალაგ-ალაგ გადამწვარი. ჭიშკართან შენობამდე გაშენებული იყო აკაციის დაბალი და ჩამომხმარი ბუჩქების ხეივანი. ფანჯრებთან იასამნის ბუჩქები და სამი ახალგაზრდა ალვის ხე იდგა. ეზოში სიჩუმე სუფევდა, თითქოს ამ სახლში არავინაც არ ცხოვრობდა. პარმალის ახლოს ქარი აქანავებდა თოკზე გაკიდულ პირსახოცს.

სახლში შესასვლელად საჭირო იყო ასულიყავით ვიწრო კიბის ძველი საფეხურებით გადახურულ პარმაღზე. კიბის საჩიხს ჩამომტვრეული კბილანები ამშვენებდა.

ლიდია ივანეს-ასულმა ჩქარი ნაბიჯით გაიარა ეზო და პარმაღისაკენ გაემართა. მას მიჰყვებოდა სერიოჟა, ხოლო უკან მიფაცფაცებდა ბებია, რომელსაც ორივე ხელი ჩაევლო თავისი ფართო და გრძელი კაბის კალთებზე.

სანამ პარმაღზე ავიდოდა, სერიოჟამ ერთხელ კიდევ შეათვალიერა ეზო. „ალბათ, თავშესაფრის ბავშვები სასეირნოდ წაიყვანეს", გაიფიქრა სერიოჟამ და შევიდა დერეფანში.

გრძელ, ვიწრო დერეფანში სიგრილე იყო. ახალი ხრალისა და დამწვარი ხახვის სუნი იდგა. მეორე სართულზე ვიწრო კიბით უნდა ასულიყავით, რომელსაც ყვითელი სახელურები ჰქონდა. ძველი საფეხურები ჭრიალებდნენ ფეხქვეშ.

— აი, მოვედით კიდეც, — თქვა ლიდია ივანეს-ასულმა, გაიღიმა და სერიოჟას თავზე ხელი გადაუსვა.

პატარა ოთახში ბნელოდა და გრილოდა, როგორც სარდაფში. ფანჯრებს შუა იატაკზე დაბალი ძველი განჯინა იდგა.

სერიოჟამ მიმოხედვა ვერც კი მოასწრო, რომ ოთახში შემოვიდა ოქროს სათვალებიანი მაღალი ქალი, სწორედ ის, რომელსაც თავშესაფრის ბავშვები დაჰყავდა ეკლესიაში.

ბებიამ მდაბლად დაუკრა თავი.

— გამარჯობა, იულია კონსტანტინოვნა, — უთხრა პერევოზჩიკოვამ.

— ქაღალდები მოიტანეთ? — იკითხა იულია კონსტანტინეს-ასულმა და სერიოჟას ბეცი ნაცრისფერი თვალებით ახედ-დახედა.

ბებიამ სასწრაფოდ დაიწყო ქაღალდების ამოღება თავისი ლურჯი და გაფარფაშებული კაბის ჯიბიდან. ბებიას ხელები უკანკალებდა და ვერას გზით ვერ მოხსნა ინგლისური ქინძისთავი, რომლითაც შებნეული იყო ჯიბე. როგორც იქნა, გამოათრია პატარა ხვეული, რომელიც ცხვირსახოცში ჰქონდა გახვეული, გახსნა ცხვირსახოცი და მიაწოდა გამგეს ქაღალდები, ხოლო ფუთა, სადაც სერიოჟას საცვლები იყო, ტაბურეტზე დადო.

— რა გვარია? — იკითხა იულია კონსტანტინეს ასულმა და ქაღალდი თვალებთან ახლოს მიიტანა.

— კოსტრიკოვი სერგეი, — დაუკრა თავი ბებიამ.

— რამდენი წლისაა?

— რვა წლისა. ხარებამდე ათი დღით ადრე დაიბადა.

— კარგი, — ხმაურით ამოიხვნეშა გამგე ქალმა, თითქოს დაენანა, რომ სერიოჟა ხარებამდე ათი დღით ადრე დაიბადა. შემდეგ მოქსოვილი შავი ჩანთიდან გასაღებების კონა ამოიღო და მივიდა განჯინასთან, რომელიც სახლს ჰგავდა.

კარები ჭრიალით გაიღო. სერიოჟამ კისერი წაიგრძელა და შეიხედა, ამ დიდ განჯინაში რა არისო, მაგრამ თაროებზე არაფერი იყო ისეთი, მხოლოდ სრულიად ჩვეულებრივი ნივთები ელაგა, ლურჯყდიანი რვეულები, ფანქრები, კალმებიანი კოლოფები, თეთრი ქაღალდის სქელი დასტა. თაროს სიღრმეში შემალული იყო ვიწრო ყელიანი სამელნე, ბოთლები და წებოთი სავსე მუცელგამობერილი ბოთლი. იულია კონსტანტინეს-ასულმა სერიოჟას ქაღალდები ზევითა თაროზე ჩამოსდო და კვლავ დაჰკეტა განჯინა. გასაღებები აჩხრიალდა და ისევ გაჰქრა მოქსოვილ შავ ჩანთაში.

სერიოჟა შიშისაგან გაწითლდა, ცრემლები მოერია და ბებიას კაბა ძალზე მოქაჩა. ახლა გაახსენდა, თუ როგორ უამბობდა ბებია მასა და მის დებს თავის ქალბატონზე, რომელმაც სწორედ ასე ჩამოართვა პასპორტი და ამის გამო ბებია იძულებული გახდა სამუდამოდ დარჩენილიყო ურჟუმში. ალბათ, მასაც სამუდამოდ დასტოვებენ თავშესაფარში. ბებიამ, ალბათ, მისი პასპორტი გადასცა

აქ!

— გმადლობთ, იულია კონსტანტინოვნა, გმადლობთ, — მდაბლად დაუკრა თავი ბებიამ.

სერიოჟას ტუჩები აუთრთოლდა, უნდოდა ეტირა, მაგრამ იულია კონსტანტინეს-ასული მივიდა მასთან, ხელი მოჰკიდა და ფანჯარასთან მიიყვანა.

სერიოჟამ დაინახა, რომ ეზოში შემოდიან თავშესაფრის ბავშვები. ყველას ბურთივით მრგვალი თავი აქვს. ფანჯრიდან ვერცკი გაარჩევ, რომელი მათგანია გოგო და რომელი ბიჭი.

— აბა, წავიდეთ, სერიოჟა, ბიჭებთან, — უთხრა იულია კონსტანტინეს-ასულმა. სერიოჟას ეს მოეწონა. ასე მას მხოლოდ სანკა ეძახდა.

ის გაჰყვა დერეფანში იულია კონსტანტინეს-ასულს. ბებია უკან მისდევდა. როცა კიბეზე ჩამოდიოდნენ, ბებია უცებ აწრიალდა და სწრაფად, თითქოს ნისკარტი ჩაჰკრაო, საქოჩრეში აკოცა სერიოჟას. სერიოჟამ თავი მოიწმინდა და მობრუნდა. მაგრამ ბებია უკვე არა ჩანდა. ის მეორე კარით გავიდა.

— წამო, წამო, — უთხრა იულია კონსტანტინეს-ასულმა და სერიოჟა პარმაღზე გაიყვანა.

თავშესაფრის ბავშვები ყვირილით დაჰქროდნენ ეზოში. ეტყობოდა, ისინი ის-ის იყო მდინარიდან დაბრუნდნენ. გოგონებს ხელში ყვავილები ეჭირათ — გრძელღეროიანი დუმფარები, ხოლო გადაკრეჭილ თავზე ბვირგვინები ედგათ. ბიჭები ტირიფის შოლტებს იქნევდნენ.

— ბავშვებო! ახალი ამხანაგი მოგივიდათ!

იულია კონსტანტინეს-ასულმა წინ წაუბიძგა სერიოჟას, ჩქარა აირბინა პარმაღზე და მიიმალა დერეფანში.

სერიოჟასთან ორი გოგონა მივიდა. ისინი გაჩერდნენ მის წინ და დაიწყეს ჩურჩული. ერთმა მათგანმა, პატარამ, წვრილცხვირამ და შავმა, რომელიც ჭილყვავსა ჰგავდა, უცებ ხმამაღლა ჩაიფრუტუნა და წინსაფრით დაიფარა სახე. სერიოჟა მოიღუშა და განზე მიბრუნდა. ვიღაცამ ხელი დაჰკრა ზურგზე.

— ეი, შენ, თავდიდა, წამო ვითამაშოთ!

სერიოჟას წინ იდგა მკვრივი ბიჭუნა, მოკლეტუჩიანი და ღია ვარდისფერ ღრძილებიანი.

— რა ვითამაშოთ?

— დარტყმა-გაქცევა. მე მქვიან ვასკა, შენ რა გქვიან?

— სერგეი.

— გავიქცეთ ფარდულში. მე იქ ჩოგან-ბურთი მაქვს შენახული, — თქვა ვასკამ.

ისინი ფარდულისაკენ გაიქცნენ. ეზოს შუაში იდგა პატარა გოგონა. ის დახრილიყო და სილაში სწორ მწკრივებად ყვავილებს არჭობდა. ვასკამ სირბილის დროს გათელა მისი ყვავილები და მწკრივები: გოგონა აღრიალდა.

—ხმამაღლა იღრიალე,—დაუყვირა ვასკამ და მუჯლუგუნი ჰკრა.

გოგონა დაეცა სილაში ცხვირით — თავის მწკრივებზე.

— რატომ გაარტყი მაგას? — ჰკითხა სერიოჟამ და შეჩერდა.

— ისე, — ჩაიბუზღუნა ვასიკომ. — ნუ მეჩრება!..

— არც გეჩრებოდა, — უთხრა სერიოჟამ.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ! — დაუყვირა ვასკამ. — მე შენც მიგტყეპავ.

— აბა სცადე!

სერიოჟამ მხარი წინ წასწია და ეცა ქერას. ვასკა მუშტებით შეხვდა.

— რა ამბავია? — მოისმა უცებ ფანჯრიდან იულია კონსტანტინეს-ასულის ხმა.

— იულია კონსტანტინოვნა, ახალი ბიჭი ჩხუბობს! — დაუძახა ვასკამ.

— ტყუის, ტყუის, მან თვითონ დაიწყო! — აყვირდნენ ბავშვები.

— აქ მოდი ვასილ! — დაუძახა იულია კონსტანტინეს-ასულმა.

ვასკა გაიქცა პარმაღისაკენ და სერიოჟას მუშტით დაემუქრა.

გოგონა ისევ ისე სილაზე იჯდა და წინსაფრით ცრემლებს იწმენდდა.

— ზინკა, კმარა ღრიალი, ადე! — დაუძახა მას ამხანაგმა.

ზინკა ადგა, ტანისამოსი გაიბერტყა, თითი პირში ჩაიდო და სერიოჟას მიაჩერდა.

სამმა ბიჭმა ერთმანეთს გადახედეს. ერთმა მათგანმა, პაჭუამ, გვერდი გაჰკრა თავის ამხანაგს და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში.

— საქმრო და საცოლო! საქმრო და საცოლო! — მოულოდნელად დაიყვირეს მათ ერთხმად.

პაჭუა ბიჭმა კი თვალები დაჭყიტა და ხტუნვა დაიწყო სერიოჟას წინ. სერიოჟა გაწითლდა და თავი დახარა, თითქოს სარქენად ემზადებაო. ბიჭები უფრო მიუახლოვდნენ.

— საქმრო და საცოლო! საცოლო და საქმრო! — ყვიროდნენ ისინი რაც ძალა და ღონე ჰქონდათ.

სერიოჟა მოსხლეტით მობრუნდა და სახლისაკენ გაიქცა.

— მაბეზღარა! მაბეზღარა! დასაბეზღებლად გაიქცა! — მიაყვირა მას პაჭუამ.

სერიოჟამ მიირბინა სახლის კედელთან და პირისახეთი მიეკრა კედელს.

— შეხედე, შეხედე, ღრიალებს! — იცინოდნენ გოგოები.

მაგრამ სერიოჟა არ აპირებდა ტირილს. ის ერთ წუთს იდგა კედელთან და შემდეგ უცებ გაექანა ჭიშკრისაკენ. ხმაურით გააღო პატარა ჭიშკარი და გახტა ქუჩაში.

— იულია კონსტანტინოვნა! იულია კონსტანტინოვნა! ახალი ბიჭი გაიქცა! — იგრიალეს ბავშვებმა და გამოუდგნენ სერიოჟას დასაჭერად.

სერიოჟამ ქუჩის გადარბენაც ვერ მოასწრო, რომ ბავშვებმა დაიჭირეს და ყვირილით შეათრიეს უკანვე ეზოში. სერიოჟა მთელი ძალ-ღონით ცდილობდა, რომ ხელიდან გასხლეტოდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. — ბავშვები ბევრნი იყვნენ. ჭიშკარი მიიხურა. ერთ-ერთმა ბავშვმა ურდულით გადაჭეტა იგი.

— გამიშვით! სულ ერთია გავიქცევი! გამიშვით! აბა! — უკანასკნელად გაიბრძოლა სერიოჟამ.

თავი მერვე

ალსაზრდელები

თავშესაფარში ცხოვრების ერთი კვირის შემდეგ, სერიოჟამ დაინახა, რომ ბავშვები არც თუ ისე გვანან ერთმანეთს, როგორც პირველად ეგონა. აქ იყვნენ დინჯებიც და ანცებიც, მოხერხებულებიც და დონდლოებიც, მტირალებიც და მხიარულებიც. ყველაზე თავზე ხელაღებული მოჩხუბარი — მთელი თავშესაფრის რისხვა — ვასკა ნოვოგოდოვი იყო, სწორედ ის, რომელმაც სერიოჟას „თავდიდა" უწოდა და ზინკას გაარტყა.

ვასკა ნოვოგოდოვი თავშესაფარში სამი წლის წინათ მოხვდა. ახალწლის წინაღამეს ის ეკლესიის კარიბჭეზე იპოვეს. ის იდგა სიცივისაგან გალურჯებული, ეცვა დაგლეჯილი და ჭუჭყიანი ტყაპუჭი, თავი შეხვეული ჰქონდა უხეში მოქსოვილი თავშალით. თავშალის ორი ბოლო ტანზე ჯვარედინად ჰქონდა მოხვეული და უკანიდან ორ ყურს ჰგვანდა.

— რა გატირებს გოგონა? — ჰკითხა მას გულშემატკივარმა, მოხუცმა მათხოვარმა ქალმა.

— დე-ე-და-ა წავიდა, — კიდევ უფრო აღრიალდა ვასკა.

მოხუცი გაიქცა პოლიციელის მოსაყვანად. პოლიციელმა მოჰკიდა ხელი ვასკას და ბუზღუნითა და გინებით წაიყვანა თავშესაფარში. თავშესაფარში ვასკას ტანთ რომ გახადეს, აღმოჩნდა, რომ ის ქერა ბიჭუნა ყოფილა, წელზე თოკი ჰქონდა შემორტყმული, მას ეცვა სოფლური ვარდისფერი ხალათი და დახეული შარვალი, რომელიც დიდ ძველ ნაბდის ჩექმებში ჰქონდა ჩატანებული.

თავისი სახელი მან მაშინვე თქვა, ვასკა მქვიანო; ცხენი, რომელმაც ის და დედამისი ჩამოიყვანა სოფლიდან, თაფლა არისო

და მალკა[1] ჰქვიან, რადგან პატარა არისო. დედამისს კი, „დედიკო“ ჰქვიანო.

მეტი ვერაფრის თქმა შესძლო მან თავის შესახებ. გარეგნობით ის იქნებოდა ოთხი-ხუთი წლისა და ამიტომ თავშესაფრის წიგნში ის ჩასწერეს ვასილად, დაბადებიდან ხუთი წლისა, გვარად ნოვოგოდოვი. ასეთი გვარი მას გამოუძებნა თავშესაფრის ხუცესმა, რომელსაც ბავშვები მამაოს ეძახდნენ, დიდები კი მამაო კონსტანტინეს.

— ეს ყრმა ნაპოვნია ახალწლის წინაღამით, ამიტომ, დე, ამიერიდან ეწოდოს მას ვასილი ნოვოგოდოვი[2], — განსაჯა ხუცესმა.

ისეთი, როგორც ვასკაა, თავშესაფარში ცოტა როდი იყო, გოგონა პოლია მიაგდო დეიდამ, რომელიც მას შიმშილით ჰკლავდა. პოლია მუდამ ისე ჩქარობდა ჭამის დროს, თითქოს ეშინოდა, რომ მას წაართმევდნენ საჭმლის ჯამს. თავშესაფრის ბავშვებმა მას „პოლკა-გაუმაძღარი“ შეარქვეს. იყო კიდევ ორი მიგდებული ბიჭი, „განუყრელნი“. ისინი მუდამ ერთად დადიოდნენ ხელიხელჩაკიდებულნი. და თუ ერთი მათგანი დაეცემოდა, რამეს იტკენდა და ტირილს დაიწყებდა, მეორე ხათრისათვის კიდევ უფრო ხმამაღლა ტიროდა.

ერთი შეხედვით სერიოჟას მოეჩვენა, რომ თავშესაფარში ყველა ბავშვს ერთი და იმავე ფერის თმა აქვსო, მაგრამ შემდეგ შენიშნა რომ, როგორც კი თმა ცოტა წამოეზრდებოდათ, თავშესაფარში ყველანაირი ბავშვები გაჩნდებოდნენ: ბობრი, ქერა, შავი, ორი წითურიც კი იყო.

დღეები დღეებს მისდევდნენ. სერიოჟა ჩქარა მიხვდა, რომ თავშესაფრიდან გაქცევა ძნელია, თითქმის შეუძლებელი.

ჯერ ერთი თვითონ ბავშვები უთვალთვალებდნენ ერთმანეთს, შემდეგ ჭიშკართან, ხის სკამზე, ყოველთვის იჯდა მეეზოვე პალადი — გრძელწვერა, ხნიერი და მკაცრი კაცი. მას თეთრი ტილოს წინსაფარი ჰქონდა და შიშველა ფეხზე ქალამნები ეცვა. ის ქერა თმებს რკალივით შემოიკრეჭდა და ზედ სქლად ისვამდა ზეითუნის ზეთს.

---

[1] მალკა — პატარა.

[2] ნოვი გოდი — ახალი წელი.

— თავს გაგიდით! მე თქვენ გაჩვენებთ! — არხევდა მწითურ წვერს პალადი და წყრომით იმუქრებოდა ყავისფერი თითით. ბავშვებს მისი უფრო ეშინოდათ, ვიდრე გამგე ქალისა.

ერთი იმედიღა დარჩა სერიოჟას. — დაელოდოს ბებიას. მან გადაწყვიტა, როგორც კი კვირას ბებია მოვა, დავიჩოქებ მის წინ და დავუწყებ ხვეწნას, შინ წამიყვანე-მეთქი. იმისი ფიქრისაც კი ეშინოდა, რომ შეიძლებოდა ბებია არ მოსულიყო. ამ საშინელი აზრებისაგან გული უკვდებოდა და ხელები უცივდებოდა.

ეზოში ბავშვებთან თამაშობისას სერიოჟა თვალს არ აშორებდა ჭიშკარს. საწოლი ოთახიდან ის წამდაუწუმ იყურებოდა ფანჯარაში, ხომ არ იღება ჭიშკარი, ხომ არ მოდისო ბებია. მაგრამ ბებია არ მოდიოდა. მართალია, შვილიშვილის ამბავის გასაგებად, ბებია დადიოდა თავშესაფარში, და არა ერთხელ, მაგრამ იმ საათებში, როცა ბავშვები სასეირნოდ მიჰყავდათ.

ყოველთვის, თავშესაფარში დაბრუნებისას, სერიოჟა გაიგებდა ბებიას მოსვლას პატარა ზინკასაგან, რომელიც სასეირნოდ არ დადიოდა, რადგან მას მუდამ ტკიოდა ხან ყური, ხან კბილი. სერიოჟაც ამოეფარებოდა ფარდულს და ჩუმად ტიროდა, რომ ბავშვებს არ ენახათ. ის ბრაზობდა ბებიაზე იმისათვის, რომ ისეთ საათებში მოდიოდა, როცა სერიოჟა არ იყო. მას არ ესმოდა, რომ ბებია ამას განგებ აკეთებდა — არ უნდოდა მისი შეწუხება.

თავი მეცხრე

თავშესაფრის ცხოვრება

თავშესაფარში დღე დილის რვა საათიდან იწყებოდა. ზევით, საწოლ ოთახში, რომელიც გრძელი იყო და ჩრდილოეთით დაბალი ფანჯრები ჰქონდა, ამოდიოდა სქელი დარაჯი ქალი დარია და აღვიძებდა ბავშვებს.

— ადექით!.. ადექით!.. — ყვიროდა ის ხრინწიანი ხმით და ყოველი სიტყვის შემდეგ ასლოკინებდა.

ბავშვები ამბობდნენ, დარია „გათვალულიაო“ და მას საშინელი განუკურნებელი სენი სჭირსო — „სლოკინი“.

დარია ყოველ დილას ააცლიდა ვასკა ნოვოგოდოვს საბანს და ხმაურით გაუტლაშუნებდა ზურგზე. ვასკას უყვარდა ძილი და მუდამ უკანასკნელი დგებოდა.

ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ხის იატაკზე შიშველი ფეხების ტყაპა-ტყუპით გარბოდნენ ბავშვები სამზარეულოში, პირის დასაბანად.

თუნუქის ხუთი პირსაბანი, რომელიც მიჭედილი იყო გრძელ ფიცარზე, ისე წკარუნობდა და გრიალებდა, თითქმის ზემოთ, საწოლ ოთახშიაც ისმოდა. შხეფები ყოველ მხარეს ცვივოდა და პირსაბანის ახლოს იატაკზე გუბეები იყო დამდგარი. კიბეზე სველი ფეხების ნაკვალევი რჩებოდა.

პირის დაბანის შემდეგ თავისი პირადი პირსახოცი „ფორმით“ უნდა ჩამოეკიდნა ყველას, შუაზე უნდა დაეკეცა და საწოლის უკანა საყრდენზე გადაეკიდა. ვინც ამას არ გააკეთებდა, მას დასჯიდნენ. პირსახოცს რომ ჩამოჰკიდებდნენ, ბავშვები დაბლა სასადილო ოთახში ჩაირბენდნენ, რომელიც სამზარეულოს გვერდით იმყოფებოდა. ეს იყო დამჭვარტლულ კედლებიანი, ჩაბნელებული

ოთახში. კუთხეში დიდი ხატი ეკიდა. ხატი ისე იყო ჩამუქებული, რომ მასზე ვერაფერს გაარკვევდით, გარდა ზეაპყრობილი წვრილი მიხაკისფერი ხელისა. სასადილოს შუაგულში გრძელი შეუღებავი მაგიდები იდგა, მაგიდებს აქეთ-იქით კი ხის სკამები. სასადილოში ბავშვებს გაამწკრივებდნენ სკამებსა და მაგიდის შუა სალოცავად. უხერხული იყო დგომა, უკნიდან ფეხებს ებჯინებოდა სკამის ძეწიდე, ხოლო მუცელსა და მკერდს — მაგიდის ძგიდე.

მორიგე — რომელიმე უფროსი ბავშვი — გამოდიოდა წინ და იწყებდა ლოცვას. ჩქარა, სხაპასხუპით უნდა ეთქვათ ლოცვა, თორემ ხუცესი დატუქსავდა. პირველ ლოცვას მეორე მოჰყვებოდა. მას ყველა გალობდა. პატარა ბავშვები მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდნენ. ლოცვა ძნელი იყო. ზოგიერთი სიტყვების გამოთქმა მათ არც კი შეეძლოთ. მაგალითად, „მოგვეც ჩვენ დღეს". ლოცვის შემდეგ ბავშვები შემოუსხდებოდნენ მაგიდას, ბიჭები და გოგოები ცალ-ცალკე ისხდნენ. მაგიდაზე გროვად ეყარა ხის შეღებილი კოვზები. ყოველ კოვზის ტარზე დანით გაკეთებული იყო რომელიმე ნიშანი: ჭდე, ჯვარი ან ასო, რომ ყველას გამოეცნო თავისი კოვზი.

დილა საუზმით იწყებოდა. ჩაის მხოლოდ ორჯერ იძლეოდნენ კვირაში: პარასკევსა და ოთხშაბათს. საუზმისათვის ზეთით შემზადებულ მუხუდოს ფაფას აკეთებდნენ, ხანდახან რძიან ქუმელს, იშვიათად მარტო რძესაც აძლევდნენ. ერთი თიხის ჯამიდან ხუთი ბავშვი ჭამდა. რძეს როცა დაუსხამდნენ, ჯამში შავი პურის ნამცეცებს ჩაჰყრიდნენ. ბავშვები გაფაციცებით ადევნებდნენ ერთმანეთს თვალყურს — ყველას უნდოდა მეტი რძე, ნაკლები პური.

თეთრ პურს ბავშვები მხოლოდ ორჯერ იღებდნენ წელიწადში: აღდგომასა და შობას, ამ დღესასწაულების წინადღეს რუსულ ღუმელში დარია აცხობდა პატარ-პატარა მრგვალ ქიშმიშიან ფუნთუშებს. თითო ფუნთუშაში ორი ქიშმიში იყო. ერთხელ გაუმაძღარ პოლიას ბედმა გაუღიმა: ფუნთუშაში მან მთელი ოთხი ქიშმიში იპოვა, — ალბათ დარია შესცდა. მას შემდეგ ყველანი ცდილობდნენ როგორმე ეპოვათ თავის ფუნთუშაში ზედმეტი ქიშმიში, მაგრამ ვერავინ ვერაფერს პოულობდა.

საუზმეს რომ ათავებდნენ, ისევ კითხულობდნენ და გალობდნენ ლოცვას, შემდეგ კი სახელოსნოებში მიდიოდნენ. ბიჭები

საამკინძაოში, სახარაზოში და სადურგლოში, ხოლო გოგონები სამკერვალოში, სადაც კიდეებს უტეხავდნენ პირსახოცებს, ჰკერავდნენ ბალიშის პირებს და ტომრებს. ხანდახან თავშესაფრის სამკერვალო რომელიმე ვაჭრის ცოლისაგან იღებდა საბნის პირის შეკვეთას. მაშინ ძლიერ ეშინოდათ სამუშაოს გაფუჭებისა, გაფაციცებით ჰკერავდნენ. განსაკუთრებით ძნელი იყო ღილის კილოს ამოგვირისტება. სამაგიეროდ, თუ ვაჭრის ცოლი კმაყოფილი დარჩებოდა, თავშესაფარში ფეტეს გამოგზავნიდა ფაფის მოსახარშად ან ბურღულს „სალმისათვის“.

ერთხელ დილით საუზმეზე უცნაური საჭმელი მოიტანეს:

— სალმა, სალმა...—აჩურჩულდნენ სუფრაზე ბავშვები.

— ეს უბრალო საჭმელი როდია, არამედ თათრულია, — დიდი ამბით უთხრა სერიოჟას მისმა მეზობელმა მწითურმა პაშკამ, რომელიც გვერდიდან კურდღელსა ჰგავდა.

სერიოჟას ძალიან აინტერესებდა ახალი საჭმლის გემო. ის ფიქრობდა, ეს ღლავივით თევზიაო.

მაგრამ თეფშზე დაასხეს მღვრიე ნაცრისფერი სუპი, რომელშიაც მსხვილად დაჭრილი ვერმიშელი და მუხუდო დაცურავდა, — ერთად არეული. ბავშვებმა დაიწყეს სალმის ხვრეპა. ზოგიერთი ისე ჩქარობდა, რომ ყელზე ადგებოდა და ახველებდა. საჭირო იყო ჩქარა შეეჭამათ, რომ მოესწროთ მეორე ულუფის მოთხოვნა.

სერიოჟა ვერ ეწეოდა თავის ამხანაგს. ის არ იყო შეჩვეული ასე ჩქარა ჭამას. ბებია ჩქარა ჭამის ნებას არ აძლევდა, ეუბნებოდა: ცხელი საჭმელი ნაწლავებს ახმობსო. აქ კი საჭირო შეიქნა აჩქარება. ამ დღეს სერიოჟა სუფრიდან მშიერი და გაბრაზებული ადგა. მან ვერც კი გაიგო, მოეწონა თუ არა სალმა.

სალმის გარდა თავშესაფარში კიდევ ერთ საჭმელს აკეთებდნენ, რომელსაც „კულაგას“ ეძახდნენ. ეს გაღვივებული შვრიისაგან გაკეთებული სქელი ფაფა იყო, მუქი-მიხაკისფერისა, პურის ბურახის სუნი უდიოდა. ამ კულაგას მხოლოდ ის სიამოვნება მოჰქონდა, რომ იმით ჩინებულად შეიძლებოდა მეზობლის ლოყისა და ცხვირის გათხუპნა — კულაგა ტკბილი და წებოვანი იყო.

მაგრამ ამის გულისათვის თავშესაფარში სჯიდნენ ხოლმე. აქ ისე როდი დასჯიდნენ როგორც შინ. შინ ბებია სხვათა შორის აუწევდა ყურს ან ქოჩორს, — მორჩა და გათავდა. აქ კი უსადი-

ლოდ ტოვებდნენ ან სასადილოში დააჩოქებდნენ. ყველაზე ხშირად ვასკა ნოვოგოდოვს აჩოქებდნენ. ხანდახან ის თვითონ მიდიოდა და იჩოქებდა კუთხეში. რაც უნდა იყოს კუთხეში დაჩოქება სჯობია. უსადილობასო.

ორ საათზე იწყებოდა სადილი. ბავშვებს კვლავ გაამწკრივებდნენ ლოცვაზე. სადილი ორი თავისაგან შედგებოდა: სუპისა და ფაფისაგან. სადილის შემდეგ ისევ საჭირო იყო ლოცვა.

საღამოს ცხრა საათზე, ვახშმის წინ, კითხულობდნენ და გალობდნენ ლოცვებს და ჭამდნენ სადილის მონარჩენს. შემდეგ ისევ ლოცულობდნენ და ათ საათზე წვებოდნენ. ძილის წინ კითხულობდნენ საგანგებო ლოცვას — არა ღვთისადმი, არამედ მფარველი ანგელოზისადმი. ანგელოზს უნდა ედარაჯნა ღამით თავშესაფრის ბავშვებისათვის.

ქერა პაშკამ უამბო ერთხელ სერიოჟას, რომ მან განგებ არ დაიძინა რამდენჯერმე, რომ ენახა ანგელოზი, მაგრამ არასოდეს არავინ დაუნახავს. შესაძლებელია, ღამღამობით სადმე კიდევაც დადიოდეს ანგელოზი, მაგრამ თავშესაფარში არა.

— ბერებივით ვცხოვრობთ აქ, სულ ვლოცულობთ და ვლოცულობთ, — ბუზღუნებდა პაშკა. — აქედან არაფერი გამოდის. ნეტავი ჩქარა დადგებოდეს შემოდგომა.

— შემოდგომაზე რა იქნება? — ჰკითხა სერიოჟამ.

— შემოდგომაზე სასწავლებლად მაინც წავალთ სამრეველო სკოლაში. ჩვენ ხომ თავშესაფარში სკოლა არა გვაქვს.

— მე წამიყვანენ?

— შენ რამდენისა ხარ?

— ჩქარა ცხრა შემისრულდება, — თქვა სერიოჟამ. ნამდვილად კი ცხრა წლამდე ჯერ ნახევარი წელი უკლდა.

პაშკამ თვალი მოუტა, ახედ-დახედა მის პატარა ჩასკვნილ ტანს და თქვა:

— იქ გამოარკვევენ!..

• •

ზაფხულზე სადილის წინ ბავშვები ყოველდღე საბანაოდ დაჰყავდათ. მდინარე იქვე იყო. ზედ თავშესაფართან იწყებოდა დალმართი ფერდობი.

ურჟუმკის ნაპირებზე ხარობდა სურნელოვანი ალვის ხეები, არყის ხეები და თითქოს სველი, ტოტებდაშვებული ტირიფები. თავშესაფრის ბავშვები გადაირბენდნენ მაღალ ბალახებს და ჩარბოდნენ დაბლა ნაპირზე, ზოგიერთნი კი გაწვებოდნენ და ხარხარითა და ხმაურით ჩამოგორდებოდნენ ფერდობზე მდინარემდე.

მართალია, ადგილი აქ უკეთესიც იყო, ვიდრე ეკლესიის პირდაპირ, სადაც ქალაქელები ბანაობდნენ, — აქ სილაც უფრო სუფთა იყო, და ბალახიც ისე არ იყო გათელილი, მაგრამ თავშესაფრის ბავშვებთან ბანაობა სერიოჟასათვის მოსაწყენი იყო. ბავშვები წყალში ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ განკარგულების მიხედვით: იულია კონსტანტინეს-ასული იდგა ნაპირზე, მას თეთრი ტილოს მოქარგული კაბა ეცვა, ხელში ვარდისფერი ქოლგა ეჭირა და გაბმით ყვიროდა:

— ბავშვებო, წყალში! ბავ-შვებო წყალ-ში!

შემდეგ ფრთხილად ჯდებოდა ქვიშაზე დაგებულ პირსახოცზე, კითხულობდა წიგნს და დროდადრო სათვალეებს ზემოდან ათვალიერებდა ბავშვებს.

თავშესაფრის ბავშვებმა შენიშნეს, რომ თუ იულია კონსტანტინეს-ასულს უხეირო წიგნი შეხვდებოდა, ცუდი ბანაობა გამოდიოდა. ასეთ წიგნს იულია კონსტანტინეს-ასული გადაფურცლავდა, ერთხანს იქნებოდა დამჯდარი, ამოიოხრებდა, ხოლო შემდეგ დაიწყებდა ბრძანებას:

— ბავშვებო, ნუ ყვირით!.. ბავშვებო, შორს არ გასცუროთ. ბავშვებო, არ ჩაიყურყუმელაოთ!.. ბავშვებო, სილას ნუ ესვრით ერთმანეთს.

აბა, რა ინტერესი აქვს ასეთ ბანაობას, როცა განძრევაც კი არ შეგიძლია!

სამაგიეროდ, თუ წიგნი საინტერესო აღმოჩნდებოდა, იულია კონსტანტინეს-ასული კითხულობდა ისე, რომ თავს არ ასწევდა, თვალსაც არ აშორებდა. აი, სწორედ მაშინ იწყებოდა სილაღე!

თავშესაფარში სამი კვირის ცხოვრების შემდეგ, სერიოჟა მიხვდა, რომ ლიდია ივანეს-ასულმა ის მოატყუა. არაფერი არ აღმოჩნდა თავშესაფარში, რაც მან აღუთქვა სერიოჟას. არ იყო სათამაშოები. თავშესაფრის ბავშვები ხის ჯირკებითა და ჩვრის

ბურთებით თამაშობდნენ, სწორედ ისეთი სათამაშოებით, როგორიც სერიოჟას ჰქონდა სახლში.

მხოლოდ ერთი რამ იყო მართალი. ყოველ ბავშვს თავისი საკუთარი ხის საწოლი ჰქონდა. მაგრამ თხელი ჭუჭყიანი დოშაკი ძველი ჩალით იყო დატენილი და ამიტომ ფშიკი იყო. ბალიშებიდან კი სულ მუდამ გამოჩრილი იყო ჩალა, და ძალზე იჩხვლიტებოდა.

თავშესაფარში ბავშვებს ზეწარს არ აძლევდნენ. დოშაკებზე ეძინათ. საწოლი ოთახის ყოველი ჭუჭრუტანა, ყოველი კუთხე გავსებული იყო ბაღლინჯოებით. ღამღამობით ისინი გროვა-გროვად დაღოღავდნენ კედლებზე, სეირნობდნენ იატაკზე და ჭერიდანაც კი ცვივოდნენ.

— ლიდია ივანეს-ასული კი კვეხულობდა, თავშესაფარში ყველაფერი ბევრიაო. სულ მოუჭორავს, — ჩიოდა პაშკასთან სერიოჟა.

— შენ კი ამის გულისათვის, როგორც კი მოვა იგი თავშესაფარში, მიირბინე უკან და მიაფურთხე კაბაზე,—ასწავლიდა პაშკა.

მაგრამ ლიდია ივანეს-ასული. თავშესაფარში მოსვლაზე არ ფიქრობდა.

თავი მეათე

შ ი ნ

მესამე კვირის მიწურულს იულია კონსტანტინეს-ასულმა გადაწყვიტა სერიოჟა შინ გაეშვა. თავშესაფარში კვირა დღე — შვებულების დღე იყო. მან ამ დღეს დაუძახა სერიოჟას კანცელარიაში, სწორედ იმ ოთახში, სადაც დიდ განჯინაში ჩაკეტილი იყო მისი ქაღალდები.

— აბა, სერიოჟა, შედი საწოლ ოთახში, ჩაიცვი ჩექმები, სუფთა ხალათი და წადი შინ. საღამოს კი ბებია ისევ მოგიყვანს თავშესაფარში... გაიგე? — ჰკითხა იულია კონსტანტინეს-ასულმა და ნიკაპზე ხელი მოჰკიდა.

— გავიგე! — მკვახედ და უგუნებოდ უპასუხა სერიოჟამ. ის არც თუ ისე ენდო გამგის სიტყვებს, იფიქრა — ხუმრობსო.

— რას დგეხარ? წადი! — უთხრა იულია კონსტანტინეს-ასულმა და მაგიდაზე რაღაც ქაღალდების გადალაგება დაიწყო.

— ეტყობა არ ხუმრობს!..

სერიოჟა სირბილით გაიქცა საწოლ ოთახში, ორ საფეხურზე ერთბაშად ხტებოდა. სიჩქარით ხალათი უკუღმა ჩაიცვა. გაიხადა და ხელახლა ჩაიცვა.

ჩექმებს ისე იცვამდა, რომ კინაღამ მეშველები ააგლიჯა.

ბოლოს ყველაფერი მზად იყო.

სერიოჟამ ფრთხილად ჩასჭიდა ხელი მოაჯირს და დაბლა ჩამოვიდა. უხეშსა და მძიმე ჩექმებში ფეხებს ვერ ღუნავდა და გაქვავებულივით ჰქონდა. გამოვიდა ეზოში და მიიხედ-მოიხედა.

მას ეგონა, რომ ახლავე უეჭველად დაუძახებს იულია კონსტანტინეს-ასული და ეტყვის: „არავითარ საჭიროებას არ მოითხოვს შენი შინ წასვლა. თავშესაფარში დარჩენა გირჩევნია“. მაგ-

რამ მას არავინ დაუძახა დაბრუნდიო და მშვიდობიანად მიაღწია ჭიშკრამდე. ჭიშკარი ჭრიალით გაიღო და მაგრად დაიკეტა სერიოჟას უკან.

ვოსკრესენსკაიას ქუჩაზე სიწყნარე სუფევდა, — ეტყობოდა, ყველანი ჯერ კიდევ ეკლესიაში იყვნენ. მხოლოდ ქუჩის შუა ადგილას ქათმები ფუთფუთობდნენ, ვიღაცის თხასაც მესერში თავი შეეყო და იასამნის ბუჩქს წიწკნიდა. სერიოჟამ სული მოითქვა, გასწორდა წელში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა. მას ეჩვენებოდა, რომ თავშესაფარში მიღებული ჩექმების ბაკუნი მთელ ქუჩას ესმოდა. მირბოდა და უკან მოხედვისაც ეშინოდა.

გაწითლებული, გაოფლიანებული და აქლოშინებული გაჩერდა სერიოჟა აფთიაქის გვერდით, რომ სული მოეთქვა. აფთიაქის ფანჯრებში ფერადი მინის ბურთები ბრჭყვიალებდა, რომლებიც ძლიერ მოსწონდა სერიოჟას. წინათ, როცა სერიოჟა შინ ცხოვრობდა, ის და სანკა ხშირად მოირბენდნენ აქ, ტკბებოდნენ მათი მზერით. ახლა კი სად ეცალა ბურთებისათვის. სერიოჟამ მოილოკა ტუჩები, ხალათის სახელოთი მოიწმინდა სახიდან ოფლი და კვლავ მოკურცხლა.

ბუისკისა და ვოსკრესენსკის ქუჩების კუთხეში, ხშირ მწვანე ხეთა შორის, უკვე გამოჩნდა ვოსკრესენსკაიას ეკლესია, როგორც დიდი თეთრი ლოდი. ეკლესიიდან სახლამდე კი სულ ცოტა მანძილი იყო. ახლა საჭიროა მხოლოდ შეუხვიო მარჯვნივ ბუისკის ქუჩისაკენ, გაირბინო ეკლესიის გალავნის გვერდით, შემდეგ ვაჭარ კაზანცევის ორსართულიანი ქვის სახლის გვერდით, შემდეგ ლუდმილა ვასილის-ასულის საბაყლო დუქნის გვერდით, იქ კი ძველი რწმენის ღვთისმოსავი პრონკის უშენი ადგილია. ამ პრონკას ყველა გიჟ მოხუცად თვლიდა, რადგან ის ყოველი კაცის შეხვედრისას ქუდს მოიხდიდა და მდაბლად თავს უკრავდა. პრონკას უშენი ადგილის გვერდით კი სერიოჟას სახლია, სახლი, რომლის ხუთი ფანჯარა ქუჩაში გამოდის. იქ ყველა თავისიანია: ბებია მელანია, დები ანიუტა და ლიზა, ამხანაგი სანკა.

აი ის, აი ის — სახლი!

სერიოჟამ მიირბინა და გაქანებით მიარტყა ფეხი ჭიშკარს. ჭიშკარი გვერდზე მიიქცია. ეზოში, ჭიშკრისაკენ ზურგშექცეული, ჩაცუცქულა სანკა და გულმოდგინედ აშენებს კენჭებისა და მიწი-

საგან საგუბარს. პატარა ლიზა ქათქათა მზეზე თვალებს ჭუტავს და თუნუქის დაჟანგული ქილით სილას აქუჩებს. ფარდულთან ბებია სველ საცვლებს ჰკიდებს თოკზე. ყველაფერი თავის ალაგას იყო, ძველებურად.

— სა-ან-კა! — ისე დაიყვირა სერიოჟამ, რომ ბებიას სველი პირსახოცი ხელიდან გაუვარდა.

— უყურე, როგორ გამოცვლილხარ! — თქვა სანკამ და თანაც ახედ-დახედა სერიოჟას თავს, რომელზედაც თმა ძლიერ დაბალზე იყო გადაკრეჭილი, მის ნაცრისფერ მოჯაჯულ ხალათს და მეშველებამოწეულ ჩექმებს.

სერიოჟამ თავი დაღუნა და თვითონაც ახედ-დახედა თავის შარვალს, ხალათსა და ჩექმებს.

— როგორ თუ გამოვცვლილვარ!.. როგორიც ვიყავი ისეთივე ვარ. წავიდეთ მდინარეში საბანაოდ?..

— საით? ეკლესიისაკენ?

— არა! მოდი მდინარის იმ ბოლოზე წავიდეთ,—თქვა სერიოჟამ.

— ამ სიშორეზე! — გაჭიანურებით თქვა სანკამ და ჭუჭყიანი ხელები შარვალზე გაიწმინდა.

— სამაგიეროდ იქ კარგი სილაა, სანო, და საპატიმროსაც დავათვალიერებთ.

სირბილ-სირბილით გაემართნენ პოლსტოვალოვის ქუჩით და მხოლოდ მის ბოლოს გაჩერდნენ, გადასახლებულთა სახლის გვერდით.

პარმაღზე წიგნით ხელში იჯდა ქალი. მას მოკლე თმები ჰქონდა, მამაკაცის ხალათი ეცვა და წელზე ზონარი ერტყა. მის გვერდით იდგა ვიღაც გრძელთმებიანი მამაკაცი, რომელსაც თმა ხუცესის თმაზე ოდნავ მოკლე ჰქონდა. ის რაღაცას უყვებოდა თმაშეკრეჭილ ქალს და ორივე ხმამაღლა იცინოდა.

— შეხედე, კრამოლნიკები!—წაჰკრა გვერდი სანიამ ამხანაგს.

სერიოჟას უნდოდა შეჩერებულიყო და შეეხედნა მათთვის, მაგრამ ამ დროს ვოსკრესენსკაიას ქუჩიდან ფეხების ბაკუნი და სტვენაშერეული ხმამაღალი სიმღერა მოისმა.

— ჯარისკაცებია, გავიქცეთ!.. — დაიძახა სანიამ.

გაირბინეს ვოსკრესენსკაიას ქუჩაზე და დაინახეს, მეცადინეობიდან როგორ ბრუნდებოდნენ ჯარისკაცები, რომელთაც ქერელის ტილოს ხალათები ეცვათ და მხრებზე წითელი პაგონები ჰქონდათ; მათი მოძრაობა მტვრის კორიანტელს აყენებდა. ყველას ბლინივით ბრტყელი, უსაჩინო და დიდი თეთრკაკარდიანი ქუდი ეხურა. თითქოს ყველა ჯარისკაცი ერთმანეთს ჰგავდა ტყუპებივით. ყველანი მზეზე გარუჯული, გაოფლიანებული და თეთრკბილებიანი იყვნენ, ისინი ხმამაღლა მღეროდნენ. ხანდახან, სიმღერის შუა ადგილას, ისე უსტვენდნენ, რომ გამვლელ-გამომვლელთ ყურში უწიოდათ.

Солдатушки, бравы ребятушки,[1]
Гдеже ваши жены?..

ეკითხებოდნენ ჯარისკაცები და თვითონვე უპასუხებდნენ თავის თავს:

Наши жены-пушки заряжены,[2]
Вот где наши жены.

ბიჭებმა ჯარისკაცები ეკლესიამდე მიაცილეს და მდინარეზე გაიქცნენ. სამ საათს ბანაობდნენ ურეუმკაში, სანამ არ მოსწყინდათ. ცურაობდნენ, ყურყუმალაობდნენ, ფრუტუნებდნენ, მანამ, სანამ ქალმა, რომელიც ტივზე სარეცხს რეცხავდა, არ დატუქსა ისინი — ეშმაკები ხართო — და არ უთხრა ბებიასთან გიჩივლებთო.

ურეუმკიდან სერიოჟა და სანია პირდაპირ ქალაქგარეთ გაიქცნენ, სალდათის ტყეში, რომელიც ზედ ყაზანის ქუჩის ბოლოს იწყებოდა. ტყეში სერიოჟამ ხალათი გაიხადა; შეუდგნენ გირჩების შეგროვებას ხალათში. ფიჭვების გამხმარ ტოტებისა და გირჩებისგან დიდი კოცონი დაანთეს. კოცონს შავმოიისფერო ბოლი ასდიოდა, დაბლა კი ფიჩხს ტკაცანი გაჰქონდა.

— ახლა კი, მოდი, გადავახტეთ, — თქვა სერიოჟამ, გამოქანდა და გადაახტა კოცონს.

---

[1] ჯარისკაცებო, ყოჩაღო ჯარისკაცებო, სად არიან თქვენი ცოლები?

[2] დატენილი ქვემეხებია ჩვენი ცოლები, აი, სად არიან ჩვენი ცოლები.

სანკაც გადაახტა ცეცხლს, მაგრამ ისე, რომ კინალამ დაეწვა შარვალი.

— ჩემთვის ძნელია გადახტომა, გრძელი ფეხები მაქვს, ხელს მიშლის, — ჩაიბურდღუნა მან თავის გასამართლებლად.

— კიდევ გადახტი,—უთხრა სერიოჟამ.

— არ მინდა.

შინ სადილობისას დაბრუნდნენ. ამ დღეს ბებიამ ჭვავის ლავაშები გამოაცხო, რომელსაც ჩვეულებრივ მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე აცხობდა.

შებინდებისას ბიჭები ქუჩაში, ფანჯარასთან ,ხვადასხვა თამაშობაში იყვნენ გართულნი, და სერიოჟას კიდეც დაავიწყდა, რომ თავშესაფარში უნდა დაბრუნებულიყო. მაგრამ, აი, დადგა საღამო. ქუჩაში სულ დაბნელდა და აგრილდა. ბებიამ გააღო ფანჯარა და ალერსით უთხრა:

— სერიოჟა, უკვე დროა თავშესაფარში წავიდეთ.

ისევ თავშესაფარში! თავშესაფარში, სადაც ბიჭები ჩხუბობენ და ერთმანეთს აბეზღებენ, სადაც აჩოქებენ, სადაც ბაღლინჯოები იკბინებიან.

ტირილი მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან ჭიშკართან ბიჭები იდგნენ. სერიოჟა მოიბუზა, აფშუტუნდა და ქუჩიდან ეზოში გვერდულად შევიდა. თავისი მძიმე ჩექმებით გზაზე მტვერს ხვეტავდა.

თავი მეთერთმეტე

სკოლისაკენ

ერთ შემოდგომის დილას, როცა ბავშვებმა საუზმე გაათავეს, სასადილოში შემოვიდა იულია კონსტანტინეს-ასული და თქვა:

— აბა, ბავშვებო! ხვალ სკოლაში წახვალთ სასწავლებლად!

— სკოლაში! — ახმაურდნენ და აღრიალდნენ ბავშვები. ერთმა ბიჭმა ხელი დასტაცა კოვზს და დაუწყო მაგიდას რახუნი. ყველას მობეზრდა თავშესაფარში ცხოვრება, სკოლაში კი რაღაცა იქნება ახალი.

ამ დილას ბავშვებმა უგუნებოდ ილოცეს. მორიგემ ისე ჩქარა წაიკითხა ლოცვა, რომ ენაც კი მოეჩლიქა.

ლოცვის შემდეგ ბავშვები ერთად შექუჩდნენ. ყველას ერთი და იგივე სალაპარაკო ჰქონდა — სკოლის შესახებ.

ისინი, რომელთაც უკვე შარშან ევლოთ სკოლაში, — უყვებოდნენ სხვებს მეცადინეობაზე, დასვენებაზე და მასწავლებელ სოკრატე ივანეს-ძეზე, რომელიც მუდამ ცხვირს აცემინებდა და მოწაფეებს „სკვინჩებს“ ეძახდა. ის ბავშვები კი, რომელნიც სკოლაში პირველად უნდა წასულიყვნენ, ეკითხებოდნენ: აძლევენ თუ არა სკოლაში თავშესაფრის ბავშვებს რვეულებს და მოახერხებენ თუ არა ისინი, ხანდახან, სკოლის შემდეგ, თუნდაც ცოტა სირბილს ქუჩაში.

— ახლებს წაიყვანენ თუ არა სკოლაში? — ეკითხებოდა სერიოჟა ხან ერთ ბავშვს, ხან მეორეს.

— თვითონ წახვალ! სკოლა ხომ აქვეა, მარტო ქუჩა უნდა გადაირბინო, — გაიცინა ვასკა ნოვოგოდოვმა.

— მასწავლებელმა ცემა იცის? — იკითხა, შავგვრემანმა ელამმა გოგონამ, რომელსაც შეშინებული სახე ჰქონდა.

— მე ხელს არ მახლებს, შენ კი — ელამი კურდღელი ხარ, შენ კი გაგტყეპავს, — უთხრა ვასკამ.

— შესაძლებელია შენ თვითონ გაგაგდონ სკოლიდან.

— რაო? რაო? მე გამაგდებენ სკოლიდან? ვერ მოგართვი! — დაიყვირა ვასკამ და რომელიღაც ბავშვს შუბლზე გაარტყა.

— იულია კონსტანტინოვნა! იულია კონსტანტინოვნა! ვასკა ისევ ჩხუბობს! — დაიყვირეს ბავშვებმა.

ვასკამ მოასწრო ორი პატარა გოგონასათვის კინწისკვრა და ყბაშეხვეულ ბიჭის თავში ჩარტყმა. ხმაურობაზე ოთახში საჩქაროდ შემოვიდა იულია კონსტანტინეს ასული.

— ისევ?! — თქვა მან მკაცრად და თითით აჩვენა კარზე, რომელიც სასადილოში გადიოდა.

— კარგი, — დაიძახა ვასკამ, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და გაემართა დასაჩოქებლად.

გამგე აუჩქარებლად გაჰყვა მას.

— იულია კონსტანტინოვნა! — გამოეკიდა სერიოჟა, — თქვენ არ იცით, წამიყვანენ თუ არა მე სკოლაში?

— როგორ არა, უეჭველად წაგიყვანენ, — უთხრა იულია კონსტანტინეს-ასულმა ისე, რომ. არც მოუხედავს.

სიხარულისაგან სერიოჟა კიბეზე თავქვე დაეშვა, გამოვარდა ეზოში და კინაღამ წააქცია ქერა პაშკა, რომელსაც სამზარეულოდან სანარცხე ვედრო გამოჰქონდა.

— პაშკა! ხვალ სკოლაში წავალ!

— დიდი ამბავი! — ჩაიბუზღუნა პაშკამ. — გარბის თვალდაჭყეტილი, აქ კი ადამიანი ნარეცხს მიათრევს.

ეზოს სიღრმეში, ფარდულის ახლოს, ხუთ პატარა გოგონას ერთმანეთისათვის ხელი ჩაეკიდა, ფერხული გაემართა და ნაღვლიანი ხმით მღეროდნენ იულია კონსტანტინეს-ასულის საყვარელ სიმღერას:

შორს მდინარის ნაპირას,
ხანდახან გაისმის
გუ-გუ! გუ-გუ!

გაქანებული სერიოჟა პირდაპირ ფერხულში შეიჭრა. გოგონებმა დაიწივლეს და აქეთ-იქით გაიქცნენ.

სერიოჟა ერთ წუთს იდგა ჩაფიქრებული და შემდეგ მიბრუნდა ჭიშკრისაკენ.

რა იქნება რომ ახლა გაიქცეს შინ და ყველაფერი უამბოს სანკას? სახლი ახლოსაა, რაღაც ორ-ნაბიჯზე. მოასწრებს სადილამდე დაბრუნებას. ვერავინ ვერაფერს შეამჩნევს. სერიოჟამ გააღო ჭიშკარი, გახტა ქუჩაში და პირდაპირ მეეზოვე პალადის წააწყდა.

— შენ სად მიდიხარ, ძმობილო? ა? — გაუკვირდა პალადის და მწითური წვერები სერიოჟასკენ მიაბრუნა.

სერიოჟამ არაფერი უპასუხა მეეზოვეს, ქვეშ-ქვეშ შეხედა და ჩუმად დაბრუნდა ეზოში. ეტყობა, მოუხდება კვირამდე მოცდა. უფრო ადრე ვერ გაიქცევა!

ღამით ბავშვები იშმუშნებოდნენ და ტრიალებდნენ უფრო მეტს, ვიდრე ჩვეულებრივ. სერიოჟამ სამჯერ გაიღვიძა — სულ იმისი შიში ჰქონდა, დამეძინება და ბავშვები უჩემოდ წავლენ სკოლაშიო.

უკანასკნელად, როცა გამოეღვიძა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა გარჩევა — საღამო იყო თუ დილა. ფანჯარაში ბნელოდა და ქვემოთ სამზარეულოში კარებს არ აჯახუნებდნენ. მაშასადამე, ჯერ კიდევ ღამეა. სერიოჟამ თავი გამოჰყო საბნიდან.

— რატომ არ გძინავს? — ჰკითხა მას უცბად მეზობელ საწოლიდან ქერა პაშკამ. მას ხრინწიანი ხმა ჰქონდა, — ეტყობოდა, მასაც ის-ის იყო გამოღვიძებოდა.

— რა შენი საქმეა? — უპასუხა სერიოჟამ, წამოიხურა თავზე საბანი, გვერდზე დასტოვა პატარა ჭუჭრუტანა, საიდანაც საწოლ ოთახს ათვალიერებდა.

მალე მეზობელ საწოლებზე ამოძრავდნენ და აჩურჩულდნენ ბავშვები.

— დროა ავდგეთ! — თქვა ვილაც ბავშვმა და ყველამ ერთბაშად დაიწყო ჩაცმა.

როცა დარია მოვიდა ბავშვების გასაღვიძებლად, ისინი უკვე ჩაცმული იყვნენ.

— რა ადრე ამდგარან, ცელქები! — ჩაიბუზღუნა დარიამ და გავიდა საწოლ ოთახიდან.

ბავშვებმა საწოლები გაასწორეს, პირის დასაბანად გაიქცნენ, შემდეგ კი სასაუზმოდ წავიდნენ.

მუხუდოს ფაფის ჭამას რომ ათავებდნენ, სასადილოში იულია კონსტანტინეს-ასული შემოვიდა.

მას მაღალსაყელოიანი შავი კაბა ეცვა, კისრის გარშემო ნაოჭებად დალაგებული თეთრი მაქმანი ჰქონდა შემოვლებული. იულია კონსტანტინეს-ასულს მკერდზე ოქროს პატარა საათი ეკიდა.

თმა დაეხუჭუჭებია და აექოჩრა.

იულია კონსტანტინეს-ასულმა შეათვალიერა ბავშვები და უბრძანა ორ-ორად დაწყობილიყვნენ.

ჩექმების ბრახუნით, ჩურჩულითა და ერთმანეთის ჯგვლემით გამწკრივდნენ ბავშვები კედელსა და სკამებს შუა, ვიწრო გასასვლელში.

სასადილოში დარია კოჭლობით შემოვიდა. თან შემოიტანა მთელი წყება ცხვირსახოცებისა.

იულია კონსტანტინეს-ასული შეუდგა ცხვირსახოცების დარიგებას. ცხვირსახოცები დიდრონი იყო და ყოველ მათგანს კუთხეში ამოქარგული ჰქონდა ნიშანი: მ. ბ. თ.—მცირეწლოვან ბავშვთა თავშესაფარი.

მაგრამ ამით როდი გათავდა ყველაფერი. როგორც კი ცხვირსახოცები დაარიგეს, დარიამ მოიტანა გამძლე ჩანთები ხამი ტილოსაგან შეკერილი. ეს ჩანთები იმ აბგებს ჰგავდა, რომელთაც ურჟუმელი დიასახლისები ბაზარზე დაატარებდნენ. ოღონდ ამ ჩანთებს ორი თასმა როდი ჰქონდა, არამედ ერთი გრძელი თასმა, რომლითაც შეიძლებოდა ჩანთების გადაკიდება მხარზე. ყოველ ჩანთას გვერდზე შავად აჩნდა თავშესაფრის ბეჭედი.

შემდეგ ბავშვები ეზოში გაიყვანეს და იულია კონსტანტინეს-ასული, რომელსაც შავი ტალმა და თეთრი მაქმანიანი ხელთათმანი ეცვა, პარმაღზე გამოვიდა.

— ბავშვებო, მომყევით! — გასცა მან განკარგულება, გრძელი კაბა აიკრიბა და ნელა გასწია ჭიშკარისაკენ.

გაჰყვნენ უკან წყვილები.

ჭიშკართან, მეეზოვე სუფთა წინსაფარიანმა პალადიმ, მდაბლად დაუკრა თავი იულია კონსტანტინეს-ასულს.

— მიდიხართ? — იკითხა მან და გააღო პატარა ჭიშკარი.

— მივდივართ! — თქვა იულია კონსტანტინეს-ასულმა.

ბავშვები დიდის ამბით მიდიოდნენ ქუჩაში. მათ ეგონათ, რომ დღეს განსაკუთრებული დღეაო, რაღაც კვირის მაგვარი, თუმცა ყველამ ჩინებულად იცოდა, რომ სამშაბათი იყო.

ერთი სახლის ჭიშკრიდან გამოვიდა ქალი, რომელსაც მხარზე საცვლებით სავსე მძიმე კალათი ედო. ქალი გაჩერდა, დასდო მიწაზე კალათი და დიდხანს უცქეროდა თვალგაყოლებით ბავშვებს.

— სად მიჰყავთ ეს ობლები? — თქვა ქალმა და თავი დააქნია.

— სკოლაში, დეიდა! — დაუძახა გოგონამ, რომელიც უკანასკნელ წყვილში მიდიოდა.

ბავშვები ცდილობდნენ ფეხის შეწყობას. ვიღაცამ თვლაც კი დაიწყო.

— ერთი, ორი! ერთი, ორი!

მაგრამ თვლა და ფეხშეწყობილად სიარული დიდხანს არ მოუხდათ — სკოლა იმავე ქუჩაზე იყო. პატარა ყვითელ ჭიშკართან იულია კონსტანტინეს-ასულმა თქვა:

— ბავშვებო, ერთმანეთს ნუ დაეჯახებით! თითო-თითოდ შედით!

მაგრამ როგორ არ დაეჯახონ ერთმანეთს, როცა ყველას უნდა მალე შევიდეს სკოლის ეზოში, ჭიშკარი კი ასეთი ვიწროა.

სკოლის ეზო არაფრით განირჩეოდა დანარჩენ ურეუმულ ეზოთაგან. იგი პატარა და ბალახით მოფენილი იყო. ეზოს სიღრმეში პატარა ბაღი მოჩანდა, ბაღში კი მრგვალი მაგიდა და პატარა სკამები იდგა, — ეტყობოდა, აქ მასწავლებელი ზაფხულობით ჩაის სვამდა.

მესერზე ბავშვის ცისფერი საბანი და პატარა პერანგი ეკიდა. პარმაღთან ჩასუქებული იხვები დასეირნობდნენ.

— ეს ვისი იხვებია? — ჰკითხა სერიოჟამ პაშკას.

— მასწავლებლისა, — უპასუხა პაშკამ და უნდოდა კიდევ რაღაცა დაემატებინა, მაგრამ ვერ მოასწრო.

ბავშვები ბნელ დერეფანში შეიყვანეს.

ახლადგარეცხილი იატაკი ჯერ კიდევ არ გამშრალიყო და ბავშვებმა ფეხაკრეფით გაიარეს დერეფანი შესასვლელ კარებამდე.

ოთახიდან ისმოდა ბრაგუნი, ფაცაფუცი და ბავშვების ხმა.

უცებ კარი გაიღო და ბავშვებმა დაინახეს სოკრატე ივანეს-ძე, პატარა, ფერმიხდილი, ნაცრისფერხალათიანი კაცი.

— შედით, სკვინჩებო! დარბაზში! — დაიძახა მან.—ახლავე ლოცვას ვიტყვით.

— დარბაზში, — ხმამაღალი ჩურჩულით თქვა იულია კონსტანტინეს-ასულმა და კაბის შრიალით გაუძღვა ბავშვებს.

დარბაზი ეწოდებოდა მომცრო ცარიელ ოთახს, რომელსაც დაბალი ჭერი ჰქონდა, კედელთან კი სამი სკამი იდგა.

აქ ნახევრად ბნელოდა, რადგან ფანჯრების წინ იასამნის ხშირი ბუჩქები იზრდებოდა.

— ბნელა, როგორც ჩვენს სასადილოში, — თქვა ვიღაც ბავშვმა.

დარბაზში შემოვიდა თავშესაფრის ხუცესი, შამა კონსტანტინე. მან, ჩვეულებისამებრ გადაისვა ხელი გრძელ თმებზე, გაისწორა მკერდზე ჯვარი და დაიწყო ლოცვა.

ლოცვაც ნაცნობი იყო. მას ყოველდღე კითხულობდნენ თავშესაფარში.

ლოცვის შემდეგ ბავშვები კლასში წაიყვანეს.

აქ სერიოჟამ პირველად დაინახა სკოლის მერხები. მას ძალიან მოეწონა, რომ მერხი ერთ და იმავე დროს მაგიდაცაა და სკამიც. კიდევ უფრო მოეწონა, რომ მერხის ყუთში შეიძლება წიგნებისა და ჩანთის შენახვა.

ის პაშკას გვერდით დასვეს.

სერიოჟამ ვერც კი მოასწრო კლასის კარგად დათვალიერება, რომ შემოვიდა მასწავლებელი სოკრატე ივანეს-ძე და დაიწყო გაკვეთილი.

— აბა, სკვინჩებო, რომელმა თქვენგანმა იცის ანბანი, ასწით ხელები, — თქვა სოკრატე ივანეს-ძემ.

სერიოჟამ უკვე სამი ასო იცოდა — სწორედ ისინი, რომლებიც ოდესღაც მას სანკამ უჩვენა. მაგრამ ხელის აწევისა შეეშინდა. მან ირიბად გადახედა კლასს და დაინახა, რომ თავშესაფრის ბავშვებიდან მხოლოდ ორმა ასწია ხელი. იმათაც ისე ახლოს ეჭირათ სახესთან ხელი, რომ შეუძლებელი იყო გაგეგო, ლოყით

ეყრდნობოდნენ ხელს თუ უნდოდათ მასწავლებლისათვის ეპასუხათ.

აქ სერიოჟამ მამაცობა გამოიჩინა და ნელ-ნელა ასწია თითი მაღლა.

სოკრატე ივანეს-ძემ ის შეამჩნია.

— აბა, მიპასუხე! რამდენი ასო იცი?

— სამი.

— რომელი და რომელი?..

— პარი, სანი და ონი.

— ჩინებულია. შეგიძლია კი დაფაზე დახატო ისინი?

სერიოჟა დაიბნა.

— შეგიძლია დაწერო ისინი დაფაზე? — ერთხელ კიდევ ჰკითხა მასწავლებელმა.

— მე ჯოხით დამიწერია მიწაზე და კიდევ ნახშირით დამიწერია ფარდულზე, — წყნარად უპასუხა სერიოჟამ.

— აბა, სინჯე ახლა ცარცით დაწერო დაფაზე.

სერიოჟა გამოძვრა მერხიდან და გაემართა დიდი, შავი დაფისაკენ.

სოკრატ ივანეს-ძემ მას ცარცის ნატეხი მისცა.

დაფა მაღალი იყო, დგარზე იდგა. ნახევრამდისაც ვერ შესწვდა სერიოჟა, თუმცა თითის წვერებზე დადგა.

— ქვემოთ დაწერე, — უთხრა სოკრატე ივანეს-ძემ.

სერიოჟამ დაწერა დაფაზე ორი ვეებერთელა ასო.

— ო — ნალი, სანი — ანკესი, — ბურდღუნებდა ის თავისთვის. როგორ იწერებოდა ასო „პ“ მას უცებ დაავიწყდა.

— რას ჩურჩულებ მანდ? — ჰკითხა სოკრატე ივანეს-ძემ.

— სანი — ანკესი, — გაიმეორა სერიოჟამ წყნარად, — ასე იწერება.

— ყოჩაღ! აბა დაჯექ შენ ადგილას. რა გვარი ხარ შენ, „ანკესო?“

— კოსტრიკოვი სერგეი.

— აბა, წადი, კოსტრიკოვ სერგეი, შენს ალაგას.

ამ დღეს სერიოჟამ კიდევ ახალი სამი ასო ისწავლა, მაგრამ არა დაფანტულად, როგორც სანკამ უჩვენა, არამედ რიგზე: ა, ბ, ვ.

ასე დაიწყო სერიოჟას სწავლა.

გაიარა სკოლის პირველმა კვირამ, და ისევ დადგა კვირა დღე.

საუზმეზე კულაგა მოიტანეს, რომელიც ასე ეჯავრებოდათ ბავშვებს. სერიოჟა გაჭირვებით ყლაპავდა მას — ოღონდ კი მალე შეეჭამა.

საუზმის შემდეგ, ჩვეულებისამებრ დაიწყო, ლოცვის კითხვა, ხოლო ლოცვის შემდეგ იულია კონსტანტინეს-ასულთან მივიდა სამღვთო სჯულის მასწავლებელი, მამა კონსტანტინე. ორივენი დერეფანში გავიდნენ. ხუცესმა ჯვარი შეისწორა და გამგეს რაღაცა უამბო. ნელა მიდი-მოდიოდნენ ისინი გრძელ დერეფანში, უკან კი აჩრდილივით მიაბიჯებდა სერიოჟა. მას ეჩქარებოდა შინისაკენ, ხოლო ნებადაურთველად წასვლა აკრძალული იყო. იულია კონსტანტინეს-ასულის სიტყვის გაწყვეტინება კი, როცა ის ვისმეს ესაუბრებოდა, არ შეიძლებოდა. გინდა, არ გინდა — უცადე, სანამ გაათავებდეს.

ბოლოს, როგორც იქნა გამოეთხოვა ხუცესი და ჩავიდა დაბლა.

სერიოჟა თავქუდმოგლეჯილი მივარდა იულია კონსტანტინეს-ასულს. .

— ალბათ, დაიქანცე ლოდინით! აბა, წადი, შინ, — უთხრა იულია კონსტანტინეს ასულმა.

სერიოჟამ მაგრად ჩამოიფხატა ქუდი და მოჰკურცხლა. სული მხოლოდ თავისი სახლის ახლოს მოითქვა. პატარა ჭიშკარი გაღებული დახვდა, ეზო ცარიელი. სერიოჟა შევიდა სახლში. სამზარეულოს იატაკზე იჯდა ლიზა და დედოფალას არწევდა.

— ბებია! სერიოჟა მოვიდა!

ბებიამ გადმოიხედა ღუმელის უკანიდან.

— რატომ ხარ ასე წითელი და ოფლიანი? — გაუკვირდა მას. — ვინმეს ხომ არ წაეჩხუბე?

— ბებია, მე ახლა სკოლაში დავდივარ! — მიახალა სერიოჟამ.

— აი ეს კარგია. ნასწავლი კაცი იქნები; — უთხრა ბებიამ და პირჯვარი გადაიწერა. თვითონ კი არც კითხვა იცოდა და არც წერა.

— ბებია, სანოსთან წავალ!

— წადი, ოღონდ ბიჭებთან არ იანცო.

მაგრამ სერიოჟა მას უკვე აღარ უგდებდა ყურს, უმალვე გაიზურა ქარი.

სანკა, თითქოს ჯიბრზე, შინ არ იყო. მთელი ნახევარი საათი იჯდა სერიოჟა ჭიშკართან ქვაზე. ბოლოს გამოჩნდა სანკა. ის თურმე დუქანში გაეგზავნათ.

როგორც კი დაინახა სერიოჟამ, მაშინვე სხაპასხუპით უამბო ყველა თავისი ახალი ამბები:

— უკვე გამომიძახეს... სოკრატე ივანეს-ძე ყოველდღე სამ-სამ ახალ ასოს გვაჩვენებს. ჩქარა შეგვასწავლის წერა-კითხვას და გონებაში შეკრებას.

ამ დროს ბებიამ დაუძახა მათ, შემოდითო.

— აბა, ნასწავლებო, — დაუძახა მათ ბებიამ, — შემოდით სახლში — იალღო[1] ჭამეთ!

როცა დაბნელდა, ბებია შეუდგა მზადებას სერიოჟას წასაყვანად თავშესაფარში. მოიხურა ზურგზე ძველი შალი, გავიდა ეზოში, შეხედა ფარდულის გვერდით ამოსულ მაღალ ჭინჭარს და ამოოხვრით თქვა:

— აბა, მე მზად ვარ. წავიდეთ თავშესაფარში.

— მე დღეს თვითონ წავალ, — უპასუხა სერიოჟამ და ჩექმები აიწია.

— შეხედე ამას! — თქვა ბებიამ, — რადგან ასეა, წადი მარტო. — ხელი ჩააქნია და შებრუნდა სახლში.

ამ საღამოს სერიოჟა მარტო, უგამყოლოდ წავიდა თავშესაფარში.

* * *

სულ უფრო და უფრო ეჩვეოდა სერიოჟა თავშესაფრის ცხოვრებას. მას შემდეგ, რაც სკოლაში დაიწყო სიარული, თავშესაფარი უკვე აღარ ეჩვენებოდა ისე მომაბეზრებლად, როგორც წინათ. გამგე იულია კონსტანტინეს-ასული მისი ძალიან კმაყოფილი იყო. სერიოჟა ბიჭებს თუმცა წაეჩხუბებოდა ხოლმე, მაგრამ გოგონებსა და პატარა ბიჭებს არასოდეს არ აწყენინებდა, არ უტყაპუნებდა გადაკრეჭილ კეფაზე, არ უწევდა ყურს, როგორც სხვები.

---

[1] რუსული გემრიელი საჭმელი.

სკოლაში კარგად სწავლობდა, ხოლო თავშესაფრის სახელოსნოში, სადაც კალათებსა და ჩალის ქუდებს წნავდნენ, მოხუცი ოსტატი პალ პალის-ძე სულ იმის ქებაში იყო. არც ერთ ბავშვს არ შეეძლო ისე ოსტატურად დაეწნა ჩალის ქუდის ფსკერი და კალათას სახელური, როგორც სერიოჟას. სხვების, ყველას, ფსკერი ან ძეხვივით გამოწეული, ან წოწოლიკა გამოდიოდათ. ასეთ ქუდებს კი ბაზარზე არავინ ყიდულობდა.

ბებია მელანია ხშირად უყვებოდა სანიას დედას სერიოჟას წარმატებაზე.

— თავშესაფარში ამბობენ, სტეპანოვნა, რომ სერიოჟასაგან კაცი გამოვაო. სწავლის ნიჭი აღმოაჩნდა. ხასიათიც ბეჯითი აქვს. სხვა ბავშვი წერს, წერს და მიატოვებს, თუ არ გამოუვიდა. ჩვენი კი ოფლში გაიღვრება და თავისას გაიტანს. მე შეუპოვარი ვარ, ის კი ჩემზე შეუპოვარია. გასულ შემოდგომას აი რა შეემთხვა მას. თამაშობდა ეზოში, სახლს აშენებდა სილისაგან. ისე გაერთო, რომ გარშემო არაფერი ესმის და არაფერს ხედავს. უცებ წვიმამ დაუშვა. ვეცი სერგეის: „სახლში შედი!“ — ვუყვირი. ის კი ყურსაც არ იბერტყავს. გამოვირბინე წვიმაში, ვტაცე ხელი და შევათრიე დერეფანში. მიბრუნება ვერ მოვასწარი, იგი ისევ ეზოში გავარდა. წვიმა კი კოკისპირულად ასხამდა. მე ფანჯრიდან დავემუქრე მუშტით: შემოდი მეთქი შინ, ანცო! ის კი ჩაცუცქულა, სულ დასველებულა, გაჭუჭყიანებულა და მიყვირის: „სახლის შენებას გავათავებ და მოვალ!“ მე ხელი ჩავიქნიე. სულ მე მგავს ხასიათით!

თავი მეთოთრმეტე

თავშესაფრის ბავშვები და ქალაქელი ბავშვები

დადგა ზამთარი. დაიწყო პირველი ყინვები. დილაობით პარშალის ახლო გუბეებს ყინულის თხელი, გამჭვირვალე ქერქი გადაეკვროდა ხოლმე. კედლები, ღობე, ჭიშკარი, ძველი კასრიც კი, ფარდულის გვერდით რომ იდგა, სულ გათეთრდებოდნენ ჭირხლისაგან.

— ზამთარი, ზამთარი! — ყვიროდნენ ბავშვები და გარბოდნენ ეზოში პირველი ყინულის გასასინჯად.

მყიფე და გამჭვირვალე ყინული მყისვე იმტვრეოდა ფეხებქვეშ და მღვრიე წყალი ჩექმებზე ესხმებოდათ. შუადღისას სახურავზე ჭირხლის კვალიც კი არ დარჩებოდა. ის ჩქარა დნებოდა.

— ვაი თუ სულაც არ მოვიდეს ზამთარი? — წუხდნენ ბავშვები.

მაგრამ ზამთარი მოვიდა.

ერთხელ კვირა დილით თავშესაფრის ბავშვებმა რვა საათზე გაიღვიძეს, გაიხედეს ფანჯარაში და აღტაცებით შესძახეს. ფანჯრის იქით თოვდა. წვრილ-წვრილი ფიფქი როდი ცვივოდა, არამედ ბარდნიდა. თოვლს დაეფარა თავშესაფრის მთელი ეზო. სახურავებზე და ხეებზე თოვლი იდო. ცაც კი თითქოს რაღაც თეთრი ფერისა იყო.

საუზმის შემდეგ თავშესაფრის ბავშვებს საზამთრო ტანისაცმელი დაურიგეს. ბიჭებმა და გოგონებმა მიიღეს თბილი, დაბამბული, ნაცრისფერი პალტოები. პალტოს სახელოები შენაოჭებულად იყო ჩაკერებული და ფარანსა ჰგავდა. პალტოს გარდა ბავშვებს ხელჯაგები[1] და ჩულები დაურიგეს. ყოველ ჩულაზე შავად მო-

[1] უთითო ხელთათმანი.

ჩანდა ურჟუმის თავშესაფრის მრგვალი ბეჭედი. გოგონებმა დიდი აბრეშუმის თავშალით შეიხვიეს თავი, ბიჭებმა კი მრგვალი დაბამბული ქუდები დაიხურეს. პალტოები ისე იყო შეკერილი, რომ ბავშვების მომავალ ზრდას ითვალისწინებდა. კალთები ფეხებში ედებოდათ, სახელოები კი ისე გრძელი იყო, რომ მხოლოდ თითების წვერი მოუჩანდათ.

— ხუცესო! ხუცესო! — აჯავრებდნენ ერთმანეთს ბიჭები.

ეზოში მეეზოვე პალადი თოვლის ნამქერს ხვეტავდა ხის დიდი ნიჩბით. სერიოჟამ მიირბინა მასთან.

— აბა, თანაშემწევ! აი ზამთარიც მოვიდა, — უთხრა პალადიმ და ხელები გვერდებზე დაიბარტყუნა.

„თანაშემწე“ მეეზოვემ ამას წინათ შეარქვა სერიოჟას, როცა ეზოში შეშის მთელი ზვინი დაიშალა და სერიოჟა დაეხმარა მის ასაკრებად.

— ნიჩაბი მომე, პალადი! მთა უნდა ავაშენო, — თხოვა სერიოჟამ.

— წაიღე, ოღონდ შემდეგ ადგილზე დადე!

სერიოჟა გავიდა ჭიშკარს იქით, ურჟუმკის ნაპირას. ბამბის გრძელი პალტოთი, პატარა და მხარბეჭგანიერი, ბაჯბაჯით მიდიოდა ეზოში და თოვლში მიათრევდა ვეებერთელა ნიჩაბს.

— ეი, კოჭავ, მხარზე გაიდე ნიჩაბი, უფრო მოხერხებული იქნება, — მიაძახა პალადიმ.

სერიოჟამ თოფივით გაიდო მხარზე ნიჩაბი და აუჩქარებლად გავიდა ჭიშკარში.

ამ კვირა დღეს თავშესაფრის ბავშვებმა გაყინული ურჟუმკის ნაპირას თოვლის დიდი მთა დააგროვეს. სამუშაო ყველას თავსაყარი ჰქონდა. მაგრამ ყველაზე მეტს სერიოჟა ცდილობდა. ის აგროვებდა თოვლს, ბეკნიდა ჩულებით და ასეთი ხერხიც კი გამოიგონა: რომ ჩქარა ამოეყვანა მთა, თოვლს ჩიჩობით მიათრევდა. მეეზოვე პალადიც კი მივიდა ბავშვების დასახმარებლად და, როცა მთა მზად იყო, სამი ვედრო წყალი გადაასხა მას.

საღამოსათვის მთა გაიყინა და ბავშვებმა დაიწყეს ციგაობა. მაგრამ ციგაობა უხერხული იყო. თავშესაფარში ციგები არ ჰქონდათ და მთიდან ჩამოსასრიალებლად ან პალტო უნდა დაეფინათ ან ჩიჩობი.

ვასკა ნოვოგოდოვმა ჩიჩობს წყალი დაასხა საღამოთი და ღამე ეზოში დატოვა. ჩიჩობი გაიყინა და ისეთი გახდა, თითქოს ლაფანისა არისო. მაგრამ ვასკამ მთიდან ჩამოსრიალებაც კი ვერ მოასწრო, რომ მის ჩიჩობზე ყინული მინასავით დასკდა და დაცვივდა. მხოლოდ პალტო დასველდა უკანიდან და მეტი არაფერი გამოვიდა.

ერთხელ საღამოს, როცა ბავშვები ქუჩაში გამოვიდნენ საგუნდაოდ, მათ შენიშნეს, რომ ურჟუმკის მაღალი ნაპირიდან დაბლა, პირდაპირ ყინულისაკენ. რაღაც შავი გუნდა მოგორავს. მივიდნენ ახლოს, დააკვირდნენ და ამ შავ გუნდაში ვასკა ნოვოგოდოვი იცნეს.

— ეი, ბიჭებო, მოდი ჩვენც მთიდან ჩამოვსრიალდეთ! — დაიძახა პაშკამ. — აქ მეტი დაღმართია, ვიდრე ჩვენს მთაზე. შიგ მდინარის შუა ალაგამდე შეიძლება ჩასრიალდე.

მან გაშალა თავისი ჩიჩობი და ის-ის იყო უნდოდა ნაპირიდან ჩასრიალება, რომ ქვევით ნამქერიდან აქოშინებული ვასკა ნოვოგოდოვი ამოხტა.

— შენ ეს რა მოიგონე, მწითურო მამალო? ჩემი მთიდან გინდა ასრიალო? ისე ჩაგაფარებ, რომ ყირამალა გადატრიალდები.

პაშკამ მორჩილად ასწია თავისი ჩიჩობი, მიიხედ-მოიხედა და თავშესაფრის მთისაკენ წავიდა.

ამ შემთხვევის შემდეგ ბავშვებს „ვასკას მთის“ ახლოს გავლაც კი ეშინოდათ.

ასე გავიდა რამდენიმე დღე. მაგრამ, აი, როგორღაც, საღამოჟამს, ბავშვები ისევ გაჩნდნენ ვასკას ნაპირზე. უკვე ღამდებოდა. თოვლი ცისფერდებოდა, თითქოს ვიღაცამ მთელ დედამიწას ლილის თხელი ხსნარი გადაასხაო. მდინარის ნაპირთან ღინღლიანი ბუმბულივით იდო თოვლი. გული მიგიწევდა გამოქანებულიყავი და ჩამხტარიყავი გაფუებულ რბილ ნამქერში.

ბავშვები მივიდნენ სულ ნაპირას და ჩაიხედეს ძირს. იქ, დაბლა, თითქმის ურჟუმკის შუაგულს, ვასკა ნოვოგოდოვი თოვლს ბეკნიდა, თანაც ტანიდან იფერთხავდა.

სერიოჟა ერთ წამს შედგა მთაზე და მერე აუჩქარებლად შეუდგა თავისი ჩიჩობის გაშლას.

— არ ჩასრიალდე, გცემს ვასკა! — დაუძახეს ერთხმად ბავშვებმა.

სერიოჟამ მათ ყური არ ათხოვა და უსიტყვოდ დაჯდა ჩიჩობზე.

— ახ, უყურეთ! მიჰქრის, მიჰქრის! — ჩაიწრიპინა ზინკამ.

და მართლაც, სერიოჟა უკვე მისრიალებდა დაბლა მაღალ გაყინულ ნაპირიდან და უკან თოვლის კორიანტელს აყენებდა. დიდხანს უყურებდნენ ბავშვები, როგორ მოჩანდა ნამქერებს შორის მისი დიდი მრგვალი ქუდი.

ათი წუთის შემდეგ კი ბავშვებს ჩაურბინა მდინარიდან გამოქცეულმა ვასკა ნოვოგოდოვმა. მას ამოეღლიავებინა დახეული ჩიჩობი. მირბოდა, უკან მოიხედავდა და ვიღაცას ემუქრებოდა მუშტით.

მეეზოვე პალადი ამბობდა შემდეგ, როცა ვასკამ ეზოში შემოირბინა, პირველად კასრს ეძგერა და მთელი ძალ-ღონით დაუწყო წიხლის ცემაო; შემდეგ ჩიჩობი მიწაზე დააგდო და საშინელი ღრიალი მორთოო.

მეორე დღეს კი ვასკას მთაზე სერიოჟასთან ერთად კიდევ რამდენიმე ბიჭი წავიდა.

— წავიდეთ, ბიჭებო! რისი გეშინიათ? — ეძახდა მათ სერიოჟა.

— საშიშია. აქ ძალიან დიდი ციცაბოა.

— საშიში არაფერია, — არწმუნებდა სერიოჟა, — ოღონდ ყურებში ძალზე ზუზუნებს და თოვლიც პირში გცემს. თვალი მაგრად უნდა დახუჭო! მეტი არაფერი!

პირველად სერიოჟა ჩასრიალდა ნაპირიდან, მას სხვებიც მიჰყვნენ.

* * *

ამის შემდეგ ორი კვირა გავიდა და ისეთი ამბავი მოხდა, რომ ამის შესახებ დიდხანს ლაპარაკობდნენ თავშესაფრის ბავშვები.

საბრევლო სკოლაში, გარდა თავშესაფრის ბავშვებისა, ურჟუმელი ვაჭრებისა და შეძლებული მოსახლეთა ბავშვებიც სწავლობდნენ. თავშესაფრისა და ქალაქელ ბავშვთა შორის დიდი ხანია არსებობდა მტრობა. როგორც კი გამოვიდოდნენ სკოლის ეზოდან თავშესაფრის ბავშვები, მათ დაუწყებდნენ გამოჯავრებას:

— სად მიხოხავ თავშესაფრის ტილო?

თავშესაფრის ბავშვები სდუმდნენ, რადგან ეშინოდათ ქალაქელების გადაკიდებისა. ესენი უფროსებიც და უფრო ლონივრებიც იყვნენ, — თავთავიანთ სახლში ცხოვრობდნენ და არა თავშესაფრის ხარჯზე. ქალაქელ ბავშვების მთავარი მოთავე ლოყაწითელი ლეშკა იყო, ნოქრის შვილი ვოსკრესენსკაიას ქუჩიდან. ის ერთი კლასით უფროსი იყო სერიოჟაზე.

ერთხელ დიდი დასვენებისას მან ფეხი გამოჰკრა სერიოჟას. სერიოჟა გაიშხლართა იატაკზე და მწარედ ეტკინა მუხლი. თავისი ხუმრობით კმაყოფილი ნოქრის შვილი კი კლასში გაიქცა.

დარეკეს ზარი. სერიოჟა კოჭლობით გაემართა თავის ადგილზე.

მთელი გაკვეთილი ის მოღუშული იჯდა, იყურებოდა კუთხისკენ და ფიქრობდა: როგორ უჩვენოს ქალაქელებს, რომ თავშესაფრის ბიჭებსაც შეუძლიათ თავის დაცვა? ნუთუ სულ უნდა მოითმინონ მათი წკიპურტი, პანღური და დამამცირებელი სიტყვები? და რის გულისათვის? ის ხომ თავად არ შესულა თავშესაფარში — ბებიამ მიიყვანა იქ.

გაკვეთილი გათავდა, მასწავლებელი კლასიდან გავიდა. მოღუშული სერიოჟა ისევ ისე მერხზე იჯდა.

— წავიდეთ კოსტრიკოვ! — უთხრა მას პაშკამ.

სერიოჟა ადგა და ჩანთაში საკალმისა და წიგნების ჩალაგება დაიწყო.

პატარა და ბნელ გასახდელ ოთახში ამ დროს მხოლოდ ოთხი პალტო ეკიდა. უკვე ყველანი წავიდ-წამოვიდნენ სახლებში.

სერიოჟამ ჩაიცვა და ამხანაგებთან ერთად ეზოში გამოვიდა. იგი კვლავ კოჭლობდა.

— გტკივა?

— აბა, არა? — გაჯავრებით ჩაიბუზღუნა სერიოჟამ.

სკოლის ეზო ცარიელი იყო.

— ოჰო, დღეს ხელს არ გვახლებენ. ყველანი წავიდნენ! — გაეხარდა პაშკას.

მაგრამ ეს თქვა თუ არა, მყისვე მეზობელი სახლის ჭიშკრიდან ყვირილით გამოცვივდნენ ქალაქელები. წინ მორბოდა ლეშკა. ციყვის ტყავის თეთრი ქუდი ეხურა, გვერდზე მოგდებული.

— დასცხე თავშესაფრელებს! — დაიყვირა მან.

პაშკამ და კიდევ ორმა ბიჭმა მოჰკურცხლეს. სერიოჟა დარჩა მარტო შუა ქუჩაში. ლეშკა მივარდა და ქუდი გადაუგდო სერიოჟას.

— დასცხე მაგას, კიდევ დასცხე! ეს ცოტაა! — დაიყვირეს ქალაქელებმა და სერიოჟას ქუდი ფეხით ააბურთავეს.

სერიოჟა არც კი ფიქრობდა ქუდის წართმევას. ის იდგა ერთ ადგილას, დიდი, გადაკრეჭილი თავი დაეხარა და ღრმად სუნთქავდა.

ლეშკამ მოიქნია და მუშტი ჩაჰკრა მკერდში. სერიოჟამ უკან დაიწია, შემდეგ წინ გამოქანდა. მუხლები ჩაეკეცა.

— პატიებას ითხოვს! — დაიღრიალეს ქალაქელებმა.

მაგრამ სწორედ ამ წუთს სერიოჟამ მოქნევით გაარტყა თავი ლეშკას მუცელში. მან ხელები გაასავსავა და გულღმა დაეცა. სერიოჟამ გონს მოსვლა არ აცალა და მთელი ტანით დააწვა. ლეშკა ფართხალებდა, ლამობდა ადგომას, მაგრამ სერიოჟას მაგრა ეჭირა.

— გამიშვი!—დაიღრიალა ლეშკამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ფეხების კვრა დაიწყო.

— კიდევ იჩხუბებ?

— გამიშვი!

— იჩხუბებ?

— გა-ა-მი-შვი! გესმის — გა-მიშვი!

ლეშკა თავს აქიცინებდა და თვალით ამხანაგებს ეძებდა. მაგრამ ისინი ღობესთან იდგნენ და არც კი ფიქრობდნენ მიშველებას.

— მიპასუხე, იჩხუბებ? იჩხუბებ? — ეკითხებოდა სერიოჟა ქმინვით და ქაქანით.

— არ ვიჩხუბებ, — უპასუხა ბოლოს ლეშკამ, მაგრამ ჩუმად, რომ მის მეგობრებს არ გაეგონათ.

— მიფრთხილდი! — უთხრა სერგეიმ და ადგა.

აუჩქარებლად ჩამოიბერტყა თოვლი პალტოსა და ჩულებიდან და გარშემო მიმოიხედა. ქუჩის მეორე ბოლოდან თავშესაფრის ბავშვები მორბოდნენ. ისინი ყველაფერს ხედავდნენ საფრიდან. წამე ახალ ორშაურიანივით უბრწყინავდათ. პაშკამ აიღო სერიოჟას ქუდი, დაიბერტყა მუხლზე და მიაწოდა სერიოჟას.

ხოლო ამ დროს ლობესთან ლეშკა თავის ჯგუფს აგინებდა.

— თქვენ რას დაალეთ ხახა, როცა ის დამეტაკა? — ამბობდა ლეშკა კბილების კრაჭუნით და მუშტებს კუმშავდა.

— ერთი ყოველთვის ერთის წინააღმდეგ ჩხუბობს, — თავს ამართლებდნენ მეგობრები.

თავშესაფარში მთელი საღამოს განმავლობაში მხოლოდ სერიოჟაზე ჰქონდათ საუბარი.

— კოსტრიკოვმა კი როგორ დასცხო!.. როგორ დასცხო!... — აღტაცებით ჰყვებოდა პაშკა.

— ახლა კი ვუჩვენებთ ქალაქელებს! — გაიცინა ერთმა ბიჭმა.

ეს პირველი შემთხვევა იყო მთელი ამხნის განმავლობაში, რომ ქალაქელებმა ვერ შესძლეს თავშესაფრის ბავშვების ცემა.

თავი მეცამეტე

უ. ს. ს.

სერიოჟა თერთმეტი წლისა იყო, როცა სამრევლო სკოლა დაამთავრა. ვინც სკოლაში კარგად სწავლობდა, მას სწავლის გასაგრძელებლად აძლევდნენ ურეუმის სამოქალაქო სასწავლებელში, რომელსაც ბავშვები შემოკლებით უ. ს. ს. უწოდებდნენ (ურეუმის სამოქალაქო სასწავლებელი)..

მაგრამ სამოქალაქო სასწავლებელში მოხვედრა ძნელი საქმე იყო. ეს კლასიდან კლასში გადასვლა როდი იყო, — აქ საუკეთესო მოწაფეებს შეარჩევდნენ ხოლმე.

— კოსტრიკოვს რა უჭირს! მას ხელად მიიღებენ სამოქალაქოში!—შენატროდნენ სერიოჟას თანამოკლასენი.

— რატომაც არ მიიღებენ, როცა მას სულ ხუთიანები და ოთხიანები აქვს.

და მართლაც, სერიოჟა პირველი იყო, რომელიც დაასახელა სოკრატე ივანეს-ძემ, როცა სამოქალაქო სასწავლებელში გადაყვანილი მოწაფეები გამოაცხადა.

სასწავლებელი მდებარეობდა პოლსტოვალოვის ქუჩაზე, თეთრ ორსართულიან სახლში, რომელსაც მწვანე თუნუქით გადახურული სადარბაზო პარმაღი ჰქონდა. პატარა, საცოდავი ხის სახლების გვერდით, ეს სახლი დიდი და მორთული მოჩანდა.

სადარბაზო კარებიდან მხოლოდ მასწავლებლები დადიოდნენ, მოწაფეები კი, ჩექმებით ქვის კიბე რომ არ გაესვარათ, უკანა კარით შერბოდნენ, დირექტორის სამზარეულოს გვერდით. აქ მუდამ გემრიელი მსუქანი სუპისა და შემწვარი ხორცის სუნი იდგა. რეცხვის დღეებში კი სქელი თეთრი ოხშივარი ბოლქვად იდგა სამზარეულოში, როგორც ნისლი ჭაობზე.

ეკოლის ეზოში გაშენებული იყო პატარა ბაღი, სადაც ორი დაჩიავებული ნაძვის ხე და თხებისაგან დახრული რამდენიმე ალვის ხე იდგა. ეზოს სიღრმეში აღმართული იყო ხარიხაგადებული ბოძები, რომელიც სახრჩობელას ჰგავდა, და „გიგანტები“ — გიგანტური საბიჯები, რომლებზედაც სირბილი აკრძალული იყო, რადგან ბოძები დამპალი და ძველი იყო.

ურჟუმის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეებს თავი მოსწონდათ სამრეკლო სკოლის ბავშვების წინაშე. მათი სასწავლებელი დიდ ქვის სახლში იყო მოთავსებული. იქ მხოლოდ ბიჭები სწავლობდნენ, სამრეკლო სკოლა ორივით როდი იყო, სადაც გოგონები და ბიჭები ერთად ისხდნენ. მთავარი ის იყო, რომ ურჟუმის სამოქალაქო სკოლის მოწაფეები ფორმას ატარებდნენ: თაგვის მსგავსი ნაცრისფერი შარვლები და ქურთუკები ეცვათ, წელზე ტყავის ქამრები ერტყათ, სპილენძის ბალთით, რომელზედაც სამი ასო ეწერა: უ. ს. ს. მოწაფეები ბალთას ცარცით წმენდნენ, რომ თვალისმომჭრელად ელაპლაპა. მათ უყვარდათ გაღეღილად სიარული, რომ მეტად მოეწონებინათ თავი სამრეკლო სკოლის მოწაფეთა წინაშე თავისი ფორმით. მართალია, ბევრ მათგანს ფორმის ქურთუკი და შარვალი ისეთი უხეში მაუდისაგან ჰქონდათ შეკერილი, რომ ზედ ბეწვები ჯაგარივით მოჩანდა, მაგრამ მაინც ეს იყო ფორმა. სანკა სამარცევი უკვე ორი წელია თავს იწონებდა ამ ფორმით. ახლა კი სერიოჟას ჯერიც დადგა. ორივენი ივლიან ქუჩაში ერთმანეთის მსგავსნი, და ვერავინ მიხვდება, რომელია მათ შორის თავშესაფრის ბავშვი და რომელი არა.

თუმცა ისინი სხვადასხვა კლასებშია, მაგრამ მაინც შეიძლება შეხვედრა დასვენებაზე, ხოლო გაკვეთილების შემდეგ ერთად დაბრუნდებიან სკოლიდან. გარდა ამისა, სერიოჟამ, შეიძლება, ხანდახან შინაც შეირბინოს, მით უმეტეს, ბებიას სახლი აქვეა პოლსტოვალოვის ქუჩაზე.

მაგრამ ყველაფერი სხვანაირად დატრიალდა. ერთხელ კვირას სანია შეხვდა სერიოჟას შეფიქრიანებული.

— ახალი ამბავი გითხრა, — განაცხადა მან დიდი ამბით, — სამოქალაქო სასწავლებელში მე მეტს აღარ ვისწავლი, შემოდგომაზე კი ვიატკაში წავალ რეალურ სასწავლებელში.

და მან უთხრა სერიოჟას, რომ ის ველარ შესძლებს ისეირნოს მასთან ერთად კვირაობით, რადგან მთელი ზაფხული უნდა ვიმეცადინო, რეალურისათვის რომ მოვემზადოვო, თუ გამოცდას დავიჭერ „რეალისტს“ დამიძახებენ და ფორმასაც იმაზე უარესს როდი ვატარებ, სტუდენტები რომ ატარებენო.

— ძნელია რეალურში სწავლა? — ჰკითხა სერიოჟამ.

— მერე როგორ! მარტო გეომეტრია რადა ღირს...

— თუ კარგად ისწავლე გაკვეთილები?

— არ ვიცი, — გააქნია თავი სანიამ, მიიხედ-მოიხედა გარშემო და იდუმალი ჩურჩულით უთხრა: — ხვალ მოჯანყეებთან წავალ.

— რისთვის?

— ისინი მომამზადებენ რეალურისათვის. ისინი ხომ ნასწავლი ხალხია — სტუდენტები. სამკითხველოს გამგე ქალი დამეხმარა, რომ იმათ მასწავლონ. მათი ნაცნობია, დედაჩემი კი სამკითხველოს გამგეს თეთრეულს ურეცხავს.

— მეც წამიყვან იმათთან? — ჰკითხა სერიოჟამ.

—წაგიყვან როგორმე, — დაჰპირდა სანია.

— როცა მათთან წახვალ, კარგად დააკვირდი, როგორ არიან ისინი იქ; — სთხოვა სერიოჟამ.

— კარგი, — დათანხმდა სანკა და დაიწყო თითებზე ჩამოთვლა იმ საგნებისა, რომელშიაც მას მომზადება ჭირდებოდა.

სანკამ ხუთი თითი ერთ ხელზე მოღუნა, ორი მეორეზე.

— საღვთო რჯული, რუსული, არითმეტიკა, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია. და ხაზვა, და კიდევ ზეპირი რუსული და წერითი რუსული... დაიღუპება კაცი!

— სამოქალაქოში რამდენი გაკვეთილია? — ჰკითხა სერიოჟამ.

— იქაც საკმარისია, — თქვა სანკამ და ისეთი ამბები დაიწყო სამოქალაქოზე, რომ სერიოჟამ არ იცოდა დაეჯერებინა თუ არა. სანიას სიტყვით, დირექტორი, ალექსი მიხეილის-ძე კოსტროვი, ბოროტი კაცი იყო, მძვინვარე მხეცივით; ერთი ბეწო რამ საკმარისია, რომ უჩქმიტოს ბავშვებს, სცემოს სახაზავით და ათრიოს თმით.

— შენ უცემიხარ? — ჰკითხა სერიოჟამ.

— ვუცემივარ. ერთხელ თმებში მწვდა, ორჯერ სახაზავით შცემა.

— თუ კარგად დაამზადე გაკვეთილი, მაშინ?

— ჰო, მაშინ ეგრე რიგად არ გცემს, მაგრამ მაინც მოგხვდება.

შემდეგ კვირას სანია შეხვდა სერგეის ბუისკისა და ვოსკრესენსკის კუთხეში.

— მოჯანყეებთან ვიყავი, — უთხრა სანიამ ჩურჩულით. და ისე ჩაუკრა თვალი, რომ სერიოჟას სუნთქვა შეეკრა.

ბიჭებმა ეზოში შეირბინეს და ფარდულის ქვეშ მორზე ჩამოსხდნენ. სანია გადიხარა სერიოჟასაკენ და რაღაც უჩურჩულა ყურში.

— არაფერი მესმის, ხმამაღლა მითხარი,—გაბრაზდა სერიოჟა.

სანიამ გარშემო მიმოიხედა და ხმადაბლა დაიწყო მოჯანყეებზე საუბარი.

სერიოჟამ გაიგო, რომ ყველაზე მთავარ მოჯანყეს დიმიტრი სპირიდონის-ძე მავრომატის ეძახიან; სწორედ ის მეცადინეობს სანიასთან. მოჯანყესთან მეცადინეობა არც თუ ისე საშიშია. დიმიტრი სპირიდონის-ძე არ იცემება და არ ყვირის, დირექტორ კოსტროვსავით, ხოლო თუ სწორად არ უპასუხე, მაგიდაზე ფანქრით დაიწყებს კაკუნს. ზის და აკაკუნებს თავისთვის: ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ. მანამ არ შეწყვეტს კაკუნს, სანამ არ გაასწორებ ბასუხს ან სრულიად არ გაჩერდები. ხოლო როცა კარნახით სწერ, თავზე კი არ დაგადგება, არამედ დადის ოთახში. ამოცანებსაც დიმიტრი სპირიდონის-ძე თვითონვე იგონებს. სახელმძღვანელოში მოსაწყენი ამოცანებია: ხან წყალს ეხება — ერთი აუზიდან მეორეში რამდენი წყალი გადაასხესო, ხან მოგზაურებს ეხება — რამდენი ვერსი გაიარესო მათ ერთი ქალაქიდან მეორეში, მოჯანყეს კი განსაკუთრებული ამოცანები ჰქონია. პირველი ამოცანა მან თევზის შესახებ გამოიგონა: — რამდენი თევზი დაიჭირესო მეთევზეებმა ბადით და რამდენი ფული აიღესო? ყველა თევზი დაასახელა მასწავლებელმა. რამდენია ნაფოტა, რამდენია ქარიყლაპია, რამდენია ქორჭილა, რამდენია თავდიდა. მეორე ამოცანა კიდევ უკეთესი იყო — ცხენების ჯოგზე. საჭირო იყო დაგეთვალა, რამდენი იყო ქურანა, ამლაყი, შავი, სისვი, წაბლა, ლურჯა, თეთრა. ძალიან საინტერესოა! შესახედავად დიმიტრი სპირიდონის-ძე ყველა სხვა მოჯან-

ყესა ჰგავს: გრძელი თმები აქვს და სათვალეებს ატარებს, ოღონდ სათვალეებს არავითარი რკალურა არა აქვს, მარტო მინებია, ზონრით ყურზე გადაკიდებული.

— ჩვენს იულია კონსტანტინეს-ასულსაც სათვალეები შავ ბაწარზე აქვს, ოღონდ რკალურიანი კია, — თქვა სერგეიმ, შემდეგ კი სანიას სთხოვა მიამბეო, რას აკეთებენ მოჯანყეები შინ.

— წიგნებს კითხულობენ, ერთი მოჯანყე კი ხალათს იკერებდა, — უპასუხა სანიამ და სხაპასხუპით მოუყვა, თუ როგორ მიიპატიჟა ჩაიზე ახალმა მასწავლებელმა გაკვეთილის შემდეგ. ჩაიზე მათ თეთრი ბლითები უჭამიათ. დიმიტრი სპირიდონის-ძის გარდა, ოქ კიდევ სამი მოჯანყე ყოფილა: ერთი მაღალი, თმახუჭუჭა, მეორე წვერიანი, ეტყობა, ბრაზიანია, მესამეს კი კისერი ჰქონდა შეხვეულიო. ჩაის ქალი ასხამდა, ისიც მოჯანყე ყოფილა. მას ყველანი „პანა[1] მარიას" ეძახდნენ; მამაკაცის ხალათი ეცვა თეთრ ღილებიანი, წელზე თასმა ერტყა, თმები შეკრეჭილი ჰქონდა და უკან გადავარცხნილი დიმიტრი სპირიდონის-ძესავით.

— კიდევ რა ნახე? — ჰკითხა სერგეიმ.

— ესაა სულ! — მოუჭრა სანკამ და დადუმდა.

მას მეტი არა ჰქონდა რა სათქმელი.

მართალი ითქვას, ის არც თუ ისე კმაყოფილი იყო მოჯანყეებით. ის მოელოდა, რომ დაინახავდა რაღაც განსაკუთრებულს — არა ისეთს, რაც ყველა ურჟუმელს ჰქონდა. იმათაც ყველაფერი ჩვეულებრივი ჰქონდათ: ძველი სამოვარიც გაღუნული ზედადგარით, ცისფერყვავილებიანი საჩაიო ფინჯნებიც, გამობურთული მინის საშაქრეც. და სხედან მოჯანყეები ჩვეულებრივ ტაბურეტებზე, სძინავთ რკინის ვიწრო საწოლებზე, ახურავთ დალიანდაგებული ბამბის საბანი. რაფაზე კი ქოთნები უდგათ, სადაც ჩარგულია ფიკუსი და აგავა, როგორც ბებია მელანიასას.

— ტყუიან მათ შესახებ, — თქვა ფიქრის შემდეგ სანიამ.

— ვინ?

— ვინ და ყველა ურჟუმელები. ამბობენ, მოჯანყეები ყველანი ანტიქრისტეები არიანო, არაფრისა არ ეშინიათო, სახლში

[1] პანა — ქალბატონი.

ბომბები და დამბაჩები აქვთო მეფის მოსაკლავად, მე კი არაფერი ამის მსგავსი არ მინახავს.

— მაშ რატომ ტყუიან?

— იმიტომ, რომ ხალხი დააშინონ, — თქვა სანკამ. შემდეგ გაიფიქრა და დაუმატა: — ვინ იცის, იქნებ, მართალსაც ამბობენ? შესაძლებელია, ისინი, მოჯანყეები, ეშმაკი ხალხია და განგებ ყველაფერი გადამალეს, მე როცა მივედი. ვინ იცის მაგათი ამბავი!

თავი მეთოთხმეტე

მასწავლებლები და მოწაფეები

1897 წლის შემოდგომაზე სანია ვიატკას წაიყვანეს, რეალურ სასწავლებელში, სერიოჟამ კი ურჟუმის სამოქალაქო სასწავლებელში დაიწყო სწავლა.

პირველ დღესვე, სკოლაში რომ მივიდა, პარაკლისზე სერიოჟამ დაინახა საშინელი და ბრაზიანი დირექტორი კოსტროვი, რომელზედაც ელაპარაკებოდა მას სანია.

პარაკლისი უნდა დაწყებულიყო ცხრა საათზე დარბაზში, მეორე სართულზე. დარბაზი სრულიად ცარიელი იყო. მხოლოდ კედლების გასწვრივ იდგა სკამები, კარის პირდაპირ კი გამოჭიმულიყო ოქროს ჩარჩოში ჩასმული დიდი სურათი მეფისა, მთელი სიგრძე სიგანით. მეფის მარჯვნივ და მარცხნივ ჩამოკიდებული იყო სურათები, რომელთაც არავითარი ჩარჩო არ ჰქონდათ. ერთზე დახატული იყო ბუსუსიანი ძალზე მწვანე ხეები და მათ შორის მიწაზე გაწოლილი ვეფხვი; ხეების ტოტებზე ისხდნენ ნარინჯისფერი მაიმუნები; მრგვალი ცისფერი ტბიდან ნიანგს გამოეყო კბილებიანი ხახა. სურათს ეწოდებოდა „ტროპიკული ტყე“.

დანარჩენი სურათები უფრო უბრალო იყო: ზღვის ფსკერი კიბორჩხალებით, მედუზებით და ვარსკვლავებით, ჩრდილოეთის ციალი და სტალაქტიტური გამოქვაბული.

პარაკლისის მოლოდინში ახალი მოწაფეები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ დერეფანში და იხედებოდნენ დარბაზსა და კლასებში. აღმოჩნდნენ ისეთი გაბედულნიც, რომელნიც მივიდნენ სამასწავლებლო ოთახის კარებთან და შეიხედეს გასაღების ჭუჭრუტანაში. თუმცა მათ ვერაფრის დანახვა ვერ შესძლეს, რადგან ჭუჭრუტანას რაღაც ლილისფერი ჰფარავდა. სამაგიეროდ გაიგონეს, სამასწავ-

ლებლოში როგორ ლაპარაკობდნენ ორნი. ერთი თითქოს ჰყეფდა ხრინწიანი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით, მეორე ახველებდა და ბოხი ხმით ლაპარაკობდა.

სერიოჟა სხვებთან ერთად იდგა დერეფანში და უყურებდა, თუ როგორ ჭიდაობდა ორი ახალი მოწაფე კიბესთან.

უცებ სამასწავლებლო ოთახის მძიმე კარი ფართოდ გაიღო. ოთახიდან ჩქარი ნაბიჯებით გამოვიდა მაღალი, გამხდარი და წელში მოხრილი კაცი. მას ხელები უკან დაეწყო. მწყრალი მოჩანდა მისი ფერმკრთალი და თითქოს ნამძინარევი სახე გასიებული ქუთუთოებით. მისი სქელი წარბები ისე მოძრაობდნენ, როგორც ორი შავი მუხლუხო.

— დირექტორი, დირექტორი,—დაიწყეს ჩურჩული დერეფანში.

— სად იმყოფებით თქვენ, ა? — დაიყვირა დირექტორმა და ისე შეხედა ბიჭებს, რომ მათ უკან დაიხიეს, ერთმა მათგანმა კი ფეხი წაჰკრა საფეხურს და კინაღამ ყირამალა დაეშვა კიბიდან.

— დაუყოვნებლივ დარბაზში, პარაკლისზე! — მყეფავი ხმით გასცა განკარგულება კოსტროვმა.

ახალი მოწაფეები შეჩოჩქოლდნენ.

უცნობმა მასწავლებელმა ორ-ორად ჩაამწკრივა ისინი და წაიყვანა დარბაზში.

ჭაღარა, გრძელთმიანმა ბებერმა ხუცესმა, რომელსაც სოსანისფერი ანაფორა ეცვა, დაიწყო პარაკლისი. ის პარაკლისს იხდიდა დიდხანს, აუჩქარებლად, სიტყვებს ამბობდა გაუგებრად, — სერიოჟა თითქოს ყურს უგდებდა მას, ნამდვილად კი თვალს არ აშორებდა ნარინჯისფერ თეთრტორებიან ვეფხვს ტროპიკულ ტყეში.

• • •

გავიდა თვე. ახლა ყველა ახალმა მოწაფემ უკვე კარგად იცოდა ყოველი მასწავლებლის ახირებული ჩვეულება, ხოლო რამდენი მასწავლებელი იყო, იმდენი ახირებული ჩვეულება არსებობდა. ინსპექტორი ვერეშჩაგინი, გაბრიელ ნიკოლოზის-ძე, ყველაზე მეტად იმაზე ზრუნავდა, რომ მოწაფეებს კარგად წაეკითხათ სლავურად. ის მოწაფეებს მუდამ მიუთითებდა. სასაფლაოს ეკლესიის დიაკვნის მაგალითზე, რომელიც ისეთი ხმით ღრიალებდა, რომ ეკლესიის სანთლების ალი თრთოდა, თითქოს ქარი უბერავსო.

თუ მოწაფე გაუბედავად კითხულობდა, ბორძიკობდა ან სიტყვებს აჭიანურებდა, ვერეშჩაგინი მას ხელიდან გამოგლეჯდა წიგნს, თავს გადაჰკიდებდა და გამოაჯავრებდა:

— ბე-ე-ე-, ბე-ე-ე, — კიკინებდა თხასავით და თავს აკანტურებდა.

— კარგია? — ეკითხებოდა ინსპექტორი და იმ წამსვე დაუმატებდა: — აი, შენც ასე, ბრიყვო, ვითარცა ცხოვარი, კითხულობ საღვთო წერილს.

ბებერი ხუცესი დიდი მოყვარული იყო თევზის ჭერისა. მას ხშირად ხედავდნენ ურეუმის ქუჩებში ქვედაკაბა ამოკეცილს, ხელში ვედროთი და ანკესით. იგი ხშირად წაიყვანდა ხოლმე მოწაფეებს და ძალიან შეშურდებოდა, თუ ისინი მეტს დაიჭერდნენ, ვიდრე თვითონ.

— ოჰო! — იტყოდა ხოლმე. რომელიმე იღბლიანი მეთევზე, მაგრამ უიღბლო მოწაფე — რამდენი ქორჭილა დავიჭირე გუშინ!.. ახლა ხუცესი უეჭველად ორიანს მტკიცავს, შეიძლება ერთიანიც დამისვას.

ბავშვებს ყველაზე მეტად არითმეტიკისა და რუსული ენის მასწავლებელი ნიკიფორე საველის-ძე მოროზოვი უყვარდათ. იგი სქელი და ღაჟღაჟა იყო, სუფთად იპარსავდა თავს, ლოყებსა და ნიკაპს, იტოვებდა მხოლოდ პატარა ულვაშებს, თითქოს მიწებებული აქვსო ზევითა ტუჩზე. ჭრელი გადმოკარკლული თვალები ყოველთვის მოჭუტული ჰქონდა. ზამთარ-ზაფხულ მოროზოვს თეთრი ტილოს ხალათი ეცვა, რომელსაც კალთები, საყელო და სახელოები ღიღილოებით და გვირილებით ჰქონდა მოქარგული.

ვიღაც ურეუმელმა მცხოვრებმა მოქარგული ხალათის გამო მას „მალოროსი“[1] დაარქვა, ხოლო გაპარსული სახის გამო „არტისტი“.

მეორე სახელწოდება ნიკიფორე საველის-ძეს მართლაც უხდებოდა, რადგან სცენისმოყვარეთა წარმოდგენებზე მასზე უკეთესად ვერავინ თამაშობდა კომიკურ როლებს. ის ხანდახან ქალის როლსაც თამაშობდა: ვინმე მაჭანკლისა, მონაზვნისა ან ვაჭრის ცოლისასაც კი.

---

[1] მალოროსი — უკრაინელების ძველი სახელწოდებაა.

გაკვეთილის დროს ნიკიფორე საველის-ძე მიდი-მოდიოდა კლასში, აქნევდა ხელებს, ატკაცუნებდა თითებს და ცერებზე დგებოდა.

ხმა კი, რანაირი ხმა ჰქონდა! გაზაფხულზე, ღია ფანჯარაში, მთელ პოლსტოვალოვის ქუჩაზე ისმოდა, თუ როგორ ხსნიდა ის თავის კლასში არითმეტიკულ წესებს.

იმ იღბლიან დღეებში, როცა ბავშვები მარჯვედ უპასუხებდნენ გაკვეთილს ნიკიფორე საველის-ძეს, ხოლო წერითი სამუშაოში მცირე შეცდომას დაუშვებდნენ, ნიკიფორ საველის-ძე ზარის დარეკვამდე, სწორედ თხუთმეტი წუთით ადრე, ეშმაკურად ჩაუკრავდა ცალ თვალს და ჟურნალს დახურავდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გაკვეთილი დამთავრებულია და ნიკიფორე საველის-ძე ახლა საქაღალდედან წიგნს ამოიღებდა, რომელსაც ტყავის ყდაზე ოქროს ასოები ჰქონდა და იტყოდა:

— აბა, დღეს, მეგობრებო, მე თქვენ ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლის თხზულებებს წაგიკითხავთ.

მაშინ კლასი მხიარულად ამოისუნთქავდა. შეიქნებოდა ფეხების ფრატუნი და ჩურჩული. მოწაფეები უფრო მარჯვედ და პოზერხებულად დასხდებოდნენ. ერთი წუთის შემდეგ კი ხმაურობა და ფრატუნი მიწყნარდებოდა და კლასში სრული სიჩუმე დამკვიდრდებოდა.

ნიკიფორე საველის-ძე ღია წიგნს ახლო დაიჭერდა და დაიწყებდა კითხვას. კითხულობდა ის ჩინებულად. განსაკუთრებულის ყურადღებით უსმენდნენ ბავშვები გოგოლის მოთხრობას—„ქაჯი". ისინი გაინაბებოდნენ, როცა ნიკიფორე საველის-ძე კითხულობდა საშინელ ადგილს იმაზე, თუ როგორ დაფრინავდა ჯადოქარი კუბოთი ბურსაკის გარშემო ეკლესიაში. გავიდოდა თხუთმეტი წუთი, დერეფანში აწკარუნდებოდა დასვენების ზარი, შემდეგ მეორე ზარი გაკვეთილის დაწყებისათვის, ბავშვები კი ადგილიდან არ იძროდნენ. სხვა გაკვეთილებზე კი როგორი მოუთმენლობით ელოდნენ ისინი ზარს!

სამოქალაქო სასწავლებელში სერიოჟა იოლად სწავლობდა. მალე ის პირველ მოწაფედ და მოროზოვის საყვარელ ბავშვად ქცა.

მოხდებოდა ისე, რომ არითმეტიკის გაკვეთილზე მივიდოდა მასთან ნიკიფორე საველის-ძე, ჩაიხედავდა მის რვეულში და ეტყოდა:

— აბა ერთი მაჩვენე! რა საინტერესო ხერხი გამოგიგონებია!

და დაჯდებოდა სერიოჟას გვერდით მერხზე. მას უხდებოდა მერხის სულ ბოლო წვერზე დაჯდომა, რადგან ძალზე სქელი იყო და ამაზე იქით ვერ ეტეოდა.

სერიოჟა ერთ-ერთი ყველაზე უმცროსთაგანი იყო კლასში. მის გვერდით მერხზე ისხდნენ დიდი ბიჭები, დირექტორ კოსტროვზე ოდნავ დაბალი. ამ ბიჭების გვარი იყო ჩემეკოვი და ფილიპოვი.

ჩემეკოვი ეკლესიის მნათეს შვილი იყო და პირველ კლასში მეორე წელი იჯდა, თოთხმეტი წლისა კი იყო.

ნიკიფორე საველის-ძე ხშირად იტყოდა ჩემეკოვის შესახებ, ის ვირზე უფრო ზარმაცია და ზამთრის ბუზზე მძინარეო, თვითონ ჩემეკოვი იკვეხნიდა, შინ ყოველ შაბათობით მამა მცემს ცუდი ნიშნებისათვის, მე კი, ვითომც არაფერიო.

— დეე, მცემოს, სწავლისაგან თავი მტკივა, — ამბობდა ის მთქნარებით..

ჩემეკოვის მეგობარი და ამხანაგი ფილიპოვიც მეორე წელიწადი იჯდა პირველ კლასში. მთელ სამოქალაქო სასწავლებელში იმაზე კოპწია ყმაწვილი არ იყო. ის არაჩვეულებრივად გრძელცხვირიან ფეხსაცმელებს ატარებდა, და მხოლოდ იმით იყო გართული, რომ წმენდდა მას ხან ხელისგულით, ხან ცხვირსახოცით, ხან საშრობით. თავის თხელს მოთეთრო თმაზე ის იცხებდა რაღაც სურნელოვან პომადას, რომლის სუნი მთელ კლასში ვრცელდებოდა.

ორივე მეგობარი — კოპწია და ზარმაცი — ისე ცუდად სწავლობდა, რომ ერთხელ საკლასო კარნახისას მათ წერით სამუშაოში ნიკიფორე საველის-ძემ სრული ოცდათვრამეტი შეცდომა ალმოუჩინა თითოს. საქმე იმაში იყო, რომ მეგობრები ერთ მერხზე ისხდნენ და ყოველთვის იწერდნენ ერთი მეორისაგან.

— მაგ გოგრაზე პომადის ცხებას, შენ, ფილიპოვ, ის გირჩევნია ტვინი გაიწმინდო, — ხმამაღლა ტუქსავდა მას მოროზოვი. — წვერი გაგეზრდება, სანამ სამოქალაქოს დაამთავრებდე.

თავი მეხუთმეტე

სანია რეალისტია

სანია ვიატკიდან ივნისის პაპანაქება დღეს ჩამოვიდა არდადეგებზე. მას გრძელი, დაბამბული პალტო ეცვა, ყვითელკანტიანი შავი ქუდი ეხურა, რომელსაც რეალური სასწავლებლის მოოქროვებული ღერბი ჰქონდა. სანია მედიდურად და აუჩქარებლად მიდიოდა ვოსკრესენსკაიას ქუჩაზე. მას ძლიერ ცხელოდა, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, მაგრამ დაბამბულ პალტოს გახდას არც კი ფიქრობდა.

მას ძალიან სურდა, ყველას ენახა მისი ახალი ფორმა, რომელშიაც ის უფრო მაღალი და წვრილი მოჩანდა, ვიდრე ჩვეულებრივ. მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, არავინ იყო მისი შემხედვარე. ურეუმის მიძინებულსა და ცარიელ ქუჩებზე პაპანაქება იდგა. არსად სულიერი არსება არ იყო, მხოლოდ ქუჩის შუა ალაგას იწვა ბებერი ძაღლი, რომელსაც სიცხისაგან ენა გადმოეგდო.

ძაღლმა შეხედა სანიას და ისევ დახუჭა თვალი ზანტად.

სანია მივიდა თავის სახლთან, შეაღო ჭიშკარი და შევიდა ეზოში. ეზოს შუაგულს ბებია მელანია სველ სარეცხს ჰფენდა.

— ვინ გნებავთ, ახალგაზრდავ? — დაუძახა ბებიამ, ხელი წარბებზე მიიჩრდილა და უცნობს დააკვირდა.

— ეს მე ვარ, ბებია მელანია! — განა ვერ მიცანი? — გაიცინა სანიამ, რომელსაც ძალიან მოეწონა, რომ ის ვერ იცნეს და ახალგაზრდა კაცად მიიღეს.

— სანია? შეხე, როგორ გაზრდილა! ძველი ბერდება, ახალგაზრდა იზრდება. ეს რაა, ფორმა გაქვს ასეთი? — უჩვენა ბებიამ შავ პალტოზე, მივიდა სანიასთან და ქსოვილს სინჯვა დაუწყო.

— კარგი მაუდია. როგორ იყიდეთ? — ჰკითხა ბებიამ.

სახლიდან გამოცვივდნენ სანიას დედა და დები. ყველანი შეშფოთებულნენ, ჰკოცნიდნენ, რაღაცას ეკითხებოდნენ და ერთმანეთს არ აცლიდნენ შეკითხვებს. დედა შვილს მხრებზე მოეხვია და ხან ტიროდა, ხან იცინოდა. ყველანი მოგროვდნენ. არ იყო მხოლოდ სერიოჟა.

— აბა, სერგა როგორაა? გადავიდა მეორე კლასში? —იკითხა სანიამ.

— გადავიდა. აქებენ სკოლაში — კარგად სწავლობს. ხვალ მოვა და გული იჯერეთ ლაპარაკით, — უპასუხა ბებიამ.

— ხვალ კი არა, ზეგ, — ხვალ ხომ შაბათია, სერიოჟა კი კვირას მოდის, — ჩაერია ლაპარაკში რვა წლის ლიზა.

— ყველაფერში უნდა ჩაერიოს, — გაეცინა ბებიას და ლიზას ქერა ნაწნავზე ოდნავ გაჰკრა.

* * *

ორი დღის შემდეგ მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ. პირველი რაც სანიამ სერგეის უჩვენა, — მისი ახალი ფორმა იყო. მან ჩაიცვა ბრჭყვიალა ღილებიანი დაბამბული პალტო და დაიხურა ქუდი. ერთი ხელი ჯიბეში ჩაიდო, მეორე პალტოს კიდურს ჩამოაყრდნო და აუჩქარებლად გაიარ-გამოიარა ეზოში. სერიოჟა მორზე იჯდა და უყურებდა ამხანაგს.

— პალტოს არა უშავს, ოღონდ ძალიან გრძელია, სიარულს გიშლის.

— არა ვარ შეჩვეული და იმიტომ, მაგრამ არაფერია, — უთხრა სანიამ და დაუწყო ახსნა, რომ რეალურ სასწავლებელში კანცელარიის კედელზე ჰკიდია ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ მიწიდან ფარაჯის ბოლომდე ორნახევარი გოჯის მეტი არ უნდა იყოსო.

სანიამ გაიხადა პალტო და დარჩა შავ შარვალსა და შავ ქურთუკში, რომელზედაც შემორტყმული ჰქონდა სპილენძის დიდი ბალთიანი ტყავის ქამარი.

— ჩვენ ერთი ასოთი მეტი გვაქვს, ვიდრე თქვენ. თქვენ გაქვთ უ. ს. ს., ჩვენ კი ვ. ა. რ. ს., — უთხრა სანიამ და ბალთას ხელი გადაუსვა.

სერიოჟას ძალიან ეწყინა, რომ სანკა სულ ერთავად „ჩვენთან“ და „თქვენთან“-ს ლაპარაკობდა.

— რას ნიშნავს ვარს? — ჰკითხა მან.

— ვიატკის ალექსანდრესეული რეალური სასწავლებელი, — მკაფიოდ უპასუხა სანკამ.

— რატომაა ალექსანდრესეული?

— იმიტომ, რომ ალექსანდრეს სახელზეა, მეფისა. — ერთ ხანს დადუმდა, შემდეგ დაუმატა: — გინდა, მოიზმანე ჩემი ფორმა.

სერგეიმ ჩაიცვა პალტო და დაიხურა ქუდი, ქუდი პატარა აღმოჩნდა მისთვის, პალტო კი მკერდზე ვერ შემოსწვდა, თუმცა მისი კალთები მიწაზე მიეთრეოდა და სახელოებიდან ხელები არ უჩანდა.

— შენ ანაფორიან ხუცესს ჰგევხარ, — გაიცინა სანიამ.

სერიოჟამ სასწრაფოდ გაიხადა მძიმე დაბამბული პალტო.

— მოდი, ჩავირბინოთ ჩვენი სასწავლებლის ეზოში, — უთხრა მან სანიას. — მე შენ რამეებს გიჩვენებ.

— რა არ მინახავს მე იქ! — ზანტად უპასუხა სანკამ, მაგრამ მაინც გაჰყვა.

სკოლის ეზოში რომ მივიდნენ, სერგეი მიწაზე დაჯდა და ჩექმების გახდა დაიწყო.

— რას შვრები?

სერიოჟამ გაიღიმა და პასუხის ნაცვლად ქურთუკი გაიხადა, შემდეგ შარვალი აიკრიბა მუხლის ზევით.

ტრაპეციასთან მიირბინა და მარჯვედ ჩასჭიდა ხელი კიბის ხარიხას; ხარიხიდან ხარიხაზე ხელის გადანაცვლებით ავიდა ზედიზედ და გაჭიმული ხელებზე იწყო აწევა სულ თავამდე. მისი ტანი ოდნავ ქანაობდა აქეთ-იქით.

— ჩვენთან ტანვარჯიში მხოლოდ მასწავლებელს შეუძლია ასე. ის ოფიცერია, — თქვა სანიამ.

— მე ერთ წელიწადში გავვარჯიშდი ასე! — დაიძახა სერიოჟამ ზემოდან, ჩამოხტა მიწაზე და ხელები ბალახზე გაიწმინდა.

— ახლა მეორე ნომერი ფოკუს-მოკუსი იქნება!

მან მიირბინა მსხვილ ბოძთან, რომელიც კიბის გვერდით იდგა, შემოჰხვია ფეხები და სწრაფად და მარჯვედ დაიწყო ზევით აცოცება. ბოძს რომ ზევით მოექცა, ტრაპეციაზე გადახტა, რომე-

ლიც გვერდით იყო, და დაიწყო ხელებით ქანაობა. ბოლოს ყირა-მალა გადატრიალდა ორჯერ.

— მაიმუნია, ნამდვილი მაიმუნი, — თქვა სანკამ.

მაიმუნები მას თავის დღეში არ უნახავს, მაგრამ გაუგონია, მაიმუნებს მარდად შეუძლიათ ხეებზე ცოცვაო.

როცა სერგეიმ ყველა თავისი ფოკუსი უჩვენა სანიას, ისინი დასხდნენ ბალახზე და დაიწყეს საუბარი.

სანია მოუყვა თავისი სკოლის ახალ ამხანაგებზე, მასწავლებლებზე და თვით ქალაქ ვიატკაზე.

მისი სიტყვებიდან გამოდიოდა, რომ ვიატკა — ვეებერთელა ქალაქია, პეტერბურგზე ოდნავ პატარა. ყველა სახლები ქვისაა და სამსართულიანებიც კი არის. ქალაქის ბაღში დილიდან საღამომდე სამხედრო სასულე მუსიკა უკრავს. სობოროში კი თვითონ არქიელი წირავსო.

სერიოჟა იწვა ბალახზე, თავი ხელებზე დაეყრდნო და ხარბად უსმენდა ამხანაგს.

ნამდვილად კი ვიატკა მიყრუებული პროვინციული პატარა ქალაქი იყო, სადაც ქუჩებს ისევე ანათებდნენ, როგორც ურეუმში — ნავთის ფარნებით. შემოდგომასა და გაზაფხულზე გაუვალი ტალახის გამო ქვაფენილს ტროტუარისაგან ვერ გაარჩევდა კაცი. მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლებოდა ამ დროს ქალაქში გავლა: უნდა მიყრდნობოდი შენობებს და ხელებით ხან კედლებს ჩასჭიდებოდი, ხან ფანჯრის თამასებს.

— გარდა ამისა, ვიატკაში მოჯანყეები ცხოვრობენ, როგორც ჩვენთან ურეუმში, — თქვა ბოლოს სანიამ.

ეს კი სიმართლე იყო. ვიატკაში პოლიტიკურ გადასახლებულთა გადაგზავნა უფრო ადრე დაიწყეს, ვიდრე ურეუმში.

ბოლოს სანია დადუმდა.

ახლა სერიოჟას ჯერი იყო ეამბნა ამხანაგისათვის ახალი ამბები. სერიოჟა ჩაფიქრდა.

რით გააკვირვებ სანიას — ის ხომ თვითონ ურეუმელია, თვითონ სწავლობდა ურეუმის სამოქალაქო სასწავლებელში?

მეგობრები კიდევ ცოტა ხანს ისხდნენ სკამზე და გაბრუნდნენ პოლსტოვალოვის ქუჩაზე.

შინ სანიამ თავისი სახელმძღვანელოები უჩვენა სერიოჟას. ეს სახელმძღვანელოები მან ვიატკიდან ჩამოიტანა.

— ეს რომელ საგანშია? — ჰკითხა სერგეიმ და ერთი წიგნი გადაშალა.

— ეს გერმანულია.

— განა იცი?

— ვიცი, კითხვაც და წერაც.

— ლაპარაკი?

— ლაპარაკიც ვიცი, ოღონდ არც თუ ისე ბევრი.

— აბა მითხარი, როგორ იქნება გერმანულად მაგიდა?

— დერ ტიშ!

— სკამი?

— დერ შტულ.

— თხა? — ჰკითხა სერიოჟამ რაკი ეზოში თავისი ბებერი შიმკა დაინახა.

— ჩვენ თხა ჯერ კიდევ არ გაგვივლია.

— მეც მინდა ვისწავლო გერმანული, — თქვა სერგეიმ და ისევ დაიწყო გერმანული წიგნის გადაფურცვლა.

— ურჟუმში გერმანული ენის მასწავლებლები არ არიან, ისინი მხოლოდ ვიატკაში ცხოვრობენ.

— მერე რა? აი, გავათავებ სამოქალაქოს და მეც ვიატკაში წავალ სასწავლებლად, — უპასუხა სერგეიმ.

სანიამ ჩაიცინა, მაგრამ დავა არ დაუწყო.

• • •

მეორე დღეს, როცა სადილის შემდეგ სერიოჟამ თავშესაფრიდან ბებიასთან მოირბინა, სანკა უკვე აღარ იყო ვიატკელი, არამედ ძველებური — ურჟუმელი ბიჭი იყო.

ფარაჯა, ღერბიანი ქუდი, შარვალი, ქურთუკი, ქამარიც კი — ყველაფერი წაართვა დედამ და ზანდუკში შეინახა, რომ სანკას ტყუილუბრალოდ არ გაეცვითა ფორმა.

სანკა იდგა ეზოში, ეცვა მოკლე შარვალი და შარშანდელი ხალათი, რომელსაც მოკლე სახელოები ჰქონდა. სანკა გეჯაში მწვეთარას ქვეშ, ჭუჭყიან შიშველ ფეხებს იბანდა.

— წავიდეთ წისქვილზე, ქორჭილა დავიჭიროთ, — დაუძახა სანკას სერიოჟამ.

სანკამ შეირბინა დერეფანში, გამოიტანა ვედრო და ანკესი. და ამხანაგები ნაცნობი გზით გაემართნენ წისქვილისაკენ. ჯერ ფეხაწყობით მიდიოდნენ, გზაზე მტვრის კორიანტელს აყენებდნენ,

შემდეგ მოიფიქრეს გასწრებაზე სირბილი. ისე მოჰკურცხლეს, რომ ზურგზე მხოლოდ ცარიელი ვედრო რახუნებდა და ანკესები ქანაობდა.

— შენ ვიატკაში დადიოდი თევზის საჭერად? — ჰკითხა სერიოჟამ, როცა ისინი ტბის დამრეც ნაპირას, წისქვილის ახლოს დასხდნენ.

— მიელია, — უგუნებოდ უპასუხა სანკამ და გადაისროლა ანკესი.

— როგორი თევზი ბუდობს ვიატკაში?

— მომაბეზრე თავი ამ ვიატკით! თევზი თევზია... ჩვენთან ურჟუმკაში ქორჭილები, ალბათ, უფრო მსუქნები არიან.

და სერიოჟა მიხვდა, რომ სანკა თუმცა აქებდა ვიატკას, მაგრამ ურჟუმი მას უფრო მოსწონდა.

ივლისის ბოლომდე სანკას ერთხელაც არ ამოუღია ხმა ვიატკაზე და არ მოუგონებია თავისი ვ. ა. რ. ს. მხოლოდ წასვლამდე ერთი კვირის წინ, როცა დედამ ზანდუკიდან მისი ფორმა ამოალაგა, მან უცებ თქვა:

— ეჰ, გათავდა ზაფხული! ჩქარა ისევ ვიატკას უნდა გავემგზავრო.

თავი მეთექვსმეტე

მეოთხეკლასელი

სანია ისევ გაემგზავრა თავის ვიატკაში, ვ. ა. რ. ს-ში, სერიოჟა კი დარჩა ურჟუმში, ვოსკრესენსკაიას ქუჩაზე, „თავშესაფარში".

ერთი კვირის შემდეგ, თხუთმეტ აგვისტოს, უნდა დაწყებულიყო ურჟუმის სამოქალაქო სასწავლებელში მეცადინეობა.

ყველანი ამბობდნენ, მეორე კლასში სწავლა უფრო ძნელი იქნებაო. მოუმატებენ კიდევ ერთ გაკვეთილს — გეოგრაფიას და მეცადინეობა ერთი საათით გვიან გათავდებაო.

ხოლო რუსულ ენაში მოყოლას როდი დაგავალებენ, როგორც ეს პირველ კლასში იყო, არამედ თხზულებების წერას. ეს იმას ნიშნავს რომ საჭირო იქნება „შეთხზვა", — ყველაფერი თვითონ უნდა გამოიგონო საკუთარი თავიდან.

სერიოჟა მაინც მხიარულად მიდიოდა სკოლაში. თავშესაფრის ბავშვთათვის სკოლა ის კი არ იყო, რაც ქალაქელთათვის, თავშესაფრის ბავშვებს აქ ზოგჯერ ავიწყდებოდათ, რომ „თავშესაფარიდან" არიან.

კლასში სერიოჟამ ისევ მეორე მერხი დაიკავა ფანჯრიდან მოშორებით.

პირველი გაკვეთილი რუსული იყო. ის ჩვეულებრივად დაიწყო. ნიკიფორე საველის-ძე კლასში სწორედ ისე შემოვიდა, როგორც გასულ წელს შემოდიოდა. მარცხენა ხელით მას მკერდზე მიეკრა სქელი საქაღალდე, ხოლო მარჯვენა ხელს ჩქარ-ჩქარა აქანავებდა.

ოღონდ ხალათი ეცვა ახალი — თეთრი კი არა, არამედ ხამი, და მოქარგული იყო არა ღილილოებით, არამედ ყაყაჩოებითა და თავთავებით.

გარდა ამისა, ბავშვებმა შეამჩნიეს, რომ ნიკიფორე საველის-ძეს ზაფხულის განმავლობაში მზე მოჰკიდებოდა, თვით მისი სუფთად გაპარსული თავი, მელოტ თავს რომ ჰგავდა, მიხაკისფერი გაშხდარიყო.

— ჰა, მეგობრებო, ბევრი ისეირნეთ, დაისვენეთ? — იკითხა ნიკიფორე საველის-ძემ და თვითონვე უპასუხა: — ბევრი გისეირნიათ, დაგისვენიათ. ახლა კი სწავლას მოვკიდოთ ხელი! დაწერეთ მეგობრებო, დღეს, საფუძვლის ჩასაყრელად, საკლასო თხზულება.

ყველამ ერთმანეთს გადახედა.

— თემა ასეთია „ჩვენი ეზო“, — თქვა ხმამაღლა ნიკიფორე საველის-ძემ და მაგიდას მიუჯდა.

ჰო, ეს არც თუ ისე ძნელი საქმეა — დასწერო სკოლის ეზოზე. თითქმის, ეს უფრო იოლია, ვიდრე მოყოლა; იქ უნდა დაიმახსოვრო, რა უნდა თქვა რის შემდეგ, აქ კი უყურე ფანჯარასა და წერე.

პირდაპირ შეიძლება ასე დაიწყო: „ჩვენი სკოლის ეზო დიდი არ არის. ეზოს მარჯვენა კუთხეში შეშით სავსე ფარდულია, ფარდულის პირდაპირ კი გიგანტები დგას. იქვეა ტრაპეცია...“ — და ასე შემდეგ, დალაგებით.

თუმცა თხზულება სკოლის ეზოს შესახებ ყველას ძალიან იოლად მოეჩვენა, მაგრამ ბავშვები მას დიდხანს წერდნენ.

სერიოჟამ კი, რომელიც მოყოლითი სამუშაოს ყოველთვის პირველი აბარებდა, ამ დღეს სამუშაო სწორედ ზარის წინ ჩააბარა ნიკიფორე საველის-ძეს, ფილიპოვთან ერთად. ნიკიფორე საველის-ძემ ერთმანეთზე დააწყო ცისფერი რვეულები და წაიღო შინ. ის შეჰპირდა მოწაფეებს, გავასწორებ და ხვალ მოვიტან რვეულებსო.

— თქვენს თხზულებათა შორის საუკეთესოს ხმამაღლა წაგიკითხავთ, მეგობრებო, — თქვა მოროზოვმა, როცა კლასიდან გადიოდა.

დილას ნიკიფორე საველის-ძე შემოვიდა კლასში და მაშინვე თქვა:

— მოვისმინოთ სერგეი კოსტრიკოვის თხზულება „ჩვენი ეზო“.

გაშალა ზედა რვეული და დაიწყო ისე ხმამაღლა და დაყოფილად კითხვა, როგორც „ქაჯს“ კითხულობდა.

თხზულებამ მთელი კლასი გააკვირვა. იქ ნათქვამი იყო, სკოლის ეზოში მაღალი ხეების ქვეშ ბალახი იზრდება და ძალიან ბევ-

რი ყვავილებიაო. მოედანზე სილა არის მოყრილიო. ტრაპეციები, ხის ჯამები, გიგანტები ბზვანე ზეთის საღებავებით არის შეღებილი, ხოლო ეზოს შუაში ახალი, მაღალი და მსხვილბაგირიანი საქანელებიაო. სამაგიეროდ, ძველი ფარდულისა და შეშის შესახებ თხზულებაში ერთი სიტყვაც არ იყო.

ვერ მოასწრო ნიკიფორე საველის-ძემ ამ ნაწარმოების წაკითხვა ბოლომდე, რომ მოწაფეები, როგორც ერთი კაცი, მიაჩერდნენ ფანჯრებს. ფანჯრებს იქით მოსჩანდა პატარა მტვრიანი ეზო, დაჩიავებული, გაყვითლებული და თხებისაგან შემოხრული ალვის ხეები; იქვე იყო ძველი გიგანტები, რომლებზედაც ქარი აქანაებდა ნახევრადდამპალ განჯაკვულ თოკს.

— სულ ტყუილია, — ჩაიდუდუნა ჩემეკოვმა. — არავითარი ამის მსგავსი ჩვენ არა გვაქვს — არც სკამები, არც საქანელა.

— ეგებ გვექნეს! — წყნარად მიუგო კოსტრიკოვმა.

— გვექნეს! — გაიცინა ვიღაც ბიჭმა უკანასკნელ მერხზე.

— კარგი თხზულებაა, — თქვა მოროზოვმა, — აზრიანადაა დაწერილი. სიცილი მყისვე შეწყდა.

გაკვეთილების შემდეგ მოროზოვმა მოიხმო სერიოჟა.

— გიყვარს წიგნების კითხვა? — ჰკითხა მან.

— თუ საინტერესოა, მიყვარს.

— მაინც რა წაგიკითხავს?

სერიოჟამ დაასახელა სამი წიგნი, რომელიც მას ძლიერ მოეწონა. ეს წიგნები იყო: აქსაკოვის „ბაგროვის შვილიშვილის ბავშვობის წლები", ლაჟეჩნიკოვის „ყინულის სახლი" და „რობინზონ კრუზო".

— აი რა, ძმობილო, შემოირბინე ხვალ გაკვეთილების შემდეგ ჩემთან, მე შენ ერთ კარგ წიგნს მოგცემ, — დაპპირდა ნიკიფორე საველის-ძე.

სერიოჟას გაეხარდა. სასკოლო ბიბლიოთეკაში მან ყველა წიგნი წაიკითხა. უკვე წასაკითხი არაფერი ჰქონდა.

ქალაქში ოთხი ბიბლიოთეკა იყო. ვოსკრესენსკაიას ქუჩაზე სამი: საქალაქო, ერობისა და კერძო. და ერთი ბიბლიოთეკა-სამკითხველოც ყაზანის ქუჩაზე. მაგრამ ოთხივე ბიბლიოთეკა მოზრდილთათვის იყო. ბავშვებს იქ არც თუ ისე ადვილად უშვებდნენ.

მხოლოდ ყაზანის ქუჩაზე რომ იყო, იმ ბიბლიოთეკა-სამკითხველოში ბავშვები ხანდახან შეიხედავდნენ.

მოხუცი ბიბლიოთეკარი ქალი ხანდახან ნებას დართავდა ორსამ ყმაწვილს კუთხეში დამსხდარიყვნენ და სურათები დაეთვალიერებინათ (სამკითხველოდან წიგნებს შინ არ ატანდნენ და კითხვა და დათვალიერება შეიძლებოდა მხოლოდ ადგილზე, ბიბლიოთეკაში).

ბიბლიოთეკარი ქალი ყმაწვილებს თავისუფალ წიგნებს აძლევდა, ესე იგი ისეთს, რომელიც არავის მიჰქონდა. თუმცა არც თუ ისე ბევრი ხალხი დადიოდა აქ, მაგრამ ბავშვებს იშვიათად თუ ანებებდნენ საინტერესო წიგნის წაკითხვას ბოლომდე. მოხვიდოდი ხოლმე სამკითხველოში მეორე დღეს, წიგნს კი, თითქოს ჯიბრზე, ვიღაც ქალი ან კაცი კითხულობდა.

წიგნის გაცემის წინ მოხუცი ბიბლიოთეკარი ქალი ეტყოდა ყმაწვილებს, ხელები მაჩვენეთო. თუ ხელები ჭუჭყიანი ჰქონდათ, წიგნს არ მისცემდნენ. მოხუცი ქალი თუმცა კეთილი იყო, მაგრამ მკაცრიც. ის არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა ნებას, რომ რამდენიმე ბიჭი ერთად დამჯდარიყო ერთ მაგიდასთან, არამედ დასვამდა მათ დარბაზის სხვადასხვა კუთხეში, რომ არ ეხმაურათ და არ ეჩურჩულათ.

ყველაზე ხშირად სერიოჟა გამოართმევდა ხოლმე მოხუცს მთელი წლის „ნივას“ ან მეორე ჟურნალს „პრიროდა ი ლიუდი“. ჟურნალებში იყო სურათები, პატარა მოთხრობები და წერილები, რომელთა წაკითხვას ის ასწრებდა იმ ნახევარ-საათსა თუ საათში, როცა აქ შემოირბენდა, სკოლიდან თავშესაფარში მისვლამდე.

ჟურნალ „ნივაში“ ბევრი და სხვადასხვანაირი სურათები იყო. ხანდახან საინტერესო, — მაგალითად „ციხე-სიმაგრე მთებში“ ან „ნადირობა ბენგალიის ვეფხვზე“. უფრო მეტი იყო მოსაწყენი სურათები — ყოველგვარი — ქარგაზე მომუშავე ქალბატონები და ყვავილის გამყიდველი ქალები.

სულ სხვანაირი იყო ჟურნალი „პრიროდა ი ლიუდი“. იქ ვერც ერთ გვერდს ვერ მოაშორებდი თვალს.

ერთ სურათზე დახატული იყო „ვულკანის ამოხეთქა“. საშინელი სურათი იყო. შავი ბოლი ამოდიოდა კრატერიდან და ცეცხლის ენები მოსჩანდა შიგ. ცეცხლმფრქვევი მთის ფერდობზე მო-

გორავენ ვეებერთელა ქვები და ძირს ეცემიან ძირფესვიანად ამოგლეჯილი ხეები. მთის ძირას კი მირბიან ბავშვებიანი ქალები და კაცები, რომ თავი იხსნან ლავას ნიაღვრისაგან.

მაგრამ განსაკუთრებით დიდხანს უჯდა სერიოჟა სურათს „გემის დაღუპვა“.

სამანძიანი გემი გვერდზე გადახრილა. წყალი იჭრება კაიუტებში და გემბანზე.

განწირული გემის გვერდით ვეებერთელა ტალღების ქოჩორზე მგზავრებითა და მეზღვაურებით სავსე ორი კანჯო ქანაობს. ხალხი თმაგაწეწილია, ნახევრად ტიტველი, — ეტყობა გემი შუაღამისას დაღუპულა. შიში და სასოწარკვეთილება აღბეჭდოდათ სახეზე.

მხოლოდ ერთი კაცი არ ეძებს ხსნას. ის მშვიდათაა. ეს გემის კაპიტანია. მამაცი და გამბედავი, დაფერდებულ ბოგირზე დგას ის, დურბინდით ხელში, და იძლევა უკანასკნელ განკარგულებას... ამ სურათის წარწერიდან სერიოჟამ გაიგო, რომ კაპიტანი ყველაზე ბოლოს უნდა ჩამოვიდეს დასაღუპავად განწირული გემიდან. ასეთია საზღვაო კანონი.

დათქმულ დღეს სერიოჟამ ნიკიფორე საველის-ძისაგან შეპირებული წიგნი მიიღო. მას ეწოდებოდა „კაპიტან გრანტის შვილები“, ჟიულ ვერნის ნაწარმოები.

ვინ იცის, — ეგებ ამ კაპიტან გრანტს თავისი სიცოცხლის მანძილზე ნაკლები საშიშროება როდი უნახავს, ვინემ სურათზე დახატულ კაპიტანს? მალე უნდა გაიგოს, ვინაა ეს კაპიტანი და როგორი ბავშვები ჰყავს მას!..

საღამოს თავშესაფარში დიდხანს უჯდა სერიოჟა გრძელ მაგიდას და კითხულობდა ჟიულ ვერნს. კითხულობდა სანამ ლამპას ჩააქრობდნენ, მაგრამ სიბნელეშიაც თვალწინ ედგა ზღვა, ორჩხომელი და ველურებიანი კუნძულები.

დილას სერიოჟამ თან წაიღო სასწავლებელში „კაპიტან გრანტის შვილები“. ეგებ შესძლოს, თუნდაც დასვენებაზე კიდევ ცოტა წაიკითხოს.

სერიოჟას ბედმა გაუღიმა. ამ დღეს პირველი გაკვეთილი საღვთო სჯული იყო და ბებერი ხუცესი ახალ იგავს ხსნიდა უძღებ შვილზე. ხუცესი თავის მაგიდას უჯდა და ჩვეულებისამებრ არ



დასეირნობდა მთელ კლასში მერხებს შორის. სერიოჟამ ნელა გამოაცოცა მერხიდან წიგნი და მთელი გაკვეთილის განმავლობაში კითხულობდა ზარის დარეკვამდე. დასვენებაზეც არ გაუშვია ხელიდან წიგნი. იჯდა რაფაზე დარბაზის კუთხეში და ფურცლავდა გვერდიდან გვერდს.

მას შემოეხვივნენ ყმაწვილები.

— კოსტრიკოვ, საინტერესოა? — ჰკითხა ერთმა ყმაწვილმა და წიგნს ირიბად ჩახედა.

ყდაზე წიგნის სახელწოდების წაკითხვა არ შეიძლებოდა, რადგან სერიოჟას შეეშინდა, ყდა დაისვრებაო და წიგნს შაქრის სახვევი ცისფერი ქაღალდი შემოახვია. ეს ქაღალდი მას თავშესაფრის მზარეულმა დარიამ მისცა.

— მერე და როგორი საინტერესოა! — თქვა სერიოჟამ. — ვერ მოსცილდები.

ბავშვები უფრო მჭიდროდ შემოეხვივნენ გარს და აიძულეს დაწვრილებით მოეთხრო ოთხივე თავი, რომელთა წაკითხვაც მას მოესწრო.

— ახლა ამ წიგნის გამო ის ამოცანებს კარგად ვეღარ გამოიყვანს, — თქვა ჩემეკოვმა, როცა ზარის შემდეგ ყველანი კლასში შევიდნენ.

მაგრამ „კაპიტან გრანტის შვილების“ გამო სერიოჟას არავითარი ხიფათი არ შემთხვევია.

იგი კვლავ კარგად სწავლობდა.

ერთხელ, დასვენების დროს, კლასში შემოვიდა ნიკიფორე საველის-ძე და დაინახა, რომ მერხზე კოსტრიკოვის გვერდით აყლაყუდა ფილიპოვი იჯდა. ორივე გაწითლებული და მოღუშული იყო. ვერ გაიგებ — დაემდურნენ თუ სცემეს ერთმანეთს.

ფილიპოვს გაპოხილი ქოჩორიც კი გაწეწილი და აბურძგვნილი ჰქონდა.

ფილიპოვის გვერდით სერგეი ცეროდენად მოჩანდა — მისი კინკრიხო მხოლოდ ფილიპოვის ქურთუკის მეორე ღილამდე უწვდა.

მოროზოვი შეჩერდა კარებთან და ყური დაუგდო, თუ რას ლაპარაკობდნენ ისინი.

არსებითად მარტო სერიოჟა ლაპარაკობდა, ფილიპოვი კი ფანჯრისაკენ მიბრუნებული დუმდა და მუშტით ისრესდა გაწითლებულ თვალებს.

— მერე მიუმატებ, — უჩიჩინებდა სერიოჟა ყურში ფილიპოვს, — ეს სწორედ იმდენი იქნება, რამდენი ვერსიც გაიარეს ერთად ქვეითა მოგზაურებმა, მერე კი გამოაკლებ. მიიღებ, თუ რამდენად ნაკლები გაიარა ერთმა მეორეზე, მერე კი...

— მერე კი დასვენებაზე კლასიდან გამოსვლაა საჭირო, — უთხრა ნიკიფორე საველის-ძემ და სულ ახლოს მივიდა მერხთან.

ორივენი მოულოდნელობისაგან შეკრთნენ. კიდევაც.

— რატომ ზიხართ კლასში?

ფილიპოვმა და სერგეიმ არაფერი უპასუხეს.

— მე გეკითხებით, რატომ ზიხართ კლასში?

— მე აქ კოსტრიკოვთან ერთად ამოცანას ვიყვან, — წაიბუტ-ბუტა ფილიპოვმა.

— რატომ გაქვს თვალები ნამტირალევი? რატომ გიტირია?

— ისე უბრალოდ! — წაიბუზღუნა ფილიპოვმა.

— როგორ თუ ისე უბრალოდ?

— აი ამან ქამრით მიმაბა და მერხის ქვეშ უჭირავს, სანამ ამოცანას არ გამოვიყვან, დერეფანში არ მიშვებს.

ნიკიფორე საველის-ძემ ძლივს შეიკავა სიცილი და გავიდა კლასიდან.

სერიოჟა კოსტრიკოვი მისი საყვარელი მოწაფე იყო. იმ დღეებში, როცა ყმაწვილები კარნახში ბევრ შეცდომებს დაუშვებდნენ და ნიკიფორე საველის-ძე ნახევარ გაკვეთილს დატოვებდა და ბრაზით გაიხურავდა კარს, მთელი კლასი შემოეხვეოდა სერგეის.

— კოსტრიკოვ, წადი, სთხოვე ნიკიფორე საველის-ძეს. ის შენი გულისათვის...

მაგრამ რა „შენი გულისათვის“ მოწაფეები აღარ დაამთავრებდნენ, სერგეი კი თვითონ მიხვდებოდა რაშიც იყო საქმე. ის მირბოდა სამასწავლებლოში და რამდენიმე წუთის შემდეგ ნიკიფორე საველის-ძე ბრუნდებოდა კლასში.

მასწავლებელი თვალებს მოჭუტავდა, ხელებს ზურგზე დაიწყობდა და სწრაფად დაიწყებდა კლასში სიარულს. შემდეგ გაჩერდებოდა შუა ალაგას, ასწევდა ზევით სალოკ თითს და ეუბნებოდა მოწაფეებს:

— თქვენთვის მინდოდა წამეკითხა ერთი საინტერესო წიგნი, მაგრამ ახლა გადავიფიქრე და არ წაგიკითხავთ. არ წაგიკითხავთ! ცუდად დაგიმზადებიათ გაკვეთილი. არა ვარ თქვენი კმაყოფილი, მეგობრებო! არა ვარ!

ამ სიტყვების შემდეგ ნიკიფორე საველის-ძე ისევ გაემართებოდა კარებისაკენ. მოწაფეები წამოცვივდებოდნენ მერხებიდან და შეეხვეწებოდნენ მოროზოვს.

—გვაპატიეთ, ნიკიფორ საველევიჩ, აღარ ვიზამთ! წაგვიკითხეთ რამე, გვაპატიეთ! — იძახდნენ ბავშვები.

— ეჰ! რა გაეწყობა! დღეს წაგიკითხავთ! მაგრამ ზარმაცებს როდი წავუკითხავ, არამედ იმათ, ვისაც თავი აბია. თავი, მეგობრებო, იმისთვისაა მოცემული, რომ იფიქრო და არა იმისათვის, რომ ქოჩორი გაიპოხო!

ნიკიფორე საველის-ძის ამ სიტყვებზე მოწაფეები უეჭველად მიბრუნდებოდნენ ფილიპოვისაკენ და უყურებდნენ მას.

თავი მეჩვიდმეტე

წარმოდგენა

უკვე მეორე წელი იყო, რაც სერიოჟა ურეუმის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდა და მეხუთე წელი მიმდინარეობდა, რაც თავშესაფარში ცხოვრობდა. სწორედ ამ დროს მოხდა ერთი ამბავი, რამაც ძლიერ ააღელვა ყველა ბავშვი. თავშესაფრისათვის ახალი სახლი ააშენეს. შენობის ასაგებად ფული შესწირეს ურეუმელმა ვაჭრებმა, რომელთაც მღვდელი კონსტანტინე „ქველმოქმედთ“ ეძახდა.

ძველი თავშესაფარი იმდენად ცუდი იყო, რომ უკვე რა ხანია ეშინოდათ, არ ჩამოინგრეს და მოწაფეები არ გაჭყლეტოსო.

ახალი ხის სახლი ააშენეს აქვე, ეზოში, ძველ შენობიდან ორ ნაბიჯზე. დიდი ხანია თავშესაფარში არ ყოფილა ისეთი მღელვარება, როგორიც ახალ სახლში ჩასახლების დღეს იყო.

რაც უნდა იყოს, მაინც ახალი სახლია. ცხოვრებაც იმ სახლში, ალბათ, ახალი იქნება, ისეთი როდი იქნება, როგორც წინათ.

მაგრამ ახალი სახლი არაფრით იყო ძველ სახლზე უკეთესი.

ოთახები ისევე პატარები იყო, საწოლი ოთახებიც ისევე გაჭედილი იყო საწოლებით. საპირფარეშო, ისევე როგორც ძველ სახლში, ცივსა და ბნელ დერეფანში იყო მოთავსებული; სამზარეულოს გვერდით, კედელზე, ისევ ისე ეკიდა დიდი ხნის ნაცნობი პირსაბნები. დერეფანში კი გადასვლის მეორე დღესვე ხრალისა და შემწვარი ხახვის სუნი დადგა.

ახალი სახლი ძველისაგან მხოლოდ იმით განირჩეოდა, რომ მისი კედლები ჯერ კიდევ არ. გაშავებულიყო და ტყის სუნი ასდიოდა. კედლებს ფისის წვეთები ემჩნეოდა, როცა ღუმელებს ძალზე გაახურებდნენ.

თავშესაფრის ახალი სახლის დასათვალიერებლად თვითონ ურჟუმის საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე პოლნერი მივიდა.

ეს იყო ხანშიშესული კაცი, სათვალეებიანი. მას გრძელი შავი სერთუკი ეცვა. ოდნავ წახრილი დადიოდა, მარცხენა ხელი მუდამ ზურგზე ედო, რბილად და ფრთხილად აბიჯებდა, თითქოს ყინულზე დადისო.

ბავშვებს მან ერთი სიტყვაც არ უთხრა, შესაძლებელია, არც კი შეუმჩნევია ისინი. თავჩაკიდულმა შემოიარა მთელი სახლი და ისევე ჩუმად გაჰქრა, როგორც გამოჩნდა. თავშესაფრის მზარეულმა ქალმა დარიამ თქვა, ის არ სვამს, ქალიშვილივით თავდაჭერილია, და სწორედ. ამიერიდან, მისი მოსვლის შემდეგ, ბავშვებისათვის კარგი ცხოვრება დადგებაო.

მაგრამ იმედი პოლნერზე და ახალ ცხოვრებაზე არ გამართლდა. ყველაფერი ძველებურად მიმდინარეობდა, ისევე მოსაწყენად და ერთფეროვნად. დილაობით ისევ ისე მოდიოდა ბავშვების გასაღვიძებლად დარია, პარასკევობით და ოთხშაბათობით ისევ ისე ჭამდნენ ისინი ზეთით შემზადებულ წებოვან კულაგას და მუხუდოს ფაფას, ისევე სჯიდნენ მათ ყოველგვარი დანაშაულისათვის — ბოძივით დააყენებდნენ სასადილოს შუაგულს, და ისევე აქრობდნენ ლამპას ვახშმის შემდეგ. ეს ყველაზე უფრო საწყენი სერიოჟასათვის იყო: შეუძლებელი იყო წიგნის კითხვა.

ნიკიფორე საველის-ძე კი შესანიშნავ წიგნებს აძლევდა — გოგოლსაც, ტურგენევსაც, ნეკრასოვის ლექსებსაც.

დილით ადრე, როგორც კი ინათებდა, სერიოჟა წამოდგებოდა საწოლიდან, გაეხვეოდა საბანში და მიჯდებოდა ფანჯარაზე. ფანჯრის იქით ბნელოდა, ჯერ კიდევ ყველა ვარსკვლავი არ გამქრალიყო ღამის ცაზე. ნელ-ნელა თენდებოდა, სერიოჟა კი იჯდა ცივ რაფაზე და ძლივძლივობით არჩევდა სიტყვებს.

— ზის ავი სულივით ფანჯარაზე, მხოლოდ ხალხს აშინებს! მე შენ გიჩვენებ, — ვეტყვი იულია კონსტანტინეს-ასულს, რომ თვითონაც არ გძინავს და სხვებსაც არ აძინებ, — ბუზღუნებდა და ემუქრებოდა გაღვიძებული პაშკა.

იმავე ზამთარში, იულია კონსტანტინეს-ასულმა გადაწყვიტა წარმოდგენის გამართვა ახალწლის დღეებში. წარმოდგენაში მო-

ნაწილეობას მიიღებდნენ თვითონ ბავშვები. სევდიანი პიესა აირჩია მან, სახელად „ობოლი“. ამ პიესაში ლაპარაკი იყო გოგონაზე, რომელსაც მშობლები დაეხოცნენ. ობოლი ძალიან ცუდად ცხოვრობდა მანამ, სანამ ის აღსაზრდელად არ აიყვანა კეთილმა მოხუცმა-მეტყეველმ. მაგრამ როგორც კი მეტყეველმ აიყვანა გოგონა, პიესაც თავდებოდა.

ყველა ბავშვს უნდოდა ეთამაშნა პიესაში. ობლის როლი ნატაშა კოზლოვას შეხვდა და ყველა გოგონა შურით უყურებდა მას. პატარა, ფერმკრთალი ნატაშა, მთელ თავშესაფარში განთქმული იყო თავისი ხმით. მას იმიტომ მისცეს მთავარი როლი, რომ ობოლს პიესის მიხედვით ბევრი უნდა ემღერა. მეტყეველის როლი პაშკას შეხვდა. ეს ყველაზე საინტერესო როლები იყო.

წარმოდგენისათვის დიდხანს ემზადებოდნენ. რეპეტიციებს კანცელარიაში აწყობდნენ, რომლის კარებსაც მაგრად ჰკეტავდნენ. ყველას, ვინც კი არ იღებდა მონაწილეობას წარმოდგენაში, გული ელეოდა ცნობისმოყვარეობისაგან, დარბოდნენ რომ ყური დაეგდოთ ჩუმად ან შეეპვრიტათ გასაღების ჭუჭრუტანაში.

რეპეტიციას დღეში ორჯერ, ზოგჯერ სამჯერაც აწყობდნენ. ბავშვები მიჩვეული არ იყვნენ და ურევდნენ სიტყვებს. ერთ-ერთ რეპეტიციაზე ორი „არტისტი“ მწარედ ატირდა და არ მოისურვეს მესამეჯერ თავიანთი როლების წაკითხვა.

იულია კონსტანტინეს-ასული გაბრაზდა. რეპეტიციის შემდეგ მან ჯიუტ „არტისტებს“ უბრძანა სასადილოში წასულიყვნენ და დაეჩოქათ.

ახლა კი არტისტებმა დაუწყეს შურით მზერა იმათ, ვინც წარმოდგენაში მონაწილეობას არ იღებდა.

სამი კვირა ამზადებდნენ პიესას, აწყობდნენ რეპეტიციებს და ხატავდნენ დეკორაციას: ვეებერთელა რუსულ ღუმელს, რომლის სახური შორიდან ვეებერთელა შავ დანაკერს ჰგავდა. ხატავდნენ აგრეთვე კედელსა და კარს, რომელიც არ იღებოდა.

და, აი, ბოლოს, დადგა ახალი წელი და მასთან ერთად წარმოდგენის მოელვარე დღეც. არტისტები დილადანვე ისე ღელავდნენ, რომ საუზმეზე ხელიც არ ახლეს შემწვარ კარტოფილს, ბავშვების ყველაზე საყვარელ საჭმელს თავშესაფარში. ნატაშა კოზ-

ლოვა წამდაუწუმ გარბოდა დერეფანში და სვამდა გეჯადან ყინულივით ცივ წყალს. შიშისაგან ხან შეაცხელებდა, ხან შეაცივებდა, შუადღისას მას ხმა ჩაუხჩა.

იულია კონსტანტინეს-ასულმა ჯერ დატუქსა ის, შემდეგ აიძულა რამდენიმე კვერცხი უმად გადაეყლაპა.

ქერა პაშკა მთელი დღის განმავლობაში დერეფანში დადიოდა და ქაღალდზე დაწერილ როლს იზეპირებდა.

— ჩემო კარგო, ჩემო ნაზო ობოლო,—კისერგაწვდილი კითხულობდა ის,—აწ შენ აღარ იქნები მარტოდმარტო ქვეყანაზე. შენ იცხოვრებ ჩემთან, ჩემს მშვიდ ტყის სახლში და დააამებ ჩემს მოხუცებულობას...

სანამ პაშკა როლს იზეპირებდა, სერიოჟას ყელამდე ჰქონდა საქმე.

იულია კონსტანტინეს-ასულმა მას ფარდის ჩამოკიდება დავალა. ეს დავალება არც თუ ისე ძნელია — ჩაარჭე კედელში ორი ლურსმანი და გააბი თოკი ლურსმნებს შუა, შემდეგ გადაჰკიდე თოკზე სამი საბნისაგან შეკერილი ფარდა.

მაგრამ დახეთ უბედურებას, ყველაზე მთავარი რამ ხელთ არ ჰქონდა სერიოჟას. იშოვა ლურსმნები, მაგრამ დაჟანგული, გაღუნული და კედელში არასგზით არ შედიოდა. თოკიც უვარგისი აღმოჩნდა— დამპალი. როგორც კი ჩამოჰკიდებ ასეთ თოკზე ფარდას, იმ წუთშივე გაწყდება.

წავიდა სერიოჟა ეზოში ლურსმნის საძებნელად. და მოულოდნელად ფარდულის კუთხეში მთელი ყუთი ლურსმანი აღმოაჩინა. კარგი ლურსმნები იყო, ოღონდ ოღნავ ჟანგი მოჰკიდებოდა. იქვე, ფარდულში, სერიოჟამ გატეხილ მარხილქვეშ იპოვა თოკიც, ახალი, უხმარი, კარგი. დარიამ როგორც კი დაინახა თოკი, მაშინვე წასძლია სულმა.

— წარმოდგენის შემდეგ საცვლებს გავფენავ ამ თოკზეო.

საღამოსათვის თავშესაფარში ყველა არაქათგამოლეული იყო. ბიჭებს სასადილო ოთახიდან დარბაზში გადაჰქონდათ გრძელი ხის სკამები, გოგონები გაფაციცებით ჰკერავდნენ საბნებისაგან ფარდას, ხოლო სერიოჟა კოსტრიკოვი მეეზოვე პალადისთან და ვასკა ნოვოგოდოვთან ერთად დეკორაციებს დგამდნენ.

ბოლოს, ექვს საათზე, სტუმრებმა იწყეს დენა.

პირველად მოვიდა თავშესაფრის ერთ-ერთი მზრუნველი, ვაჭარი ხარლამოვი. ეს იყო მაღალი სქელი კაცი, ეცვა სერთუკი და მკერდზე მედალი ჰქონდა. მას გვერდით მოჰყვებოდა გრძელცხვირა გამხდარი ქალი, რომელსაც ატლასის კაბა ეცვა. ქალი იქით-აქეთ აქნევდა თავს და ყოველ ფეხის გადადგმაზე ხტებოდა. შემდეგ მოვიდა მოხრილი ქერა ექიმი, რომელსაც ისეთი ბანჯგვლიანი ხელი ჰქონდა, რომ შორიდან გეგონებოდა, მატყლის მოწითალო ხელთათმანი აცვიაო. შემდეგ გამოცხადდა ორი დედაბერი, მათ მაქმანიანი წამოსასხამი ეცვათ. დედაბრებმა მოიყვანეს შვილიშვილები — ქერათმიანი სქელი გოგონა, რომელსაც ნაწნავებში წითელი ლენტი ჰქონდა, და ბიჭი, რომელსაც თეთრი პიკეს საყელოიანი ხავერდის კოსტიუმი ეცვა. ბავშვებს არავისი არ ეშინოდათ, მათ დაიწყეს სიცილ-ხარხარი, სირბილი დერეფანში და ერთმანეთის დაჭერა.

სტუმრები პირველსა და მეორე რიგში დასვეს, სკამებზე. თავშესაფრის ბავშვები უკან დასხდნენ, მაღალ სკამებზე. ფარ- და დიდხანს არ აუწევიათ. კულისებიდან ვიღაცას ხმამაღალი ჩურჩული და ფეხების ფრატუნი ისმოდა. იქ ყველა არტისტი შეგროვილიყო პაშკას გარშემო, რომელსაც იულია კონსტანტინესასული ხრილისაგან გამზადებულ წვერს უკეთებდა. პაშკა დაბლა სწევდა წვერს, წუწუნებდა და ფიცულობდა, წვერი ლაპარაკსა და სუნთქვასაც კი მიშლის, რადგან ყაითანი, რომელზედაც წვერი იყო მიმაგრებული, ძალიან მიჭერს ლოყებზეო.

ბოლოს დარეკეს ზარი, სწორედ ის ზარი, რომელიც ყოველთვის სადილზე მოუხმობდა ბავშვებს. და, აი, საბნებისაგან შეკერილი ფარდა, რომლის კიდეები თავშესაფრის მრგვალი ბეჭდით იყო აჭრელებული, ნელა გაიწია გვერდით.

თავშესაფრის ბავშვებმა სული განაბეს, კისერი წაიგრძელეს და სცენას მიაშტერდნენ.

მუყაოს ღუმელსა და მუყაოს კედელს შორის ნამდვილ ფანჯარასთან, ხელზე თავდაყრდნობილი, იჯდა ობოლი, რომელსაც წითელი სარაფანი ეცვა. ის ფანჯარაში იყურებოდა. ერთი წუთის დუმილის შემდეგ, ობოლმა ორჯერ ამოიოხრა, ისე, როგორც მას

რეპეტიციაზე ასწავლიდნენ, ხელები გულზე დაიწყო და ამღერდა აკანკალებული, წვრილი ხმით:

ძნელია ქვეყნად ობლის ცხოვრება,
როცა არა გყავს მშობელი მამა,
როცა არა გყავს მშობელი დედა,
არა გყავს დები და არცა ძმები,
ძნელია ქვეყნად ობლის ცხოვრება.

ბავშვები პირდაღებული უგდებდნენ ყურს. განაპირა სკამზე ხელგადახვეული ორი გოგონა იჯდა, მათ მალულად დაიწყეს სლუკუნი.

სცენაზე გამოჩნდა კატია სტოლიაროვა, რომელიც ავ მეზობელს ანსახიერებდა. იგი თავწაკრული იყო, კაბის ქვეშ, მუცელზე ედვა ბალიში, რომელსაც ორივე ხელით იჭერდა, რომ არ ჩამოვარდნოდა.

— კატიას უყურე, კატიას!.. — ჩაიხითხითეს თავშესაფრის ბავშვებმა.

ავმა მეზობელმა ობოლს რამდენჯერმე სილა გააწნა და უბრძანა სამი შეკვრა შეშა მოეტანა და მდინარიდან ექვსი ვედრო წყალი მოიტანეო. ობოლმა წინსაფრით მოიწმინდა ცრემლები და ამღერდა უფრო სევდიანად, ვიდრე წინათ. პიესის ბოლოს მარჯვენა კულისებიდან სცენაზე გამოვიდა მეტყევე — პაშკა. მას თავშესაფრის საზამთრო პალტო ეცვა და მეეზოვე პალადის ყურიანი ქუდი ეხურა. პაშკას მხარზე სათამაშო თოფი ჰქონდა გადაკიდებული.

არ შეიძლებოდა პაშკასათვის შეგეხედა და არ გაგეცინა. მას მკერდზე მარაოსავით გადაეშალა ყვითელი ხრილის წვერი, ზევითა ტუჩზე კი ნახშირით სქლად გამოეხაზათ მარჯვედ აპრეხილი ულვაშები.

— გამარჯობა, ობოლო! — თქვა მეტყევემ და საზოგადოებისაკენ ზურგით მიბრუნდა.

ეტყობოდა, მას ეშინოდა მაყურებელთა შეხედვისა.

— საზოგადოებას უყურე, საზოგადოებას! — უჩურჩულებდა კულისებიდან იულია კონსტანტინეს-ასული, მაგრამ ისე ხმამაღლა, რომ უკანასკნელ რიგებშიც კი ისმოდა.

მხოლოდ პაშკას არ ესმოდა მისი ხმა.

სერიოჟა ფარდასთან იდგა და ხედავდა, რომ პაშკას შიშისაგან ისე უკანკალებდა ხელები, თითქოს ეს-ეს არის ახლა მოათრია ეზოდან წყლით სავსე ვედროო.

მაგრამ პაშკა თანდათანობით დამშვიდდა და შეავდა როლში. ის ლაპარაკობდა სულ უფრო და უფრო ხმამაღლა და სულ უფრო ლონივრად იქნევდა ხელებს. მას სცხელოდა ბამბის მძიმე პალტოში. მოიხადა ქუდი და კეფა მოიფხანა. ყველა ხედავდა, რომ პაშკას თავზე, კურდღლის ყურებივით, ხრილის წვერის წითელი შესაკრავის ბოლო იყო აშვერილი. მაყურებლებმა გაიცინეს.

— ფარდა, ფარდა, — დაისისინა იულია კონსტანტინესასულმა.

სერგეიმ ჩექმების ბაკუნით გაირბინა სცენა და ჩამოუშვა ფარდა.

— რატომ მოიხადე ქუდი, შე რეგვენო? მთელი პიესა გააფუჭე, — ტუქსავდა კულისებში იულია კონსტანტინოვნა პაშკას.

— ძალზე გავოფლიანდი, — იმართლებდა თავს მეტყველი.

წარმოდგენის შემდეგ მზრუნველი ქალბატონები შეჯგუფულ ბავშვებთან მივიდნენ.

— რა გქვია, ბიჭიკო? — ჰკითხა სერგეის ატლასის კაბიანმა გამხდარმა ქალმა.

— სერგეი.

ქალბატონმა თავზე ხელი გადაუსვა სერგეის.

— ოჰ, რა ჯაგარა თმა გაქვს, — თქვა ქალბატონმა. — შენ, ალბათ ავი ხარ?

— ავი ვარ, — მოღუშულად უპასუხა სერგეიმ და ფანჯრისაკენ მიბრუნდა.

— ღმერთო ჩემო, რა ველური! — ამოიოხრა ქალბატონმა და თავი გააქნია.

ღამე, წარმოდგენის შემდეგ თავშესაფრის ბავშვებს დიდხანს არ დაუძინიათ. ყველა იგონებდა მეტყველ პაშკასა და კატია სტო-

ლიაროვას, რომელსაც მუცელზე ბალიში ჰქონდა. თვითონ პაშკა გვერდიდან გვერდზე ტრიალებდა და საბანს იფარებდა თავზე. სერგეიმ, რომელსაც პაშკას გვერდით ეძინა, გაიგონა, რომ პაშკა რაღაცას ბუტბუტებდა. ყური დაუგდო.

— ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი და მაგათი წარმოდგენა, — ბუტბუტებდა პაშკა.

— კარგად კი გამოგივიდა, პაშკა, — უთხრა სერგეიმ. ოღონდ ქუდი რატომ...

მაგრამ პაშკამ სიტყვა არ დააცალა და წიხლი ჰკრა.

თავი მეთვრამეტე

რატომაა ეს ასე?

სასწავლო წლის მიწურულს ხუცესმა კონსტანტინემ უცებ გადაწყვიტა სერგეი საეკლესიო გუნდში მოეწყო.

დიდი დასვენების დროს ის მივიდა სერგეისთან, რომელიც რაფაზე იჯდა და რაღაცა წიგნს კითხულობდა.

— შენ მხოლოდ საერო სიმღერები იცი, თუ საეკლესიო ჰანგებსაც გალობ? — ჰკითხა ხუცესმა.

სერგეიმ არ იცოდა რა ეპასუხნა. ხუცესმა კონსტანტინემ უცებ თავზე ხელი გადაუსვა.

— შენ საჭირო ხმა გაქვს, — ტენორი. მე გუშინ გავიგონე, თუ როგორ მღეროდი საღამო ჟამს ნაპირზე. სუფთა ხმაა... ხვალიდან საეკლესიო გუნდში დაიწყებ გალობას...

და სერიოჟა იძულებული გახდა ეგალობა საეკლესიო გუნდში, საპატიმროს საყდარში. იქ ოცი კაცი გალობდა. თავშესაფრიდან ცხრა კაცი და ქალაქელებიდან თერთმეტი. გალობდნენ შაბათობით მწუხრის ლოცვაზე და კვირა დილას — წირვაზე. კლიროსზე გალობა სარფიანი საქმე იყო. ჯერ ერთი, მგალობლები თვეში ექვს-ექვს შაურს იღებდნენ. მეორეც ის, რომ წირვის შემდეგ შეიძლებოდა სანთლის ნამწვის მოგროვება და ცვილისაგან მაგარი ბურთულების კეთება, რომლის გადასროლ-გადმოსროლა მეტად ადვილი იყო, გარდა ამისა, ცვილისაგან შეიძლებოდა კოჭების ჩამოსხმაც, როცა არ გექნებოდა კალა. მხოლოდ ერთი რამ იყო ცუდი — ყოველი შეცდომისათვის ლოტბარმა კამერტონის ჩარტყმა იცოდა თავში.

სერგეის უყვარდა წირვის დროს მლოცველთა დათვალიერება. მან დიდი ხანია შენიშნა, რომ უფრო მდიდარი და უკეთესად ჩაც-

მული ხალხი ეკლესიაში წინ იდგა. მათ უკან უფრო უბრალო ხალხი იდგა, ხოლო ძონძიანი მათხოვრები კარებთან და კუთხეებში მიდგებოდნენ ანდა კარიბჭეზეც. ამბიონის მარჯვნივ და მარცხნივ მწვანე ხავერდგადაკრული ორი ღრმა საკარძელი იდგა, საკარძლების წინ იატაკზე ჭრელი ნოხები ეფინა.

სერგეი ხედავდა, რომ კვირაობით წირვაზე და მწუხრის ლოცვაზე ამ ადგილებს ერთი და იგივე პირები იჭერდნენ: ორი ურჟუმელი ვაჭარი თავისი ცოლ-შვილით. როცა ხუცესი აღსავლის კარებიდან ჯვარს გამოიტანდა, ვაჭრები მუდამ პირველნი ეამბორებოდნენ მას, მათ შემდეგ კი ერთიმეორეს უკან ჩამწკრივდებოდნენ დანარჩენი მლოცველები.

„რატომაა ეს ასე? — ფიქრობდა სერგეი, — განგებ აკეთებენ ასე თუ უცაბედად გამოდის?“

ერთხელ დილით წირვის წინ ვაჭრის ნოხზე ერთი ნახევრად ბრმა მოწუცი დადგა. ეტყობოდა იყო ნიკოლოზის ჯარისკაცი, რომელსაც გახუნებული სამხედრო ქუდი ეხურა და ხელში ნუჟრიანი ჯოხი ეჭირა. მასთან იმ წამსვე მივიდა მნათე და რაღაცა უთხრა. მოხუცი აჩქარებით გადავიდა ნოხიდან.

სერგეი ამას ყველაფერს ხედავდა და პირველ შემთხვევისთანავე ჰკითხა მნათე ჩემეკოვს, რაშია საქმეო.

— ყოველ ადამიანს თავისი ადგილი აქვს ცხოვრებაში, ბიჭუნა! მიცვალებულები რაა, ისინიც კი რიგზე არიან დამარხული სასაფლაოზე. უფრო დიდკაცები და მდიდრები ეკლესიასთან ახლოს წვანან, ღარიბებს კი შეუძლიათ ცოტა შორსაც დაწვნენ, მესერთან. აქ კი, მით უმეტეს, — ცოცხალი ხალხია, უნდა მიხვდე! — უპასუხა მნათემ.

ამ პასუხიდან სერგეიმ ვერაფერი გაიგო და გადაწყვიტა, ამის შესახებ როგორმე საღვთო რჯულის გაკვეთილზე ვკითხავ მამაო კონსტანტინესო. აკი თვითონ ხუცესი ეუბნებოდა მოწაფეებს, რომ ეკლესია ღვთის სახლია და ზეციერი მეუფის წინაშე ყველა ადამიანები თანასწორიაო.

კარგი თანასწორობაა, როცა ერთნი საკარძელში სხედან, მეორენი კი კარიბჭეზე იჭყლიტებიან!

სერგეი უეცველად ჰკითხავდა ამის შესახებ მამაოს, მაგრამ გადაიფიქრა მის შემდეგ, რაც მამაო კონსტანტინემ ერთი ბიჭი

დააჩოქა ცნობისმოყვარეობისათვის. ამ ბიჭმა გაკვეთილზე ასეთი შეკითხვა მისცა: „რომელი მეფეა უფროსი, მიწიერი თუ ზეციერიო?“.

მაგრამ სერიოჟამ ვერ მოისვენა. მან გადაწყვიტა ბებია მელანიასათვის ეკითხნა, ბებია ეკლესიაში დადის და უსათუოდ ყველა საეკლესიო წესები ეცოდინებაო.

მაგრამ, ალბათ, სერიოჟამ ურიგო დრო ამოირჩია შეკითხვისათვის. ბებია იატაკს რეცხავდა და ამიტომ გაბრაზებით და ისე გაუგებრად მიუგო, როგორც მნათემ.

— ღარიბების ხვედრი ცხოვრებაში ტანჯვა და წვალებაა, მდიდრებისა კი პატივი და დიდება... შენ, სერიოჟა, ეცადე ისწავლო! ეგებ, შენც კაცი გამოხვიდე!..

თავი მეცხრამეტე

ურჟუმელი ხელისუფალნი

იმ წელს, როცა სერიოჟა ურჟუმის სამოქალაქო სასწავლებელს ამთავრებდა, სცემეს პოლიციის ზედამხედველს, რომელსაც ზედმეტ სახელად დერგაჩს ეძახდნენ.

ის იპოვეს მიწაზე, შიშისაგან ნახევრადმკვდარი, სალდათის ტყეში, ურჟუმიდან ორი ვერსის მოშორებით, სასოფლო გზაზე.

ძლიერ ნაცემი იყო. ეტყობოდა, ვიღაცას არ დაეზოგა მუშტები ზედამხედველისათვის.

ურჟუმელები დილიდან საღამომდე გადასცემდნენ ერთმანეთს უკანასკნელ ახალ ამბავს.

— გაიგეთ? დერგაჩი მიბეგვეს!

ვოსკრესენსკაიას ქუჩაზე მცხოვრები ვაჭრები მხოლოდ მხრებს იჩეჩდნენ.

— ეს რა ამბავია?.. თვითონ ზედამხედველს სცემეს!.. ეს კარგს არ მოასწავებს. რაღას უნდა მოველოდეთ, თუ ასეთები დაიწყო?

პოლსტოვალოვის ქუჩაზე, კოსტრიკოვების პატარა ხუთფანჯრიან სახლშიც ბჭობდნენ ამ შემთხვევის გამო.

ცალთვალა მოხუცი, ღამის დარაჯი ვლადიმერ ივანეს-ძე ბებია მელანიას მაგარ ბურნუთს სთავაზობდა და ბჭობდა:

— აი რა ამბებია! ბაზარზე ამბობენ, რომ ყველაფერი ეს პოლიტიკურების საქმეაო. მათ გაუსწორეს ანგარიში დერგაჩს. ძლიერ მკაცრი იყო იგი მათ მიმართო.

— არა, პოლიტიკურების საქმე არაა ეს,—თავს აქნევდა ბებია. — პოლიტიკურები მუშტით ჩხუბს არ დაიწყებენ. დერგაჩი ქურდებმა და ყაჩაღებმა მიტყეპეს.

— რასაც დასთესავ, იმას მოიმკი, — კვერს უკრავდა უსტინია სტეფანეს ასული სამარცევისა, — ბოროტი კაცია ეს დერგაჩი. სანთელი აუნთოს თავის წმინდანს, რომ სული არ გააცხებინეს. კიდევ მოხვდება მაგ სისხლისმსმელ ბასილისკოს!..

სერიოჟა ყურს უგდებდა ამ საუბარს, მაგრამ დუმდა. ის ფიქრობდა:

„სულ ერთი არაა ვინ სცემა — პოლიტიკურებმა თუ ქურდებმა? რადგან ის პოლიციის ძაღლია, ასეც მოუხდება!“

თუმცა ქალაქში აშკარად არავინ აგინებდა პოლიციელებს, გარდა მთვრალი ხალხისა, მაგრამ ბიჭებმა თავადაც იცოდნენ პოლიციელების ფასი.

ზაფხულობით მოწაფეები ხშირად გაჰყვებოდნენ უკან პატიმართა ჯგუფს, რომელთაც პოლიციელები ქალაქგარეთ მიერეკებოდნენ ხიდისა და სასოფლო გზის შესაკეთებლად.

ბავშვებს რა გამოეპარებათ! მათ არაერთხელ გაუგონიათ, თუ როგორ უყვიროდა ხმაჩახლეჩილი პოლიციის ზედამხედველი პატიმრებს და უწოდებდა მათ კატორღელებს, ასპიტებს და სულთამხუთავებს. ურჟუმის საპატიმროდან სალდათის ტყემდე—მთელი გზის მანძილზე არ წყდებოდა გინება. ხოლო, როცა ბოლოს და ბოლოს, პატიმრები სამუშაო ადგილს მიაღწევდნენ, დერგაჩი ხაზეინივით დაიწყებდა მათ რიგებში სიარულს და ყვირილით აგულიანებდა მათ:

— გაინძერით, ეშმაკის კერძებო! დაგეძინათ, ასპიტებო!..

პასუხად ახალგაზრდა პატიმრები შემოუღრენდნენ დერგაჩს, ხოლო ხანში შესულები მოიღუშებოდნენ და ნიჩაბს უფრო ღრმად ჩაარჭობდნენ მიწაში.

ერთხელ, ერთი მოხუცი პატიმარი სიცხისა თუ დაღლილობისაგან არაქათგამოცლილი არხის პირას მიჯდა და ჩასთვლიმა. მისი ბარი იქვე ეგდო გვერდით. ერთი სიტყვა არ უთქვამს ისე აიღო დერგაჩმა ბარი და დაარტყა მოხუცს თავში. მერე და როგორ დაარტყა! მოხუცმა მხოლოდ ამოიოხრა და ხელები იტაცა გასისხლიანებულ კეფაზე. და აი აქ, ეტყობოდა, აივსო პატიმართა მოთმინების ფიალა. ისინი ყოველი მხრიდან ეცნენ დერგაჩს ბარებით, წერაქვებით და ძალაყინებით.

კარგი დღე არ დაადგებოდა დერგაჩს შაშხანიანი მებადრაგენი რომ არ მიშველებოდნენ.

ასეთი შემთხვევაც იყო. სოფელ ანტონკოველი მასწავლებელი ქალი საპატიმროს ეკლესიაში მწუხრის ლოცვის დროს ძალიან ახლოს მივიდა ხის რიკულთან. საპატიმროს უფროსების განკარგულებით, პატიმრები იქ ისმენდნენ წირვა-ლოცვას, — სისხლის სამართლისა და პოლიტიკური დამნაშავენიც ყველანი ერთად.

ვერც კი მოასწრო მასწავლებელმა ქალმა მობრუნება, რომ მის ზურგს უკან, თითქოს მიწიდან ამოვიდაო, დერგაჩი გაჩნდა.

— გაეთრიე აქედან! — დაიღრიალა მან ისე, რომ მთელ ეკლესიაში გაისმა. მლოცველებმა და პატიმრებმა მოიხედეს, მნათემ სანთლის ყუთთან სანთლების თვლაც მიატოვა და პირჯვარიც კი გადაისახა.

შეშინებული მასწავლებელი ქალი მოშორდა რიკულს, დერგაჩი კი გამოიჯგიმა, გვერდით ამოუდგა ქალს და მწუხრის ბოლომდე იდგა ასე ბადრაგივით.

ორი დღის შემდეგ მასწავლებელ ქალს პოლიციის სამმართველოში გამოუძახეს დასაკითხავად.

დერგაჩი ფიცულობდა, რომ მან თავისი თვალით ნახა, როგორ ცდილობდა მასწავლებელი ქალი რიკულებიდან პოლიტიკურებისათვის წერილის გადაცემას. კიდევაც გადასცემდაო, საზიზღარი, რომ მას, დერგაჩს, არ შეეშალა ხელი.

ანტონკოველ მასწავლებელ ქალს ურჟუმში კარგად იცნობდნენ. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და ყველას ახსოვდა, როგორ გაათავა მან გიმნაზია, რომელიც ვოსკრესენსკაიას ქუჩაზე მდებარეობდა. ამიტომ, როცა ის დაკითხვის შემდეგ გადაიყვანეს სხვა სკოლაში, რომელიც ურჟუმს ასი ვერსით იყო დაშორებული, ყველას ძალიან შეეცოდა ის.

მასწავლებელი ქალის გამგზავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, დერგაჩი აბანოდან ბრუნდებოდა გაწითლებული და გამხიარულებული, იღლიაში აბანოს ცოცხი და საცვლები ამოეჩარა. ამ დროს ვიღაცამ ღობიდან მას ნაგვის, კარტოფილის ნაფცქვენისა და ნაცრის მთელი გროვა გადმოაყარა.

დერგაჩი შევარდა ეზოში დამნაშავეთა საძებნელად, მაგრამ მათი კვალიც კი გაჰქრა.

დამნაშავენი ყრუ ადგილით გაძვრნენ ქუჩის ბოლოს და მიიშალნენ თავშესაფრის ჭიშკარს იქით.

ესენი თავშესაფრის ბიჭები იყვნენ და ერთი მათგანი ურჟუმის სამოქალაქო სასწავლებლის მეოთხე კლასის მოწაფე სერიოჟა კოსტრიკოვი.

ბებია მელანია ავდეის-ასულს ამის შესახებ არასოდეს არაფერი გაუგია. რომ გაეგო, შიშისაგან მოკვდებოდა, ისე ეშინოდა ხელისუფლებისა. როცა ბებიასთან პოლიციის ზედამხედველი მოდიოდა ჯარიმის გადასახდევინებლად, აქაოდა თხა შიმკამ ქუჩაში ხეები მოკორტნაო, ანდა წესრიგის სხვა რაღაც დარღვევის გამო, — ბებია თავაზიანად მიაწოდებდა პოლიციელს ტაბურეტს, რომელზედაც წინსაფრის ბოლოთი მტვერს ჩამობერტყდა. შემდეგ, ოხვრითა და ვიშით თავის მწვანე ზანდუკს გააღებდა და სულ ფსკერიდან რაღაც პატარა მაგრად შეკრულ ფუთას ამოიღებდა, პირს მიიბრუნებდა პოლიციელისაგან, აკანკალებული ხელებით საჩქაროდ გახსნიდა ფუთას და ამოიღებდა სასოებით შენახულ სპილენძის ფულს.

— იესო მაცხოვარო, ნიკოლოზ მოწამეო, მარიამ ეგვიპტელო, — ჩურჩულებდა ბებია და ითვლიდა კაპეიკებს.

ფულის მიღების შემდეგ ზედამხედველი კიდევ დიდხანს იჯდა ტაბურეტზე და ამთქნარებდა, იფხანდა კეფას, მერე კი, თუ ბებია ვერ მიხვდებოდა რა უნდოდა ზედამხედველს, უადგილოდ დაიწყებდა ჩივილს თავის მწარე ცხოვრებაზე.

ბებია უკვე მიხვდებოდა, რომ ხელისუფლებას „გამასპინძლება“ უნდოდა. უამისობა არ იქნებოდა. გამოიტანდა განჯინიდან მოკლეფეხიან ჭიქას და ნაყენიან სურას.

ნაყენს რომ დალევდა, ზედამხედველი ულვაშებს მოიწმენდდა და დაუწყებდა ბებიას ახსნა-განმარტებას, მწარე ცხოვრება სტუდენტების გამო მაქვსო. სტუდენტები კი სხვადასხვანაირიაო: ისინი, რომელნიც ზედამხედველობის ქვეშაა, არაა საშიში ხალხი, ხოლო ისინი, რომელნიც თავისუფლად დადიან, ყველაზე მავნე არიან, მათგან ყოველ წუთს ელოდე სისაძაგლესო.

ბებია მელანია ჩუმად აქნევდა თავს და კვერს უკრავდა.

ხანდახან უხდებოდა ხოლმე სერგეის ასეთ დროს ბებიასთან ყოფნა და ასეთი საუბრების მოსმენა.

ის ყურს უგდებდა და ვერასგზით ვერ მიმხვდარიყო, რატომ არიან სტუდენტები მავნე და საშიშარი. ის ხშირად ხედავდა სტუდენტებს ქალაქში — ისინი არდადეგებზე ჩამოდიოდნენ ურეუმში მშობლებთან. ეს მხიარული და ხმაურიანი ხალხი იყო. საღამოობით ისინი ურეუმკაზე სეირნობდნენ ნავით, კარგ სიმღერებს შემოსძახებდნენ ხოლმე.

სერიოჟამ დაიმახსოვრა ზოგი ამ სიმღერათაგანი და თვითონაც მღეროდა, როცა ქარიყლაპიების დასაჭერად მიდიოდა წისქვილზე. ერთი სიმღერის ბოლომდე შესწავლა კი ვერ მოახერხა. ეს სიმღერა მან მხოლოდ ერთხელ გაიგონა მეშჩანების ტყეში — საღამოს. სტუდენტებმა ტყეში კოცონი დაანთეს, გიტარაზე დაუკრეს და მღეროდნენ:

Но настанет пора, и проснется народ,[1]
Разогнет он могучую спину,
И на бар и бояр и на прочих господ
Он поднимет родную дубину.
Эх, дубинушка, ухнем!
Эх, зеленая сама пойдет!

---

[1] მაგრამ დადგება დრო და გაიღვიძებს ხალხი, გაიმართება წელში და ყველა ჯურის ბატონის წინააღმდეგ აღმართავს თავის კეტს.
ოჰ, ჩემო კეტო, დავცხოთ!
ოჰ, ახალი კეტი თვითონ დასცხებს!

თავი მეოცე

„ძველმოძმედნი“

1901 წელს, ურეუმის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა საარდადეგოდ დათხოვნის წინ, სამასწავლებლოში, ცისფერი ზეთის საღებავით შეღებილ მაგიდას ექვსი კაცი უჯდა.

სასწავლებლის დირექტორი კოსტროვი ნახევრად თვალდახუჭული იჯდა და თითქოს თვლემდა. შავი მუხლუხო-წარბები შუბლზე ისვენებდნენ.

მის გვერდით ნიკიფორე საველის-ძე მოროზოვი გულდასმით იწერდა რაღაცას ქაღალდის ნახევზე. მის წინ მაღალ დასტად იდო ამ წელს სამოქალაქო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მოწმობები.

ხუცესი კონსტანტინე ძლივს იკავებდა მთქნარებას, ისრესდა კოტიტა ხელებს, რომლებიც თითქოს ცვილისაგან იყო გაკეთებული. მაგიდის მეორე მხარეზე, საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის — პოლნერის გვერდით დიდის ამბით იჯდა ორი ურეუმელი ვაჭარი — თავშესაფრის მზრუნველები, — ორივეს შავი სერთუკი ეცვა, ორივე ლოყებღაჟღაჟა და წვერებიანი იყო და ორივეს შუაზე გადაყოფილი თმა ჰქონდა.

ოთახში შეხუთული ჰაერი იდგა.

მაგიდაზე ბზუილით დაფრინავდნენ ბუზები. ღია ფანჯრებში ძუძუმწოვარა ბავშვების ტირილი და ბიჭების წკრიალა ხმა ისმოდა. ბიჭები ქუჩის ბოლოს „ორმობანას“ თამაშობდნენ.

უკვე ერთი საათი იქნებოდა, რაც ეს ხალხი სამასწავლებლო ოთახში მაგიდას უჯდა. ყველა დაღლილი იყო. ყველას დიდი ხანია უნდოდა შინ წასვლა, მაგრამ საჭირო იყო კიდევ ერთი საკით-

ხის გადაწყვეტა. ნიკიფორე საველის-ძე მოროზოვმა აიღო ხელში მოწმობა, რომელიც ზევით იდო, და დაიწყო ხვეწნით:

— პირდაპირ დანაშაულია, ასეთმა ნიჭიერმა ყმაწვილმა რომ არ განაგრძოს სწავლა: მას არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს.

— მეც ასე ვფიქრობ, — გამოეხმაურა პოლნერი და ირიბად შეხედა დირექტორს. — ბიჭმა ორივე სასწავლებელი კარგი ნიშნებით დაამთავრა. პირველი მოწაფეა.

დირექტორმა კოსტროვმა უცბად გაახილა თვალი, გაანძრია თავისი მუხლუხოები და გადაწვა სკამის ზურგზე.

— ოცდახუთი წელია, — თქვა კოსტროვმა, — რაც ვმსახურობ სასწავლებელში. რამდენი ათასი ყმაწვილი მინახავს. დიახ, რამდენი ათასი. ჭკვიანი კი იშვიათად მინახავს. დიახ, ძალიან იშვიათად. უმთავრეს შემთხვევაში სულ ცერცეტი, ზარმაცი და ბრიყვები არიან. დიახ!

დირექტორმა ხელისგული დაარტყა მაგიდას.

— მაგრამ ამ შემთხვევაში, — განაგრძო მან ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — მე იძულებული ვარ ვაღიარო, რომ სერგეი კოსტრიკოვი მტკიცე ხასიათისა და ჭკვიანი ბიჭია. მე იმ აზრისა ვარ, რომ ამ ბიჭისაგან კარგი რამ გამოვა. დიახ, გამოვა...

კოსტროვი დადუმდა და კვლავ დახუჭა თვალი, თითქოს ფიქრობდა, ისედაც ბევრი ვთქვიო.

ყველანი ერთხანს დუმდნენ. მამა კონსტანტინემ პირველმა დაარღვია სიჩუმე. მან ამოიხვნეშა და გულის ჯვრის ძეწკვის დამარცვლით თქვა:

— ყოველივე ზემოთქმულიდან ჩემის რწმენით ცხადია, რომ მოწაფე კოსტრიკოვი მართლა ღირსია სუბსიდიისა. თუ ბატონი მზრუნველები უარს არ იტყვიან, ღმერთმა ხელი მოუმართოს, განაგრძოს სწავლა.

ერთ-ერთი ვაჭარი სკამზე ატოკდა.

— რამდენი დაჯდება ეს, მაგალითისათვის?

— წელიწადში ოცდაათი მანეთი, — საჩქაროდ უპასუხა პოლნერმა. — მეოთხედში შვიდნახევარი.

— მაშასადამე, გამოდის, თუ სამი წელი გაგრძელდა სწავლა, ოთხმოცდაათი მანეთი. ძვირია! — იანგარიშა მეორე ვაჭარმა.

— ახლა დავუმატოთ ფორმა, ბინის ქირა, აბანო, სძა-ჭამაც ხომ უნდა მას, გზის ფულიც ხომ უნდა, კიდევ რაღაც-რაღაცა. ბევრს დაიჭერს...

— არ გამოვა.

— ჩვენ, პატივცემულნო, ოხრად როდი მოგვდის ფული.

ორთავე ვაჭარ-მზრუნველმა ხმამაღლა და ბრაზით დაიწყეს ლაპარაკი, თითქოს თავის დუქანში ნავაჭრს ითვლიდნენ.

— პატივცემულო ბატონო მზრუნველებო! — ჩაერია მათ საუბარში პოლნერი, — ბინის შესახებ გთხოვთ არ შესწუხდეთ. მე ყაზანში ერთი შორეული ნათესავი მყავს, პატივცემული ქალია — სუნდსტრემი გვარად, ლუდმილა ჰუსტავის-ასული. ეს ქალბატონი შევიდა ობლის მდგომარეობაში და სულ მცირე ფასად, პირდაპირ სამოწყალოდ, დათანხმდა შეიფაროს ის სადმე კუთხეში.

— ობლის გულისათვის, როგორც იტყვიან, ღმერთი ასწილად მოგიზღავთ და მოგებასაც შეგმატებთ, — თქვა მამა კონსტანტინემ გალობით — ყრმასა ამას აქვს ნიჭი. ნიჭი კი, როგორც იტყვიან, ცოდვაა ჩავფლათ მიწაში.

კიდევ დიდხანს ჭოჭმანობდნენ ვაჭარ-მზრუნველნი და, ბოლოს, მაინც დათანხმდნენ გაეგზავნათ ყაზანს თავის ხარჯზე ურჟუმის სამოქალაქო სასწავლებლის პირველი მოწაფე სერგეი კოსტრიკოვი.

სერგეი კოსტრიკოვმა მაგრად ჩაბღუჯა ურჟუმის სამოქალაქო სასწავლებლის სრული კურსის წარმატებით დამთავრების ატესტატი და გაიქცა შინ.

შინ ატირებული ბებია დახვდა.

დღეს დილით ბებიასთან მოსულა ულვაშა პოლიციელი ორი მოწმითურთ და სახლის გადასახადის შეუტანლობის გამო აუწერია და გაუტანია ყველაფერი, რაც კი რამ ძვირფასი ყოფილა სახლში. წაუღია გვერდებშეჭყლეტილი და ფეხმოტეხილი სამოვარი, დიდი მრგვალი წყლის ავზი სპილენძისა, რომელიც ისე იყო ამწვანებული გარედან, რომ მისი გახეხვა დაფშვნილი აგურითაც აღარ შეიძლებოდა.

უკეფესი ნივთები არ აღმოჩნდა ბებიასას.

ბებია დიდხანს ტიროდა და ვერ იქნა და ვერ აუხსნა სერგეის რიგიანად, თუ რაში იყო საქმე. ბებიას მაგივრად პატარა დამ — ლიზამ უამბო:

— განა რა გვქონდა აქ ჩვენ... მოვიდა პოლიციელი და თან ორი ძია მოჰყვა. ერთი იყო ანნა ივანეს-ასულის ძმა, მეორე მწვანე სახლში რომაა დარია თედორეს-ასული, იმისი ქმარი. პოლიციელმა დაუწყო ბებიას ფულის თხოვა, ბებიას კი არა აქვს. მაშინ მან სამოვარი ჩამოიღო მაგიდიდან, სამოვრიდან კი წყალი გამოუშვა. ძიებმა კი სპილენძის ავზი წაიღეს, წყალი კი გადმოაქციეს, პირდაპირ ეზოში, არყის ქვეშ. ბებია ეხვეწებოდა პოლიციელს: „თქვენო კეთილშობილებავ, დამიბრუნეთ!“, ის კი არ იძლევა. „როცა ფულს მოიტან, — უთხრა, — მაშინ სამოვარსაც და სპილენძის ავზსაც მოგცემთო!“.

სერგეიმ დასდო მაგიდაზე ატესტატი, მივიდა ბებიასთან და მხრებზე მოეხვია.

— ნუ ტირი, ბებია, — უთხრა სერგეიმ. — მე ჩქარა დავიწყებ ფულის შოვნას. მაშინ ახალ სამოვარს ვიყიდით, ზედადგარიანს.

იგი ერთი წუთით დადუმდა, შემდეგ კი დაუმატა:

— ბებია, მე ყაზანს მაგზავნიან სასწავლებლად, ვაჭრების ხარჯზე.

ბებია კიდევ უფრო ატირდა, მაგრამ ახლა უკვე სიხარულისაგან.

— დიდება შენდა, უფალო! გაიგონეს წმინდანებმა ჩემი ლოცვები. ეგებ მართლაც კაცი გამოხვიდე. არ დაიტანჯები, როგორც ვიტანჯებიდოთ მე და განსვენებული კატენკა...

* * *

ორი კვირის შემდეგ ვიატკიდან ჩამოვიდა სანია.

— ჰო, სანია, მე ყაზანს მივდივარ, ტექნიკურში უნდა ვისწავლო. იქ, ალბათ, გერმანულსაც ასწავლიან, — თავი მოიწონა სერგეიმ.

— ტექნიკოსებს ცუდი ფორმა აქვთ, — გულცივად უპასუხა სანიამ. ქუდზე ჩაქუჩები და მარწუხები აქვთ.

— ეს კიდევ არაფერია, — გაიცინა სერგეიმ. — ჩემთვის მთავარია ყაზანში მივიდე. პირდაპირ მოუთმენლად ველი შემოდგომას.

და, აი, ბოლოს, შემოდგომაც დადგა.

1901 წლის აგვისტოს, სანია დაბრუნდა ვიატკაში, ხოლო სერგეი გაემგზავრა ყაზანის სახელოსნო სასწავლებელში, რომელსაც „შეერთებული სამრეწველო“ ეწოდებოდა. მან თან წაიღო მეტრიკული ამონაწერი, ურჟუმის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი და „ვალდებულება“, სადაც ნათქვამი იყო:

„მე ვალდებული ვარ აღნიშნულ ს. კოსტრიკოვს ჩავაცვა დადგენილი ფორმით, მოვამარაგო ყველა სახელმძღვანელოთი და დროზე გადავიხადო სწავლისათვის დადგენილი ფასი. ბინად ის იქნება ჩემს ნათესავთან, მოხელის ქალიშვილთან, ქალწულ ლუდმილა ჰუსტავის ასულ სუნდსტრემთან.

თავდები ვარ სერგეი კოსტრიკოვზე სწორი ოჯახური ზედამხედველობისა და იმისა, რომ მას შევუქმნა სასწავლებლად საჭირო აუცილებელი პირობები.

ურჟუმის საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს
თავმჯდომარე: ვიქტორ პოლნერი“.

თავი ოცდამეერთე

ყ ა ზ ა ნ შ ი

ლუდმილა ჰუსტავის ასული სუნდსტრემი ცხოვრობდა ნიკნეფედოროვსკაიას ქუჩაზე, ხის ორსართულიან სახლში.

ეს იყო მაღალი ქალი, ორმოცდახუთი წლისა, გამხდარი და ბრტყელი, გამხმარი თევზის მსგავსად. ამ მსგავსებას უფრო აძლიერებდა მისი ნაცრისფერი, მრგვალი, გადმოკარკლული თვალები, რომელიც ზღვის ქორჭილას თვალებსა ჰგავდა.

ლუდმილა ჰუსტავის ასულს მგრძნობიარე და მეოცნებე ხასიათი ჰქონდა. ის გატაცებით კითხულობდა სენტიმენტალურ გერმანულ რომანებს და განსაკუთრებით უყვარდა, როცა წიგნებში აწერილი იყო სიყვარული და ყველაფერი ქორწილით თავდებოდა.

ის მტირალა და გულჩვილი იყო. ებრალებოდა ადამიანები, ებრალებოდა მოწყვეტილი ყვავილები, ებრალებოდა ცხოველები. მის ბინაში მუდამ პოულობდნენ თავშესაფარს მშიერი, გაქუცული კატები, ფეხებგადამტვრეული და კუდმოგლეჯილი ძაღლები. ის მათ ჰკურნავდა, აჭმევდა და ისევ გაუშვებდა ქუჩაში.

ლუდმილა ჰუსტავის ასული ყველა საგანს საალერსო სახელს უწოდებდა: ფინჯანიკო, სკამიკო, კოვზიკო, ბალიშიკო. თავის მდგმურებს კი — სტუდენტებს — სხვანაირად არ დაუძახებდა, თუ არა „ბიჭუნებო“, „გვრიტებო“, თუმცა ეს ბიჭუნები უკვე ოც წელზე მეტისა იყვნენ.

ურჟუმიდან წერილის მიღების შემდეგ, ლუდმილა ჰუსტავის ასული მოუთმენლად მოელოდა სერგეის ჩამოსვლას. მან წარმოიდგინა, რომ „ობოლი“ უეჭველად გამხდარი, ფერმკრთალი, ოქროსთმიანი ბიჭი იქნებოდა, როგორსაც ჩვეულებრივ ხატავდნენ ძველებურ სატირელ რომანებში.

— საწყალი ბავშვი! — ამბობდა ის სერგეის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ არ ენახა. — საწყალი ბავშვი!

ერთხელ დილით უკანა კარზე ვიღაცამ მაგრად დარეკა. ლუდმილა ჰუსტავის ასულმა თვითონ გაუღო კარი, რადგან მისი მზარეული ქალი ბაზარში იყო წასული.

პარმაღზე იდგა თხუთმეტი წლის ყმაწვილი. ეს იყო მხარბეჭგანიერი, ჩასხმული, შავგვრემანი, დამცინავი გაშომეტყველების, შავთვალწარბა და მაღალშუბლიანი ყმაწვილი. ძველი ქუდი კეფაზე გადაეწია, ქუდიდან მოჩანდა ხშირი შავი თმა, რომელიც ბუძგად ჰქონდა გაკრეჭილი. თავშესაფრის მოკლე გახუნებული პალტო მკერდზე არ წვდებოდა. ხელში ნივთებით სავსე პატარა კალათი ეჭირა.

— ვინ ხარ? — ჰკითხა ლუდმილა ჰუსტავის ასულმა და გაკვირვებით, თითქმის შიშითაც კი შეათვალიერა ყმაწვილი.

— სერგეი კოსტრიკოვი.

— ობოლი?.. ურჟუმელი?

— ურჟუმელი.

— მაშ, ეს შენა ხარ? ჰო, შემოდი, შემოდი, — დაბნეულად თქვა ლუდმილა ჰუსტავის ასულმა და სერგეი სამზარეულოში შემოუშვა.

„ობოლი“ მას რაღაც მეტისმეტად ჯანსაღი, ღონიერი და მხიარული მოეჩვენა.

— გესმის, შენ მართლა ობოლი ხარ? — იჭვიანად ჰკითხა ლუდმილა ჰუსტავის ასულმა, რომელიც დაშტერებით ათვალიერებდა თავის ახალ მდგმურს.

— ობოლი ვარ, — უპასუხა სერგეიმ.

— რა გაეწყობა, დაჯექ, — უთხრა ლუდმილა ჰუსტავის ასულმა და დაუწყო გამოკითხვა თავის ბიძაშვილ პოლნერზე და ურჟუმზე, სადაც ყოფილა სტუმრად, როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი იყო. სერგეი იატაკს დაჰყურებდა და კითხვაზე დინჯად უპასუხებდა. მას ყველაფერი არ ესმოდა, რასაც ლუდმილა ჰუსტავის ასული ამბობდა, — ის კაჭკაჭივით ტარტალებდა და თანაც ჩიფჩიფებდა.

ჩქარა ბაზრიდან დაბრუნდა მზარეული ქალი. ლუდმილა ჰუსტავის ასულმა უბრძანა, სერგეის ჩაი დაალევინეო, და რომ მოეფიქრებინა, თუ სად მოეთავსებინა ახალი მდგმური, შევიდა თავის ოთახში, რომელიც ძველებური მდარე ხავერდგადაკრული ავეჯით იყო მორთული.

სქელი, ულვაშიანი მოხუცი მზარეული ქალი ლაპარაკის მოყვარული და მიამიტი აღმოჩნდა.

— მაშასადამე, სასწავლებლად ჩამოდი? გამწარდები, ყმაწვილო, ამ სწავლით. ღარიბ კაცს ჯიბე არ აძლევს სწავლის საშუალებას. ღარიბი ხელოსნობას უნდა სწავლობდეს: ხუროობას, დურგლობას, მეჩექმეობას.

დიდხანს ფილოსოფოსობდა მოხუცი ქალი ღარიბების ბედზე და ბოლოს უამბო სერგეის სამწუხარო ამბავი, თუ როგორ მოკვდა შარშან ჭლექისაგან მათ სახლში ახალგაზრდა სტუდენტი:

— სანთელივით ყვითელი სახე ჰქონდა მას, ცხვირი წვრილი. მირბოდა ხოლმე დილაობით მშიერი, ეჩქარებოდა თავის ლექციებზე. ჩექმები დახეული, ფარაჯა გაცვეთილი...

სანამ სერგეი ჩაის სვამდა, ლუდმილა ჰუსტავის ასული თავის ოთახში იჯდა და ფიქრობდა, სად მოეთავსებინა ახალი მდგმური.

მაგრამ როგორც არ იანგარიშა, როგორც არ იფიქრა, სერგეისათვის მხოლოდ ერთი ადგილი ნახა — ბნელი დერეფანი. იქ იდგა პატარა ზანდუკი, რომელზედაც გახუნებული ნოხი იყო გადაფარებული. ზანდუკს ზემოთ ეკიდა ზეწარში გახვეული ორი სურათი და აბრეშუმის ქოლგა ნაცრისფერ შალითაში. აქვე კუთხეში ბამბის საფენზე ბებერი ბრმა კატა ცხოვრობდა.

ლუდმილა ჰუსტავის ასული სამზარეულოში გამოვიდა და გამოუცხადა თავისი გადაწყვეტილება სერგეის: სერგეი დაიძინებს წინა ოთახში „პატარა ზანდუკზე“, ხოლო მეცადინეობა შეუძლია საღამოობით სამზარეულოში მას შემდეგ, როცა ყველანი ივახშმებენ და მზარეული ქალი გარეცხავს და აალაგებს ჭურჭელს.

საღამოს ბინაზე მოგზაურება დაიწყეს სტუდენტებმა. ისინი მეცადინეობიდან ბრუნდებოდნენ. ლუდმილა ჰუსტავის ასულს სულ ექვსი მდგმური ჰყავდა. ამ საღამოს, სამზარეულოში რომ

გამოვიდნენ, მდგმურებმა დაინახეს შავთმიანი, შავგვრემანი ბიჭი. ის იჯდა ფანჯარასთან და რაღაც წიგნს კითხულობდა. დიდხანს მოუხდა სერგეის ცდა სამზარეულოში პირველ საღამოს, სანამ ყველანი დაწვებოდნენ და შეწყვეტდნენ სიარულს დერეფანში. ბოლოს, როცა ბინაში ყველაფერი დაწყნარდა, სერგეი წავიდა ახალ ადგილზე მოსაწყობად.

ზანდუკი ძლიერ მოკლე აღმოჩნდა. მასზე ძილი მხოლოდ მოკუნტულად შეიძლებოდა. ქვეშაგები ხამი იყო, ხოლო დოშაკს რატომღაც ნავთის სუნი ასდიოდა.

სერგეი დიდხანს ტრიალებდა და ვერ იქნა და ვერა, ვერ დაიძინა ახალ ადგილზე. მხოლოდ ალიონზე ჩაეძინა ღრმად.

თავი ოცდამეოთხე

კუთხის მდგმური

ყაზანის სამრეწველო სასწავლებელში მეცადინეობა დილის სრულ რვა საათზე იწყებოდა. და რადგან სერგეი ქალაქის მეორე ბოლოს ცხოვრობდა, დილით ადრე უხდებოდა ადგომა. სამზარეულოს გატეხილ ციფერბლატიანი საათი მხოლოდ შვიდის ნახევარს უჩვენებდა, როცა ის იღვიძებდა.

პირის დაბანასა და მომზადებაზე ათი წუთის მეტი არ ეკარგებოდა. ჩექმებს სულ უკანასკნელ წუთს იცვამდა, მანამ კი ფეხშიშველი დადიოდა სამზარეულოსა და დერეფანში.

პოლნერმა, როცა ურჟუმიდან გამგზავრების წინ გამოეთხოვა, მას ასეთი დავალება მისცა: სულ ხუთებზე ისწავლე და ჩექმებს მოუარეო...

— დიდ ქალაქში ჩქარა ცვდება ლანჩები. ტყუილუბრალოდ ქალაქში ნუ იხეტიალებ!

და სერგეიც არ დარბოდა ტყუილუბრალოდ. მაგრამ როგორ დაიცავ ლანჩებს, როცა ამ სიშორეზე — სახლიდან სასწავლებლამდე, ნიკონე-ფედოროვსკაიას ქუჩიდან არსკის მინდვრამდე უნდა წახვიდე. კიდევ კარგი, თუ ქუჩა მშრალი იყო, თორემ წვიმა და ტალახი ხომ სულ დაღუპვაა ჩექმებისათვის. დასველდება, გაიყინთება ისე, რომ დილამდე ვერ გააშრობ.

ამინდი კი, თითქოს ჯიბრზე, ყოველდღე უარესდებოდა.

— წავიდა ნათელი დღეები, — ბუზღუნებდა დილაობით მოხუცი მზარეული ქალი ჭრაქის ანთებისას, — ახლა რომ დაიწყებს, არ ექნება დასასრული წვიმას, სანამ ღმერთი თოვლს არ გამოგზავნის.

ხვნეშით და მთქნარებით დაიწყებდა მოხუცი სამოვრის დადგმას და მხოლოდ მაშინ შენიშნავდა სიბნელეში სერგეის.

— შენ კი, სწავლულო, წასასვლელად გამზადებულხარ... თევზივით დასველდები, ყმაწვილო. ჩაისთვის მაინც დაგეცადა, სამოვარი ერთ წამს იქნება.

მაგრამ სერგეის არ ეცალა ჩაისათვის მოსაცდელად.

ის ჩამოიფხატავდა თავზე ქუდს, ასწევდა თავისი ძველი პალტოს ვიწრო საყელოს და გავიდოდა ცივ ქუჩაში.

ნავთის ფარნებს ქარი აპარპარებდა. აქა-იქ ხის პატარა დაბალ სახლებში ფანჯრები მკრთალად იყო განათებული, და ქუჩიდან მოჩანდა, თუ როგორ მოძრაობდნენ ფანჯრის ჩითის ფარდებს იქით ჩრდილები,—იქ სამუშაოზე წასასვლელად ემზადებოდნენ.

სერგეის სიარული უძნელდებოდა. ფეხები უცურდებოდა. ჩექმებ ქვეშ ტყაპუნებდა და ხრაშუნებდა სქელი ტალახი. ღრმა ტბორები შავად მოჩანდა. სერგეი ხან გვერდით აუვლიდა მათ, ხან გადაახტებოდა, და ცდილობდა ჩექმები არ დასველებოდა.

ის მიდიოდა აჩქარებით, სწრაფი ნაბიჯებით, მაგრამ მაინც ასწრებდა შეენიშნა ბევრი რამ, რაც გზაში ხვდებოდა.

მის ყურადღებას ყველაზე მეტად საკანცელარიო ნივთების მაღაზია იპყრობდა, სადაც ფანჯრის მინაში ფოსტის ქაღალდის კოლოფებსა და უბის წიგნაკების გროვას შორის ღია საფარგლე იდო. მერე და რა კარგი საფარგლე! ბუდე შავი, სარჩული ყოლოსფერი ხავერდისა, ხოლო ხავერდზე მეტად ბრჭყვიალებს ორი ფარგალი. ერთი საზომი, მეორე სახაზავი. ფარგლების გვერდით ორი რეისფედერი და აქვე დიდი ფოლადის საკუთხარი, ფოლადისვე სახაზავი და პატარა ბუდე ფანქრებისათვის.

საფარგლეს გვერდით, იმავე ფანჯარაში თხუთმეტიოდე მრუდთარგი იდო, სხვადასხვა უცნაური ფორმისა, — ეტყობოდა ისინი საფარგლესთან ერთად იყიდებოდა. შესაძლებელია, იმავე ფასებშიაც.

ოხ, ამ ფარგლით შეიძლებოდა ისეთი ნახაზების გაკეთება, რომ თვითონ ჟაკოვი — ხაზვის მასწავლებელი — ისიც კი ვერ მოგდებდა შარს.

კარგი იქნებოდა სადმე ცალკე მაგიდის შოვნაც, თუნდაც პატარასი. თორემ სამზარეულოს მაგიდაზე უხდებოდა მუშაობა. ერთი ვნახოთ და ქონის ლაქები დაეჩნდეს ნახაზს.

* * *

აი უკვე თვენახევარია, რაც სერგეი ლუდმილა ჰუსტავის ასულისას ცხოვრობს, და ამ თვენახევარში დღენიადაგ ერთი და იგივე მეორდებოდა.

საღამოს ცხრა საათზე მოხუცი მზარეული ქალი ჭურჭლის რეცხვას შეუდგებოდა. რეცხავდა აუჩქარებლად. თუჯს სილით ხეხავდა, დანა-ჩანგალს აგურის ფხვნილით ან ზუმფარას ქაღალდით. სანამ მზარეული ჭურჭელთან ზოზინობდა, სერგეი მოუთმენლად ბოლთასა სცემდა სამზარეულოში. ეჰ, როდის გაათავებს მოხუცი დალაგებას და გაათავისუფლებს მაგიდას?

მაგრამ მოხუცს არსად ეჩქარებოდა.

ბოლოს სერგეის მოთმინება ეკარგებოდა, თავად დასტაცებდა ხელს დანა-ჩანგალს და ისე გაშმაგებით დაუწყებდა ზუმფარათი ხეხვას, რომ მზარეული შეშინდებოდა კიდეც.

— ნელა, ყმაწვილო, ტარი არ გატეხო!

ბოლოს დალაგებაც გათავდებოდა. მზარეული დაიწყებდა მაგიდის რეცხვას. ჯერ დაასხამდა ჩაიდნიდან ადუღებულ წყალს, შემდეგ ფხეკდა სამზარეულოს დიდი დანით, შემდეგ გარეცხდა ხრილით და კვლავ გადაასხამდა მდუღარეს. მაგიდას ორთქლი ასდიოდა, მისი ხორკლებიანი ფიცარი ბზინავდა და ერბოსავით ყვითლდებოდა.

სერგეიც სწორედ ამას უცდიდა. იგი დასტაცებდა ხელს სუფთა ჩვარს და გაამშრალებდა ამ ხიწვიან ძველ მაგიდას.

აი ახლა კი შეიძლება მუშაობა. მაგიდაზე გაჩნდებოდა თეთრი ქაღალდის დიდი ოთხკუთხი ფურცელი. სერგეი ფრთხილად მიამაგრებდა მას მაგიდის კუთხეებზე ჭიკარტებით, შემდეგ ამოიღებდა თავის კალათიდან ტუშიან ჭიჭლას, ძველ სახაზინო საფარგლეს, ორ წვრილად წაწვეტილ ფანქარსა და საშალს.

— ეჰე, საქმეს მივარდა ბიჭუნა! ახლა მთელი ღამე არ ადგება, — ამბობდა მოხუცი ქალი, პირსაბანქვეშ თავს დაისველებდა და შეუდგებოდა ღამისათვის თხელი თმების დაწვნას.

მაგრამ სერგეის უკვე არ ესმოდა არც მოხუცი ქალის სიტყვები, არც მისი ფეხის ფრატუნი სამზარეულოში.

ის უფრო ახლოს დაიდგამდა ნავთის ლამპას, წამოაცვამდა მას ქაღალდის თალფაქს, რომელიც თვითონ გააკეთა, და შეუდგებოდა ხაზვას.

წვრილი ფანქარი მსუბუქად დასრიალებს სქელ თეთრ ქაღალდზე, ფარგლის ნემსი ოდნავ შესამჩნევ წერტილებს ტოვებს.

და უცებ — ისევ ნაბიჯები ისმის. სამზარეულოში, ფოსტლების ფრატუნით, შემოდის ლუდმილა ჰუსტავის ასული.

ის ყოველ საღამოს უეჭველად შეიხედავს თავისი ბინის ყოველ კუთხეში.

— ცეცხლს უნდა გაუფრთხილდე, — ეტყვის ის სერგეის გვერდით რომ შეჩერდება. — ღმერთმა ნუ ჰქნას, ხანძარი რომ გაჩნდეს....

ყველაზე უფრო ცხოვრებაში მას თაგვებისა და ხანძრის ეშინოდა.

სერგეი თავს არ აიღებდა ნახაზიდან, ისე უსიტყვოდ დაუქნევდა თავს.

— შენ გესმის რაც ვთქვი? — ეკითხებოდა ლუდმილა ჰუსტავის ასული.

და სერგეი ერთხელ კიდევ დაუქნევდა თავს.

— ჰო... ჰო...

ლუდმილა ჰუსტავის ასული ღუმელს იქით შეიხედავდა, სადაც მოხუცი ხვრინავდა, გავლით რატომღაც ხელს შეახებდა თოკზე დაკიდებულ სველ ჭურჭლის ტილოს და მედიდურად გავიდოდა სამზარეულოდან. სამცნევები თრთიან და ქანაობენ მის თავზე.

ჰა, როგორც იქნა წავიდა.

ახლა სერგეი სამზარეულოს სრული ბატონ-პატრონი იყო.

რა კარგია, რომ ასეთი სიჩუმე გამეფდა ბინაში. მხოლოდ პირსაბანიდან რიტმიულად წვეთავს ლაგანში წყალი და კედელზე საათს ტაკი-ტუკი გააქვს.

სერგეი ამოიღებს რეისფედერს, მიიტანს ლამპასთან და დაშტერებით უყურებს მის ბოლოს. უნდა გასინჯოს, ხომ არ მოედო კალამს პატარა ბეწვი ან ღინღლი. თუ დროზე არ მოაშორე, დაიკარგა მთელი მუშაობა: შავი, წვრილი, ლამაზი ხაზის ნაცვლად ქაღალდზე კუდიანი ვარსკვლავი დარჩება.



სერგეი იხდის ჩექმებს და უვლის გარშემო მაგიდას, ყოველი მხრიდან ათვალიერებს მზა ნახაზს.

შუატანის, მხარბეჭგანიერი ის მკერდით წვება მაგიდაზე, რომ ნახაზის ზემო კიდურს მისწვდეს. შემდეგ დაიწევს უკან, მოჭუტავს ერთ თვალს, გადასწევს თავს განზე და ერთხელ კიდევ შეათვალი-

ერებს ნამუშევარს. ჩინებული ნახაზი გამოვიდა. სერგეი კმაყოფილია. მას ახლა ძალიან უნდა დაუსტვინოს, იმღეროს, მაგრამ გარშემო ყველას სძინავს. მხოლოდ ღუმელს იქით ბუტბუტებს მოხუცი — ის სიზმარში ითვლის, თუ რა უყიდნია.

— ჩალაღაჯი გირვანქა ნახევარი, ორი გირვანქა გამტკიცული პური, ორი გირვანქა შავი პური, შაურის ნიახური და ოხ-რა-ხუ-ში...

თავი ოცდამესამე

ახალი ადგილები, ახალი ხალხი

კვირაობით, დღესასწაულებზე და უქმე დღეებში, როცა სასწავლებელში მეცადინეობა არ იყო, სერგეი დილიდან წავიდოდა ხოლმე ქალაქში სასეირნოდ.

ყაზანი დიდი ქალაქია. ეს ურჟუმი როდია. ურჟუმს ერთი დღის განმავლობაში ორჯერ შემოირბენ გარდიგარდმო. ყაზანს კი ერთ თვესაც ვერ დაათვალიერებ, როგორც საჭიროა, განსაკუთრებით თუ მხოლოდ კვირაობით ივლი.

პირველი ცნობა იმის შესახებ, თუ რა უნდა დაათვალიერო ყაზანში, სერგეიმ მოხუც მზარეულ ქალისაგან მიიღო.

ყველაზე მეტად მოხუცი მთავარ ქუჩას აქებდა. აქ ყოველნაირი მაღაზიებია, სავაჭრო რიგებიც, მაღალი სახლები აგურისა და ქვისა, — ერთი სიტყვით სადღესასწაულო ქუჩაა, — ვოსკრესენსკაია.

ამ ქუჩაზე ყველა კეთილშობილი ხალხი ცხოვრობს — ვაჭრები და ხელისუფალნი.

მზარეულმა ქალმა ისიც ურჩია, გაევლო ვოლგაზე და არსკის სასაფლაოზე.

ვოლგაზე, — ამბობდა ის, — მტვირთავები ძლიერ სევდიან სიმღერას მღერიან, სასაფლაოზე კი — კურთხეულია! სიწყნარეა, ყველაფერი ამწვანებულია და ჩიტები ჟღურტულებენო.

სერგეი ყველგან იყო, მოიარა ლამაზი, ქვის სახლებიანი მთავარი ქუჩები, სადაც მდიდარ მაღაზიებისა და ალაფხანების გვერდით ხმაურობა და ფაცაფუცი იყო, და მუდამ ხალხი ირეოდა.

გაიარა მიზგითის გვერდით, სადაც მაღალ თეთრ მინარეთიდან საღამოობით თათრის მუეძინის ხორხისმიერი ძახილი მოისმოდა.

ნახა ყაზანის უნივერსიტეტი — ვეებერთელა შენობა, რომელსაც უზარმაზარი სვეტები ამშვენებდა. დიდხანს იდგა და უყურებდა, თუ როგორ ხმაურობდა მძიმე კარი და როგორ გამოდიოდა იმავე კარიდან ხმაურიანი სტუდენტების გროვა.

სერგეი ვოლგაზედაც იყო, შეიარა არსკის სასაფლაოზეც. შეიხედა თხების გარეუბანში, იყო ხუცის გორაკზე, დანაყარის შესახვევში, კატებისა და ძაღლების ქუჩებზეც. აქ, ქალაქის განაპირას, ქუჩები ვიწრო და ჭუჭყიანი იყო. აქ იყო შეხიზნული ღარიბი ხალხი. საღამოობით ძუნწად განათებული ქუჩები გამოცოცხლდებოდა: ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან აქეთკენ — შინისაკენ — მოდიოდნენ დაღლილი მუშები.

სერგეი თათრის გარეუბანშიაც მოხვდა. რუსულად მას „უსტიეს" ეძახდნენ, ხოლო თათრულად — „კაკაიდას". ეს თითქოს სულ სხვა ქალაქი იყო. აქ მხოლოდ თათრულად ლაპარაკობდნენ. ქალებსა და გოგონებს გრძელი შარვლები ეცვათ, მამაკაცებს კი თავი გადაპარსული ჰქონდათ, არახჩინი ეხურათ. თათრების ქუჩებში სერგეის სრულიად არ შეხვედრია მთვრალები.

მოხუცი მზარეული ქალი ამბობდა:

— იმათ, ურჯულოებს, იმათმა მუჰამედმა არყის სმა აუკრძალა.

უსტიეში ხეტიალისას სერგეი ხედავდა, თუ როგორ თამაშობდნენ მთელი დღის განმავლობაში ქუჩის მტვერში, საჯოგავი ცხენების ფეხებქვეშ, თათრების ჩამომჭკნარი და ჭუჭყიანი ბავშვები.

გვერდით კი გულცივად ჩაივლიდნენ მდიდარი თათრის ქალები, რომელთაც აბრეშუმის მანდილები და ვერცხლის ფულით დამშვენებული ბრტყელი ხავერდის ქუდები ეხურათ.

მალე სერგეიმ ორი ამხანაგი გაიჩინა. ესენი იყვნენ ასეევი და იაკოვლევი. ახლა ქალაქში ისინი სამნი დადიოდნენ.

ასეევს ის მეცადინეობის პირველ დღესვე გაეცნო.

სასწავლებლის დერეფნებში სეირნობდნენ და იდგნენ მოზარდი და დიდებიც, ულვაშიანი ბიჭებიც. ხმაურობა იყო. ლაპარაკი,

სიცილი, ძახილი, ფეხების ფრატუნი დერეფნის ბოლოშიაც ის-მოდა.

გაკვირვებული და დაბნეული ახალი მოწაფეები კედლებსა და ფანჯრებს ეკვროდნენ. მათ შორის იყო სერგეიც. ის ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ბიჭებს, თავის მომავალ ამხანაგებს.

„აი, ის, ალბათ, ისიც ახალი მოწაფეა, მარტო დადის. ის კი, რასაკვირველია, პირველი წელი როდია სასწავლებელში — ყველას ედება, ყველას უძახის“.

და უცებ სერგეიმ ბიჭებში შენიშნა ერთი ყმაწვილი, რომელიც მოპირდაპირე კედელთან იდგა და ხელები ზურგზე დაეწყო.

ბიჭი არაფრით განირჩეოდა სხვა ბიჭებისაგან. გამხდარი, წვრილცხვირა, ის თვალში არ მოგხვდებოდათ ამ გაკრეჭილ და ერთნაირ მუქ ხალათებში გამოწყობილ ბიჭების გროვაში.

მაგრამ სერგეი თვალს არ აშორებდა მას და არა იმდენად მას, რამდენად მისი ქამრის სპილენძის ბალთას. ბალთაზე ამოჭრილი იყო სამი ასო: უ. ს. ს. სერგეი კარგად იცნობდა ამ ასოებს. ოთხი წელი ატარებდა ის ქამარს სწორედ ასეთი ბალთით, როცა ურეუმის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდა.

სერგეიმ კიდევ იფიქრა ერთი წუთი და შემდეგ პირდაპირ მივიდა ყმაწვილთან.

— განა შენც უ. ს. ს-ში სწავლობდი? — ჰკითხა მან.

— ვსწავლობდი, — უპასუხა მან გაცბუნებით.

— რატომ არასოდეს არ მინახავხარ?

— მეც არ მინახავხარ არასოდეს.

— შენ ამ წელს დაამთავრე? — ჰკითხა სერგეიმ.

— ამ წელს.

სერგეიმ იჭვნეულად გააქნია თავი.

— არა, ჩვენთან ურეუმში ასეთები არ ყოფილან.

— განა მე გითხარით, რომ ურეუმელი ვარ-მეთქი? მე ფფელი ვარ. უ. ს. ს. — უფის სამოქალაქო სასწავლებელია.

— თავიდანვე გეთქვა ასე, — გაიცინა სერგეიმ.

წვრილცხვირამაც გაიცინა.

ამ დღიდან დაიწყო სერგეის ნაცნობობა ყმაწვილთან, ხოლო შემდეგ მეგობრობაც.

წვრილცხვირა გვარად ასეევი იყო. ის რიბნორიადის ქუჩაზე ცხოვრობდა თავის ამხანაგ იაკოვლევთან ერთად, რომელიც ჩქარა გახდა სერგეის მეგობარი, და კლასში მათ სახელიც კი შეარქვეს: „განუყრელი სამება“.

თავი ოცდამეოთხე

შეერთებული სამრეწველო

ყაზანის სამრეწველო სასწავლებელს სწორედ იმიტომ ერქვა შეერთებული, რომ მასში იყო არა ერთი, არამედ მთელი ოთხი ტექნიკური სასწავლებელი: ერთი საშუალო ქიმიურ-ტექნიკური და სამი დაბალი — მექანიკურ-ტექნიკური, ქიმიურ-ტექნიკური და საამშენებლო-ტექნიკური.

აქ ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდა ახალგაზრდობა. სასწავლებლის გრძელ ნახევრადბნელ დერეფნებში შეიძლებოდა გაგეგონათ ჩრდილოელთა ოური, უკრაინელთა ეღეროვანი და კავკასიელთა ხორხისმიერი ლაპარაკი.

ასეთი სასწავლებელი სულ ორი იყო მთელ ვეებერთელა რუსეთში, და თუმცა სასწავლებელი დაარსებული იყო სამი წლით ადრე სერიოჟას შესვლამდე, მაგრამ ახალგაზრდობამ უკვე იცოდა მის შესახებ ყველაზე მიყრუებულ ადგილებშიაც კი.

ყაზანის შეერთებულ სასწავლებელში შესვლა იოლი როდი იყო: მსურველები ასეულობით იყვნენ, ხოლო სასწავლებელი ათეულებს ღებულობდა.

ასეთი ლტოლვა სასწავლებლისაკენ გამოწვეული იყო მით, რომ მას მექანიკური და საამშენებლო სახელოსნოები ჰქონდა. სწავლასთან ერთად აქ პრაქტიკის მიღებაც შეიძლებოდა. ხოლო მეორე კურსიდან სამრეწველო სასწავლებლის მოწაფეებს უკვე ქარხნებსა და ფაბრიკებში გზავნიდნენ.

დაბალ ტექნიკურ სასწავლებლებში, სადაც სერგეი შევიდა, სამი წელი უნდა ესწავლათ. აქ სასოფლო ორკლასიან სკოლიდანაც კი ღებდნენ. ასე რომ სერგეი, რომელსაც სამრევლო სკოლა-

ცა და სამოქალაქო ოთხკლასიანიც დამთავრებული ჰქონდა, თავის ამხანაგებში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ცოდნით.

საშუალოში მოთხოვნილება უფრო დიდი იყო, — იქ იღებდნენ რეალურის მეოთხე კლასიდან ან გიმნაზიის მეხუთე კლასიდან; სწავლასაც საშუალოში ერთი მეტი წელი უნდებოდა, ვიდრე დაბალში. ყაზანის შეერთებული სასწავლებლის აგურის დიდ შენობას დაკავებული ჰქონდა თითქმის მთელი ქუჩა, — ოღონდ აქ არავითარი ქუჩა არ იყო. სასწავლებელი ქალაქგარეთ იყო, მისამართიც მოკლე ჰქონდა: „არსკის მინდორი, საკუთარი სახლი“.

აქვე, არსკის მინდორზე, მოთავსებული იყო სასულიერო აკადემია, საბეითლო ინსტიტუტი და მონათლულ-თათართა სკოლა. როცა მოწაფეთა გროვა შავ ნიაღვრად გამოიშლებოდა აკადემიისა, ინსტიტუტისა და სამრეწველოს კარებიდან, აქ უფრო მეტი ხმაურობა იყო, ვიდრე ქალაქის ზოგიერთ ქუჩებში.

და მაინც ეს არ იყო ქალაქი.

გაზაფხულზე ხევებში და გზისპირა არხებში დიდხანს არ დნებოდა თოვლი, ხოლო სასაფლაოზე ყივილით დაფრინავდნენ ჭილყვავები და ბუდეს იკეთებდნენ.

მაგრამ განა შეიძლებოდა გაგეგონათ ფრინველების ჟრიამული მაშინ, როცა დაბლა დავობდნენ, ხმაურობდნენ და სხვადასხვა ხმაზე მღეროდნენ მომავალი მექანიკოსები, მხაზავები, მშენებელთა ათისთავები, მემანქანეები და ქარხნის ოსტატები.

საშუალო სასწავლებლის მოწაფეთა გამოცნობა დანარჩენებისაგან პირველი შეხედვით შეიძლებოდა. მათ შავ ქუდებზე, საყელოებზე და ყოშებზე ცისფერი კანტი ჰქონდათ.

„დაბალ“ მოწაფეებს არ ჰქონდათ კანტის ტარების უფლება არც ქუდებზე, არც ქურთუკებზე.

და თუ რომელიმე ფრანტს „დაბალ“ მოწაფეთაგან სული წასძლევდა და ცისფერკანტიან ქუდს შეიძენდა, ასეთი თვითნებობა შეიძლებოდა ძვირად დასჯდომოდა.

ინსპექტორ შიროკოვის კაბინეტის კუთხეში იდგა განჯინა, ამ განჯინის თაროებზე, როგორც ქუდების სახელოსნოში, ისე ელაგა ერთი მეორის გვერდით კანტიანი ქუდები. ეს ქუდები ინსპექტორმა თავისი ხელით მოხადა დამნაშავე თავებს. ფრანტობისათვის

მოწაფეებს ორ-ორი საათით ჩასვამდნენ კარცერში და ახალი ქუდიც უნდა ეყიდნათ.

მაგრამ „საშუალოთა“ და „დაბალთა“ შორის განსხვავება მარტო კანტებში როდი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ მათ სხვადასხვა ბედი მოელოდათ. „საშუალონი“ ტექნიკოსებად ემზადებოდნენ, თითქმის ინჟინრებად, „დაბალნი“ კი იშვიათად თუ გადაბიჯებდნენ ათისთავობას, ხელოსნობას ან მემანქანეობას.

თანაც სახალხო განათლების სამინისტრო დაბალი ტექნიკური სასწავლებლის მოწაფეებს უფლებას არ აძლევდა საშუალოში გადასულიყვნენ თუნდაც მათ ყველა საგანში ხუთიანი მიეღოთ დამთავრებისას.

მაგრამ ყოველივე ეს ხელს როდი უშლიდა „საშუალოებს“ და „დაბალთ“ მეგობრულად ეცხოვრათ ერთმანეთთან. არც თავისი უფლებებით, არც თავისი კანტებით „საშუალონი“ არც თუ ისე ამაყობდნენ. მხოლოდ ერთი უპირატესობით მაინც იწონებდნენ თავს ისინი „დაბალთა“ წინაშე: მათ ნება ჰქონდათ თამბაქოს მოწევისა თვით სასწავლებლის დერეფანშიაც კი, ხოლო „დაბალთ“ თამბაქოს მოწევის უფლება არა ჰქონდათ.

სხვაფრივ დისციპლინა ყველასათვის ერთნაირად მკაცრი იყო. ინსპექტორი შიროკოვი ერთნაირად ტუქსავდა და სჯიდა კანტიანსა და უკანტო მოწაფეს სასწავლებლის წესრიგის უმცირესი დარღვევისათვის. დასჯას აქ „ზღვევინებას“ ეძახდნენ, ხოლო კანცელარიაში მინისქვეშ გაკრული იყო გრძელი და მკაცრსათაურიანი ცხრილი:

„სახალხო განათლების ბატონ მინისტრის მიერ დამტკიცებული წესები ზღვევინებაზე, რომელიც უნდა დაედოს საშუალო ტექნიკურსა და დაბალ სასწავლებელთა მოწაფეებს“.

ზღვევინება სხვადასხვაგვარი იყო — სულ უმცირესი იყო კარცერში ორი საათით დამწყვდევა და უმაღლესი — სასწავლებლიდან გამორიცხვა. კარცერში ამწყვდევდნენ გაკვეთილის გამოტოვების, ფორმის ქამრის უქონლობის, ღილის მოწყვეტის, ბინიდან გვიან გასვლის, საცხოვრებელი ადგილის თვითნებურად გამოცვლისა და ლოცვაზე გამოუცხადებლობის გამო. ხოლო გამორიცხავდნენ „უპატივცემლობის გამო“ და „ურჩობის გამო“ და, რაც მთავა-

რია, იმ დანაშაულობების, რომელიც არ იყო მოხსენებული „წესებში“, სახელდობრ — „პოლიტიკის გამო“.

არამც თუ სასწავლებელში, არამედ სახლშიაც არ ასვენებდნენ მოწაფეებს: ინსპექტორი და ზედამხედველი დაწანწალებდნენ ბინებში და გულდასმით ეძებდნენ, შინ არიან თუ არა მოწაფეები რვა საათის შემდეგ, ვისთან აქვთ ნაცნობობა, ხომ არ აწყობენ თავიანთ ბინებზე უკანონო კრებებს.

ყოველი მოწაფის ბინაზე საგანგებო რვეული იყო, სადაც ზედამხედველი ხელმოწერით აღნიშნავდა თავის ყოველ მოსვლას.

ბინის შემოწმებისას თუ უფროსები აღმოაჩენდნენ, რომ მოწაფეს გაუბედნია თეატრში უნებართვოდ წასვლა, ასეთ დაუდევარ თეატრალს მეორე დღესვე მოელოდა განჩინება: თეატრის ქანდარაზე სამი საათით ჯდომისათვის ხუთი-ექვსი საათით უნდა ჩამჯდარიყო კარცერში. მაგრამ თეატრებში სიარული ყმაწვილებს იშვიათად უხდებოდათ. საამისოდ არც ფული გააჩნდათ და სამუშაოც ყელთამდე ჰქონდათ. ბევრ დავალებას აძლევდნენ სასწავლებლებში, განსაკუთრებით ხაზვასა და მათემატიკაში. თუ მოწაფე სამუშაოს საქმიან დღეს ვერ ასწრებდა, მუშაობა კვირაობით და უქმე დღეებშიაც უხდებოდა.

სერგეი მთელ დღეებს სასწავლებელში ატარებდა — დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე. მართალია, შუადღისას მოწაფეებს ორსაათიანი დასვენება ეძლეოდათ სადილისათვის, მაგრამ სერგეი სასწავლებლიდან შორს ცხოვრობდა — არ ღირდა ორჯერ ზედმეტად თითქმის მთელი ქალაქი გაევლო — მით უმეტეს, რომ შინ სადილი არც ჰქონდა.

ის რჩებოდა სასწავლებელში და სადილობდა ნახევრად ცარიელ სასადილოში, სადაც გრძელ მაგიდებს მოუსხდებოდა კიდევ ათი-თხუთმეტი კაცი. ესენი, როგორც იტყვიან, დასაკარგავში ცხოვრობდნენ. დანარჩენნი გაიქცეოდნენ შინ, რომ რამე შეეჭამათ მაძღრისად, ნაცვლად სკოლის ღარიბი რვა კაპიკიანი სადილისა.

საღამოს ექვს საათზე მასწავლებლები ათავებდნენ გაკვეთილებს და მიდიოდნენ შინ. უფროსებიდან მხოლოდ ზედამხედველები რჩებოდნენ. მოხუცი დარაჯი გასასვლელთან დაჯდებოდა ტაბურეტზე და მშვიდად თვლემდა,—უკვე აღარ იყო საჭირო ყოველ წუთს კარის გაღება და თავის დაკვრა.

გრძელ დერეფანში სინათლეს ჩააქრობდნენ და სიბნელესთან ერთად სიჩუმეც დამყარდებოდა. მხოლოდ სამხაზველო კლასების კარებიდან და ლაბორატორიებიდან გამოკრთოდა კაშკაშა სინათლე. სამხაზველო ოთახებში წყნარად შრიალებდა ქაღალდი. მაგრად გადაჭიმული თეთრი ქაღალდის ფურცლებზე მსუბუქი შრიალით მოძრაობდა სამკუთხედები, მრუდთარგები და სახაზავები. ლაბორატორიებში კი კოლბები ჟღარუნობდა და რაღაცა გამოურკვეველი სუნი იდგა, დამწვარი ნაკრტენისა ან ლაყე კვერცხისა. სამხაზველო ოთახებშიც და ლაბორატორიებშიც სიწყნარე სუფევდა. სამაგიეროდ რა ხმაურობა იდგა მექანიკურ სახელოსნოებში, რომელთა ფანჯრები ეზოს გადაჰყურებდა!

ეს სახელოსნოები სრულიად არ ჰგავდა კლასებს, არამედ უფრო ქარხნის საამქროებს ჰგავდა. ყოველ მოწაფეს აქ, როგორც ქარხანაში, თავისი „სამუშაო ადგილი", თავისი დაზგა ჰქონდა. სახელოსნოში რომ მოვიდოდნენ, მოწაფეები გაიხდიდნენ ფორმის ჭურთუკებს და გაიკეთებდნენ ტყავის წინსაფრებს.

სერგეიმ თავისი პრაქტიკა მექანიკურ სახელოსნოებში სახარატო დაზგიდან დაიწყო. ამ დაზგაზე მას ხუთი თვე უნდა ემუშავნა, შემდეგ უნდა გადასულიყო სამჭედლო სამუშაოზე, მოკალვაზე და, ბოლოს, მანქანის აწყობაზე.

ჯერ კიდევ ურჟუმში, თავშესაფრის სახელოსნოებში, სერგეი განთქმული იყო თავისი ოსტატური სიმარჯვით და სწრაფი მოსაზრებით. ის ხალისით მიუდგა სახარატო დაზგას და საქმე კარგად წაუვიდა. პირველ ხანებში სახელოსნოებში ახალი მოწაფეები წამდაუწუმ ხიფათში ვარდებოდნენ: ხან ხელს გაიჭრიდნენ, ხან ფეხზე მძიმე რკინის ნაჭერი დაეცემოდათ, ხან გირაგში თითი მოჰყვებოდათ. ეგ კიდევ არაფერი, რომ ეტკინებოდათ, — იმათ, ვისაც მარცხი მოუვიდოდათ, ოსტატისგანაც მოხვდებოდათ — ქარხნის ძველი ზეინკლისაგან, რომელიც ასწავლიდა „მექანიკურში".

— მანქანის მოპყრობა უნდა იცოდე, პირღია ყვავო, — იტყოდა ოსტატი, — ასე, ერთიც ვნახოთ, ცხვირი მოგიყვა გირაგში. დაზგასთან დგომა კოჭის თამაში როდია.

სერგეის არ უხდებოდა ასეთი მკვახე სიტყვის მოსმენა.

— ეს ბიჭი მანქანას უყვარს,—თავის ქნევით უჩვენებდა სერგეიზე ოსტატი, გვერდით რომ ჩაუვლიდა.

და ეს სწორიც იყო. მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა ეთქვათ, რომ იმდენად სერგეი როდი უყვარდა მანქანას, რამდენად სერგეის უყვარდა მანქანა. ის არ შემდრკალა მანქანის წინაშე პირველ დღეებში, არამედ პატრონივით მოჰკიდა ხელი მას. დღეში რამდენიმეჯერ გაასუფთავებდა, გაპოხავდა, შეამოწმებდა. მისი დაზგა ფანჯარასთან იდგა, კუთხეში. იქვე გააკეთა სერგეიმ თარო ინსტრუმენტებისათვის, ხოლო იატაკზე ყუთი დადგა ნარჩენებისა და ძენძისათვის. წესი იყო, რომ მუშაობის შემდეგ ძენძით უნდა გაეწმინდათ დაზგები და გაზეთილი ხელები.

როგორც კი მოწაფეები მუშაობას გაეჩვევოდნენ, მათ ავალებდნენ გაეკეთებინათ სხვადასხვანაირი ნივთები სკოლის სახელოსნოებისა და ლაბორატორიებისათვის — ჯერ უფრო იოლი, შემდეგ კი უფრო ძნელი. მოწაფეები თვითონ აკეთებდნენ ინსტრუმენტების ტარებსაც, ჩაქუჩებსაც, საზეთებსაც, ლულეინებსაც, სპილენძის როდინებსაც და ჰიდრავლიკურ წნეხებსაც კი.

ტყუილად როდი შეჰპირდა დირექტორი გრუზოვი ერთ-ერთ თავის სიტყვაში ადგილობრივ მექარხნეებს — კრესტოვნიკოვებს, ალაფუზოვებსა და სხვებს — რომ სამი წლის შემდეგ მისცემდა ქარხნებს დისციპლინირებულ და მომზადებულ მუშათა ძალას.

კრესტოვნიკოვი, ალაფუზოვი და ყაზანის სხვა მსხვილი ბობოლები ტექნიკური სასწავლებლის „მზრუნველები" იყვნენ. მათ იცოდნენ, თუ რისთვის აძლევდნენ ფულსა და მოწყობილობას სასწავლებელს. მხოლოდ ერთი რამ არ იცოდნენ მათ იმ ხანებში, — სახელდობრ, ისა, რომ მომავალ ტექნიკოსებსა და მემანქანეებს შორის, რომელნიც სწავლობდნენ ყაზანის სამრეწველო სასწავლებელში, ცოტანი როდი იზრდებოდნენ მომავალი რევოლუციონერებიც.

ვერავითარი კონტროლი, ვერავითარი თვალყურის დევნება მოწაფეთა წიგნის კითხვაზე და ყოფაქცევაზე ვერ უშლიდა ხელს მოწაფეებს უკანონო კრებები მოეწყოთ და ერთმანეთისათვის აკრძალული რევოლუციური წიგნები გადაეცათ.

არსკის უშენი ადგილიდან ქალაქამდე არც თუ ისე ახლო მანძილი იყო. საღამოს შინისაკენ რომ მიდიოდნენ, შეიძლებოდა იმდენი ელაპარაკნათ ერთმანეთთან, რამდენიც უნდოდათ.

სამრეწველოს მოწაფეები, — მეტსახელად „მზეთავები", — როდესაც სიბნელეში მიდიოდნენ სასწავლებლიდან ქალაქამდე, ერთმანეთისათვის ბევრი რამის თქმას ასწრებდნენ. ამ საუბარში მათგან მოხვდებოდა ხოლმე სკოლის უფროსებსაც, ქალაქის უფროსებსაც და სრულიად რუსეთის უფროსსაც კი — თვით მეფე ნიკოლოზ მეორეს—ღვთის მიერ მირონცხებულს.

თავი ოცდამეხუთე

სტუდენტის გაცნობა

ერთხელ საღამოს, როცა მზარეულ ქალს ჯერ კიდევ არ დაეწყო ჭურჭლის ალაგება, სამზარეულოში შემოვიდა შავგვრემანი, თვალციმციმა სტუდენტი და კარებთან გაჩერდა. სერგეი ამ დროს ფანჯარასთან იჯდა და ფიზიკის სახელმძღვანელოს ჩაჰყურებდა. ის ორთქლის მანქანის სურათს ათვალიერებდა.

სტუდენტი მივიდა სერგეისთან და ჩახედა ღია წიგნში.

— იოლი საქმეა, ძნელი არაფერია, — დაადო თითი სტუდენტმა ორთქლის მანქანას, — ელექტრონის ძრავი, აი—ეს სხვა ამბავია.

სერგეიმ სახელმძღვანელო დახურა და ცნობისმოყვარეობით ახედ-დახედა სტუდენტს. სტუდენტმა ხელი გაუწოდა.

— მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი, — ვლადისლავ სპასკი, ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტის სტუდენტი.

ასე გაიცნო სერგეიმ ნამდვილი სტუდენტი პირველად თავის ცხოვრებაში. ვლადისლავი ხშირად შემოდიოდა მასთან სამზარეულოში. ხანდახან ის მოიტანდა რთულსა და ძნელ ნახაზებს და უხსნიდა სერგეის სხვადასხვა მანქანების მოწყობილობას. ორთავეს უყვარდა მანქანა და დამშვიდებით არ შეეძლოთ ესაუბრათ ისეთ შესანიშნავ საგნებზე, როგორიცაა ცილინდრი, როტორი, სტატორი, ლილვები და სხვა. საუბარში ხანდახან დროც კი დაავიწყდებოდათ.

მოხუცი მზარეული ქალი ღუმელს იქით ტრიალებდა და ბუზღუნებდა:

— ნასწავლი ხალხია და სინიდისი კი არა აქვთ. დუდუნებენ და დუდუნებენ კელასავით...

მაგრამ მარტო სერგეი და სპასკი როდი „დუდუნებდნენ“. იმ სამ ოთახში, რომელსაც ლუდმილა ჰუსტავის ასული აქირავებდა სტუდენტებზე, საღამოობით ბევრი ხალხი იყო და ხმაურობაც იდგა.

ერთ ოთახში კითხულობდნენ და ციტატები მოჰყავდათ რომაულ სამართლიდან, მეორეში მსჯელობდნენ ახლახან მოსმენილ ლექციაზე, მესამეში უკრავდნენ გიტარას და მღეროდნენ.

მაგრამ ნამდვილი სოდომი და გომორი, მზარეული ქალის სიტყვით, მაშინ იწყებოდა, როცა ყველა მდგმურები ყველაზე დიდ ოთახში შეიკრიბებოდნენ, — ლენკა სტაროდუბთან.

სტუდენტები ფსონით იყიდდნენ ბლითებს, ძეხვს და ჭნავის ხმელ თათარას.

მზარეული ქალი სპილენძის ნახევარვედრიან სამოვარს ააღულებდა. ახალგაზრდობა ჩამოჯდებოდა ვისაც სად შეხვდებოდა — საწოლზე, რაფაზე, — სკამები ყველას არ ჰყოფნიდა.

მაგიდაზე შიშინებდა და ხმაურობდა სამოვარი. სტუდენტები სვამდნენ ჩაის, ჭამდნენ ბუტერბროდებს, გუნდურად მღეროდნენ და კამათობდნენ. კამათობდნენ გატაცებითა და ხმამაღლა, აქნევდნენ ხელებს, ერთმანეთს სიტყვას აწყვეტინებდნენ. კამათი მრავალნაირი იყო. ბაზარზე ახლახან გამოსულ ახალ რომანზე, სტუდენტების სათვისტომოებზე, მკაცრსა და შარიან პროფესორებზე, სცენისმოყვარეთა წარმოდგენაზე, რომელსაც სტუდენტები თავისი ძალებით დგამდნენ.

ხანდახან, გაცხარებული კამათის დროს, ოთახის ზღურბლზე აღელვებული და გაბრაზებული ლუდმილა ჰუსტავის ასული გამოჩნდებოდა.

— ბატონებო, არ შეიძლება ცოტა წყნარად! მეზობლები ჩივიან.

ხმაურობა შეწყდებოდა, მაგრამ როგორც კი გავიდოდა ოთახიდან დიასახლისი, ისევ ატყდებოდა გახურებული კამათი.

სერგეი სამზარეულოში მეცადინეობდა. მის სმენამდე აღწევდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები, ჭურჭლის წკრიალი, გიტარის ხმა და სიმღერა. განსაკუთრებით მოსწონდა სერგეის ბაღზე სიმღერა, რომელსაც ქიმიკოსი ხრიაშჩინსკი მღეროდა.

ეს ნაცნობი სიმღერა იყო, მას ბებია მელანიაც მღეროდა.

ახ, ბაღო ჩემო, ბაღო მწვანეო,
ასე ადრე რად გაიხარეო.
გცლია ფო-ო-თლები!..

სერგეიმ ლუდმილა ჰუსტავის ასულის ყველა მდგმური ჩქარა გაიცნო. პირველ ხანებში მას ცოტა არ იყოს ერიდებოდა მათი, დუმდა და მოღუშული ჩანდა. მაგრამ როცა საქმე მანქანებსა და ნახაზებს შეეხებოდა, სერგეი კამათში ჩარევასაც კი ბედავდა.

მაგრამ სტუდენტებმა მას ნამდვილად მხოლოდ ერთი შემთხვევის შემდეგ მიაქციეს ყურადღება:

კვირა იყო. მინებს შემოდგომის წვიმა უშხაპუნებდა და მობინადრენი ყველანი შინ ისხდნენ. უსაქმობის გამო ვლადისლავმა ფრანგული ჭიდაობა გაუმართა სერგეის. მან გამოაცხადა, ხუთ წუთში ყოველ მიზეზს გარეშე წავაქცევ სერგეის ფრანგული ჭიდაობის ყველა წესისამებრო.

და მართლაც, პირველი ხერხიდანვე გამოჩნდა, რომ ვლადისლავი ერეოდა. მაგრამ უცებ სერგეიმ მარჯვედ დააღწია თავი და რაღაც მოულოდნელი ხერხით, რომელსაც თვითონაც არ იცნობდა, ორი ბეჭით დააწვინა სპასკი. დააწვინა და იატაკზეც კი გააკრა.

სტუდენტებმა გადაიხარხარეს.

— შენ, თურმე, ღონიერი ყოფილხარ, — დარცხვენილად თქვა ვლადისლავმ და იატაკიდან ადგა.

— მართლა ღონიერი ბიჭია! — დათანხმდნენ სტუდენტები, — მაგრამ ჩვენს ლენკა სტაროდუბს მაინც ვერ წააქცევს.

ამის შემდეგ მალე თვითონ ლენკა სტაროდუბიც მოვიდა. ესეც სუნდსტრემის ერთი მდგმურთაგანი იყო, ქერა, ბეცი, სათვალეებიანი, მსხვილი და დონდლო.

— ჭიდაობა არ მინდა, — განაცხადა ლენკამ, როცა უამბეს ფრანგული ჭიდაობის ახალ „ჩემპიონზე". — თორემ ჩემდა უნებურად ამ ყმაწვილს ყველა ძვლებს გადავუმტვრევ. სჯობია ერთი ოინი გიჩვენოთ.

„ოინი" მღგომარეობდა შემდეგში: ერთი კაცი იატაკზე უნდა გაწოლილიყო პირქვე და გაჭიმულიყო. მეორე დააწვებოდა მას

ზურგითვე. მაშინ პირველი წამოდგებოდა ფეხზე და ასწევდა მეორეს, თითქოს ფქვილიანი ტომარა ყოფილიყო.

რიგრიგობით ყველამ ძალიან იოლად გააკეთა ეს ნომერი. მხოლოდ ლენკა სტაროდუბის აწევა ვერ შესძლო ვერც ერთმა სტუდენტმა.

— ტახია... კუნძია... სპილოა... ჰიპოპოტამების ღმერთია, — ხუმრობით იგინებოდნენ სტუდენტები.

ლენკა ძალიან კმაყოფილი იყო თავისი თავით, ხარხარებდა და ხმაურით მუშტებს ირტყამდა მკერდზე.

— აბა, ერთი მეც ვცადო, — თქვა სერგეიმ, პასუხს არ დაუცადა და გაწვა იატაკზე.

ვეებერთელა, მსუქანი ლენკა დააწვა ზურგზე. ყველა სულგანაბული ელოდა, რა იქნებოდა.

სერგეი დაიძაბა, მძიმედ სუნთქავდა, სისხლი სახეზე მოაწვა და ნელა დაიწყო წამოდგომა.

— ვაშა! ბისა! ბისა! — დაიძახა ვლადისლავ სპასკიმ. სხვა სტუდენტებმაც შეჰყვირეს, ფეხები დააბაკუნეს და ტაში შემოჰკრეს.

— რა კაცი გამოვა მაგისგან?.. — გაკვირვებით იკითხა ლენკა სტაროდუბმა, ახლოს მივიდა სერგეისთან და უბოდიშოდ დაუწყო მაგარი კუნთების სინჯვა.

კუთხის მდგმურმა, მოზარდმა, რომელიც სამზარეულოში მეცადინეობდა და რომელსაც ბნელ დერეფანში ზანდუკზე ეძინა, მყისვე დაიმსახურა ლუდმილა ჰუსტავის ასულის მდგმურთა ყურადღება.

თავი ოცდამეექვსე

კატორღელები

ერთხელ სერგეი და სპასკი ქუჩაში მიდიოდნენ. მათ გზაზე შემოეყარათ, ჭრელნიშნებიანი ყუთებით დატვირთული საზიდები, რომელიც ქვაფენილზე მირახრახებდა.

— იცი ყაზანის საპონი? მთელ რუსეთში გადის. ძმებმა კრესტოვნიკოვებმა საპონზე და სანთელზე მილიონები მოიგეს, — თქვა ვლადისლავმა.

— დიდი ქარხანა აქვთ? — ჰკითხა სერგეიმ.

— ერთი პირველთაგანია რუსეთში.

— მე ჯერ ერთხელაც არ ვყოფილვარ ქარხანაში, მხოლოდ ურეუმში არკულზე[1] მინახავს, როგორ ხდება გემების შეკეთება. ჩვენთან საქარხნო პრაქტიკა მეორე კურსიდან იწყება.

— წადი რაღა კრესტოვნიკოვების ქარხანაში და დაათვალიერე. მგონი თქვენს ტექნიკოსებს უშვებენ იქ.

— მართალია, ვეცდები წავიდე.

სერგეის არ უყვარდა საქმის გადადება და პირველ დღესვე, როცა არც თუ ისე ბევრი გაკვეთილი ჰქონდა, გაემართა პლეტენს, სადაც ძმების — კრესტოვნიკოვების საპნის ქარხანა იყო.

ჭიშკართან მდგომ დარაჯს ჯერ არ უნდოდა მისი შეშვება, მაგრამ სერგეიმ მას თავისი სამოწაფო ბილეთი აჩვენა. დარაჯმა იფიქრა, მოწაფე პრაქტიკაზე გამოგზავნესო, — ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქარხანაში, — და გაუღო ჭიშკარი.

---

[1] ადგილის სახელია.
მთარგმნ.

პირველი, რაც სერგეის თვალში მოხვდა, ქვის ნაგები გრძელი საამქროები იყო, ჩადაბლებულნი, თითქოს მიწაში ჩაურგავთო. საპნის, ნიშადურის და კიდევ რაღაც შმორისა და მჟავის მძაფრი სუნი იდგა. ეზოში მიწა სრიალა იყო საპნის გამონარეცხის გამო. ყომრალი გუბეები სადაფივით პრიალებდა და იბუშტებოდა. ჭიშკართან შორიახლოს, გრძელ შენობასთან საპნით სავსე ყუთებს ტვირთავდნენ. დიდს, მძიმე ყუთებს ზემოდან ბლოკზე უშვებდნენ. ყოველ ყუთზე ეტიკეტი იყო:

„ყაზანის საპონი. ოქროს პატარა მედალი პარიზის გამოფენაზე“.

— მითხარით, როგორ შეიძლება სამანქანო საამქროში შესვლა? — ჰკითხა სერგეიმ მუშებს, რომელნიც საზიდებთან ფუსფუსებდნენ.

— რა მანქანები გვაქვს ჩვენ? მარტო სახელია მანქანისა, ჩააქნია ხელი ერთ-ერთმა მუშამ, რომელსაც საპნისაგან გათხუპნული მძიმე და პრიალა წინსაფარი ეკრა.

— აი, იქით მიდი, ყმაწვილო! — დაუძახა მეორემ და ეზოს სიღრმეში გაიშვირა ხელი.

სერგეი წავიდა საითაც უჩვენეს, მაგრამ სამანქანო განყოფილებაში როდი მოხვდა, არამედ გოგირდმჟავას საამქროში. შეაღო პატარა ჭრიალა კარი, და მძაფრი სუნი ისეთი ძალით ეცა სახეში, თითქოს ნიშადურით სავსე ვეებერთელა კასრზე დაიხარაო. სერგეის ხველა აუვარდა.

ის აღმოჩნდა გრძელსა და ბნელ ოთახში, რომელსაც ქვის იატაკი და სიმჟავისაგან გაშავებული ქვის კედლები ჰქონდა. რამდენიმე მუშა ფუსფუსებდა დიდ ქვაბთან. ფანჯრები რიკულებიანი იყო, თითქოს ციხეაო.

— კარი არ დახურო, ყმაწვილო! — დაუძახა სერგეის ლურჯხალათიანმა მაღალმა მუშამ, — დაიხრჩვები აქ, როგორც თაგვი ხაფანგში.

მუშას ხველა აუვარდა და იატაკზე დააფურთხა.

სერგეიმ კარს ქვემოდან აგური მიუყენა და ცოტა ხანს ზღურბლზე შეჩერდა. „ნუთუ სხვა საამქროებშიაც ასეთი შეხუთული ჰაერია?“ გაიფიქრა მან.

მეორე საამქრო, რომელშიაც ის მოხვდა, საპნის სახარშავი იყო. აქ ხარშავდნენ განთქმულ „ყაზანის კვერცხის საპონს“.

ვეებერთელა ქვაბებიდან თეთრი ცხელი ორთქლი ამოდიოდა. მთელ საამქროს ორთქლი მარმაშივით ჰქონდა გადაფარებული.

ქვაბებთან მუშები იდგნენ და ნიჩბებივით გრძელი სუთებით მძიმედ აბრუნებდნენ და ურევდნენ ადუღებულ საპონს.

სერგეი დაეჯახა მოხუც მუშას.

— რას დახეტიალობ აქ? — ჰკითხა მუშამ.

სერგეიმ უპასუხა, იმისათვის მოვეღი, რომ მენახა, თუ როგორ ხარშავენ საპონსო.

— ნახე, ნახე, თუ რამეს დაინახავ, — ჩაეცინა მოხუცს და თითქოს ჩაიყურყუმალაო, გაჰქრა სადღაც თეთრ ნისლში.

დიდხანს დადიოდა სერგეი ქარხანაში, ყოველ კუთხეში შეიხედავდა. ვინ იცის, — ეგებ სწავლის დამთავრების შემდეგ თვითონ მოუხდეს მუშაობა ამ ქარხანაში? და აქ თუ არა, მაინც ამნაირში.

რასაკვირველია, უფრო საინტერესო იყო ისეთ ქარხანაში მოხვედრილიყო, სადაც მოწყობილობაც უკეთესი და მანქანებიც მეტი იქნებოდა. მაგრამ ჯერ გამოურკვეველია, სად წაიყვანენ. ერთ-ერთი საამქროს დერეფანში, წყლიან კასრთან, სადაც წესით ნამწვი უნდა ჩაეყარათ, სერგეი გამოესაუბრა ახალგაზრდა მუშას. მუშა აჩქარებულად ეწეოდა მდარე ხარისხის პაპიროსს. მარცხენა ხელზე სქლად შემოეხვია გაშაუებული მჩვარი.

— რა დაგემართა ხელზე? — ჰკითხა სერგეიმ.

— სიმჟავე გადამესხა. მესამე დღეა და არ რჩება ეს ოხერი.

— მაშ როგორღა მუშაობ ერთი ხელით?

— ვმუშაობ ისე, გაჭირვებით. მე კიდევ იღბალი მქონია, სხვები სრულიად უხელოდ ან უთვალოდ რჩებიან. სიმჟავე—მავნე საგანია, ძვლამდე ამოგწვავს.

ბიჭმა წყალში ჩააგდო ნამწვი და წავიდა საამქროში. სერგეი კი ჭიშკრისაკენ გაემართა.

ეზოში სერგეიმ დაინახა რამდენიმე ბიჭი, რომელნიც საპნის გუბეებზე ხტებოდნენ და საამქროებისაკენ მირბოდნენ. შესახედავად ისინი სერგეიზე უმცროსები იყვნენ ორი-სამი წლით.

ბიჭებს სახეც, ხელებიც, ტანისამოსიც ჭვარტლით ჰქონდათ გამურული.

„სად მოეცხოთ მათ ამდენი მური საპნის ქარხანაში?“ გაუკვირდა სერგეის.

ჭიშკართან დარაჯს ჰკითხა:

— რას აკეთებენ თქვენთან ეს ბიჭები?

— ქვაბებს წმენდენ, — მთქნარებით მიუგო დარაჯმა, — დღეში ოცდასამ კაპიკს იღებენ.

„აი, როგორი ყოფილა ქარხანა, — ფიქრობდა სერგეი ქალაქის ქუჩაში რომ მიაბიჯებდა, — კატორღაც, შეიძლება, უკეთესი იყოს“.

როცა საღამოს სერგეიმ კრესტოვნიკოვის ქარხანაზე უამბო სპასკის, მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— ქარხანა, — როგორც ქარხანაა. სხვები უარესიცაა. ხოლო თუ შენ არ მოგწონს, აიღე და გადააკეთე.

ამაზე შეწყდა საუბარი.

* * *

ამის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და სერგეი ერთ მოხუც მუშას გაეცნო. მოხუცი ცხოვრობდა ახლოს, ნიჟნე-ფედოროვსკაიაზე. მას რაღაცნაირი გრძელი და უცნაური გვარი ჰქონდა, ხოლო ყველანი უბრალოდ აკიმიჩს ეძახდნენ.

მოხუცთან სერგეის ნაცნობობა ასე დაიწყო.

ერთ საღამოს, როცა სერგეი შინ ბრუნდებოდა, ვიღაცამ დაუძახა:

— ყმაწვილო, ეი, ყმაწვილო!

სერგეი მობრუნდა. დაბალ დაფერდებულ ჭიშკართან იდგა მოხუცი, მას ჩამოწეული, თამბაქოთი შებოლილი ულვაშები და გაწეწილი წვერები ჰქონდა.

— ცეცხლი არა გაქვს?

სერგეიმ ასანთი ამოიღო ჯიბიდან და გაიფიქრა: „სად მინახავს ეს მოხუცი?“

და გაახსენდა კრესტოვნიკოვების საპნის სახარშავ საამქროში რძისფერი ნისლის სქელი ფარდა და ის მოხუცი, რომელმაც უთხრა:

„ნახე, ნახე, თუ რამეს დაინახავ“.

ეს, მართლაც, ის მუშა იყო.

სერგეი ჩქარა დაუმეგობრდა აკიმიჩს და ხანდახან სტუმრადაც კი ეწვეოდა მას.

პატარა ოთახში, რომელიც სანახევროდ სახვევი ქაღალდით იყო გამოკრული, სანახევროდ კი ფერადფერადი ვარდისფერი შპალერით, წენგოსა და ნემსიწვერას მძაფრი სუნი იდგა. ფანჯარაზე ორი გალია ეკიდა, ერთში ჩიტბატონა იყო, მეორეში შოშია.

ერთხელ, როცა სერგეი მოვიდა მოხუცთან, აკიმიჩი გალიებში წყალს უცვლიდა და საკენკად კანაფის თესლს უყრიდა.

ის მიესალმა სტუმარს და შემდეგ ისევ განაგრძო შეწყვეტილი საქმე.

—რას აქნევ ნისკარტს?—ეუბნებოდა ის შოშიას.—რაო? ვითომ მუშაობს!.. ერთი შეხე, როგორ გაუვსია ჩინჩახვი. გასუქდა უბნის ზედამხედველივით. აი, გაგაგზავნი ქარხანაში — სიმჟავის გადასასხმელად, — ნახავ სეირს. თორემ ზიხარ და ეღურტულებ. რა სარგებელია შენგან? მუქთახორა ხარ, მუქთახორა.

— შენ კი წყალი რატომ დაგიქცევია? — ლანძღავდა ის ჩიტბატონას. — მოსამსახურე ვარ შენი, თუ რა? შენ გგონია იოლია ჩემთვის გაწმენდა? უშენოდაც საკმაო საქმე მაქვს. დამაცა მე შენ, გაგიშვებ ეზოში, იქ კატები შეგახრამუნებენ.

ჩიტებს რომ საკენკი ღაუყარა და წყალი დაუსხა, აკიმიჩი სერგეის მიუბრუნდა.

— ახლა კი ჩვენც ცოტა მოვკენკოთ.

გამოიტანა ბლითების აცმა და თუნუქის ჩაიდანიდან ორი ჭიქა ჩაი დაასხა.

— დიდი ხანია ახალგაზრდა ხალხთან ჩაი არ დამილევია, — თქვა აკიმიჩმა და ჩაი მოსვა. — ჩემი შვილი, მგონი, ცოტათი უფროსი უნდა იყოს შენზე. შენ რამდენისა ხარ?

— მარტში თექვსმეტი შემისრულდება.

— მაშ, ჩემი უფროსი ყოფილა — ის ოცისა სრულდება. მე კი მეგონა, რომ შეგხედე, შენც თვრამეტისა იქნებოდი.

— სად არის თქვენი შვილი? წავიდა სადმე?

— შორს არ წასულა. ძალიან ახლოსაა, ხოლო ხუთი თვეა არ მინახავს.

ჭოხუცი დაიხარა სერგეისაკენ და ჩასჩურჩულა:

— ზის.

და აკიმიჩმა უამბო, რომ მისი შვილი გრიგოლი ჭკვიანი ბიჭია, წიგნებს კითხულობს და საქმეშიაც მარჯვეა. რომ სწავლის საშუალება ჰქონოდა, შესაძლებელია, ტექნიკოსობაც კი მიეღო. ოღონდ ხასიათი აქვს ფიცხი, საამქროს ოსტატი კი — ძაღლია. ჰოდა წაეჩხუბნენ ერთმანეთს...

მხოლოდ მესამე ჭიქის დალევისას გაიგო სერგეიმ აკიმიჩისაგან, თუ რაზე წაიჩხუბნენ ისინი..

— ჯარიმის გამო მოხდა სუყველაფერი, — ხმადაბლა ამბობდა აკიმიჩი, — ოღონდ ჩემი შვილი როდი დაუჯარიმებიათ, არამედ სხვა. ჩვენთან ხომ ყოველდღე აჯარიმებენ. თვალი რომ ზედმეტად დაახამხამო — იმისათვისაც დაგაჯარიმებენ. ჩემმა ბიჭმა კი პირდაპირ პირში უთხრა ოსტატს ამაზე. ოსტატმა სილა სტკიცა. ჩემმა გრიგოლმა ხურდა მისცა... ჰოდა ჩასვეს. ხოლო დაპატიმრების წინ გაჩხრიკეს და უპოვეს... წიგნები... აკრძალული...

— საღღა შოულობდა წიგნებს?

— ეჰ, შოულობდა, — თქვა აკიმიჩმა და ამ ჯერზე მეტის თქმა არ ისურვა არც შვილზე, არც აკრძალულ წიგნებზე.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხუცი უფრო ახლოს გაეცნო სერგეის, დაიწყო მან თავის ახალგაზრდა მეგობართან უბრალოდ საუბარი ყველაფერზე, რასაც ფიქრობდა.

ცოტა როდი გაიგო მისგან სერგეიმ ქარხნის ავ-ჯარგზე.

— მეო, — ამბობდა მოხუცი, — ქარხანაში ახალბედა ვარ, სულ რაღაც თხუთმეტი წელი ვმუშაობ. ჩვენშორის კი ისეთები არიან, რომლებიც აქ ქარხანაში დაიბადნენ. პატარა ბიჭები, ქვაბებს რომ წმენდდნენ, ნახე? ჰოდა, ბევრი მათგანის მამები აქ მუშაობენ და ბაბუებიც აქ აპირებენ სიკვდილს. ანდა სად წახვალ? ძმები კრესტოვნიკოვები საქმიანი ხალხია, წინდახედული. მათ ქარხანასთან თავისი დუქნები გახსნეს — წიგნაკით იძლევიან საქონელს. მუშაკაცი სულის მობრუნებასაც ვერ მოასწრებს, ისე ჩავარდება ვალში. ესეცაა, რომ ჩვენთან ყოველი მუშა საკუთარ სახლში ცხოვ-

რობს. სახლი ჰქვია, თორემ რა სახლია, ოთხი კუთხე და გარედან მილი მაინც აქვს, ხოლო ასეთი სასახლის ასაშენებლად ფული იმავე კრესტოვნიკოვებმა გაიღეს. ჰოდა გამოდის: ისინი ჩვენზე ზრუნავენ, ჩვენ კი მათი მოვალეები ვართ კუბოს ფიცრამდე. სანთელი უნდა ავუნთოთ მათ, მათი ძვირფასი სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის.

— ყველაფერ ამას მე, რასაკვირველია, თვითონ ვერ მივხვდებოდი, — დასძენდა მოხუცი, — მაგრამ · გრიგოლმა ყველაფერი ხუთი თითივით ამიხსნა, მას კი ჭკვიანმა ხალხმა აუხილა თვალები. გვესმის ჩვენ ახლა, რაშია საქმე და ვინაა დამნაშავე, ოღონდ ამაზე პირდაპირი ლაპარაკი არ შეიძლება. ჩვენთან ამ ნახევარი წლის წინათ ერთი სტუდენტი დაიჭირეს — პრაქტიკანტი იყო სიმჟავის საამქროში. სოციალისტი აღმოჩნდა. მაგრამ ვინ უჯაშუშა? რასაკვირველია, სხვა ვინ იზამდა, თუ არა უფროსი ოსტატი? ამბობენ, საიდუმლო პოლიციაში მსახურობსო.

და მოხუცმა უამბო სერგეის — არა პირდაპირ, არამედ გადაკვრით — იმათ შესახებ, თუ „ვინაა დამნაშავე".

ეს ამბავი არც თუ ზღაპარსა ჰგავდა, არც თუ იგავსა.

— დგას თავისთვის სახლი, ძველი სახლი, მილი მოღრეცილია. იატაკიდან უბერავს, ფანჯრები დამსკდარია, კარები ჭრიალებს. სახლში ცივა, ჭუჭყია, სისაძაგლეა. ამ სახლში კი მობინადრეები ცხოვრობენ. ყველა თავთავის ხუხულებში. ყველა თავისათვის ცდილობს ცხოვრება მოიწყოს. ერთი ხვრელს ნაბდის ნაგლეჯით ჩურთავს, მეორე ფანჯარაში ბალიშს აცობს, მესამე თავის ხუხულას აკრავს ახალ შპალერს, რომელზედაც ღიღილოებია დახატული. ფიქრობს, სილამაზით დაფაროს ყველა ნაკლი. იატაკქვეშიდან კი განუწყვეტლივ · უბერავს და უბერავს. დალპა იატაკი, საძირკველიც რა ხანია ჩაიზნიქა, სადაცაა ჩაინგრევა. ამ შემთხვევაში რამდენიც უნდა დაჩურთო ხვრელები, არაფერი გამოვა. დალახვროს ღმერთმა, სახლი არაფრად ვარგა. ჰოდა, მიხვდი, ვინაა დამნაშავე... მიხვდი?

— მივხვდი! — გაიცინა სერგეიმ, — მეფეა დამნაშავე.

მოხუცი წამოიწია კიდეც.

— ჩუმათ! ძალიან საშიშარი ყოფილხარ! მე შენ რაზე გიამბობდი? დამპალ სახლზე, მაშასადამე, ვინაა დამნაშავე,

რომ ის დალპა? პატრონია დამნაშავე. შენც ასე უნდა გეთქვა: პატრონ-ნია დამ-ნა-შავე! შენ კი სად დაუმიზნე! პირდაპირ მიზანში ამოიღე... იცი, რა მოსდევს ასეთ სიტყვებს? ციმბირი, კატორღა...

ყოველთვის, როცა მოხუც მუშას ესტუმრებოდა, სერგეი რაღაც ახალსა და ჭკუის სასწავლს გაიგებდა. ერთხელ აკიმიჩი გაბრაზებული და აღელვებული დახვდა.

— რა ცბიერები არიან წყეულები, — ბუზღუნებდა მოხუცი. —„თქვენი საქმე ის არისო, გვეუბნებიან, რომ მეპატრონეებს ჯამაგირის მომატება მოთხოვოთ, რომ მუცელი მაძღარი გქონდეთ, რომ თბილი ბარაკები აგიშენონ, ხოლო პოლიტიკა—თქვენი ჭკუის, მუშის ჭკუის საქმე არ არისო". არა, მიჰქარავ, ძამია, ვისიც პოლიტიკაა, ძალაუფლებაც მისია. ჩვენ ჩვენი ხელისუფლებისათვის, მუშური ხელისუფლებისათვის უნდა ვიბრძოლოთ.

კიდევ დიდხანს ბუზღუნებდა და ბრაზობდა მოხუცი.

სერგეიმ ვერ მოითმინა და ჰკითხა, თუ ვის აგინებდა აკიმიჩი ასე.

— ეკონომისტებს. მუშათა კლასის ნამდვილი მოღალატეები არიან, — მოუჭრა მოხუცმა.

მართალი იყო მოხუცი მუშა, როცა აღშფოთებული იყო „ეკონომისტებით". ასე ეძახდნენ სოციალ-დემოკრატები იმათ, რომლებიც მავნე ლაპარაკით მუშებს პოლიტიკურ ბრძოლას არიდებდნენ.

თავი ოცდამეშვიდე

ძრავას ამბავი

უკვე ორი თვე გავიდა, რაც სერგეი ლუდმილა ჰუსტავის ასულისას ცხოვრობდა, მაგრამ თავისი ბინის მეზობლებთან ახლო კავშირს არ იჭერდა. ისინი მასზე უფროსებიც იყვნენ და ბევრად უკეთესადაც ცხოვრობდნენ, ვიდრე სერგეი. სტუდენტები ხშირად აწყობდნენ საღამოებს ფსონით, სერგეის კი ფული არ ჰქონდა ფსონისათვის, ხოლო სხვის ხარჯზე ჭამა-სმა არ უყვარდა. ამიტომ უჯდა ოთახში ნახაზებს და ღიღინებდა დაბალი ხმით, როცა სტუდენტების ოთახებიდან სიმღერა ისმოდა. სიმღერას კი მრავალნაირს მღეროდნენ — სევდიანსაც, მხიარულსაც, სასაცილოსაც. ყველაზე ხშირად სერგეის მეზობლები ყაზანის სტუდენტთა სიმღერას ამბობდნენ:

Там, где тинный Булак[1]
Со Казанкой—рекой,
Словно брат и сестра, обнимаются,
От зари до зари;
Лишь зажгут фонари,
Вереницей студенты шатаются.

თვით ვლადისლავ სპასკისთანაც კი არ საუბრობდა ხშირად სერგეი, სანამ ისინი ერთმა საერთო განზრახვამ არ შეაკავშირა.

— იცი, სერგეი, რა მოვიფიქრე? — უთხრა მას ერთხელ სპასკიმ, — ვცადოთ მე და შენ ელექტრონის ძრავის გაკეთება.

სერგეის ეს აზრი მოეწონა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სპასკიმ პირველი შეხვედრისთანავე ახსენა ელექტრონის ძრავა, სერგეიმ გაიფიქრა, რა კარგი იქნებოდა ასეთი რამის გაკეთებაო.

---

[1] იქ, სადაც შლამიანი ბულაკი და მდინარე ყაზანკა და-ძმასავით გადახვეულან, ბნუხრიდან გაზოიადამდე, როგორც კი ფანრებს აანთებენ სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფად დაეხეტებიან.

— მოდი, შევადგინოთ იმის სია, რაც დაგვჭირდება სამუშაოთ, — შემოიტანა წინადადება სპასკიმ. პასუხისათვის არც კი მოუცდია, ისე ამოხია ქაღალდის ფურცელი სქელი მუშამბოვანი რვეულიდან, სადაც ჩვეულებრივ ლექციებს იწერდა.

მიუჯდა სამზარეულოს მაგიდას და დაიწყო წერა.

სერგეი იჯდა პირდაპირ და თვალს არ აშორებდა, სპასკი კი წერდა დიდხანს, ფიქრობდა, კვნეტდა ფანქარს ან ფანქრის ბოლოთი წარბს იფხანდა.

— ჰა, მზადაა, — თქვა მანაბოლოს და სერგეის ქაღალდი გაუწოდა.

ქაღალდზე გარკვეული, სწორი ხელით ეწერა:

1) თუჯის კორპუსი

2) სტატორი, კოჭები და ფირფიტები

3) როტორი: ა) როტორის ლილვი, ბ) საკისარები, გ) ლუზის ფირფიტები, დ) კოლექტორის ფირფიტები და ე) კოლექტორის ჯაგრისები.

4) სამონტაჟო მავთულები და ყოველნაირი ჭანჭიკები, ხრახნები და ქანჩები.

— აბა, ვიფიქროთ, სად რა უნდა ვიშოვოთ.

დაიწყეს ფიქრი.

უპირველეს ყოვლისა, თუჯის კორპუსი უნდა ეშოვათ. უიმისოდ მუშაობის დაწყებაც არ შეიძლებოდა. შემდეგ საჭირო იყო როტორი, სტატორი და სტატორის ფირფიტები.

— ყველაფერი ეს, ალბათ, შეიძლება ვიყიდოთ, — თქვა სპასკიმ. — მაგრამ ფული უნდა დავხარჯოთ ბლომად.

— არ შეიძლება იაფად გავაკეთოთ? — ჰკითხა სერგეიმ. — რა იქნება მარტო კორპუსი ვიყიდოთ, ხოლო დანარჩენი თვითონ გავაკეთოთ? მოვძებნოთ ბაზარზე რამე შესაფერისი ნამტვრევი და ამ ნამტვრევიდან გავაკეთოთ ყველაფერი.

— კარგი, ვცადოთ, — თქვა სპასკიმ. — მე ვიშოვი სამონტაჟო მავთულებსა და საკისარებს.

— ჰო, მე კი ქანჩებს, ჭანჭიკებს და ხრახნებს ამოვახარატებ სახარატო ჩარხზე. ოღონდ მასალა მქონდეს და...

პირველ თავისუფალ დღესვე გაემგზავრნენ მეგობრები ბაზარზე, იმ რიგებში, სადაც ყოველგვარი ლითონის ნაყარნუყარას ჰყიდდნენ.

მათ მაშინვე გაუღიმა ბედმა. დაჟანგულ რკინის ნამტვრევებში მათ იპოვეს მზა თუჯის კორპუსი, რომელსაც ცოტაოდენი ბზარი ჰქონდა. შემდეგ მათ ხელში მოხვდათ ერთი შესანიშნავი ნივთი. გაშლილ ძველ ჩიჩობზე ბრინჯაოსაგან გაკეთებული ბუხრის დამტვრეული რიკული ეგდო: მისი ალათები ბრინჯაოს მაგარი და სხმული წნელებისაგან შესდგებოდა. სერგეიმ ყურადღებით დაათვალიერა რიკული და ასწია.

— ყური მიგდე, ამ წნელებიდან შეიძლება ხელით გამოვჭრათ და გამოვხერხოთ ყველაფერი, რაც გვჭირდება, — ჯაგრისებიც და ფირფიტებიც, — უთხრა მან ჩქარი ჩურჩულით სპასკის.

გამყიდველმა, პატარა ბრუციანმა მოხუცმა, მყიდველებს სახეზე შეატყო, რომ საქონელი მოეწონათ. ისეთი ფასი დაადო, რომ სპასკიმ წამოიყვირა კიდეც.

— სამაგიეროდ რა რიკულია, — ჩაიჩიფჩიფა მოხუცმა, — ფასი არც კი დაედება. ის პირდაპირ თავადის სახლიდან ჩამოვარდა ხელში.

რამდენი არ ეხვეწა სპასკი, ცოტა მაინც დამიკელიო, მოხუცი არ თანხმდებოდა.

ბოლოს და ბოლოს მეგობრებმა ამოიოხრეს და მოშორდნენ ჩიჩობს.

და მხოლოდ მაშინ, როცა მათ კუთხეში უნდა შეეხვიათ, მოხუცმა დაუძახა:

— ეი, ყმაწვილებო, დაბრუნდით, დაბრუნდით! მოვილაპარაკოთ! — მიაძახა მან.

მეგობრები დაბრუნდნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ ახლა უკვე მორიგდებოდნენ.

— მე თქვენ ძალიან მომეწონეთ, ყმაწვილებო, — ამბობდა მოხუცი, — თქვენი ხათრი იყოს, წაიღეთ ძვირფასი ნივთი ნახევარფასად.

სერგეიმ და ვლადისლავმა ქოშინით წაათრიეს სახლში რიკული და თუჯის კორპუსი.

ამ დღიდან, სასწავლებლიდან რომ დაბრუნდებოდა, სერგეის ყოველთვის მოჰქონდა ძრავის რომელიმე ნაწილი, რომელიც მისი საკუთარი ხელით იყო გამოპირული და გამოთლილი.

სპასკი დაათვალიერებდა დეტალს და შეაქებდა.

— ყოჩაღ! აი, მხოლოდ ამ ადგილას ზედმეტი არ იქნებოდა ცოტა კიდევ რომ გამოგეპირა.

სერგეი თავს დააქნევდა, ხოლო დილას მისი პალტოს ჯიბე მძიმე ტვირთისაგან იყო ამობურცული. ის ხელახლა მიათრევდა სასწავლებელში დეტალს, რომელსაც შესწორება უნდოდა.

ორი კვირის შემდეგ ყველაფერი მზად იყო.

შეიძლებოდა შედგომოდნენ ძრავის აწყობას.

თავდაპირველად ორივე მეგობარი ერთნაირი ხალისით შეუდგა საქმეს, მაგრამ შემდეგ სტუდენტს გული აუცრუვდა. მობეზრდა თუ იგრძნო, რომ სერგეის უიმისოდაც შეეძლო სამუშაოსათვის თავის გართმევა, ოღონდ სპასკი ხშირად თავს არიდებდა. წავიდოდა თავის ოთახში ასანთის საძებნელად, რომ თამბაქო მოეწია, და მთელი საათის განმავლობაში არ დაბრუნდებოდა. ანდა გაბამდა ვისმესთან საუბარს დერეფანში და სრულიად დაავიწყდებოდა ძრავა.

ბოლოს სპასკიმ პირდაპირ უთხრა სერგეის:

— თვითონ აკეთე, ძმაო, ყველაფერი! გეტყობა, ასეთი საქმეების ნიჭი გაქვს. მე კი ტექნიკაში ძლიერი არა ვარ. აი თეორია რომ იყოს, ეს — სხვა საქმეა!

ერთი კვირის შემდეგ ძრავა მზად იყო.

ის ფრთხილად გადაიტანეს ვლადისლავის ოთახში, დადგეს კუთხეში და მიაფარეს გაზეთები. ყოველთვის, როცა სტუდენტებთან ამხანაგები მოვიდოდნენ, მედიკები იქნებოდნენ ისინი, იურისტები თუ ისტორიკოსები, სერგეი გადასწევდა გაზეთებს და დაიწყებდა ძრავას მოწყობილობის დაწვრილებით ახსნას. ჩქარა არავინ დარჩა, რომ არ ეჩვენებიათ ძრავა, ყველას აჩვენეს და ბოლოს ის მივიწყებას მისცეს.

მაგრამ ორი კვირის შემდეგ ძრავას გახსენება საჭირო შეიქმნა. სპასკის ისე დაეხა და გაუცვდა შარვალი, რომ ლექციებზე სიარული შეუძლებელი შეიქნა. ძლივძლივობით დაელოდა შინი-

დან ფულის მიღებას და მაშინვე გაექანა ბაზარზე ახლის საყიდ-ლად.

მაგრამ შარვლის ყიდვა ვერ შესძლო.

ამას მოულოდნელმა შემთხვევამ შეუშალა ხელი.

ვიღაც მაღალი, გამხდარი, სათვალეებიანი კაცი, რომელსაც შავი წამოსასხამი ეცვა, ბაზარზე დადიოდა და წამოსასხამის ქვეშ რაღაც პატარა ყუთს საიდუმლოდ ინახავდა. სპასკი დააინტერესა ყუთმა და ჰკითხა რა არისო.

— ტელეგრაფს ვყიდი—თქვა უცნობმა და წამოსასხამის კალთა ოდნავ ასწია.

ტელეგრაფი ექვსი მანეთი ღირდა, სწორედ იმდენი, რამდენიც უნდა დასჯდომოდა შარვალი და რამდენი ფულიც ჰქონდა სპასკის.

სპასკიმ დაათვალიერა და ყოველმხრივ მოსინჯა ტელეგრაფი. ერთხანს იტრიალა წამოსასხამიანი კაცის გვერდით და გადაწრიტ ჩააქნია ხელი.

„ეხ, რაც მოხდეს, მოხდეს! შარვალს კიდევ შეიძლება რამე დავაკერო, ტელეგრაფი კი ექვს მანეთად ყოველდღე როდი იყიდება“.

ამოიღლიავა ყუთი სპასკიმ და სტვენით დაბრუნდა შინ. შინ მას დაუხვდნენ ამხანაგები — ლენკა სტაროდუბი და ხუპუპა ქიმიკოსი ხრიაშჩიცკი.

— იყიდე? — დაუყვირა ლენკამ.

— ვიყიდე! — თქვა სპასკიმ და პალტოდან ხის ყუთი გამოთრია.

— ამანათი მიიღე სახლიდან თუ? — მივარდა მას ლენკა, რომელსაც ძალიან უყვარდა ჭამა.

— ალიას დარდი ფლავიაო. აი რა, ტელეგრაფი ვიყიდე! — გაბრაზებით მიუგო ვლადისლავმა.

ქიმიკოსმა და ლენკამ ყურადღებით დაათვალიერეს სპასკის ნაყიდი და მოიწონეს.

ხოლო ერთი საათის შემდეგ შინ დაბრუნდნენ ლუდმილა ჰუსტავის ასულის სხვა მდგმურებიც და იმათაც დაიწყეს ნაყიდის შექება. ისინი ყოველმხრივ შემოეხვივნენ სპასკის, რომელიც ტელეგრაფს უჯდა. იმ საღამოს თვითეულმა სტუდენტმა იმდენი დეპეშა მიიღო, რამდენიც არ მიუღია მთელ თავის სიცოცხლეში.

დეპეშას ხმამაღლა კითხულობდა ლენკა სტაროდუბი — მან იცოდა მორზეს ანბანი. მასვე გაუგზავნეს პირველი დეპეშა:

„თქვენ ტანადი ხართ, როგორც არაბეთის პალმა, მსუბუქი და მარდი, როგორც ანტილოპა“.

ქიმიკოსმა ჰენრიხ ხრიაშჩიცკიმ, რომელიც თვეობით არ იხდიდა ბინის ქირას, ასეთი დეპეშა მიიღო:

„დაბეჯითებით გთხოვთ გადაიხადოთ ოთახის ოთხი თვისა, დააბრუნოთ დაკარგული ჩექმის ჯაგრისი. ლამაზმანი სუნდსტრემი“.

იმ საღამოს სტუდენტები არ მოშორებიან ტელეგრაფს. სპასკის ოთახის იატაკი მოფენილი იყო ქაღალდის გრძელი ლენტების ხვეულებითა და ნაგლეჯებით. ქალიშვილ სუნდსტრემის კატებმა ქაღალდები გაათრიეს დერეფანში.

ბოლოს და ბოლოს თვითონ ქალიშვილი სუნდსტრემი შემოვარდა ვლადისლავის ოთახში.

— რას შვრებით? მთელი სახლი სავსეა რაღაც ქაღალდებით... რას ბეჭდავთ?

მან აიღო იატაკიდან ქაღალდის ლენტის ნახევი და მიიტანა ბეცა თვალებთან.

მაგრამ წერტილებისა და ხაზის გარდა ქალიშვილ სუნდსტრემმა ვერა გაარჩია რა. გაფითრდა და მკერდზე იტაცა ხელი.

— ვლადისლავ, ეს საიდუმლო შრიფტია?

— არა, ეს მორზეს ანბანია, — უპასუხა სპასკიმ.

ქალიშვილმა სუნდსტრემმა ვერ გაარკვია რაში იყო საქმე და გავარდა ოთახიდან.

— ნუ გეშინიათ, ლუდმილა ჰუსტავოვნა! — მიაძახა მას ვლადისლავმა, — ეს ხომ ჩვეულებრივი ტელეგრაფია!

— ტელეგრაფი ბინაზე?! მერე და ვის აძლევთ დეპეშას? იმედი მაქვს, აქ რამე საეჭვო არაა? ხომ იცით, მე პასუხს ვაგებ თქვენი ყოფაქცევისათვის.

და ლუდმილა ჰუსტავის ასული გავიდა ოთახიდან; ყოველი შეეთხვევისათვის, თან წაიღო დეპეშის ნაგლეჯი.

გვიან საღამოს, როცა სერგეი სასწავლებლიდან დაბრუნდა, კაკუნი მოესმა, სპასკისთან შევიდა. ის იჯდა აპარატის წინ, დაღლი-

ლი უჩვეულო მუშაობისაგან. კოჭზე უკვე ილეოდა ქაღალდის ლენტი. სპასკიმ მაშინვე ჩააბარა სერგეის უკანასკნელი დეპეშა:

„მთავარ ინჟინერ-მექანიკოსს კოსტრიკოვს წრტ გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო შეკვეთა 2.000 ელექტრონის ძრავაზე წრტ ფულს გიგზავნით თქვენს მიმდინარე ანგარიშზე წრტ შეერთებული შტატების პრეზიდენტი“.

— კი მაგრამ, რით ფიქრობ ხვალ ლექციაზე წასვლას? — ჰკითხა ერთ-ერთმა სტუდენტმა სპასკის, როცა სპასკი ადგა მაგიდიდან და გაიზმორა.

— არაფერია, — უდარდელად ჩააქნია ხელი ვლადისლავმა.

მაგრამ როცა გაიხადა შარვალი და დააკვირდა, სახე შეეცვალა. შარვალი ისე იყო გაცვეთილი, რომ მისი შეკეთება შეუძლებელი იყო.

— მისწერე შინ, რომ კიდევ გამოგიგზავნონ ფული, — ურჩია ლენკამ.

სპასკიმ შემოიხვია საბანი, ჩუმად ჩამოჯდა საწოლზე და რაღაცაზე ჩაფიქრდა.

— არა, არ გამოგზავნიან, — მწუხარედ დაიქნია თავი სპასკიმ.

ვლადისლავის მამა, ექიმი სპასკი, ხელმოჭერილი, მკაცრი კაცი იყო და ვერ იტანდა ქარაფშუტობას.

— რა ეშმაკი შემიჩნდა და მაყიდვინა ეს სულელური ტელეგრაფი, — აგინებდა თავის თავს სპასკი, — ახლა თუ გინდა შემოიხვიე გარშემო ტელეგრაფის ლენტი და გაემართე ასე უნივერსიტეტში ლექციებზე.

ქიმიკოსმა ხრიაშჩიცკიმ წინადადება შეიტანა ფული შეეგროვებინათ და ფსონით ეყიდნათ შარვალი ვლადისლავისთვის. სტუდენტებმა დაიწყეს თავისი კაპიტალის თვლა. ექვს კაცს სამი მანეთი და 27 კაპიკი აღმოაჩნდა. სერგეი ანგარიშში არ შედიოდა, მას გახვრეტილი კაპიკიც არა ჰქონდა. მისი სწავლის ფულს, ჭამა-სმისა და ბინაში კუთხის ქირას ურეუმელი მზრუნველები იხდიდნენ.

— იცი რა, გაჰყიდე ძრავა და იყიდე შარვალი, — თქვა უცებ სერგეიმ.

— მაშინ სჯობია ტელეგრაფის გაყიდვა, — ამოიოხრა სპასკიმ.

— ტელეგრაფის გაყიდვა არ ღირს. ახალია. ჩვენ ის ხეირიანად არც კი დაგვითვალიერებია, — თქვეს სტუდენტებმა.

სპასკი ხუთიოდე წუთს კიდევ ფიქრობდა, ის უმტკიცებდა სერგეის, რომ ძრავზე უფლება არა ჰქონდა, რადგან ძრავა ერთად გააკეთეს და სერგეიმ მასზე მეტიც კი იმუშავა.

მაგრამ ბოლოს სპასკი მაინც დათანხმდა.

ორი დღის შემდეგ ძრავა ექვს მანეთად გაჰყიდეს, ხოლო მეორე დღეს — ეს იყო კვირა — ვლადისლავი ისევ გაემართა ბაზრისაკენ.

— აბა, ახლა კი მე წაგყვები, თორემ, ვინ იცის, შენ შარვლის ნაცვლად ეგებ დურბინდი იყიდო, — უთხრა სერგეიმ.

საღამოს სტუდენტები — ყველანი ჩაის სვამდნენ სპასკის ოთახში და ულოცავდნენ მას ახალ შარვალს. დიდხანს ისხდნენ.

გვიან ღამით ვლადისლავი გამოვიდა სამზარეულოში სამოვარში წყლის ჩასასხმელად. მან დაინახა, რომ სერგეი უცნაურ საქმეს აკეთებდა: ნელა და ფრთხილად უშვებდა გრძელსა და წვრილ თოკს ტუშიან ბოთლში.

— რასა შვრები?

— შენ რაში გეკითხება? — გაიცინა სერგეიმ და ბებია შელანია გაახსენდა.

გამოაძრო სველი გრძელი თოკი ბოთლიდან და ღუმელთან ჩამოჰკიდა გასაშრობად.

მეორე დილას სპასკი და სერგეი შემთხვევით ერთად გამოვიდნენ სახლიდან. როცა ისინი გრუზინსკის ქუჩას მიუახლოვდნენ და ვლადისლავს ის-ის იყო უნივერსიტეტისკენ უნდა შეეხვია, მან უცებ შენიშნა რომ სერგეის მარცხენა ჩექმა ჯვარედინად შემოკრულია შავი თოკით. თოკი იჭერდა მომძვრალ ლანჩას.

— ეს რა არის? — გაუკვირდა ვლადისლავს. უცებ ეცნო გუშინდელი შეღებილი თოკი, ხმა ჩაუწყდა და გაჩუმდა.

• • •

ერთი კვირის შემდეგ სპასკიმ მოულოდნელად მიიღო შამისაგან დამატებით გადმოგზავნილი სამი მანეთი. რადგან ეს ფული მისი სიტყვით „ხარჯთაღრიცხვაზე ზედმეტი" იყო, გადაწყვიტა ის ხიამოვნებისათვის დაეხარჯა.

ორი მანეთის ჩაის ძეხვი, კიტრი, ფუნთუშა, ვანილიანი ბლიბები და ერთი ბოთლი წითელი ღვინო იყიდა, რომლის ეტიკეტზე

სლავური ასოებით ეწერა „საეკლესიო“. დანარჩენი ფულით ორი ბილეთი იყიდა თეატრში წასასვლელად.

— როგორი აზრისა ხართ ამაზე, პატივცემულო ინჟინერ-მექანიკოსო? — ჰკითხა მან სერგეის და ორი ვარდისფერი ქაღალდი გააფრიალა, — დამეპატიჟეთ ხვალ თეატრში „ფაუსტზე“. წინაალმდეგი ხომ არა ხართ?

რასაკვირველია, სერგეი არ იყო წინააღმდეგი. ის ჯერ თავის დღეში თეატრში არა ყოფილა.

მეორე საღამოს მეგობრები შეუდგნენ მზადებას თეატრში წასასვლელად.

სამრეწველო სასწავლებლის მოწაფეებს თეატრში წასვლა მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით შეეძლოთ. სერგეი არ იყო დარწმუნებული, რომ მას მისცემდნენ ასეთ ნებართვას, და გადაწყვიტა მალულად წასულიყო „თავისუფალ ტანისამოსში“.

მან თვითონ დაიუთოვა ხალათი, გაიწმინდა ჩექმები და მელნით გააშავა მუხლებზე დაკერებული ადგილები. სპასკიმ გაწმინდა თავისი სტუდენტური მუნდირი და ნელსაცხებელი გადაისხა.

ყაზანის საოპერო თეატრში მათ პალტოები გასახდელ ოთახში დატოვეს და ნოხებით მოფენილ კიბეზე ავიდნენ.

გარეთ თოვდა, ჰქროდა ცივი ქარი. აქ კი თბილოდა, ბრჭყვიალებდნენ სარკეები და ნელსაცხებლის სუნი იდგა.

მეკარე, როცა სადარბაზო კარს გააღებდა და თოვლით დაფარულ ხალხს შემოუშვებდა, ქუჩიდან ცივი ჰაერის ნაკადი და ქარის სტვენა შემოიჭრებოდა.

ამხანაგებმა გაიარ-გამოიარეს ფოიეში, სადაც დარბაისლურად დასეირნობდნენ გრძელკუდიან კაბებში გამოწყობილი ქალბატონები, შავ სერთუკიანი ან სამხედრო მუნდირებიანი მამაკაცები. აქა-იქ სტუდენტური ქურთუკებიც ხვდებოდა თვალს.

ხანდახან ნელა და მედიდურად გაივლიდა ფოიეში ზურგზე ხელებდაწყობილი მდიდარი თათარი ვაჭარი. მას მაუდის გრძელკალთებიანი ხაფთანი და ყვითელი ჩექმები ეცვა, თავზე ვერცხლით მოქარგული ხავერდის არახჩინი ეხურა.

წარმოდგენის დაწყების ზარი როცა გაისმა, სერგეიმ მორთულ ხალხთან ერთად პარტერისაკენ იბრუნა პირი.

— შენ საიდან? ჩვენ, ძმობილო, ზევით უნდა წავიდეთ! — სტაცა მას ხელი სპასკიმ.

„ზევით“ ქანდარა აღმოჩნდა. რამდენიმე მწკრივი ხის სკამები გაჭედილი იყო მოსწავლე ახალგაზრდობით.

სერგეისა და სპასკის გვერდის ადგილები ჰქონდათ. თითქმის ზედ თავზე დაჰყურებდათ ჭერი, რომელიც მოხატული იყო ვიოლინოზე დამკვრელი ამურებითა და ანგელოზებით.

ქანდარაზე ტევა არ იყო. ჰაერი შეხუთული იყო და ხალხი ხმაურობდა. ახალგაზრდობა თავს ისე გრძნობდა, თითქოს შინ ყოფილიყო. სტუდენტი ქალ-ვაჟები ერთმანეთს ეძახდნენ, ლორბინდებს უცვლიდნენ, პროგრამებს აძლევდნენ.

სერგეი გადააწვა მოაჯირს და დაბლა ყურება დაიწყო. ორკესტრიდან ინსტრუმენტების აშლილი ხმები ისმოდა, ინსტრუმენტებს აწყობდნენ.

მუქწითელა ხავერდის ლოჟებში, რომელიც მორთულ კოლოფებსა ჰგვანდა, მხრებგაშიშვლებული ქალები ისხდნენ და მარაოს ინიავებდნენ. მათ უკან ბრჭყვიალა გახამებული გულისპირიანი და შავფრაკიანი მამაკაცები იდგნენ.

როცა ორკესტრმა უვერტიურა დაუკრა, ფარდა ნელა გაიწია განზე.

სერგეის ყველაფერი კარგად ესმოდა, მაგრამ სცენაზე რაც ხდებოდა იმას მხოლოდ მაშინ ხედავდა, როცა არტისტები შუა სცენაზე გამოდიოდნენ. როგორც კი განაპირდებოდნენ მარჯვენა. კულისებისაკენ, მყისვე მიიმალებოდნენ, თითქოს იატაკში ჩაცვივდნენო. მარგალიტას როლის შემსრულებელი არტისტი ქალი, სერგეის ჯიბრზე, სულ მარჯვენა კულისებთან იდგა. სერგეის სიმღერა ესმოდა მისი, ხედავდა კი მხოლოდ მისი თეთრი ატლასის კაბის კალთის ერთ ნაწილს.

მაგრამ ყველაფერი ეს უმნიშვნელო რამ იყო სერგეისათვის, — იმ ზომამდე მოსწონდა მას სიმღერა, მუსიკა და თვით თეატრი. ის იჯდა თვალდახუჭული და თავი ორივე ხელზე დაეყრდნო.

მას ყველაზე უფრო მეფისტოფელის არია მოეწონა: „ხალხი ოქროსთვის იღუპება“.

შინ რომ ბრუნდებოდნენ, სერგეი და სპასკი ხშამაღლა მღეროდნენ მეფისტოფელის არიას. მხოლოდ გზაჯვარედინზე, სადაც პოლიციელი იდგა, შეწყვეტდნენ სიმღერას.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა აკიმ ში ინახულა, სერგეიმ თეატრის ამბავი მოუთხრო მას.

— ბილეთები ძვირია, არა? — ჰკითხა მან ხუცმა.

— ორი აბაზი, მაგრამ მე როდი მიყიდნია. ამხანაგმა წამიყვანა.

— ხედავ, რა მდიდარი ყოფილა! მაგრამ სად იჯექი ორ აბაზად?

— ზევით იყო ადგილები.

— მაშასადამე, ქანდარაზე? — გაეცინა აკიმიჩს. — რას იზამ, ქანდარა საპატიო ადგილია. ჩემი გრიგოლი სტუდენტებთან ერთად ყოველთვის ქანდარაზე იჯდა. ბატონები კი უმრავლეს შემთხვევაში ლოჟებში სხედან. იმათ ყველგან თავისი ადგილები აქვთ, ეკლესიაშიც და თეატრებშიაც. აბანოებიც კი — აბანოებიც თავისი აქვთ, „სააზნაურო“, ჩვენ კი „უბრალო“.

თავი ოცდამერვე

„ძველმოქმედნი“ უარს ამბობენ

როცა ყაზანს სასწავლებლად მიდიოდა, სერგეის მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა: როგორმე მეორე წელს არ ჩავრჩეო კლასში.

პოლნერმა უთხრა მას, თუ ჩარჩი, უკანვე ურეუმში უნდა დაბრუნდეო, „ქველმოქმედი“-ვაჭრები არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებიან ზედმეტი წლისათვის იხადონ ფულიო.

ყაზანში, პირველ დღესვე, როცა სამეცადინოდ გამოცხადდა, სერგეიმ წაიკითხა გაკვეთილების ცხრილი და ჩაფიქრდა. თორმეტი საგანი, განა სახუმარო საქმეა? და ამ საგანთა შორის ისეთებიცაა, რომელთა შესახებ მას წინათ არა გაუგონია რა: მექანიკური წარმოება, მანქანების მოწყობილობა, მექანიკა, ანგარიშგება, ხაზვა...

მაგრამ საქმე არც ისე საშიში ყოფილა.

სწავლა რომ დაიწყო, სერგეიმ დაინახა, რომ ყველა ამ თავხატეხ საგნებს იგი თავს გაართმევს.

ჩქარა გაკვეთილებზე მასწავლებლებმა მას ქება დაუწყეს.

— არა უშავს, ყმაწვილო, — ამბობდნენ ისინი,—ეცადეთ შემდეგშიაც.

ასე გავიდა სამრეწველო სასწავლებელში მეცადინეობის პირველი თვეები. ახლოვდებოდა მთელი სასწავლებლისათვის საშინელი დღე — ამ დღეს უნდა გამოეცხადებინათ პირველი მეოთხედის ნიშნები. სერგეიმ იცოდა, რომ კარგად სწავლობდა და ამიტომ დარდი არა ჰქონდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი საქმე უკეთესადაც იყო, ვიდრე თვითონ მოელოდა.

ზედამხედველმა მისი გვარი ხუთ პირველ მოწაფეთა შორის დაასახელა.

შინ რომ დაბრუნდა, სერგეი მაშინათვე ჩაუჯდა პოლნერისათვის წერილის მიწერას ურჟუმში. უნდა ეცნობებინა, რომ მის სწავლაზე ფული ტყუილად არ დახარჯულა.

მაგრამ მას პასუხი არ მიუღია.

მზრუნველ ვაჭრებმა, როცა გაიგეს პოლნერისაგან, რომ კოსტრიკოვი კლასში ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლება, იქვე გადაწყვიტეს მის სწავლებასა და შენახვაზე ფული აღარ გაეგზავნათ.

— ასეთი ნიჭიერი ბიჭი თვითონაც არ დაიკარგება! იქნებ, უჩვენოდაც გაიტანოს თავი, — დაასკვნეს ქველმოქმედებმა.

და, აი, მეორე მეოთხედის გამოცხადებამდე ორი დღის წინ, სკოლის ზედამხედველმა მაკაროვმა ალგებრის გაკვეთილის შემდეგ კოსტრიკოვს უთხრა, თვითონ ინსპექტორი შიროკოვი გეძახის დაუყოვნებლივ გამოცხადდი ჩემთან კაბინეტშიო.

— ერიჰაა, თუ თვითონ შიროკოვი ეძახის, ჩანს, საქმე სერიოზულია!

ინსპექტორი შიროკოვი უფრო იმისათვის ეძახდა მოწაფეებს, რომ დაეტუქსა ისინი და წესრიგის დარღვევისათვის კარცერში ჩაესვა. სერგეი გაემართა ინსპექტორისაკენ ცოტათი შეშფოთებული და გაკვირვებული.

უეჭველია, მას რაღაც უსიამოვნება მოელის.

ასეც მოხდა.

— სერგეი კოსტრიკოვი ხარ? — გაბრაზებით ჰკითხა შიროკოვმა, როგორც კი გადააბიჯა სერგეიმ მუხის მძიმე ავეჯით შორთულ კაბინეტის ზღურბლს.

— დიახ, სერგეი კოსტრიკოვი.

— აი რაშია საქმე, ყმაწვილო, კეთილ ინებეთ შემოიტანეთ სწავლის გადასახადი არა უგვიანეს ამ თვის ოცი რიცხვისა.

სერგეიმ ოდნავ აიჩეჩა მხრები.

— კი მაგრამ ჩემ სწავლის გადასახადს ურჟუმიდან გზავნიან, თავშესაფრის მზრუნველები...

— საქმეც ისაა, რომ არ იხდიან თქვენი მზრუნველები. მისწერეთ მათ, გაიგეთ, რატომ შეწყვიტეს ფულის გამოგზავნა. ამ შემთხვევაში, თუ არ გადაიხადეს, თქვენ გარიცხვა მოგელით. შეგიძ-

ლიათ წასვიდეთ! — ინსპექტორმა ოდნავ დაუქნია თავი და რაღაც ქაღალდის კითხვას შეუდგა.

სერგეი გავიდა კაბინეტიდან.

— ესეც შენი სწავლა!..

სერგეი დაღონებული და შეშფოთებული იყო. რამდენი რამ იფიქრა გრძელ მანძილზე — არსკის მინდვრებიდან ნიკნე-ფედოროვსკის ქუჩამდე.

ეგებ პოლნერი ავად გახდა? ეგებ, მოულოდნელად, ერთსა და იმავე საათს დამბლისაგან გარდაიცვალა თავშესაფრის ორივე მზრუნველი, ისე, როგორც შარშან ზაფხულს მოულოდნელად გარდაიცვალა მსუქანი პოლკოვნიკი რომაშკო?

ეგებ ფოსტას, რომელსაც სერგეის ფული მიჰქონდა ურეუმიდან ყაზანს, თავს დაესხნენ ყაჩაღები, მოჰკლეს მეეტლეც, ფოსტალიონიც და გაძარცვეს ფოსტა?

თვითონ სერგეის მოუსმენია ოდესღაც, როგორ უამბობდა ბებია თავის უახლოეს მეგობარს, ცალთვალა მოხუც დარაჯს — ვლადიმერ ივანეს-ძეს, რომ მათთან გლაზოვის მაზრაში ასეთი შემთხვევები ყოფილა.

ეგებ შესცდა შიროკოვი? ეგებ ხვალ ის ისევ გამოუძახებს კაბინეტში სერგეის და ეტყვის:

— შეგიძლიათ განაგრძოთ სწავლა, კოსტრიკოვ! თქვენ არ გექადით გამორიცხვა!..

შინ კი სერგეის მეორე უბედურება მოელოდა.

საღამოს, როცა სერგეი სამზარეულოში ხაზვაში იყო გართული, ზღურბლზე გამოჩნდა ლუდმილა ჰუსტავის ასული. მას, როგორც ყოველთვის, ცისფერი ბამბაზიის კაპოტი ეცვა. მის ჭორფლიან შუბლზე, როგორც ყოველთვის, რქებივით გამოშვერილიყო სამცნევები.

— დროა დაიძინო! — თქვა მან ბუზღუნით. — ნუ წვავ ნავთს!

— მე ჯერ კიდევ გაკვეთილები უნდა დავამზადო.

— ჩემი რა საქმეა! ნათი ახლა კიდევ ერთი კაპიკით გაძვირდა.

ლუდმილა ჰუსტავის ასულმა ლამპა ჩააქრო და ოთახიდან გასვლისას კარი მიირახუნა.

სერგეი ერთ წუთს სიბნელეში იჯდა, შემდეგ მოსინჯა დაფაზე გაკრული ნახაზი, რომელიც ხვალ მასწავლებლისათვის უნდა გადაეცა, მონახა ასანთი და აანთო ლამპა. მაგრამ ვერ მოასწრო ხელში ფარგლის აღება, რომ დერეფნიდან სამზარეულოში ისევ გაიღო კარი. ზღურბლზე ისევ ლუდმილა ჰუსტავის ასული იდგა. შეიძლებოდა ეფიქრა კაცს, რომ ის არც მოშორებია კარს.

— მე ვის ვუთხარი, ლამპა ჩააქრე მეთქი!

ფიირბინა მაგიდასთან და ისეთი ძალით ჩაუბერა ლამპას, რომ შუშიდან ალი ავარდა და იმ წამსვე ჩაქრა.

— არც ერთი ადამიანი არაა ვალდებული მუქთად აცხოვროს მდგმური! თბილ ბინაში ყოველი კუთხე ფული ღირს. გათბობა, განათება, დერეფანში და სამზარეულოში იატაკის რეცხვა, — ჩამოთვალა სიბნელეში ლუდმილა ჰუსტავის ასულმა ატირებული ხმით,—შენმა ქველმოქმედებმა უარი განაცხადეს ფულის გადახდაზე. — ქალი ატირდა, — მე არ შემიძლია!.. ეძებე სხვა ბინა!...

ამ საღამოს ნახაზის დამთავრება ვერ შესძლო სერგეიმ. მთელი ღამე ტრიალებდა სერგეი გვერდიდან გვერდზე თავის ზანდუკზე და დილამდე ვერ დაიძინა. ექვსიც არ იყო, რომ ადგა და სახლიდან გავიდა. მან გადაწყვიტა გაკვეთილი კლასში დაეხაზა.

არსკის მინდვრებამდე ის თითქმის მირბოდა და გზას არ არ-ჩევდა. სახეში ცივი ქარი ურტყამდა. გამვლელები იშვიათად ხვდებოდნენ სერგეის. ყველანი სადღაც მიეშურებოდნენ, ყველას მოღუშული სახე ჰქონდა.

ოღონდ მოვასწრო ნახაზის მომზადება გაკვეთილის დაწყებამდე, — აჩქარებდა თავის თავს სერგეი და ახტებოდა გუბეებს. მას ეშინოდა ეფიქრა ყველაზე მეტად საშინელ რამეზე: ვნახოთ და მართლაც გამორიცხეს სასწავლებლიდან და ლუდმილა ჰუსტავის ასულმა არ შეუშვა სახლში ღამის გასათევად? მას გაახსენდა, რომ მის კლასში ვიღაც მოწაფე სტიპენდიას იღებდა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ყაზანის რომელიღაც საზოგადოებისაგან. მაგრამ ვინ იცის, — ეგებ ეს საზოგადოება მხოლოდ ყაზანელებს ეხმარება, — იმ მოწაფეებს, რომელნიც დაიბადნენ და ცხოვრობენ ყაზანში.

მაგრამ რა ჰქნას მან, ურჟუმელმა?

სასწავლებელს მიადგა. სადარბაზო კარი ჯერ კიდევ დაკეტილი იყო — უკანა კარიდან უნდა შესულიყო. სერგეიმ შეირბინა გზოში და პარმაღთან მოხუცი დარაჯი დაინახა.

შეწუხებული სახით, თითქმის მოწიწებით, დარაჯი ცოცხით წმენდდა თავის გახუნებულ სახაზინო მუნდირს.

ეტყობოდა, რომ ახლახან ამდგარიყო, მისი ჭალარა თხელი თმები აბურძგნილი იყო და არა პირდაპირ გადავარცხნილი ჩვეულებისამებრ. სერგეიმ ჩაურბინა მოხუცს, რომელიც ასეთი დიდი საქმით იყო გართული, და გაექანა თავის კლასში.

ცარიელს, ბნელსა და ცივ დერეფნებში ყრუდ ისმოდა მისი ნაბიჯები. დერეფნის ბოლოს ღუმელში ცეცხლი იყო დანთებული. მშრალი შეშა ისე ტკაცუნობდა, რომ მთელ დერეფანში ისმოდა. ხოლო ღუმელის ახლოს იატაკზე ალის მოწითალო ლანდები თრთოდა.

კლასში სერგეი ფანჯარასთან მოეწყო, რომ მეტი სინათლე ჰქონოდა, მაგრამ მერხზე ხაზვა უხერხული იყო. სახაზავი დაფა სულ უცურდებოდა. თანაც, გარეთ მოღრუბლული დილა იყო და საქმეს ხელს უშლიდა.

ნეტავ მოასწრებდეს, ნეტავ მოასწრებდეს!.. მაგრამ ამ ჯერზე სამუშაო არ ემარჯვებოდა. ფანქრის წვერი ხშირად უტყდებოდა, ხელიდან უვარდებოდა ფარგალი. ძნელია მუშაობა მაშინ, როცა, შესაძლებელია, სამი ოთხი დღის შემდეგ სამუდამოდ უნდა მიანებო თავი სწავლას.

დერეფანში საათმა დარეკა, როცა მან ხაზვა დაამთავრა. რვის ნახევარი იყო. უძილო ღამის შემდეგ, სერგეის ისე მოუნდა ძილი, რომ მიუჯდა მერხს, თავი ხელებზე დაიდო და ჩასთვლიმა.

ასეთ ყოფაში ნახა ის ასეევმა, რომელიც სასწავლებელში ყველაზე ადრე მოვიდა.

— შენ რა, ღამე აქ გაათიე თუ? — ჰკითხა მან სერგეის.

სერგეიმ ასწია თავი და ასეევმა დაინახა, რომ მას გაყვითლებული, მოღუშული და ნამძინარევი სახე ჰქონდა.

— რა დაგემართა? რა გაგჭირვებია? — ასეევი გვერდით მოუჯდა მერხზე.

სერგეიმ მოკლედ, თითქოს არ უნდაო, უამბო მას თავისი მდგომარეობა.

ასეევმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— დიასახლისმა უარი გითხრა, — დიდი რამ მომხდარა! მიაფურთხე თვალებში და გადმოდი ჩვენთან თევზის რიგში. მე და იაკოვლევი როგორმე შევვიწროვდებით. ხოლო რაც შეეხება შიროკოვს, სამი თავით რამეს მოვისაზრებთ.

სერგეი გამხიარულდა და პირველივე დასვენებაზე ეახლა ზედამხედველს თხოვნით, რომ მისთვის ახალ ბინაზე გადასვლის ნება მიეცათ.

მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა.

— სამი დღის შემდეგ მიიღებ პასუხს, — თქვა ზედამხედველმა, — ჯერ შევკრებთ ცნობებს შენი ახალი ბინის დიასახლისის კეთილსაიმედოობის შესახებ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ პირობებში ცხოვრობს ჩვენი სასწავლებლის მოწაფე.

მაკაროვმა უბრძანა სერგეის, კანცელარიაში ახალი მისამართი შეატყობინეო.

მ-სამართი ასეთი იყო: თევზის რიგი, სუროვის სახლი, მანგუბის ბინა.

სამი დღის განმავლობაში, სერგეი სისხამ დილას მოდიოდა სასწავლებელში, რომ რაც შეიძლება იშვიათად შეხვედროდა ლუდმილა ჰუსტავის ასულს. ხოლო მეოთხე დღეს, როგორც იქნა, მან მიიღო ახალ ბინაზე გადასვლის ნებართვა.

ის გამოემშვიდობა ვლადისლავ სპასკის და დანარჩენ მდგმურ სტუდენტებს და წაიღო თავისი კალათა.

ლუდმილა ჰუსტავის ასულს გამოთხოვებისას ისეთი ნაწყენი სახე ჰქონდა, თითქოს ის დაითხოვეს ბინიდან და არა კუთხის მდგმურიო.

ახალ ბინაზე გადასვლა და მოწყობა სერგეისათვის .უფრო ადვილი იყო, ვიდრე გადასვლის ნებართვის მიღება.

კედელზე მირჭობილი ორი ლურსმნის გვერდით, რომლებზე-დაც ასეევისა და იაკოვლევის ქურთუკები და მაზარები ეკიდა,

სერგეიმ მესამე ლურსმანი მიაჭედა თავისი მაზარისათვის. კუთხეში, სადაც ორი კალათა იდგა, მან მესამე დაბდგა.

ყველაფერი მზად იყო. ოღონდ დასაწოლი ადგილი არა ჰქონდა ხერგეის. ასეევმა თქვა, ორივე რკინის საწოლი — თავისი და იაკოვლევისა — ერთმანეთს მივადგათ და შუაში სერგეი ჩავაწვინოთო.

ეს ცუდი როდი იქნებოდა, რომ საწოლები ცოტა ფართო ყოფილიყო. და რკინის ძგიდები ბასრი არ ჰქონოდა. გარდა ამისა, ერთ-ერთ საწოლს უკვე დიდი ხანია ფეხი აკლდა და მის ნაცვლად ხის კუნძი ჰქონდა შედგმული.

— სჯობია იატაკზე დავწვეთ, ეს უფრო საიმედო იქნება, — თქვა სერგეიმ.

ასეც გადაწყვიტეს. მოაწყვეს იატაკზე მაგიდისა და ფანჯრის შუა ლოგინი და სერგეი დაწვა, მთელი სიგრძით გაიჭიმა. ასეთი სიამოვნება მას არ განუცდია, სანამ ლუდმილა ჰუსტავის ხასულ ხუნდსტრემის დერეფანში ცხოვრობდა და ძველ ზანდუკზე იყო მოკუნტული.

თავი ოცდამეცხრე

სამის ცხოვრება

ახალ ბინაზე სერგეი თუმცა ძველებურად შიმშილობდა, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფლად ცხოვრობდა. შეიძლებოდა გვიან შუაღამემდე მეცადინეობა. ოთახში, სადაც სერგეი, ასეევი და იაკოვლევი ცხოვრობდნენ, არ შემოდიოდა ბინის პატრონი, არ ანგარიშობდა თუ გასულ საღამოს რამდენი კაპიკის ნავთი დაიწვა.

ნავთს ისინი თვითონ ყიდულობდნენ, და მის საყიდლად რიგრიგობით მირბოდნენ სამღებრო დუქანში.

დიდხანს როდი იწვა სერგეი იატაკზე. ოთხი ფიცრისა და შეშის ოთხი ნაჭრისაგან მან გაიკეთა ფართო და გრძელი ტახტი, რომელზედაც შეიძლებოდა ფეხებგამართული წოლა. იმ ნივთებიდან, რაც ოთახში იყო, სერგეის ყველაზე მეტად სახაზავი მაგიდა მოეწონა. ამ მაგიდასთან სამივე მუშაობდა და ადგილი ყველას ჰყოფნიდა.

სიმართლე უნდა ითქვას, ეს ვეებერთელა მაგიდა, რომელიც, ვინ იცის, საიდან მოხვდა აქ, არასოდეს არა ყოფილა დანიშნული ხაზვისათვის. ეს იყო მკერავის მაგიდა, სულ მთლად დაფარული გახურებული უთოს კვალით. საღამოობით ამხანაგები აანთებდნენ ლამპას, რომელსაც შინნახელავ აბაჟურს გაუკეთებდნენ, დასდებდნენ მაგიდაზე სამ სახაზავ დაფას და ხალისით შეუდგებოდნენ მუშაობას; ხან ღიღინებდნენ, ხან უსტვენდნენ. მუშაობდნენ გულმოდგინედ და მოთმინებით. ხაზვის მასწავლებელი ეაკოვი ძალიან მკაცრი იყო და მოითხოვდა, ნახაზზე არ ყოფილიყო არც ერთი წანაშალი, არც ერთი ლაქა.

ასეევი თხუპნია იყო და ვატმანის პრიალა ქაღალდზე ხშირად სტოვებდა თავისი თითების ანაბეჭდს. ამიტომ მისი ჯიბეები მუ-

დამ სავსე იყო გაქონილი და გაცვეთილი საშლელებით, მაგრამ ესეც არა შველოდა საქმეს, კიდევ უფრო სვრიდნენ ქაღალდს. იძულებული ხდებოდა უკანასკნელი საშუალება გამოეყენებინა — პურის გული. ამხანაგები სპეციალურად ამ მიზნით დღეგამოშვებით ნახევარ გირვანქა გამტკიცულ პურს ყიდულობდნენ.

ყიდვის დროს უეჭველად შეეხვეწებოდნენ ნოქარს, რომ მას პურის ყუა კი არ აეწონა, არამედ შუაგული. ტკაცუნა შებრაწულ ქერქს ამხანაგები ჯერ კიდევ გზაში შეჭამდნენ, ხოლო პურის გულს სამ თანაბარ ნაწილად გაპყოფდნენ და თვალისჩინივით ინახავდნენ.

ასეევს გამტკიცული პური ყველაზე ადრე უთავდებოდა. ნახევარს ლაქების გაწმენდაზე ხარჯავდა, მეორე ნახევარს კი შეუმჩნევლად შეჭამდა ლუკმა-ლუკმაზე. როცა პურის გულიდან მხოლოდ ნამცეცები დარჩებოდა, ის მიადგებოდა სერგეის და დაუწყებდა ხვეწნას, პურის ნატეხი მასესხეო.

— ისევ შეჭამე? — უკვირდა სერგეის.

— შევჭამე, — გამოუტყდებოდა ასეევი. — ის ოხერი დღეს განსაკუთრებით რბილი და გემრიელი იყო, დალახვროს ეშმაკმა.

ამხანაგებისათვის თეთრი პური სატკბარუნო რამ იყო.

— უკანასკნელად გაძლევ, — აფრთხილებდა სერგეი, მოტეხავდა თავის წილიდან პურს და გაუწოდებდა ასეევს.

— მომეცი კიდევ, — ხელახლა შეეხვეწებოდა ასეევი ნახევარი საათის შემდეგ. — რად გინდა შენ გამტკიცული პური? შენ ისედაც სუფთა ნახაზები გამოგდის.

ამხანაგები ერთად ხაზავდნენ, ერთად გამოჰყავდათ გეომეტრიული ამოცანები. დილით კი სამივე არსკის მინდვრისაკენ გაემართებოდა, სასწავლებელში. ლაპარაკ-ლაპარაკში გზა მოკლე მოჩანდა.

სერგეი ახლა გაცილებით უფრო მხიარულად ცხოვრობდა, ვიდრე წინათ. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა მას: საჭირო იყო გადასახადის შეტანა, ფული კი არა ჰქონდა.

სერგეიმ განცხადება შეიტანა ყაზანის სამრეწველო სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოში და დღე-დღეზე ელოდა პასუხს.

თხოვნა არ იყო მრავალსიტყვიანი.

სწორედ ასეთი ქაღალდი ბევრი შემოდიოდა ყოველ ნახევარწელს სასწავლებლის საბჭოში. ასეთი თხოვნები ერთნაირად იწყებოდა — ფორმის მიხედვით:

„ყაზანის სამრეწველო სასწავლებლის
პედაგოგიურ საბჭოს

დაბალ მექანიკური სასწავლებლის
მოწაფის სერგეი კოსტრიკოვისაგან

თხოვნა

ვინაიდან ფული არა მაქვს, რათა სწავლის გადასახადი შევიტანო ყაზანის სამრეწველო სასწავლებელში, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო ყაზანის სამრეწველო სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს, გამანთავისუფლოს ზემოხსენებული გადასახადისაგან“.

მეორე თხოვნა სერგეიმ ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებაში შეიტანა. ეს თხოვნაც ფორმის მიხედვით იყო დაწერილი. სერგეი თხოულობდა „შემწეობა აღმოეჩინათ ერთდროული ფულადი დახმარების, ან ყოველთვიური დახმარების სახით“.

საზოგადოებაში მის თხოვნაზე დააწერეს: „სამი თვით 5 მანეთი თებერვლიდან. ძალიან ღ. არაფერს იღებს. არავინ იცის, რითი ცხოვრობს“.

ასო „ღ“ ნიშნავდა სიტყვას „ღარიბია“.

— კარგი ამბავი კია, თქვენმა მზემ! — გესლიანად თქვა იაკოვლევმა. — გადასდვეს ხუთი მანეთი თვეში და მოიცილეს თავიდან. საშელზე ძლიეძლივობით გეყოფა, ხოლო ფეხსაცმელებს რითი შეიკეთებ?

მაგრამ როცა სერგეი დახმარების მისაღებად მივიდა, გაჯავრებულმა და ნამძინარევმა მდივანმა გამოუცხადა, რომ ფულს მხოლოდ ორი თვის განმავლობაში მიიღებო.

— ასე დაადგინეს სხდომაზე. ორი თვე ხუთ-ხუთი მანეთი. წაიკითხეთ ოქმი.

და მდივანმა თითით აჩვენა გაშლილ ქაღალდის ფურცელზე, სადაც „გაჭირვებულთა“ გრძელ სიაში სერგეიმ თავისი სახელიც ნახა, რომელიც გამოყვანილი იყო მსხვილი კანცელარული ხელით.

სერგეიმ წაიკითხა ოქმი, მიიღო ხუთმანეთიანი და უხმოდ გავიდა „საზოგადოების“ კანცელარიიდან.

ის ფიქრობდა მხოლოდ ერთზე: როგორმე გაეტანა ეს წელიწადი, ხოლო შემდეგ წელს ის შეეცდება იოლად წავიდეს ყოველგვარი მზრუნველებისა და „საზოგადოებათა“ გარეშე. წავა პრაქტიკაზე სადმე ქარხანაში, ან სარემონტო სახელოსნოში. რასაკვირველია, ცუდი არ იქნება, რომ ამ ზაფხულშიაც ეშოვა ფული ზაშთრისათვის. მხოლოდ, აიყვანენ თუ არა პირველი კლასის მოწაფეს? რომ აიყვანონ, — სიხარულით წავიდოდა. სულ ერთია, ზაფხულს ვერსად წავა და არცა აქვს წასასვლელი ფული. ბებია მელანიასთან ვერ გაემგზავრება, ის თვითონ გაჭირვებით ცხოვრობს. თავშესაფარშიაც ვერ წავა: პოლნერი არც ერთ წერილზე არ იძლევა პასუხს.

ეგებ სერგეი დიდი ხანია უკვე აღარ ითვლება თავშესაფრის გამოგზავნილად? არა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს!

* * *

გაზაფხულზე სერგეი ავად გახდა.

დიდხანს არ უნდოდა დამორჩილებოდა ავადმყოფობას. ავად გახდები — ჩაწვები. ხოლო თუ ჩაწვები, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ იკლი სასწავლებელში. ახლა სერგეისათვის ეს წარმოუდგენელი რამ იყო.

განა შეიძლება ავადმყოფობა, როცა პედაგოგიურ საბჭოს ჯერ კიდევ არ მოუცია პასუხი, გაათავისუფლებს გადასახადისაგან სერგეის, თუ დაიფხოვს სასწავლებლიდან. არ შეიძლება დაემორჩილო ავადმყოფობას, არ შეიძლება გაკვეთილების გაცდენა. საჭიროა ყოველდღე იყო სახელოსნოებში და ლაბორატორიებში, საჭიროა სულ ხუთებზე ისწავლო.

მაგრამ რაგინდ არ იმაგრა თავი სერგეიმ, ციება მაინც თავისას აკეთებდა. აზმორებდა, აერჟოლებდა, აკანკალებდა. ამხანაგებმა საბნები და ფარაჯები დაახურეს, მაგრამ მაინც ვერ გათბა

სერგეი. ვერც მაგარმა ჩაიმ უშველა, თუმცა სერგეი პირს იწვავდა და ზედიზედ ხუთ-ხუთ ჭიქა ჩაის სვამდა.

— ჩვენთან აქ იშვიათია, რომ ვინმეს არ აციებდეს. ასეთი დამპალი ქალაქია, — ეუბნებოდა სერგეის მოხუცი მეეზოვე. — როგორც კი გაზაფხულზე წყალდიდობისას ვოლგა გადმოვა, სულ დაფარავს დაბალ ადგილებს. შუაზაფხულამდე არ გაშრება ნოტიო. ნამდვილი ჭაობია. ხოლო ციებისათვის ნოტიო ადგილი — სწორედ მისწრებაა.

— შენ, ყმაწვილო, ჟოლოს ჩაი უნდა დალიო, აბანოში უნდა წახვიდე ოფლის მოსადენად! — მიაძახებდა მეეზოვე სერგეის უკან, როცა სერგეი დილას ნახაზებითა და წიგნებით გამოვიდოდა კარიდან.

— არაფერია, ბაბუა, ისედაც გაივლის! — შეესიტყვებოდა ბაბუას სერგეი. — რომ დავუწვე, წოლას მივეჩვევი.

და მას სწავლის ერთი დღეც არ გამოუტოვებია.

ყვითელი, ჩამომხმარი, აკანკალებული, ის იჯდა კლასში პირველიდან უკანასკნელ გაკვეთილამდე, ხოლო ერთხელ კოშტი სანთლის ქარხანაშიაც კი გაჰყვა ექსკურსიას. მაგრამ გზაზე ისე ცუდად შეიქნა, რომ ასეევსა და იაკოვლევს ხელიხელგაყრილი მოუხდათ მისი წამოყვანა.

შინ საღამოობით სერგეი ხატავდა მანქანის დეტალებს ისე, რომ თითქმის იწვა მაგიდაზე. ხოლო როცა ძილის დრო დადგებოდა, მას ძალა არ ჰყოფნიდა ტანთ გაეხადა და დაწოლილიყო.

გაიხდიდა ჩექმებს და იჯდა ასე რამდენიმე წუთს. სისუსტისაგან თავბრუ ესხმოდა და ქანაობდა, მაგრამ ცდილობდა პირდაპირ მჯდარიყო და ორივე ხელით ტახტის ნაპირებს ეყრდნობოდა. მხოლოდ მხრების ჩქარი ძიგძიგით ამჩნევდნენ, ასეევი და იაკოვლევი, რომ სერგეის გააცივა ან, როგორც მოხუცი-მეეზოვე იტყოდა, „შეუტია“.

ერთხელ ასეევმა გაიგონა, რომ ლოგინში ჩაწოლილმა სერგეიმ საბანი თავზე წაიხურა და უცებ, არც თუ ხმამაღლა, მაგრამ მკაფიოდ თქვა: „დაიძინე, სერგეი, დაიძინე“. ასეევმა ვერც კი გაიგო, სიზმარში ამბობდა სერგეი ამას, თუ ბოდავდა.

თავი ოცდამეათე

სიყრმის მეგობრები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს

არდადეგებამდე ორი კვირით ადრე სამრეწველო სასწავლებლის კანცელარიის კედელზე გამოკრული იყო სია იმ მოწაფეთა გვარებისა, „რომელნიც დათხოვნილი იყვნენ არდადეგებზე მშობლებთან, ნათესავებთან ან პრაქტიკაზე გასამგზავრებლად".

პირველი კლასის სიაში, სადაც სერგეი სწავლობდა, შემდეგი გვარები იყო აღნიშნული:

1. ასეევი დიმიტრი. ქალაქი უფა — მშობლებთან.

2. ვესელიცკი ვასილი. ქალაქი სენგელეი, ციმბირის გუბერნიაში — მშობლებთან.

3. დედიუხინი ივანე. ქალაქი სარაპული — მშობლებთან.

4. ჟელუდკოვი ნიკოლოზი. ქალაქი სლაბოდსკოი, ვიატკის გუბერნიისა — ნათესავებთან.

და ასე შემდეგ, ალფაბეტის მიხედვით ასო „კ"-მდე და იმის შემდეგაც. ზოგი ნიჟნი-ნოვგოროდს მიემგზავრებოდა, ზოგი დონის ლაშქრის ოლქში, ზოგი ვიატკას, ზოგი ცარიცინსა და სამარას, ზოგი სად და ზოგი სად, — მაგრამ ყველანი მშობლებთან და ნათესავებთან მიემგზავრებოდნენ.

მთელს კლასში მხოლოდ ორს აგზავნიდა პედაგოგიური საბჭო პრაქტიკაზე: სერგეი კოსტრიკოვს — ქალაქ სიმბირსკში სანგოვის ქარხანაში და კიდევ ერთ ბიჭს — ყაზანის დენთის ქარხანაში. სერგეის უხაროდა. პრაქტიკაზე გაგზავნა მან თვითონ სთხოვა ორივ თვის წინათ პედაგოგიურ საბჭოს, მას შემდეგ, რაც, ბოლოს და ბოლოს, სწავლის გადასახადისაგან გაათავისუფლეს. ის იყო ერთი საუკეთესო მოწაფეთაგანი და ამიტომ მისი თხოვნა დააკმაყოფილეს.

ახალი, უცნობი ქალაქი სიმბირსკი, სანგოვის უცნობი ქარხანა და, რაც მთავარია, მომავალი პრაქტიკა — ყველაფერი ეს მიმზიდველად ეჩვენებოდა სერგეის, და მას ერთი სურვილი-ღა ჰქონდა — საჩქაროდ გამგზავრებულიყო.

ვინ იცის, ეგებ ამ ქარხანაში იმდენის შოვნა შეიძლება ამ ზაფხულის განმავლობაში, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ეყოფოდა. და მაშასადამე, მაშინ არ იქნება საჭირო თხოვნის მიცემა დახმარებაზე.

არდადეგებამდე თითქმის ორი კვირა რჩებოდა, მაგრამ უკვე შეიჭრა სასწავლებელში ის მოუსვენრობა და განსაკუთრებული სიცხოველე, რომელიც წინ უძღვის გამგზავრებას. გაზაფხულსაც ხომ თავისი გაჰქონდა. ქალაქს მზე უხვად დაჰკაშკაშებდა, მზის თინათინები ხტოდნენ და თამაშობდნენ ყველგან: კლასების კედლებზეც, მოწაფეთა სახეებზეც, მკაცრ და მოღუშულ მასწავლებელთა სერთუკებზეც. ასე გეგონებოდათ მასწავლებელნიც კი გამხიარულდნენ და გაახალგაზრდავდნენ გაზაფხულის მზისაგანო. ზედამხედველებიც კი, რაღაცით ბრაზიან ბზიკებს რომ ჰგავდნენ, უწინდებურად თავს არ ესხმოდნენ მოწაფეებს მომაბეზრებელი ზუზუნით.

კლასებში ფანჯრები ღია იყო. შავი და ტენიანი უშენი ადგილი მთლად გამწვანდა. სკოლის ახალგაზრდა არყის ხეებზე მსუბუქი და ნაზი ფოთლები გაჩნდა.

მოწაფეები გაღეღილ ფარაჯებითა და კეფაზე მოგდებულ ქუდებით დადიოდნენ.

ახლა ყველას საუბარი ერთი და იგივეთი იწყებოდა: „აი ჩვენთან ზაფხულს“ და შემდეგ იწყებოდა თითქმის ზღაპრული ამბები იმაზე, თუ რა ვეებერთელა ვაშლები და მსხლები იზრდება „ჩვენთან ველიკიე ლუკში“, ან „ჩვენთან სამარის ახლოს“ და როგორი შესანიშნავი იდი და ქორჭილა ედება იქ ანკესს.

სერგეიც დადიოდა გაღეღილ ფარაჯით და მხიარულად უსტვენდა. ის უკვე მზად იყო სიმბირსკს გამგზავრებულიყო გემით, რომ მოულოდნელად ურეუმიდან წერილი მიიღო და წერილთან ერთად გზის ფულიც.

წერილი პოლნერისაგან იყო. სერგეიმ იგი ორჯერ წაიკითხა, მაგრამ ხეირიანად ვერ გაიგო, თუ ვინ უგზავნიდა მას გზის ფულს.

თვითონ პოლნერმა გაიხსენა ის, თუ, ბოლოს და ბოლოს, ვაჭარ-მზრუნველებმა მოიფიქრეს კვლავ სიკეთე ექნათ „ობლისათვის?“

სერგეი უკვე მიეჩვია იმ აზრს, რომ სიმბირსკს წავიდოდა პრაქტიკაზე და უცებ ასეთი ცვლილება! მან ისიც არ იცოდა, თუ რა ექნა — სად წასულიყო: ურეუმს თუ პრაქტიკაზე? მაგრამ დიდხანს არ მოუხდა არჩევანზე ფიქრი.

ინსპექტორმა შიროკოვმა აუხსნა, რომ მას, როგორც თავშესაფრის მოწაფეს, უფლება არა აქვს სრულწლოვანებამდე თავისი თავის ბატონი იყოს, თავშესაფრის უფროსების უნებართვოდ. რადგან გამოგზავნეს ფული, კიდევაც უნდა წახვიდეო. სერგეიც გაემგზავრა.

ყაზანიდან ურეუმამდე ყველაზე იაფი გზა გემით იყო.

ნავმისადგომამდე სერგეი არავის გაუცილებია — მისი ამხანაგები და მასთან ოთახში მობინადრენი ჯერ კიდევ წინაღამით გაემგზავრნენ შინ.

ჩატარა კალათით ხელში, მან ძლივს გაარღვია სხვების გამცილებელთა ხმაურიანი ბრბო და ავიდა გემზე. დიდძალი ხალხი მიემგზავრებოდა, გამცილებლებიც ცოტანი როდი იყვნენ. გამგზავრებამდე ნახევარი საათი რჩებოდა. მეოთხე კლასის დიდ, დაბალ და ნახევრად ბნელ კაიუტაში სივიწროვე და შეხუთული ჰაერი იდგა, როგორც ციხეში. მთელი კაიუტა სავსე იყო ფუთებით, ყუთებით და გეჯებით.

ტიროდნენ ძუძუმწოვარა ბავშვები, ყურთასმენის წამლებად და სევდიანად უნანავებდნენ მათ ქალები.

ვიღაც ქერა ბიჭი, რომელიც ჭუჭყიან გვერდშელრეცილ ტომარაზე იჯდა, მოკრძალებით აჩხარუნებდა ბალალაიკას.

სერგეი დიდხანს არ დარჩა კაიუტაში. მან ისევ ამოიღლიავა თავისი კალათა და ქვედა გემბანზე გავიდა: აქაც ჭუჭყი და ხმაურობა იყო, მაგრამ სამაგიეროდ წყალი ახლოს იყო და ჰაერზე დგომაც სჯობდა.

ჩქარა გემიც გავიდა.

სერგეი გადაეყრდნო გემბანის მოაჯირს და დაუწყო ცქერა, თუ როგორ რჩებოდა უკან ყაზანის ჭუჭყიანი ნავმისადგომი თავისი მოუსვენარი ჯგლეთით.

პირველად მიემგზავრება ის შინ არდადეგებზე. სულ რვა თვე იცხოვრა მან ყაზანში, ხოლო ასე ეჩვენება, თითქოს მთელი ხუთი წელი არ ყოფილა ურეუმში.

საინტერესო იქნება ახლა გაიარო ურეუმის გრძელ, მხრეულივით კუზიან ქუჩებში, შეხვდე ნაცნობ ხალხს, წახვიდე წისქვილზე, წახვიდე მეშჩანების ტყეში...

ამ წლის შემდეგ სერგეი, ალბათ, ვერც ესტუმრება ურეუმს. მომავალ წელს — პრაქტიკა, შემდეგ კი — სამუშაოზე უნდა წავიდეს.

მთელი დღე-ღამე დაჰყო სერგეიმ გემ „კამაზე", და არ მოშორებია გემბანს. იქვე ეძინა კიდეც, რაღაც ტომრებზე მოეწყო. მეორე დილას კი „სოკოლიკის" ნავმისადგომზე ვიატკას მიშავალ გემზე გადაჯდა. ეს უკვე, თითქოს თავისი, მშობლიური გემი იყო, პატარა, სუფთა, შეღებილი გემბანით. გემს ერქვა „ბაბუა". ვიატკის ყველა გემებს რატომღაც საოჯახო სახელები ერქვათ: „მამა", „ბაბუა", „ქალიშვილი", „შვილიშვილი", იყო ერთი გემიც „ბიცოლა".

სერგეი პატარა ხის სკამზე ჩამოჯდა და თავი თითქმის შინ იგრძნო.

ერთი მეორეზე ჩაიარეს ნაცნობმა ნავმისადგომებმა: ვიატკის ველებმა, გორკიმ, არგიშმა, შურმამ. შურმიდან ურეუმამდე მხოლოდ ოცდაათი ვერსი დარჩა, იქ კი უკვე რუსკი ტურეკი და ცეპოჩკინოა.

როცა გემი რუსკი ტურეკიდან გავიდა, სერგეის გულმა ბაგაბუგი დაუწყო — ისე მოუნდა ურეუმში ყოფნა. თუნდაც ჩამოხტი გემიდან და ნაპირ-ნაპირ გაიქეცი შინ. ძლიერ ნელა ატყაპუნებდა ბორბლებს ზორზოხა „ბაბუა".

ნავმისადგომ ცეპოჩკინოზე, სადაც სერგეი უნდა ჩამოსულიყო, სერგეისთან ერთად ნაპირზე რვა მგზავრი ჩამოხტა — ხუთი გლეხი ცეპოჩკინოდან, ორი დედაბერი და ჩოფურა ყულაბიანი ბერი. ყულაბაში სპილენძის ფულები ჩხრიალებდა. ბერი ეკლესიის ასაშენებლად აგროვებდა ფულს.

ნავმისადგომის პირდაპირ მართულიყო მთა. მთის წვერზე თეთრი სკამი მოჩანდა. მთის ფერდობებზე არყის ხეები და თხილ-

ნარის ბუჩქები იყო. მთის ძირას ძველი, ხავსმოდებული ეკვდერი მიკრუნჩხულიყო. იქეთკენ გაემართა ყულაბიანი ბერი. იგი ხელებს ჯარისკაცივით იქნევდა.

ნავმისადგომიდან ურჟუმამდე თორმეტი ვერსი ითვლებოდა გზატკეცილით, მაგრამ მეორე გზაც იყო, წვრილი, პირდაპირი ბილიკი, რომელიც სალეკ მინდვრებზე გადიოდა. ეს გზა ორჯერ მოკლე იყო.

ხერგეი ავიდა მთაზე და შემდეგ იოლად ჩაირბინა ძირს. ის მიდიოდა მინდორ-მინდორ, თავისი პატარა კალათი მხარზე შემოედგა. კალათაში ელაგა რამდენიმე ცალი საცვალი, საპნის ნაჭერი, პირსახოცი, ხოლო სულ ფსკერზე იყო ტექნიკური წიგნაკი და ქების სიგელი წარწერით „ჩინებული წარმატებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“.

სიგელი მკვრივი, გაპრიალებული, ღერბიანი და ოქროვარაყიანი იყო.

სალდათის ტყეს რომ მიუახლოვდა სერგეიმ ნაბიჯს უმატა. უკვე იწყებოდა გარეუბანი და მოჩანდა ყაზანის ქუჩა. აქ სერგეიმ ველარ მოითმინა და მოუსვა. მხოლოდ სალდათების ყაზარმასთან გაჩერდა და ჩაფიქრდა.

— საით წავიდე, თავშესაფარში თუ ბებიასთან?

ასეა თუ ისე გზის ფული თავშესაფრიდან გამოგზავნეს, — მაშასადამე, სერგეი ჯერ კიდევ თავშესაფარს ეკუთვნის და თავშესაფარში უნდა წავიდეს. მაგრამ როგორ არ შევიდეს შინ — ბებიასთან და დებთან?

სერგეი ერთ წამს იდგა და შემდეგ პოლსტოვალოვის მიმართულებით შეუხვია. მიდიოდა ქალაქში და ხარბად იყურებოდა აქეთ-იქით.

ცოტარამ გამოცვლილა აქ, ამ წლის განმავლობაში, მაგრამ სულ უმნიშვნელო ცვლილებასაც კი ამჩნევდა.

პოლსტოვალოვზე რომ შეუხვია, სერგეიმ მაშინვე დაინახა, რომ სამოქალაქო სასწავლებლის სახურავი მწვანე საღებავით შეუღებავთ, ხოლო ბაყალ ლუდმილა ვასილის-ასულის სახლის გარშემო ძველი, დაფერდებული ღობე შეუკეთებიათ და ახალი ბოძები შეუყენებიათ. ბებიას სახლი კი სრულიად არ გამოცვლილა; მხო-

ლოდ ქვედა, სარდაფის ფანჯარა გაბზარულა, ალბათ ბიჭებმა თუ მოარტყეს ქუჩიდან ჩილიკა-ჯოხი.

ბებია ფანჯარასთან იჯდა, ცხვირზე ძველი სათვალეები გაეკეთებინა და საცვლებს აკერებდა. პატარა დაიკო ლიზა მაგიდასთან რაღაც წიგნს კითხულობდა. მან პირველმა შეამჩნია ხერგეი და დაიძახა:

— ოჰ, ბებიკო, ვინ ჩამოვიდა!

ბებიამ მოიხსნა სათვალეები, დაშტერებით შეხედა შვილიშვილს და ატირდა. დაისვა ტაბურეტზე თავის წინ და აუჩქარებლად მოუყვა ყველა ახალი ამბავი.

სერიოჟამ გაიგო, რომ მისი უფროსი და ანიუტა რამდენიმე დღის წინათ თავის მეგობართან წასულა დაბა კუკარკუში. მას, წელს სწავლა დაუმთავრებია და ამ შემოდგომიდან თვითონ დაიწყებს ბავშვებთან მეცადინეობას სოფელში.

თავის შესახებ ბებიამ თითქმის არაფერი თქვა.

— ჩემზე რა გელაპარაკო? მეცხრე ათეულს ვამთავრებ. ებრმავდები. აი ლიზიკოს დავაყენებ ფეხზე და მერე სიკვდილიც შეიძლება. შენზე, სერიოჟენკა, მე უკვე არ ვშიშობ. შენ უკვე სწორ გზაზე დგეხარ.

მოხუცმა აიღო ხელში სერგეის ტექნიკურ-ნიშნიანი ჭუდი, ხელისგულით ჩამობერტყა მტვერი და ისევ დასდო.

— საჭირო იქნება სერგი რადონელს პარაკლისი გადავუხადოთ, ის — ასთნო წმიდანი — ისაა შენ რომ გშველის სწავლაში,— თქვა დასასრულს ბებიამ.

სერგეი ნახევარ საათს იჯდა შინ და მერე თავშესაფარში წავიდა, სალამოს შემოვირბენო, აღუთქვა ბებიას. გზად სახლის მეორე ნახევარში შეიხედა, სამარცეევების ბინაზე, მაგრამ სანია შინ არ აღმოჩნდა — ის წასულიყო ნავით ასეირნოდ.

პოლნერი ალერსიანად შეხვდა სერგეის, ამჯერად ხელიც კი ჩამოართვა მას, როგორც თანასწორს.

— მოეწყე თავშესაფარში, როგორც შინ. ბიჭების საწოლ ოთახში ადგილი მოიძებნება შენთვის.

სერგეი უცნაურად გრძნობდა თავს თავშესაფრის ბავშვებში. მისი ტოლები რატომღაც არა ჩანდნენ. აღმოჩნდა, რომ ვასკა ნო-

ვოგოდოვი უკვე მეჩექმე გამხდარა, ქერა პაშკა დურგალი, ნატაშა კოზლოვა გიმნაზიაში სწავლობდა სახელმწიფო ხარჯზე ვოსკრესენსკაიას ქუჩაზე, ხოლო პატარა ზინკა ქუნთრუშასაგან მომკვდარა. სერგეის ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ პატარა ახალბედები, რომელნიც ეს-ეს არის შემოსულან თავშესაფარში. სერგეიმ გაიგონა, თუ როგორ გამოჰყო ერთ-ერთმა მათგანმა თავი ფანჯარაში და გასძახა ეზოში ვიღაცას:

— ჩვენთან ვიღაც უცხო ძია მოვიდა საცხოვრებლად!

ხოლო „ძიას" ეუხერხულებოდა და თითქმის უცნაურადაც ეჩვენებოდა ასეთ პატარებთან ერთ ოთახში ცხოვრება. ის ეახლა პოლნერს და უთხრა, თუ შეიძლება შინ გავათევ ღამეს, პოლსტოვალოვის ქუჩაზე, ხოლო საქმელისათვის თავშესაფარში ვივლიო.

პოლნერმა ერთ წამს იფიქრა, წარბი შეიფხანა, დაამთქნარა და დათანხმდა.

საღამოს სერგეი ისევ პოლსტოვალოვის ქუჩაზე გაემართა. უკვე იკეტებოდა დუქნები და ალაფხანები ვოსკრესენსკაიას ქუჩაზე და ნოქრები ფანჯრებზე ხის მძიმე დარაბებს ჰკიდებდნენ. აქაიქ სახლებში სინათლე აანთეს.

ბუისკისა და ვოსკრესენსკაიას ქუჩის კუთხეში ოთხი ფეხშიშველი ბიჭი ხმაურით თამაშობდა კოჭს.

ლუდმილა ვასილის ასული თავისი საბაყლოს პარმაღზე იჯდა და თეთრი მატყლის გრძელ წინდას ჰქსოვდა. ასეთ წინდებს ის უკვე ხუთი წელია ჰქსოვდა და არავინ იცოდა, თუ ვინ ატარებდა ასეთ დიდს, გრძელს და სქელ წინდებს.

ამჯერად სანია შინ აღმოჩნდა.

უკანასკნელ წელს ის ძალიან გაიზარდა და სერგეიზე თითქმის ორი ხელის დადებით მაღალია.

მან რეალური სასწავლებელი დაამთავრა, მაგრამ ჯერ კიდევ ფორმაში დადიოდა — უნდოდა ბარემ სულ გაეცვითა.

— ჰა, სერიოჟა, მოგეწონა ყაზანი? — მაშინათვე ჰკითხა სანიამ.

— რატომ არ მომეწონებოდა? დიდი ქალაქია, ლამაზი. მარტო სასწავლებლები ალბათ ასამდე იქნება, — თქვა სერგეიმ.

სანიამ იჟვნეულად დააქნია თავი. გაახსენდა, რომ ოდესღაც, როცა ვიატკიდან ჩამოვიდა, თვითონაც ჩმახავდა ყოველგვარ ტყუილს.

ალბათ, სერგეიმაც ცოტა წაიტრაბახა.

— შენ ის მითხარი, ყაზანის სამრეწველოში ძნელია სწავლა?

— როგორ გითხრა... არც თუ ძნელია, მაგრამ სამუშაო საკმარისია. თორმეტი საგანია.

ორივე დადუმდა.

— შენ ჯერ კიდევ არ გაგიპარსავს? — ჰკითხა სანიამ, როცა სერგეის ზევითა ტუჩზე ამოსულ მოშავო ქინქლს შეხედა.

— არა, ვფიქრობ ულვაშები და წვერი მოვუშვა, — უპასუხა სერგეიმ და გაიცინა.

საუბარი არ ეწყობოდა. ბოლოს სერგეი წამოხტა და თქვა:

— იცი რა, — გავიქცეთ საბანაოდ... ძველებურად!

და სიყრმის მეგობრები ურეუმკაზე წავიდნენ.

გზაზე სანია ხანდახან ირიბად ახედ-დახედავდა სერგეის, თითქოს ვერ იქნა და ვერ გამოიცნო იგი.

„მართლაც, სერგეი რაღაც უცნაური და გაუგებარი გამხდარა, არც თუ ჩაფიქრებული, არც თუ მკაცრი. მაგრამ ეგებ ამ სერიოზულობას განგებ მაჩვენებს — მამლაყინწობს“, ფიქრობდა სანია და მიაბიჯებდა ამხანაგის გვერდით.

— ყური მიგდე, მე სულ დამავიწყდა მეკითხნა, — გერმანულ ენას თუ სწავლობენ თქვენთან? — თქვა სანიამ.

სერგეიმ თავი დააქნია.

— ერთი შენც! უფროსების აზრით „მზეთავებს“ რაში სჭირდებათ გერმანული ენა...

„არა, არ ტრაბახობს, — გაიფიქრა სანიამ. — ეს რა ტრაბახობაა, თუ თავის თავს მზეთავს უწოდებს?“

ბანაობის შემდეგ უკან რომ ბრუნდებოდნენ და სახლს მიუახლოვდნენ, სერგეიმ ხელი გაუყარა სანიას და ხმადაბლა ჰკითხა:

— შენ არ გინდა წახვიდე პოლსტოვალოვზე გადასახლებულთა სანახავად?

— არა, არ მიფიქრია, — გაუკვირდა სანიას. — რათ გინდა?

— მინდა გავეცნო. ხომ არ შევიაროთ ხვალ საღამოს?

— რატომ არა, შეიძლება შევიაროთ. ასეა თუ ისე, იქ ჩემი ძველი მასწავლებელი ცხოვრობს—დიმიტრი სპირიდონის-ძე შავროვატი, — უპასუხა სანიამ.

თავი ოცდამეთერთმეტე

მოჯანყეები

ქალაქში დიდი და პატარა ყველა იცნობდა ძველ ერთსართულიან სახლს, რომელიც მთის ძირას იდგა პოლსტოვალოვის ქუჩის ბოლოს.

ამ პატარა სახლში, რომელიც მოხელის ქვრივს, მოხუც ანა პავლეს ასულს ეკუთვნოდა, სამ პატარა ოთახში ცხოვრობდნენ პოლიტიკური გადასახლებულები ან, როგორც მათ ქალაქში ეძახდნენ, „მოჯანყეები". ისინი ცხრანი იყვნენ, შეხმატკბილებული კომუნით ცხოვრობდნენ.

ამ ახალგაზრდა კომუნაში უფროსად როსტოვის სახელოსნოს მუშა ზოტკინი იყო, ოცდაათი წლისა, წელშიმოხრილი და გრძელულვაშებიანი კაცი. მას ხუმრობა უყვარდა და მთის ძირა სახლს „ნოეს კიდობანი" უწოდა.

მთელი ეს ახალგაზრდობა — სტუდენტები, მუშები — შეფის მთავრობამ გადმოასახლა აქ: ზოგი მუშათა არალეგალურ ორგანიზაციებში მუშაობისათვის, ზოგი საგაფიცვო კომიტეტში ან დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის. ისინი ურეუმში რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან მორეკეს. აქ იყვნენ ორი პოლონელი, ორი ლატველი, ერთი უკრაინელი, ერთი ბერძენი და სამი რუსი.

ყველა ისინი ეტაპით მოვიდნენ..

ყოველნაირ ამინდში, პაპანაქებაში თუ თავსხმა წვიმაში, ბიჯებდნენ ისინი გზატკეცილებზე და სოფლის გზებზე, სანამ მწვანე მთაგორიან პატარა ქალაქს—ურეუმს მიაღწევდნენ მდინარე ურეუმკის ნაპირას. ეს იყო მათი პირველი ხანგრძლივი გაჩერება. მძიმე, ხანგრძლივი გზის შემდეგ, როცა საეტაპო ეზოებში უხდებოდათ ღამის გათევა.

დილიდან შემოღამებამდე მიდიოდნენ ისინი თავისი ჯგუფით გზაზე. ხოლო ცხენოსანი მებადრაგენი იქით-აქეთ მოჰყვებოდნენ მათ და აჩქარებდნენ ჩამორჩენილთ.

ყოველთვის პირდაპირი გზით როდი მიაღწევდნენ ხოლმე გადასახლებულები გადასახლების ადგილს. დიმიტრი სპირიდონის-ძე მავრომატი ორთვე-ნახევარი მოგზაურობდა ქალაქ ეისკიდან ურეუმამდე. ხოლო ჩვეულებრივი გზით ამისათვის სულ ხუთი დღე იყო საჭირო.

მავრომატი, გრძელი მოსავლელი გზით მიჰყავდათ — ეისკიდან როსტოვში, როსტოვიდან სამარაში, სამარიდან ყაზანში, ყაზანიდან უფაში, უფიდან ჩელიაბინსკში, ჩელიაბინსკიდან ეკატერინბურგში, ეკატერინბურგიდან ვიატკაში, ვიატკიდან ნოლინსკში, იქიდან კი ურეუმში. პოლიტიკურებს ყოველ ქალაქში უნდა ეცადათ თანამგზავრ-გადასახლებულთათვის, რომელთაც მათთან ერთად ერთი მარშრუტით აგზავნიდნენ.

ხანდახან ისინი კვირაობით, ხან კიდევ უფრო მეტს ჩერდებოდნენ გადასაგზავნ სატუსაღოში. ამ სატუსაღოებს სწორედ იმიტომ ერქვათ გადასაგზავნი, რომ მათზე გავლით „იგზავნებოდნენ“ პატიმრები.

ურეუმში არც თუ ისე ბევრ პატიმრებს ჰგზავნიდნენ. ისინი ვიატკაში უფრო მეტნი იყვნენ, ვოლოგდაში, არხანგელსკში და მეზენში კიდევ უფრო მეტი. ციმბირზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

იქ გადასახლებულთათვის ბევრი ადგილი იყო.

„პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ მყოფი გადასახლებულები“, როგორც კი დანიშნულების ადგილზე მივიდოდნენ, უწინარეს ყოვლისა უნდა გამოცხადებულიყვნენ სამაზრო პოლიციის უფროსთან. სამაზრო პოლიციის უფროსი მათ ხელწერილ ქვეშ ჩაიბარებდა, თითქოს ნივთებიაო, და მაშინვე გამოუცხადებდა ყველა წესებს, რომელსაც უნდა დამორჩილებოდნენ.

წესები ასეთი იყო: თვეში ორჯერ სამაზრო პოლიციის უფროსთან გამოცხადება შესამოწმებლად, ქალაქგარეთ ხუთი ვერსის იქით არ უნდა წასულიყვნენ, მთავარი კი — ხელი უნდა აეღოთ პოლიტიკაზე და არ დაეჭირათ კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან.

სამსახური და გაკვეთილების მიცემა გადასახლებულებს სასტიკად ჰქონდათ აკრძალული.

პოლიტიკურებს ერთიღა დარჩენოდათ: მიწის მთხრელებად, კალატოზებად და დურგლებად წასულიყვნენ. სასმელ-საჭმელისათვის ფულს გადასახლებულებს მეფე აძლევდა — დღეში თერთმეტ კაპიკს იმათ, ვინც გაუნათლებელი იყო, აბაზს იმათ, ვისაც უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული.

ცხადია, ამ ფულით ძნელი იყო ცხოვრება. პოლიტიკურები სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, რომ როგორმე რამე ეშოვნათ. ძმებმა სპრუდეებმა ურეუმში მებოსტნეობა დაიწყეს. პირველი მებოსტნეები იყვნენ ესენი, რომელთაც აქ სათბურებში კიტრი და პომიდორი მოიყვანეს. მთელი კომუნა იკვებებოდა თავისი ბოსტნის მწვანილით და კიდეც ჰყიდდნენ.

მუშა ზოტკინი ურეუმკაზე დადიოდა სათევზაოდ და ესეც დახმარება იყო. მავრომატი გაკვეთილებს აძლევდა; ბავშვებს რეალურ სასწავლებლისა და გიმნაზიისათვის ამზადებდა. კანონით ეს აკრძალული იყო, მაგრამ ქალაქში არც თუ ისე ბევრი იყო განათლებული ხალხი და ხელისუფალნი ამას ყურადღებას არ აქცევდნენ.

პოლიტიკურები, ერთ დიდ, შეხმატკბილებულ ოჯახად ცხოვრობდნენ — გადასახლებაშიაც კი არ წყვეტდნენ ისინი კავშირს იმ ამხანაგებთან, რომელნიც თავისუფლად იყვნენ. ამ კავშირს მიწერ-მოწერით ამყარებდნენ. წერილებს სანდო კაცს გადასცემდნენ, რომ პოლიციის კონტროლისათვის თავი დაეღწიათ.

ყოველ ქალაქში და სოფელშიაც კი მოიძებნებოდნენ ისეთები — მუშები, მასწავლებლები, სტუდენტები, — რომელნიც არ უდრკებოდნენ პოლიციის აშკარა თუ ფარულ ზედამხედველობაში მოყოლას და რითაც შეეძლოთ ეხმარებოდნენ გადასახლებულებს.

მინდვრებში, ტყეებში და ჭაობებზე გავლით გადაჰქონდათ მათი წერილები, პატარა ბროშურები და არალეგალური საზღვარგარეთული გაზეთები, რომელიც ჩამალული ჰქონდათ ჩექმებში, პერანგში, ან პიჯაკის სარჩულში ჩაკერებული. პოლიტიკურები გადასახლებაშიაც კი განაგრძობდნენ თავის საქმეს. ისინი შორეულ განაპირა მხარეებშიც ეწეოდნენ რევოლუციურ მუშაობას. მეფითა და ჟანდარმებით უკმაყოფილონი კი ყველგან ბევრი იყო, ყველაზე შორეულსა და მიყრუებულ ადგილებშიაც კი.

მეფე და მისი ჟანდარმები ანგარიშში მოტყუვდნენ. ისინი ყოველწლიურად ასახლებდნენ სატახტო და სხვა ქალაქებიდან „არაკეთილსაიმედოებს“, მაგრამ ამისაგან ქალაქებში რევოლუციონერთა რიცხვი კი არ მცირდებოდა, არამედ მატულობდა, განაპირა მხარეებშიაც მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. გადასახლებულებს თავისი წიგნები, თავისი აზრები, თავისი სიმღერები მიყრუებულ ადგილებშიც მიჰქონდათ.

თავი ოცდამეთოთხმეტე

პატარა სახლი მთის ძირას

ჯერ კიდევ პატარაობისას, რამდენჯერ გაურბენია სერგეის, პოლსტოვალოვის ქუჩაზე მდგარ, ძველი სახლის ახლოს. სერგეი სულ მუდამ იმას ცდილობდა, ფანჯარაში შეეხედა და ენახა, როგორ ცხოვრობდნენ ეს უცნაური ადამიანები, რომლებიც ურეუმელებს არ ჰგვანდნენ.

ახლა კი, ის, მათთან ადის პარმაღზე, როგორც სტუმარი.

ღია ფანჯარაში ისმოდა, ვიღაცა ვიოლინოზე როგორ უკრავდა.

სერგეიმ და სანიამ დააკაკუნეს.

— ღიაა, — მოისმა ვიღაცას ხმა, — შემოდით!

შეაღეს კარი, გაიარეს პატარა დერეფანი და თავი ამოჰყვეს ოთახში, სადაც ხამი სუფრაგადაფარებულ მაგიდას, რომელზედაც სამოვარი იდგა, სამი კაცი უჯდა. მეოთხე კაცი ფანჯრისაკენ მიბრუნებული იდგა, ოდნავ ქანაობდა და ვიოლინოზე უკრავდა.

— სწორედ ესაა მავრომატი, — ჩაუჩურჩულა სანიამ და თავით ანიშნა ვიოლინოს დამკვრელზე, შემდეგ ხმამაღლა თქვა: — საღამო მშვიდობისა, დიმიტრი სპირიდონიჩ! შემოვიარე ამხანაგთან ერთად.

მავრომატის ნიკაპი არ მოუშორებია ვიოლინოსაგან, ისე გაიღიმა და უპასუხა:

— ჰა, სანია! დაჯექით, მე ახლავე გავათავებ დაკვრას.

სკამიდან წამოდგა მაღალი, მხარბეჭგანიერი, ქერა და ხუჭუჭთმიანი კაცი.

— ვიცნობდეთ ერთმანეთს. ფრანც სპრუდე, — წარუდგა ის ბიჭებს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

— ქრისტეფორე სპრუდე,—თქვა მეორე კაცმა, რომელსაც ქეერა თმები და პატარა წვერი ჰქონდა. ეს ფრანცის უფროსი ძმა იყო.

ახალგაზრდა თმაშეკრეჭილმა ქალმა, პანა მარიამ სტუმრებს თითო ჭიქა ჩაი დაუსხა და ბლითიანი თეფში ახლოს მიუწია.

„ლარიბულად ცხოვრობენ“, გაიფიქრა სერგეიმ და აქეთ-იქით მიმოიხედა.

ოთახში არავითარი ავეჯი არ იყო, გარდა სამი ვიწრო რკინის საწოლისა, რომლებიც კედლების გასწვრივ იდგა. ხის თაროებზე ბევრი წიგნი ელაგა. კედელზე ტუშით დახატული პუშკინის სურათი ეკიდა.

— რას უკრავდი, დიმიტრი, ახლა? — ჰკითხა ქალმა, როცა მავრომატიმ ვიოლინო დაბლა დაუშვა.

— ფიბიხის პოემას.

— მე კი მეგონა, ისე ვარჯიშობს-მეთქი, — უფროსმა სპრუდემ გაიცინა და მსხვილი თეთრი კბილები გამოაჩინა.

— გამები რომ ყოფილიყო, რახანია გავიქცეოდი, — გამოეხმაურა უმცროსი სპრუდე.

მავრომატიმ ყურადღება არ მიაქცია მათ ხუმრობას, მიუჯდა მაგიდას, მოსვა ჩაი და მიმართა სანიას:

— როგორ სწავლობ? დაეწიე ტრიგონომეტრიაში?

— ახლა დაწევა რად მინდა? — თქვა სანიამ. — მე უკვე რეალური დავამთავრე.

— ოჰო, მომილოცავს! შენი ამხანაგი სადღა სწავლობს?

— ყაზანში, დაბალ ტექნიკურ სასწავლებელში, — უპასუხა სერგეიმ.

— ყაზანში?

აქ საუბარი გაცხოველდა. გადასახლებულებმა გამოჰკითხეს სერგეის სასწავლებელზე, ქალაქზე, ყაზანის ახალ ამბებზე.

სადგურიდან მალე დაბრუნდა მუშა ზოტკინიც. მან მოიტანა და პახა მარიას წინ დადგა ვედრო, სადაც თევზები ფართხალებდნენ. სერგეიმ და სანიამ ჩაიხედეს ვედროში: იქ დიდი თევზიც იყო და ბევრი წვრილიც. ყველაზე დიდი ადგილი ქარიყლაპიას ეჭირა, რომელიც ვედროში მორკალულად იწვა.

— ხვალ თევზის უხა გვექნება, — მხიარულად თქვა ფრანც სპრუდემ და ხელები მოისრისა.

— უხას ხბოს ხორციდან როდი აკეთებენ, — გაუსწორა მას ქრისტეფორე სპრუდემ, უხა მხოლოდ თევზისაგან კეთდება. დროა შეისწავლო რუსული ენა.

ყველას გაეცინა, ფრანც სპრუდეს კი ყველაზე ხმამაღლა.

„კარგი ხალხია, მხიარული", გაიფიქრა სერგეიმ.

ის უკვე ისე გრძნობდა აქ თავს თითქოს შინ ყოფილიყო. მას უნდოდა ლაპარაკი, ხუმრობა და საინტერესო იყო სხვების მოსმენაც. სანია მას გაკვირვებით უყურებდა და უხმოდ სვამდა ჩაის.

„ამას უყურე, რა მოსაუბრე გამხდარა!" ფიქრობდა ის.

მოჯანყეებისაგან სერგეი და სანია გვიან წავიდნენ.

— ხშირად შემოგვიარეთ ხოლმე, — ეპატიჟებოდა მათ ფრანც სპრუდე.

— შემოირბინეთ, შემოირბინეთ, ბიჭებო! — ალერსიანად უთხრა ზოტკინმა.

გადასახლებულებისაგან რომ ბრუნდებოდნენ სერგეი მთელ გზაზე რაღაც მხიარულს უსტვენდა, მის გვერდით კი მოღუშული, რაღაცათი უკმაყოფილო სანია მიაბიჯებდა.

შინ საჩქაროდ ივახშმეს და დასაძინებლად ბეღელში წავიდნენ, სადაც სანია ცხოვრობდა ზაფხულობით, არდადეგებზე ჩამოსვლისას. იქ იდგა ხის ფართო საწოლი, პატარა მაგიდა და ტაბურეტი. ბეღლის კუთხეში კი ეყარა უფეხო სკამები, დამწვარი თუჯები, დამტვრეული ვარცლი და სხვა საოჯახო ხარახურა, რომელიც გამოუსადეგარი იყო.

სანიამ სანთელს მოუკიდა, მაგიდას მიუჯდა და რომელიღაც წიგნის კითხვა დაიწყო.

— რას კითხულობ? — ჰკითხა სერგეიმ.

— რა შენი საქმეა? — უკმაყოფილოდ უთხრა სანიამ.

სანიას მოღუშული სახე ჰქონდა.

— რას ბრაზობ?

— დამეთხოვე!

მაგრამ ერთი წუთის შემდეგ სანია თვითონ გამოელაპარაკა სერგეის და თავისი წყენის მიზეზი აუხსნა.

როგორ? განა ასე უნდა? მას, სანიას, თავის ძველ ამხანაგს, სერგეიმ სრულიად არაფერი უთხრა ყაზანზე, ხოლო გადასახლებულებს იმდენი ელაპარაკა, რომ საზღვარიც არ ჰქონდა მის ლაპარაკს.

— კარგი ერთი, სანია! მე ვერ მოვასწარი შენთვის მეთქვა... მოიცა, ღამე გრძელია, მე შენ ბევრ რამეს გიამბობ, — დაამშვიდა სანკა სერგეიმ.

როცა მეგობრები დაწვნენ და სანთელი ჩააქრეს, სერგეიმ დაამთქნარა და მოჰყვა საუბარს თავის ცხოვრებასა და სწავლაზე ყაზანში.

— ყაზანში „ანდრია კოეუხოვს" კითხულობენ?—ჰკითხა უცებ სანიამ.

სერგეიმ პირველად გაიგონა ამ წიგნის სახელი.

— რაზეა ლაპარაკი ამ წიგნში?

— რევოლუციონერებზე სწერია. საინტერესო წიგნია! მე ის სულ გადავიკითხე, თუმცა მარტო ერთი ღამით მომცეს. ის აკრძალულია. ჩვენთან რეალურ სასწავლებელში ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს აძლევდნენ.

— ნეტავი სად შეიძლება იმ წიგნის შოვნა? — გამოცოცხლდა სერგეი. — რა სწერია?

სანია შეუდგა მოყოლას. ის მოუთხრობდა აუჩქარებლად და ძალიან დაწვრილებით, მაგრამ ყველაზე საინტერესო ადგილებზე, თითქოს ჯიბრზე, დიდი ხნით დადუმდებოდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო.

— განაგრძე! განაგრძე! — მოუთმენლად ჰკრავდა გვერდში სერგეი ამხანაგს.

ბოლოს სანიამ დაამთავრა თავისი საუბარი. რამდენიმე წუთს ბნელში სიწყნარე იყო. მხოლოდ ის ისმოდა, თუ ბნელ კუთხეებში როგორ დარბოდნენ და წრიპინებდნენ თაგვები. სანიამ უკვე ჩათვლიმა კიდეც, რომ სერგეი უცებ წამოხტა, ბალიშს დაეყრდნო, და ნელი ხმით, თითქოს თავისთვის თქვა:

— მაშ, ჩამოახრჩვეს... ყური მიგდე, სანია, ანდრიას დარჩა ამხანაგები?

— დარჩა, — უპასუხა ძილმორეულმა სანიამ.

• • •

სამი დღის შემდეგ მეგობრები ისევ გაემართნენ გადასახლებულებთან.

— მომეცით, გეთაყვა, რამე წასაკითხავად, — სთხოვა სერგეიმ უფროს სპრუდეს მისვლისთანავე.

ქრისტეფორე ჩაფიქრდა ერთ წუთს, მიაჩერდა სერგეის და თქვა:

— კარგი.

მან მისცა სერგეის „ისკრის“ ნომერი, ოთხად დაკეცილი და; ეტყობოდა, მრავალჯერ წაკითხული. ეს იყო პირველი არალეგალური გაზეთი, რომელიც სერგეის ხელში ეჭირა.

— წაიკითხეთ, წაიკითხეთ. ოღონდ ფრთხილად, რომ არავინ გინახოთ. ერთი ღამით გაძლევთ, — უთხრა სპრუდემ.

ამის შემდეგ სერგეი უკვე ვეღარ ჩერდებოდა სტუმრად. უნდოდა საჩქაროდ დაბრუნებულიყო შინ და წაეკითხა „ისკრა“. წამოხტა და მასპინძლებთან გამომშვიდობება დაიწყო; ხოლო გაზეთი ხალათქვეშ ჩამალა.

ვერ მოასწრეს ბავშვებმა მესამე სახლამდე მისვლა, რომ სანიამ აჩქარება დაუწყო სერგეის.

— აკი გეუბნებოდნენ ფრთხილად უნდა იყოო, — ჩასჩურჩულებდა ის ყურში ამხანაგს. — ჩქარა!.. წავიდეთ ჩქარა!

— შენ კი ნუ ჩურჩულებ და ნუ მირბიხარ, თუ არ გინდა, რომ შეგვამჩნიონ, — უპასუხებდა სერგეი. — ან კიდევ, ტყუილუბრალოდ რაზე სწუხარ? ქუჩა ხომ ცარიელია!

მართლაც, ქუჩა ცარიელი იყო. წვიმა სცრიდა, და ამიტომ ჭიშკრებთან სკამებზე პოლსტოვალოვის ქუჩის მცხოვრებლებიდან არავინ იჯდა და არავინ საუბრობდა.

მაგრამ სანია მიდიოდა, რაღაცას სულ ყურს უგდებდა და აქეთ-იქით იხედებოდა.

მას ყოველი წვრილმანი აშინებდა: ჭიშკრის ჭრიალი, უცბად გაღებული ფანჯარა და იქიდან ქუჩაში გადმოყოფილი ვიღაცას თავი, გამვლელთა ნაბიჯი, მეზობელ ქუჩებში ლაპარაკი... მას ელანდებოდა, თითქოს მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ მან და სერგეიმ გადასახლებულებს „ისკრა“ გამოართვეს,

სახლის ახლოს მათ სამაზრო პოლიციის უფროსი პენეშკევიჩი შემოეყარათ. დაბალი, მოკლეფეხებიანი, ის დიდი ამბით მოდიოდა, მკერდი გამოეზნიქა და ოდნავ მიბაჯბაჯებდა. ამხანაგებმა ერთმანეთს გადახედეს და ორივემ ერთი და იგივე გაიფიქრა: „აი, ახლოს შიდის და არც კი მოუვა აზრად... რა იქნებოდა, რომ მიხვედრილიყო?"

მაგრამ სამაზრო პოლიციის უფროსს არც კი შეუმჩნევია ისინი, ისე განაგრძო თავისი გზა.

აი, ბოლოს, ბებიას სახლის ჭიშკარიც. ბიჭებმა ეზოში შეირბინეს. ბეღელში სანთელი აანთეს, კარს ურდული გაუყარეს და შეუდგნენ კითხვას.

აი, როგორი ყოფილა არალეგალური გაზეთი „ისკრა". სწორედ ის, რომელსაც უშვებს საზღვარგარეთ ლენინი, სწორედ ის, რომელსაც ჩუმად აგზავნიან რევოლუციონერები რუსეთში, მიუხედავად მათი სიცოცხლის საფრთხისა.

თექვსმეტი პატარა გვერდი, ორ-ორ სვეტად დაყოფილი. ქაღალდი თხელი, გამჭვირვალე, სიფრიფანა. პირველი გვერდის მარცხენა კუთხეში დაბეჭდილი იყო: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია". მარჯვენა კუთხეში კი: „ნაპერწკლიდან ავარდება ალი!"... დეკაბრისტების პასუხი პუშკინს.

სერგეიმ ნელა გადაფურცლა მსუბუქი, ოდნავ მოშრიალე ფურცლები, რომელსაც უჩვეულო სათაურები ჰქონდა: „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან", „წერილები ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან", „უცხოეთის მიმოხილვა", „პარტიიდან", „რევოლუციური ბრძოლის ქრონიკა".

— წაიკითხე რაღა მიყოლებით, — თქვა სანიამ.

მაგრამ სერგეიმ ნომერი რომ შუაზე გადაშალა, იმისი კითხვა დაიწყო, რაც პირველად მოხვდა თვალში:

„....ყველანი მხოლოდ იმაზე ლაპარაკობენ, თუ რა მოხდა სორმოვოში პირველ მაისს... მაინც რა მოხდა იქ?..

„საპირველმაისო დემონსტრაციის დროს გამოწვეულ იქნა ჯარისკაცები. დემონსტრანტები პირისპირ მივიდნენ მათთან, შემდეგ კი მობრუნდნენ და განაგრძეს მსვლელობა. ჯარისკაცები გამოეკიდნენ მათ, კონდახებით დაუწყეს გაფანტვა. უიარაღო მუშები უნდა დამორჩილებოდნენ.

„მხოლოდ ერთი ამხანაგი დარჩა ბოლომდე, და ხელიდან არ გაუშვა დროშა. „მე ლაჩარი არა ვარ და არ გავიქცევი“ — დაიძახა მან და მაღლა ასწია წითელი დროშა. და ყველას შეეძლო დროშაზე წაეკითხა მრისხანე სიტყვები: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას!“

„ამხანაგებო! რომელი თქვენგანი არ სცემს თაყვანს ამ კაცის ვაჟკაცობას. ის იყო ერთადერთი, რომელიც არ შეუშინდა ჯარისკაცების ხიშტებს და მტკიცედ დარჩა თავის პოსტზე.“

სერგეიმ კიდევ რამდენიმე გვერდი გადააბრუნა და მეორე ცნობა წაიკითხა — ვოტკინის სახაზინო ქარხანაზე:

„ვოტკინელები გაიფიცნენ... ვოტკინის ქარხანაში ვიატკის გუბერნატორი გაემგზავრა და ყაზანიდან ჯარები გააგზავნეს. მუშებმა თავისი ტბის ჯებირზე ბარიკადები მოაწყეს (ეს ერთადერთი გზაა, რომლითაც შეიძლება მათთან მისვლა) და ზედ ქვემეხი დადგეს, — კიდევ კარგი, რომ ქვემეხებს იქვე ქარხანაში ამზადებენ...“

იმავე გვერდზე ცნობა იყო ქალაქ ბეჟიცაში მოწყობილ გაფიცვაზე: იქ მუშებმა ჯაშუშ მარტინენკოს სცემეს. ცნობაში ნათქვამი იყო: „კარგი გაკვეთილი იყო, რადგან ნაცემი აგენტი ამბობს, არავითარ შემთხვევაში არ დავრჩები ახლა ბეჟიცაშიო (მას მეორეჯერაა რომ სცემეს, პირველად კი მსუბუქად)...“

წერილები ფაბრიკა-ქარხნებიდან სერგეიმ პირველი პწკარიდან უკანასკნელამდე წაიკითხა.

ყველაფერი, რაც აქ იყო მოთხრობილი, სულ ახლახან მომხდარა — რაღაც ერთი თუ ორი თვის წინათ.

და ეს მოხდა არა ცხრა მთას იქით, არამედ სულ ახლოს — ვიატკაში, ნიჟნიში, სორმოვოში...

ჯერ კიდევ ყაზანში იყო სერგეი, როცა იქიდან ვოტკინის ქარხანაში გაგზავნილი ჯარები გადიოდნენ.

ეგებ ის ქუჩაშიც შეხვდა მათ, როცა ისინი ვაგზლისაკენ მიეშურებოდნენ, და არც კი უფიქრია, სად მიერეკებოდნენ მათ.

სერგეი სწრაფად კითხულობდა წვრილი შრიფტით აწყობილ სტრიქონებს.

როგორ უცნაური იყო, როცა ხედავდა შავით თეთრზე დაბეჭდილ სიტყვებს „რევოლუცია“, „აჯანყება“, „მეფის ხელისუფლების დამხობა“, „ხალხის თვითმპყრობელობა“.

ეს იყო ის სიტყვები, რომლებსაც ჩურჩულით ამბობდნენ, უკან მოხედვით, აქ კი ისინი მშვიდად იყურებოდნენ გაზეთის გვერდებიდან.

— განაგრძე კითხვა! — უთხრა სანიამ.

სერგეიმ კიდევ რამდენიმე გვერდი გადააბრუნა და წაიკითხა: „გლეხთა მღელვარებანი“.

„ორი კვირაა, რაც პოლტავაში გლეხთა მღელვარებაზეა ლაპარაკი.

„დამშეულ გლეხთა მთელი ყურადღება მიქცეული იყო აუარებელ პურზე, რომელიც უქმად ეყარა ბეღლებში. გლეხები მოდიოდნენ საზიდარებით, მიმართავდნენ მემამულეებსა ან მოურავებს წინადადებით გაეხსნათ ბეღელი და ნებაყოფლობით მიეცათ მათთვის პურის ნაწილი, და მხოლოდ იმ შემთხვევაში ამტვრევდნენ ბოქლომებს, როცა უარს ეტყოდნენ. აავსებდნენ თავის ფორნებს პურით და მიჰქონდათ შინ.

„...როცა, ხელისუფალთა მოთხოვნას, რომ წაღებული პური უკან დაებრუნებინათ, გლეხებმა უარით უპასუხეს, ჯარს უბრძანეს, გლეხებისათვის ესროლათ. იქვე იქნა მოკლულ სამი კაცი. ერთი, ორი ტყვიით დაჭრილი და ხიშტით განგმირული, პოლტავის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს და რამდენიმე საათის შემდეგ მოკვდა. შემდეგ დაიწყეს გაჯოხვა. გაჯოხვა ვასილევკაშიც მოხდა; წკეპლის საძებნელად დრო არ იყო, ამიტომ სცემდნენ რაც ხელთ მოხვდათ, გრძელი და მსხვილი ნუჟრიანი ტოტებით, და ამის გამო (ექიმის ზრდილობიანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ) „კანის სიმთელე ყველა დასჯილს შელახული აქვს“. ისე სცემდნენ, რომ პირიდან და ცხვირიდან სისხლი უხვად სდიოდათ. გაჯოხვის შემდეგ გლეხები სრულიად გაშავებულნი დგებოდნენ: ხანდახან ასჯერ და ორასჯერაც დაარტყამდნენ ჯოხს...“

უკვე მეორეჯერ ჩამოიარა დარაჯმა ვლადიმერ ივანეს-ძემ თავისი სარაკუნათი პოლსტოვალოვის ქუჩა, როცა სერგეი და სანია „ისკრას“ კითხვას ათავებდნენ.

გაზეთის უკანასკნელ სვეტებზე თითქმის ყველა სტრიქონში ხვდებოდა სიტყვები:

ორი წლით.

სამი წლით.

ოთხი წლით.

ხუთი წლით.

ექვსი წლით.

უვადოდ...

დაუსრულებელი სიები ადამიანთა, ქალაქებისა და სასჯელთა ვადები.

— შეხედე ამას, ჩვენი მალმიჟი, — ამაყად თქვა სანიამ და თითი ერთ-ერთ სტრიქონზე დაადო. — ჩანს, მალმიჟიდანაც ასახლებენ.

— მაისობისათვის გადასახლებულნი, — თქვა სერგეიმ, — ექვსი კაცია.

— სად უნდა გააგზავნონ ისინი? — გაუკვირდა სანიას. — ისინი ხომ ისედაც გადასახლებულნი არიან.

— მალმიჟი თუმცა ტყეში დაკარგული ადგილია, მაგრამ მაინც, რაც უნდა იყოს, ქალაქად ითვლება, — უპასუხა სერგეიმ. — ისინი კი ახლა, ალბათ, ყველაზე მიყრუებულ ადგილებში გააგზავნეს.

სერგეიმ დაკეცა გაზეთი, შეინახა და სინათლე ჩააქრო.

— არ დავიძინოთ? — ჰკითხა სანიამ.

სერგეიმ არაფერი უპასუხა, ერთი წუთის შემდეგ კი ნელა და მკაფიოდ, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ნაპერწკლიდან ავარდება ალი...

დილით ადრე, როცა სანიამ გაიღვიძა და ბალიშიდან თავი ასწია, დაინახა, რომ ბეღელში მაგიდაზე სანთელი ენთო, თითქოს არც კი ჩაუქვრიათო. მაგიდასთან იჯდა სერგეი, ორივე ხელში თმებში ჩაევლო, და „ისკრას“ კითხულობდა.

— აბა, წაიკითხე კიდევ რამე, — სთხოვა სანიამ.

— კარგი, ყური დაუგდე. — და სერგეიმ დაიწყო პირველი გვერდის წერილის ხმამაღლა კითხვა.

მაგრამ ნახევარი გვერდი რომ წაიკითხა, სერგეი შეჩერდა და თქვა:

— ეს ქრონიკა როდია. ეს ცოტა არ იყოს ძნელია. ჯერ ჩემთვის უნდა წავიკითხო და გავერკვე...

წერილში სერგეისათვის უცნობი სიტყვები და სახელები იყო. ის დიდხანს კითხულობდა წერილს, სანამ ბეღლის კარს ბებიამ არ დაუკაკუნა.

— სერიოჟა, სანია, — დაუძახა მან, — გაიქეცით მდინარეზე, წყალი მოიტანეთ — სარეცხი მაქვს.

— ახლავე, ბებია! — გამოეხმაურა სერგეი.

შემდეგ „ისკრა“ დამალა და წყნარად უთხრა სანიას:

— ამ წერილის შესახებ საღამოზე უნდა ვკითხოთ სპრუდეს... პირველ ხანებში მარტო ჩვენ გაგვიძნელდება.

თავი ოცდამეცამეტე

პირველი დავალება

სერგეიმ და სანიამ გადასახლებულებთან სიარულს მოუხშირეს. ერთხელ მათ მეტისმეტად დააგვიანდათ „მთის ძირა სახლში". სვამდნენ ჩაის, საუბრობდნენ, ყურს უგდებდნენ ვიოლინოს.

ამ საღამოს სერგეიმ გადასახლებულებთან დაინახა რაღაც უცნაური ფურცელი, რომელზედაც მუქ-ლურჯი ასოები იყო დაბეჭდილი. ქაღალდი ცუდი იყო, ყვითელი ფერისა, ხოლო ლურჯი ასოები არც თუ ისე სწორი. სერგეი დაინტერესდა ამ ფურცლით და მაშინვე ჰკითხა სპრუდეს, რატომ არის ასე უცნაურად დაბეჭდილი ფურცელიო.

— ხელით ვბეჭდავდით, — უპასუხა სპრუდემ და აუხსნა სერგეის, რომ ეს რევოლუციური, არალეგალური ფურცელია და ის ჰექტოგრაფზეა დაბეჭდილი. ხოლო ერთი კვირის შემდეგ სერგეიმ და სანიამ სპრუდესაგან მოულოდნელად სერიოზული და დიდი დავალება მიიღეს: — ეცადათ ფურცლის დაბეჭდვა.

— ვეცდებით, — ერთხმად უპასუხეს სერგეიმ და სანიამ.

— თქვენ თითონვე მოგიხდებათ ჰექტოგრაფის გაკეთება. იყიდეთ გლიცერინი და ჟელატინი, რაც შეიძლება ბევრი. იქვე რომ არ გამოიწვიოთ, რიგრიგობით იარეთ აფთიაქში. დღეს — ერთმა, ხვალ — მეორემ. გახსოვდეთ — რომ ამ საქმეში დიდი სიფრთხილეა საჭირო, — უთხრა სპრუდემ გამომშვიდობებისას.

— ფრთხილად ვიქნებით, — უპასუხა სერგეიმ.

მეორე დღეს დილით, როგორც კი გაიღვიძა, სერგეი მაშინვე გაემართა აფთიაქისაკენ, გლიცერინის საყიდლად.

— ჯერ მე წავალ, შემდეგ კი შენ, — უთხრა მან სანიას.

ისინი შეთანხმდნენ, ვოსკრესენსკაიას ქუჩის გვერდით შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ურეუმში სულ ერთი აფთიაქი იყო — საერობო; — ის ვოსკრესენსკაიას ქუჩაზე მდებარეობდა. ამ აფთიაქის გვერდით ყოველ კვირას ჩაურბენია სერგეის თავშესაფრიდან რომ შინ ბრუნდებოდა.

ხოლო უფრო ადრე, თავშესაფრამდე, ის ხშირად დადიოდა აქ სანიასთან ერთად ფანჯარაში გამოფენილი ლურჯი და წითელი მინის ბურთულების საყურებლად. დედა რომ ავად იყო, ბებია დადიოდა ამ აფთიაქში წამლის საყიდლად და თან ხშირად შვილიშვილიც წაუყვანია: აქ უნახავს მას ფაიფურის დიდი შავწარწერიანი ქილები.

მაღალი დაზგის იქედან, თეთრხალათიანი სქელი კაცი გამოიყურებოდა. ის იღებდა წამლის ფულს. მის წინ დაზგაზე დარაზმული იყო პატარა შუშები, რომლებსაც კუდივით გრძელი ნაირფერიანი რეცეპტები ჰქონდათ მიკრული. რეცეპტები თეთრი და ყვითელი ფერისა იყო. ბებია ამბობდა, თეთრკუდიანი წამლები დასალევია, ხოლო ისინი, რომლებსაც ყვითელი კუდი აქვთ, არ დაილევა, იმითი მხოლოდ დაზელა შეიძლებაო. სხვადასხვაფერის რეცეპტები განგებ იყო მოგონილი წერა-კითხვის უცოდინარი ხალხისათვის, რომ მათ წამლები ერთმანეთში არ აერიათ. სანამ მყიდველს მის საქონელს მისცემდა, მეაფთიაქე შუშას თოჯინასავით მორთავდა. ის შუშას ქაღალდის კუდს მიაწებებდა და საცობზე ფერად გოფრირებულ ქუდს დაახურავდა, რომელიც ქალის თავსახურს ჰგავდა.

დიდი ხანია რაც სერგეი საერობო აფთიაქში არა ყოფილა. ახლა კი ის იმიტომ მიდიოდა იქ, . რომ საიდუმლო სტამბისათვის გლიცერინი ეყიდნა.

აფთიაქი ამ დილას ცარიელი იყო. სერგეიმ დაათვალიერა წამლებიანი თაროები, მინის ბურთულები ფანჯარაში, თეთრი ფაიფურის ქილები ლათინური წარწერებით. არაფერი შეცვლილა. აქ ყველაფერი ისე იყო, როგორც მისი სიყრმის დროს.

აი, თეთრი კარიდან გამოვიდა იგივე სქელი მეაფთიაქე — გერმანელი კელერი. მას ჯერ კიდევ არ ჩაუცვამს ხალათი, — ეტყობოდა, ახლახან ამდგარიყო ლოგინიდან. მეაფთიაქემ მკაცრად

შეხედა მყიდველს ოქროსბუდიან პენსნეს მინებიდან და გარკვევით ჰკითხა:

— რა გნებავთ? რამდენის?

ეს იყო ორი ფრაზა, რომელსაც ის სწორად გამოთქვამდა.

აი უკვე თორმეტი წელია, რაც ის დღეში მრავალჯერ სულ ერთსა და იმავე კითხვას იძლევა.

— სამი შაურის გლიცერინი, — უპასუხა სერგეიმ.

კელერმა ჩამოიღო თაროდან პატარა შუშა, რომელსაც ყვითელი გოფრირებული ხუფი ჰქონდა. სერგეიმ ფული გადაიხადა, შუშა ჯიბეში ჩაიდო და აფთიაქიდან გამოვიდა. ეკლესიის კუთხეში მას სანია ელოდებოდა. მათ თვალი ჩაუკრეს ერთმანეთს. სანიამ რამდენიმე წუთი მოიცადა და წავიდა აფთიაქში.

— რა გნებავთ? რამდენის? — ჰკითხა მას მეაფთიაქემ.

— სამი შაურის გლიცერინი.

ასე დადიოდნენ ყოველდღე სერგეი და სანია გლიცერინის საყიდლად.

ერთი კვირის შემდეგ ბეღლის კუთხეში, თივისა და ძველი ქეჩის გროვის ქვეშ, შუშების საკმაო რაოდენობა იყო დამალული. მაგრამ სერგეი სულ იმას ფიქრობდა, გლიცერინი არ გვეყოფაო. მან სანიას წინადადება მისცა საღამოობითაც ეღლოთ აფთიაქში, როცა კელერს მისი თანაშემწე — პატარა მელოტი კაცი შეცვლიდა. ამ კაცზე ქალაქში ლაპარაკობდნენ, სმა უყვარს, პოლიციელებს მეგობრობს და ბევრს ტყუისო.

პროვიზორის თანაშემწე არასოდეს არ იხდიდა თეთრ ხალათს. ბაზარზეც კი სტაფილოს საყიდლად ხალათით მიდიოდა, რომ ყველას ექიმი ან ნასწავლი კაცი ჰგონებოდა.

პირველსავე საღამოს, როცა სერგეი აფთიაქში გამოცხადდა და სამი შაურის გლიცერინი იკითხა, პროვიზორის თანაშემწემ ჩაიცინა და თვალი ჩაუკრა:

— რაში გჭირდებათ, ყმაწვილო, გლიცერინი? ჭირის კანის დასარბილებლად? ქალიშვილებს გინდათ მოეწონოთ?

— არა, მე გლიცერინს ვსვამ, რომ ხმა უფრო ნაზი გამიხდეს, — უპასუხა სერგეიმ წარბშეუხრელად.

პროვიზორის თანაშემწემ განჯინიდან გლიცერინიანი შუშა გამოიღო და უჩუმრად მისცა სერგეის.

თავი ოცდამეთოთხმეტე

„ისკრა“ ურჟუმკაში

სერგეის უნდოდა რაც შეიძლება მალე შესდგომოდა საქმეს. ამისათვის, რომ არაფერი აერია, მან ბიბლიოთეკის გამგე ნაცნობ ქალს ენციკლოპედიური სიტყვარი გამოართვა.

მისდა საბედნიეროდ სიტყვარში მთელი წერილი აღმოჩნდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჰექტოგრაფის გაკეთება და როგორ უნდა მასზე ბეჭდვა. წერილში ნათქვამი იყო, რომ პირველი და ძირითადი, რაც ჰექტოგრაფისათვის არის საჭირო, — ეს არის რკინის ფურცელი, რომელსაც მაღლააწეული კიდეები უნდა ჰქონდეს. ამ ფურცელზე დაასხამთ ჟელატინისა და გლიცერინისაგან შენადუღ მასას. როცა მასა გაცივდება, აიღებენ თეთრი ქაღალდის ფურცელს და განსაკუთრებული ლურჯი მელნით დასწერენ ზედ ტექსტს, საიდანაც ანაბეჭდი უნდა გადაიღონ. შემდეგ დაწერილ ტექსტიან ფურცელს დაადებენ გაცივებულ მასას. ყველა ასო გადავა ჟელატინ-გლიცერინის ზედაპირზე. ამ ზედაპირს სუფთა ქაღალდის ფურცლებს, რომ დაადებ, შეიძლება ტექსტის ანაბეჭდები მიიღო.

სერგეიმ და სანიამ გადაწყვიტეს რკინის ფურცელი მჭედლისათვის შეეკვეთათ. ბებიას ჰქონდა ქადის გამოსაცხობათ ფურცლები, მაგრამ ჰექტოგრაფისათვის ერთი მათგანის წამოღება სერგეის საშიშ საქმედ მიაჩნდა.

ბებიას, იქნებ ჯიბრზეც მოუნდეს ფურცელი, და რომ ფურცელი ადგილზე არ აღმოჩნდეს: ვინ წაიღო, რატომ, რისთვის? დაიწყება ლაპარაკი მეზობლებთან, ეს კი საქმეს ავნებს. ესეც არ იყოს, ფურცელიც არ ვარგა — პატარაა. სჯობს შეკვეთა.

ამხანაგებმა მიიღეს გადასახლებულებისაგან რკინის ფურცლის საყიდელი ფული და საღამოს მჭედელთან გაემგზავრნენ. მეზობელ სახლებში უკვე სინათლეს ანთებდნენ, როცა ისინი ჭიშკარს გასცილდნენ.

— მეღამიებო, ისევ დილამდე სახეტიალოდ მიდიხართ! — ჩაიბუზღუნა ბებია მელანიამ. ის სერგეისა და სანიას ჯერ კიდევ ბავშვებად თვლიდა. მაგრამ ბებიას ბუზღუნზე მეგობრებმა მხოლოდ ჩაიცინეს და ჩქარა გაჰყვნენ ქუჩას.

სამჭედლო ქალაქგარეთ იყო. ის იდგა გზის ახლოს, შუა მინდორში. მის გვერდით ცხენების მიერ დამტვრეული და გადაჭმული ბუჩქები მოჩანდა. შორიდან სამჭედლო შავ ბორცვსა თუ ნახშირის ყრილს ჰგავდა. მხოლოდ დაბალ მილიდან ამოსროლილი ნაპერწკლებით შეამჩნევდა კაცი, რომ ეს სამჭედლო იყო. სერგეი და სანია კარებთან მივიდნენ. სამჭედლოში ნახევრად ბნელოდა, მხოლოდ ქურაში ჯერ კიდევ ღვივოდა წითელი ნაღვერდალი. ზღურბლზე წვერიანი მჭედელი იჯდა და თამბაქოს წევდა. სერგეი მიუჯდა მოხუცს, გამოელაპარაკა მას და შემდეგ შეუკვეთა საშუალო ზომის მაღალკიდეებიანი ფურცელი.

— თქვენ ტაფა გინდათ და არა ფურცელი, — გაუსწორა სერგეის მჭედელმა. — რატომ არა, შეიძლება, — ხუთი დღის შემდეგ მზად იქნება.

— უფრო ადრე არ შეიძლება?

— არ შეიძლება, — თქვა მოხუცმა და შევიდა თავის სამჭედლოში.

ამაზე შეწყდა ლაპარაკი.

სანამ მჭედელი ტაფას ამზადებდა, სერგეი და სანია დროს უბრალოდ არა ჰკარგავდნენ. მათ მოიმარაგეს ელატინი, იშოვეს ჰექტოგრაფისათვის ლურჯი მელანი და თავისი მომავალი სტამბისათვის ადგილი ამოირჩიეს — ძველი აბანო ეზოში.

ყველაფერი მზად იყო, ხოლო ტაფისათვის სამი დღე კიდევ უნდა ეცადნათ. მეგობრებმა გადაწყვიტეს ჯერხანად თავისი სამეურნეო საქმეებისათვის მოეკიდნათ ხელი. ფარდულთან დაპირქვავებული ეგდო ძველი, დამსკდარი ნავი. სერგეიმ და სანიამ ფსკერზე ნახვრეტები შეაკეთეს, გვერდები გაუფისეს, დაჟანგული ნიჩ-

ბის პალოები ნავთში დაასველეს. ისღა დარჩათ, რომ შეეღებათ და სახელი დაერქმიათ. ოდესღაც ნავს „ბუსმიხაკა“ ერქვა, მაგრამ პირველი სამი ასო უკვე წაშლილიყო და გვერდზე შერჩენოდა წარწერა „მიხაკა“.

სერგეიმ ცისფერი ზეთის საღებავი წაუსვა ამ წარწერას და მთელ ნავსაც. შემდეგ გულდასმით გამოიყვანა სწორი და მკაფიო წარწერა:

„ისკრა“

შავ ასოებს ირგვლივ წითელი არშია ჰქონდა შემოვლებული.

როცა ნავი მზად იყო, სერგეიმ გამოათრია ფარდულიდან მარხილი, დაუდო ნავი და სანკასთან ერთად ურეუმკის ნაპირზე წაათრია.

კაეები სილაში ეფლობოდა, ქვებზე ხტებოდა. სერგეი თოკით მიათრევდა მარხილს, სანია უკანიდან აწვებოდა.

ნაპირზე მათ პოლიციის ზედამხედველი კურშაკოვი შეხვდათ, რომელსაც მყივანა ხმა ჰქონდა და დაბალი ტანისა იყო. ამიტომ მას ქალაქში მამლაყინწა შეარქვეს.

მამლაყინწას ის-ის იყო ებანავა და მთაზე ამოდიოდა. მხნე და გაგრილებული, მუნდირზე ღილებს იბნევდა და სველ თავს იმშრალებდა.

მარხილი როცა გაუსწორდა, მამლაყინწა შეჩერდა და თვალი მოჭუტა.

— „ისკრა“, — წაიკითხა მან. — უცნაური სახელი გამოგიგონიათ ახალგაზრდებო, — „ისკრა“! არ სჯობდა დაგერქმიათ „ნიავი“, ან „დაფიონი“. „ლამაზმანი“ — ესეც კარგი სახელია, ანდა კიდევ „სატრფო“...

— ჩვენ „ისკრა“ უფრო მოგვწონს, — უთხრა სერგეიმ და წაათრია მარხილი მდინარისაკენ.

თავი ოცდამეთხუთმეტე

საიდუმლო სტამბა

როგორც იყო ტაფა გამზადდა. სერგეი და სანია მის მოსატანად სამჭედლოში საღამოხანს წავიდნენ, რომ შინ სიბნელეში დაბრუნებულიყვნენ.

მაგრამ რა ხანია მათ ფურცელიც მიიღეს, მჭედელსაც ელაპარაკეს, მაინც არ ღამდებოდა.

— წავიდეთ, არხში დავსხდეთ, — თქვა სანიამ და იქით-აქეთ მიმოიხედა.

ისინი ჩავიდნენ გზისპირა არხში, არხი გვირილათი, აბზინდათი და დუმფარათი იყო გადაბურდული. ისინი აქ ისხდნენ, სანამ ცაზე პირველი ვარსკვლავები არ გამოჩნდა. ახლა უკვე შეიძლებოდა ქუჩაში ტაფის წაღება; იმის შიში აღარ იყო, რომ პირველსავე ჭიშკრიდან გამოიხედავდა რომელიმე ძალუა ან ბებია და დაიძახებდა მთელი ქუჩის გასაგონად:

„ვისთვის მიგაქვთ, ბიჭებო, ახალი ტაფა, — უსტინია სტეფანეს ასულისათვის, თუ მელანია ავდეის ასულისათვის?“

მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. მეგობრებმა ისე გაიარეს ბნელი ქუჩები, რომ არავინ შეხვედრიათ და ტაფა თავის ბეღელში მიიტანეს.

ხოლო ღამით, როცა სახლში ყველამ დაიძინა, ისინი გამოვიდნენ ეზოში და ფრთხილად დაიწყეს აბანოს იქით ორმოს ამოთხრა, რომ ფურცელი ჩაეფლათ.

ერთი ფხრიდა, მეორე კი ყურს უგდებდა, ახლოს ხომ არავინ მოდისო. მაგრამ ეზოში სიჩუმე იყო, მხოლოდ ხანდახან, სადღაც, პოლსტოვალოვის ქუჩის ბოლოს ჰყეფდა ძაღლი, და ბებიას მეგო-

ბარი, ღამის დარაჯი, ვლადიმერ ივანეს-ძე, თავისი უბნის ჩამოვლისას, სარაკუნას არაკუნებდა.

ფურცელი ჩაფლეს, მიწა დაბეკნეს და გაასწორეს.

მეორე დღეს სერგეი და სანია გადასახლებულებთან გაიქცნენ, რომ ტექსტი მიეღოთ ფურცლის დასაბეჭდად.

ორივე ძმა სპრუდე ამ დროს ბოსტანში იყო. ქრისტეფორეს დაემკლავებინა და კარტოფილს მიწას აყრიდა, ფრანცი კი ჩაცუცქულიყო და კიტრის კვალს მარგლავდა.

იქვე იდგა გადასახლებულთა დიასახლისი, — ოლგა პავლეს-ასული და ბოსტნის საქმეებზე ბჭობდა.

სერგეიმ და სანიამ იარეს ქუჩაში, სანამ დიასახლისი არ წავიდა შინ, და მხოლოდ მაშინ დაუძახეს ქრისტეფორეს.

ქრისტეფორემ ხელისგულიდან მიწა ჩამოიბერტყა, გამოვიდა მათთან და წაიყვანა სახლში.

— ჩვენ ყველაფერი მზადა გვაქვს, — უთხრა სერგეიმ ხმადაბლა. — თქვენთან ტექსტისათვის მოვედით.

სპრუდეს გაუკვირდა.

— უკვე მზადა გაქვთ? ყოჩაღ ბიჭებო!

ის შევიდა მეორე ოთახში და რამდენიმე წუთის შემდეგ გამოუტანა მათ გაზეთ „ისკრიდან“ წერილი. წერილი წითელი ფანქრით იყო მოხაზული. ეს წერილი მათ ბეჭდური ასოებით უნდა გადაეწერათ და ჰექტოგრაფზე გაემრავლებინათ.

ბეჭდური ასოებით იმიტომ უნდა ეწერათ, რომ ჟანდარმებს არ გაეგოთ, თუ ვისი ხელით იყო დაწერილი.

— თქვენებმა იციან რამე ამ საქმისა? — ჰკითხა ქრისტეფორე სპრუდემ და ორივე ამხანაგს ყურადღებით შეხედა.

სერგეიმ გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ქრისტეფორ ივანოვიჩ, გარდა ჩვენ ორისა, არავინ იცის.

— კარგი! მაშ დაიწყეთ. ოღონდ ძალიან მკაფიოდ და გარკვეულად უნდა სწეროთ, რათა ისეთმა კაცმაც წაიკითხოს, რომელიც ასოებს ოდნავ არჩევს.

— ეს სერგეის საქმეა! ის მხაზავია, — თქვა სანიამ.

— ასე, — დააქნია თავი სპრუდემ. — შეგიძლიათ თქვენ ერთ საქმე კიდევ გააკეთოთ?

სერგეიმ და სანიამ ყურები ცქვიტეს.

— ეს საქმე ძალიან სერიოზულია. აქ საჭიროა სიმშვიდე და სიფრთხილე. ზეგ, შაბათის წინაღამეს, ფურცლები უნდა გააბნიოთ ბაზრის მოედანზე და მალმიჟის გზატკეცილზე. გაიგეთ?

— გასაგებია. გავაკეთებთ!

იმავე საღამოს, დაბალ ძველ ბეღელში დაიწყო უჩუმარი და აჩქარებული მუშაობა.

სერგეიმ და სანიამ ბეღლის კარი ურდულით გადაკეტეს, გაშალეს წინ „ისკრის" თხელი, გამჭვირვალე ფურცლები და დაიწყეს წითელი ფანქრით შემოვლებული წერილის გადაწერა.

მაგიდაზე ტკაცუნებდა და იწვოდა სანთელი. დიდი, ყვითელი წვეთები ნელა ეღვენთებოდა სპილენძის ძველ შანდალს. ორი დახრილი თავის ლანდი ირხეოდა და ქანაობდა ძელის ჭერზე და ბეღლის კედელზე.

მთელი ღამე გათენებამდე გულდასმით და რიგრიგობით იწერდნენ ბიჭები წერილს. მამლებმა უკვე მესამედ იყივლეს, როცა სერგეი უკანასკნელ სტრიქონს ათავებდა. ბეღლის ჭუჭრუტანებში შზემ შემოანათა, სადღაც ბოსტანს იქით მწყემსი საყვირს უკრავდა, დიასახლისები აბღავლებულ ძროხებს ქუჩაში ერეკებოდნენ.

ამხანაგებმა „ისკრა" და გადაწერილი ფურცელი კუთხეში თივისა და ქეჩის ქვეშ შეინახეს, თვითონ კი დაწვნენ.

მაგრამ განა დაიძინებ ასეთი მუშაობის შემდეგ?..

სერგეი და სანია დიდხანს ტრიალებდნენ, შემდეგ კი უსიტყვოდ დაიწყეს ჩაცმა.

— ურჟუმკაზე წავიდეთ არა?

— აბა სად?

პირველი ნავი, რომელიც ამ ზაფხულის დილას დაბალ ქვიშიან ნაპირებიდან აუშვეს და იქით მხარეზე ნამისაგან ორთქლებულ სალეკავ მინდვრებისაკენ წავიდა, „ისკრა" იყო.

ნავში ორი ბიჭი იჯდა. ისინი რიგრიგობით უსვამდნენ ნიჩაბს, მღეროდნენ ხმამაღლა და არავინ იფიქრებდა, რომ ამ ჭაბუკებმა მთელი ღამე უძილოდ გაატარეს და გადაწერეს მოწოდება, რომელიც ასეთი სიტყვებით თავდებოდა:

„ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს რევოლუციას!“

* * *

შემდეგ ღამეს ამხანაგებმა თავისი სამუშაო ძველ აბანოში გადაიტანეს. ხის ფეხებმოღრეცილ მაღალ სკამზე დააწყეს მათ სუფთა ქაღალდის ოზმები და იქვე დადგეს ტაფა, რაზედაც ჟელატინ-გლიცერინის მასა იყო დასხმული.

— აბა დავიწყოთ! — თქვა სერგეიმ.

მან დაიმკლავა, ტექსტგადაწერილი ფურცელი აიღო და ფრთხილად დასდო გლიცერინის მასაზე. მაგრამ რამდენი ხანი უნდა გაეჩერებინა ფურცელი — მან არ იცოდა. საათიც არა ჰქონდა. მან დათვალა ათამდე, შემდეგ ფრთხილად ააცალა ფურცელი. ტექსტის ლურჯი ასოები მკაფიოდ აღიბეჭდა ჰექტოგრაფზე, ხოლო თვითონ ქაღალდის ფურცელი ქონიანი და მძიმე გახდა. სერგეიმ აიღო ის, დაჭმუჭნა და სკამქვეშ შეაგდო.

— მგონი ცუდად არ გამოდის, — შეიძლება ბეჭდვა. მოიტა ქაღალდი!

გაჩაღდა მუშაობა. ერთი წამი — და სერგეიმ უკვე აიღო ჰექტოგრაფიდან პირველი ფურცელი. მუქ-ლურჯი მსხვილი ასოები ამობურთულს ჰგავდა და ტექსტის წაკითხვა ადვილად შეიძლებოდა.

სერგეიმ ფურცელი განზე გააჩერა და აღტაცებით დაუწყო ძზერა, თითქოს ეს ფურცელი კი არ ყოფილიყოს, არამედ შესანიშნავი სურათი.

— ჩინებულად გამოდის, არა? — ყოველ წუთს იმეორებდა სანია და ძლივს ასწრებდა სუფთა ფურცლების მიწოდებას.

სერგეი სწრაფად მუშაობდა. დაადებდა ფურცელს, დააჭერდა ხელს და აიღებდა, — ისევ დაადებდა ფურცელს, ისევ დააჭერდა ხელს და აიღებდა.



მთელი თარო, მისი ყველა ხუთივე საფეხური, აბანოს ორივე ძველი სკამი — ყველაფერი ერთნაირად იყო მოფენილი ახლახან დაბეჭდილი, ოდნავ სველი ფურცლებით.

— ვითომ საკმარისი არაა? — თქვა სანიამ. — დასალაგებელი ადგილი მეტიც კი აღარა გვაქვს.

— არა, კიდევ მოიტა! მთელი სუფთა ქაღალდი საქმეში უნდა გამოვიყენოთ.

ბოლოს, როცა ერთი ფურცელიც კი აღარ დარჩა, ამხანაგები დალაგებას შეუდგნენ, რათა თავისი ნამუშევრის კვალი დაეფარათ. მათ იატაკიდან აკრიფეს ქაღალდის ნაგლეჯები, თბილი წყლით ფრთხილად ჩამორეცხეს ჰექტოგრაფს ლურჯი სტრიქონები. შემდეგ გამოიტანეს ჰექტოგრაფი ეზოში და წინანდელ ადგილას ჩამარხეს.

ახლა საჭირო იყო გადასახლებულთა უკანასკნელი, ყველაზე მნიშვნელოვანი დავალების შესრულება: ქალაქში პროკლამაციების მიმოფანტვა.

თავი ოცდამეთექვსმეტე

როცა ქალაქს ეძინა

— აბა, ავიკრათ გუდა-ნაბადი! ჯერ ბაზარში წავიდეთ, შემდეგ კი მალმიჟის გზატკეცილზე.

მათ ფურცლები აჩქარებით ჩაილაგეს ჯიბეებში, ჩაიტენეს უბეში. ხალათები გამოებურცათ, ჯიბეები გამოებერათ, მაგრამ ფურცლები ჯერ კიდევ ბევრი იყო. სერგეიმ ოციოდე ფურცელი ჩექმის ყელში ჩაიდო და ამდენივე ხალათის სახელოებში. ეს უკანასკნელი ფურცლები იყო.

ამის შემდეგ სერგეიმ და სანიამ სანთელი ჩააქრეს და ბეღლიდან ფრთხილად გამოვიდნენ, ერთ წამს ეზოში გაჩერდნენ და ყური დაუგდეს, ხომ არავინ მოდისო. არა, ნაბიჯის ხმა არ ისმოდა. ღამე იყო ბნელი, ცხელი, ბალახებში ჭრიჭინები ჭრიჭინობდნენ.

ბიჭებმა ფრთხილად, ფეხაკრეფით გაიარეს ეზო და ქუჩაში გავიდნენ.

კოშკზე თორმეტი საათი ჩამოჰკრა. ქალაქ ურჟუმს ეძინა. სახლების ყველა ფანჯარა შავად მოჩანდა. პოლსტოვალოვის ქუჩის კუთხეში ფარანი დიდი ხანია ჩაქრა, — ზაფხულში ადრე აქრობდნენ.

სერგეი და სანია ბაზრის მოედნისაკენ გაემართნენ. აი, ტაძარიც, იმას იქით კი შავად მოჩანს ბაზრის მოედანი. ბიჭები მოიხარნენ და ხის ცარიელი დახლებისაკენ გაიქცნენ, სადაც საბაზრო დღეებში ჩამოსული გლეხები სოფლის საქონელს დააწყობდნენ ხოლმე — რძით სავსე კოჭობებს და კვერცხით სავსე კალათებს.

ამხანაგებმა, ჩუმად და სწრაფად დაიწყეს დახლებზე ფურცლების გაბნევა.

მოედანზე სიწყნარე იყო, მაგრამ ყოველი მხრიდან ისმოდა ხრამუნი და ფრუტუნი. თივას ღეჭდნენ გამოხსნილი ცხენები, ხოლო იქვე ახლოს ხელნაშვერილი ურმები იდგა. ურმებზე და ურმებქვეშ ეძინათ გლეხებს, რომელნიც ჯერ კიდევ გუშინ ჩამოვიდნენ ბაზრობაზე. დროგამოშვებით რომელიმე ცხენს რაღაცის შეეშინდებოდა და მიწას ფლოქვს ურტყამდა, ჭიხვინებდა.

— აჰაა, ქაჯო! — ისმოდა ურმის ქვეშიდან ნამძინარევი ხმა. გლეხები ურმებზე მოძრაობდნენ და დგებოდნენ.

სერგეი და სანია მაშინვე დაიმალებოდნენ დახლებს იქით, შრიალს ყურს უგდებდნენ და შემდეგ ისევ შეუდგებოდნენ საქმეს.

ჩქარა ყველა დახლი მოფენილი იყო თეთრი ფურცლებით.

— ჰა, მზადაა, — ჩაიჩურჩულა სერგეიმ, — ახლა ჩქარა უნდა გავიქცეთ მალმიჟის შარაგზაზე.

ისინი გაიქცნენ. მალმიჟის შარაგზა არც თუ ისე ახლოს იყო, სამუშაო კი დილამდე უნდა მოეთავებინათ.

ერთ-ერთ სახლთან, რომელსაც მაღალი მესერი და რკინის მოხარატებული ჭიშკარი ჰქონდა, სერგეი შეჩერდა. მან ამოიღო ჯიბიდან რამდენიმე ფურცელი და ერთის მოქნევით მარჯვედ გადაისროლა მაღალ მესერს იქით ბაღში. სანიამ შიშით ხელი სტაცა სერგეის. ამ სახლში ცხოვრობდა თვითონ სამაზრო პოლიციის უფროსი.

— გავიქცეთ.

სერგეიმ ხელი ჰკრა სანიას გვერდში და ორივე გაიქცა რაც ძალი და ღონე ჰქონდათ.

როცა ქუჩა უკან დარჩათ, სერგეიმ ჩურჩულით უთხრა:

— დე, იცოდნენ, რომ რევოლუციონერებს ღამითაც არ სძინავთ.

ქალაქის ბაღთან ბიჭებმა ჩექმები გაიხადეს და ურეუმკაზე ფონით გადავიდნენ, მდინარის მეორე ნაპირზე — იქვე იწყებოდა მალმიჟის გზატკეცილი. გზის ორივე მხარეზე ტყე შავად მოჩანდა.

სერგეიმ და სანიამ მიაღწიეს თუ არა შარაგზას, სადღაც უკანიდან მოულოდნელად გაისმა მოკლე, გამჭვალავი სტვენა.

თითქოს სულ ახლოს უსტვენდნენ. სერგეი და სანია თავქუდმოგლეჯილ შევარდნენ ტყეში. იქ ჩინებულად შეიძლებოდა დაჰმალოდნენ მდევარს.

პირველ სტვენას მეორე მოჰყვა, კიდევ უფრო ხმამაღალ და გამჭვალავი, და, ბოლოს, ყველაფერი მიწყნარდა.

— სდექ, — შეაჩერა სანია სერგეიმ. — სად გარბიხარ? ფურცლები უნდა მიმოვფანტოთ!

— მართალია! — თქვა სანიამ და სული მოითქვა.

ისინი გაჰყვნენ გზას და დაყარეს ფურცლები — ზოგი აქ, ზოგი იქ, ზოგი გზისპირა ბუჩქებში, ზოგი თვით გზისპირზე.

ნახევარ საათში ყველა ფურცელი მიმოფანტეს.

— უკან სხვა გზით დავბრუნდეთ, — განაცხადა სერგეიმ. — ეშმაკმა იცის, ვინ უსტვენდა. სასტვენი პოლიციისა იყო. ეგებ ფონთან დარაჯობენ!..

მას კარგად ახსოვდა სპრუდეს რჩევა სიფრთხილის შესახებ.

გზა ჭაობზე გადადიოდა. თეთრი ნისლი მიწას დაბლა დაჰფენოდა და ძნელი იყო ბილიკების შემჩნევა. ალალბედზე უნდა ეხტუნათ კოლბოხიდან კოლბოხზე. ბიჭებს ხშირად უვარდებოდათ ფეხი ჭაობის ცივ წყალში. ნაძვების ტოტები მათ ცხვირპირში ურტყამდა.

— არაფერია, შინ დავბრუნდებით და გავიშრობთ, — ამხნევებდა სერგეი ამხანაგს.

სანია ისე ხვნეშოდა, თითქოს მძიმე ტვირთს მიათრევდა.

ქალაქის ქუჩებში თენდებოდა, როცა სველი, დაღლილი, მაგრამ თავისი მუშაობით კმაყოფილი მეგობრები შინ დაბრუნდნენ. ბეღელში მათ ხარბად შეჭამეს ბებიასაგან დამზადებული პურის ყუა და მთელი კოჭობი რძე შესვეს. შემდეგ გაფინეს სველი ტანისამოსი და დაწვნენ. მაგრამ ძილის დრო უკვე აღარ იყო, დილა დგებოდა.

ქალაქში დაყრილი ფურცლების შესახებ, პირველი ცნობა პოლსტოვალოვის ქუჩაზე ბებია მელანიამ მოიტანა. ბებია ის-ის იყო ბაზრიდან დაბრუნდა, შეშინებული და გაბრაზებულიც. შავი თავსახური განზე მოჰქცეოდა, ქოშინი ავარდნოდა.

— ქრისტე მაცხოვარო, — ამბობდა ის, — წაველი ბაზარზე, ვფიქრობდი დღესასწაულისათვის ღორის ნახევარ თავსა და ფეხებს ვიყიდი ლაბასთვის მეთქი. იქ კი თითქოს საპატიმროს ეზო-

ო... ბოქაული დარბის, პოლიციის ზედამხედველი დარბის, პოლიციელები დარბიან. ხმაურობა, ყვირილი, სტვენა... რაღაც ქაღალდებს ეძებენ. ამბობენ, წუხელი მოჯანყე სტუდენტებს ქალაქში ქაღალდები დაუყრიათ, ხოლო ქაღალდებში მეფის საწინააღმდეგო სიტყვები ყოფილა დაწერილი. მერე და, სად არ დაუყრიათ ეს ქაღალდები! მალმიჟის შარაგზაზეც სავსეა, ბაზარიც და მთელი ქალაქიც... ეს კიდევ რაა! ვლადიმერ ივანეს-ძე ამბობს, სამაზრო პოლიციის უფროსის ფანჩატურში მთელი ბღუჯა იპოვესო. ქრისტე მაცხოვარო! აი რა უშიშარი ეშმაკები ყოფილან!..

სერგეიმ და სანიამ ერთმანეთს გადახედეს და გადაიხარხარეს.

— რა არის სასაცილო? რას იღრიჭებით? ასეთი ქაღალდებისათვის ხალხს ციმბირში ერეკებიან, ესენი კი იცინიან!..

მოხუცი კიდევ დიდხანს ბუზღუნებდა. მას აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ „უშიშარი ეშმაკები“ — მისი შვილიშვილი სერიოჟაა და სამარცევების სანკა და რომ მის ეზოში, აბანოს უკან, საიდუმლო სტამბაა ჩაფლული.

სერგეი მთელი დღე ისე დადიოდა, თითქოს გამოცდა ჩააბარაო.

ის ხედავდა, თუ როგორ ჩაურბინა მათ სახლს პოლიციის ზედამხედველმა — „მამლაყინწამ“. მას ვეებერთელა ქუდი ეხურა, ხელი ხმლისათვის ჩაევლო. „მამლაყინწას“ წოწოლა და ქერაულვაშა დერგაჩი მისდევდა, უკან კი ქაქანით მიდიოდა მსუქანი ბოქაული და ძლივს ეწეოდა მათ. ათი წუთის შემდეგ სამაზრო პოლიციის უფროსის ეტლმა ჩაიქროლა და პოლსტოვალოვის ქუჩაში მტვრის კორიანტელი დააყენა.

— ამოძრავდნენ! — გაიცინა სერიოჟამ. — გვიანღაა! ახლა ჩვენი ფურცლები მთელ მაზრაში დასეირნობენ.

ყველანი ჩურჩულებდნენ, ოხრავდნენ, თავს აქნევდნენ, ხელებს შლიდნენ. სერგეი და სანია დადიოდნენ ქუჩებში, ყურს უგდებდნენ საუბარს, იცინოდნენ გუნებაში. მათ ძალიან უნდოდათ ჩაერბინათ პოლსტოვალოვის ქუჩის ბოლოში და გაეგოთ, რა ისმოდა გადასახლებულებთან. მაგრამ ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, ყოველ შემთხვევაში სამი-ოთხი დღე მაინც.

საღამოს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა შაბათობით, ურეუმელები ახურებდნენ აბანოს თავიანთ ეზოში. ამ შაბათსაც დადგენილი წესი არ იქნა დარღვეული, მიუხედავად მთელი ალიაქოთისა.

ბებია მელანიამაც გაახურა აბანო. სერგეი და მისი მეგობარი წყალს ვედრებით ზიდავდნენ. ბოლოს და ბოლოს ბებიამ დაუყვირა კიდეც:

— მგონი მთელი მდინარე ამოხაპეთ. სხვებსაც დაუტოვეთ!

ბიჭებს კი ამ დღეს სიხარულისაგან ეჩვენებოდათ, რომ ისინი არამც თუ მდინარის ამოხაპვას შესძლებდნენ, არამედ მთელი ზღვისას.

ისინი გვიან საღამოს, ყველაზე ბოლოს წავიდნენ აბანოში.

სერგეი ძალიან გამხიარულდა. მან რამდენიმე გოვზაკი წყალი ზედიზედ დაასხა ღუმელის ქვებს. გავარვარებული ქვები აშიშინდა და ღუმელიდან თეთრი ცხელი ორთქლი სქლად წამოვიდა.

— კმარა! ისედაც ცხელა! შენ რა, გაგიჟდი? — დაუყვირა სანიამ, რომელიც ორთქლში არა ჩანდა.

— გცხელა? — ჰკითხა სერგეიმ და სანიას ფეხებში მთელი გოვზაკი ცივი წყალი მიასხა.

— სერიოჟა, ეშმაკის კერძო! — დაიღრიალა სანიამ.

ის სკამზე იჯდა, თავი გასაპნული ჰქონდა და გაბრაზებული იყო.

—შეგცივდა სანკა? აბა, ახლა მე შენ ცოცხით ოფლს გადენიებ!

სერგეიმ სტაცა ხელი არყის ტოტებისაგან გაკეთებულ ცოცხს და ეცა ამხანაგს, მაგრამ სანიამ მოასწრო ცივი წყლით სავსე გოვზაკის აღება და სერგეის თავზე გადაასხა.

— ახლა კი არ დაგინდობ!

სანიას მართლა შეეშინდა. სკამზე მოიკრუნჩხა და ცარიელი გოვზაკი თავის წინ ფარივით მოიმარჯვა. საპონი თვალს სწვავდა, წყალი კი არა ჰქონდა. ამის გამო ისე იჯღანებოდა, რომ სერგეის ეცინებოდა.

სერგეი ჩამოჯდა სანიას პირდაპირ სკამზე, გაუწოდა ხელი და უთხრა:

— კარგი, აგრე იყოს! შევრიგდეთ!

სანიამ ცარიელი გოვზაკი იატაკზე დადგა და თვალები სერიოჟას გოვზაკიდან ამოიბანა.

შერიგების შემდეგ ორივე მეგობარი სკამზე წამოწვა და ერთმანეთს ზურგის ბანა დაუწყეს.

ისინი დიდხანს ცელქობდნენ.

ბებია ღამით ეზოში გამოვიდა, რომ შეეხედა, ბიჭებს აბანოში ლამპის ჩაქრობა ხომ არ დაჰვიწყებოდათ.

ფანჯრიდან სინათლე ისევ გამოკრთოდა.

ბებია მივიდა აბანოსთან და უცებ მოესმა:

Люди гибнут за металл![1]
Люди гибнут за металл!
Сатана там правит бал...

ბებიამ მაშინვე გამოიცნო სერგეის ძლიერი, წკრიალა, მჭექარე ხმა. სერგეი მღეროდა. მისი მეგობარი კი ბანს აძლევდა ყრუ ხმით:

Правит бал, правит бал, правит бал...[2]

ბებიამ შეიხედა ფანჯარაში და ხელებიც კი გაშალა გაკვირვებით.

ამხანაგები სკამზე ისხდნენ, გოვზაკების ფსკერს მუშტებს ურახუნებდნენ და შეხმატკბილებულად მღეროდნენ:

Сатана там правит бал!..[3]

—როგორ სიმღერას მღერიან ღამით და ისიც აბანოში. ფუ!— დააფურთხა ბებიამ და ფანჯარაზე მიარახუნა.

— წადით დასაძინებლად, თქვე მეღამიებო!

რამდენიმე წუთის შემდეგ სინათლე ჩაქრა აბანოში. ორმა აჩრდილმა სწრაფად გაირბინა ეზოში და ბეღლის კარი მიიხურა.

იმ ღამეს სერგეის და სანიას მკვდარივით ეძინათ.

---

[1] ადამიანები ოქროსთვის იღუპებიან!
ადამიანები ოქროსთვის იღუპებიან!
იქ, სატანა მართავს მეჯლისს...

[2] მართავს მეჯლისს, მართავს მეჯლისს, მართავს მეჯლისს...

[3] იქ სატანა მართავს მეჯლისს!..

* * *

მთელი ზაფხული სიცხე იდგა, შუა აგვისტოშიაც მზე მაგრად აჭერდა. ის-ის იყო ვაშლი მწიფდებოდა, სერგეი კი უკვე ყაზანს უნდა გამგზავრებულიყო. სამრეწველოში სწავლა თხუთმეტ აგვისტოს იწყებოდა.

გამგზავრების წინა დღით, გვიან საღამოს, სერგეი წავიდა გადასახლებულებთან გამოსამშვიდობებლად. პოლსტოვალოვის ქუჩაზე რომ მიდიოდა, მან ჯერ კიდევ შორიდან დაინახა, პატარა სახლის ფანჯრებში ბნელოდა.

„ეგებ ისინი ყველანი ეზოში სხედან?“ გაიფიქრა სერგეიმ და მივიდა უფრო ახლოს.

დაბალ წაფერდებულ პარმაღზე ვიღაც იჯდა და თამბაქოს სწევდა. პაპიროსი ანათებდა თეთრი პერანგის ნაწილსა და პატარა წვერს. ეს ქრისტეფორე სპრუდე იყო.

— ჩვენები თევზაობენ... დაჯექით! — უთხრა მან და გაიწია.

სერგეი პარმაღზე ჩამოჯდა.

— ხვალ მივდივარ, — გამოსამშვიდობებლად მოვედი.

— ჰო, მაშ მოიცადეთ. ჩვენები, ალბათ, მალე დაბრუნდებიან. გინდათ მოსწოოთ?

ორივემ გააბოლა.

ისეთი სიჩუმე იყო, რომ ყოველი ხმადაბლა თქმული სიტყვა მთელ ქუჩაში ისმოდა.

პოლსტოვალოვის ქუჩის მეორე ბოლოს, ძველმორწმუნე პრონკის სახლის ჭიშკართან, ვიღაც იჯდა და ნელი ხმით მღეროდა: სიმღერა სევდიანი იყო და ჰანგი თითქოს საეკლესიო.

Поздно-поздно вечерами,[1]
Как утихнет весь народ,
И осыплется звездами
Темносиний небосвод.

სიმღერა მალე შეწყდა.

---

[1] გვიან საღამოთი, როცა ხალხი დაწყნარდება და ცისა ლურჯ კამარაზე ვარსკვლავები დასხდებიან.

სახლებში ერთი მეორეზე ჰქრებოდა სინათლე. უფრო მეტი სიწყნარე ჩამოდგა და მეტად დაბნელდა. სერგეის მოეჩვენა, თითქოს ის სადღაც შუა მინდორში ზის ვიღაც თანამგზავრთან. სიბნელეში მეზობელი სახლები თივის ზვინსა ჰგვანდა.

— წყნარი ქალაქია, — თქვა სპრუდემ, — მესამე წელია, რაც ჩვენ აქ გადმოგვასახლეს.

— მანამდე სად ცხოვრობდით?

— რუსეთი დიდია. სად არ ვყოფილვარ... მიცხოვრია პეტერბურგშიც, მოსკოვშიც, დონზეც, ურალზეც, ყაზანშიც.

— კარგი ქალაქია ყაზანი, ხომ? — ჰკითხა სერგეიმ.

— ქალაქი ცუდი არაა, ხალხიც კარგია. მე იქ ახლაც მყავს ერთი ამხანაგი, სტუდენტი. ეგებ შეიაროთ მასთან? მასთან ბევრი ხალხი იკრიბება, — სტუდენტები, სემინარიელები, მუშები...

— სიამოვნებით!.. — თქვა სერგეიმ აჩქარებით. — ოღონდ ისინი...

— რა ისინი! იმათ ოღონდ უთხარით, ქრისტეფორემ გამომგზავნათქო და ძველ მეგობარსავით მიგიღებენ.

სპრუდემ სერგეის ყურში ჩასჩურჩულა:

— რადგან თქვენ ფურცლები ჰექტოგრაფზე დაბეჭდეთ და ღამით მიმოფანტეთ, მაშასადამე, შეიძლება თქვენი რეკომენდირება... ოღონდ გახსოვდეთ, — ერთი რამ არ დაივიწყოთ: ჩვენს საქმეში საჭიროა... როგორ გითხრათ უფრო მოკლედ? საჭიროა, რომ გული გქონდეთ ცხელი, ხოლო თავი კი ცივი.

თავი ოცდამეჩვიდმეტე

უკანასკნელი წელი ყაზანში

1903 წელს სერგეიმ პრაქტიკანტად დაიწყო მუშაობა კრესტოვნიკოვებთან, სწორედ იმ ქარხანაში, რომელიც თავისი სწავლის პირველ წელს ინახულა ყაზანში.

ახლა ის აკიმიჩის სიტყვიდან და გაკვრით კი აღარ იცნობდა ტუტისა და გაფუჭებული ცხვრის ქონის სუნით გაჟღენთილ სამქროებში დუხჭირსა და უღიმღამო ცხოვრებას. თერთმეტი საათის განმავლობაში არ შორდებოდნენ მუშები სიმჟავით სავსე როფებსა და ადუღებულ ქვაბებს, სადაც განთქმული ყაზანის საპონი იხარშებოდა.

კრესტოვნიკოვებთან ბევრი თათარი მუშაობდა. სერგეი ხედავდა, თათრები ოფლში როგორ იღვრებოდნენ და როგორ მიათრევდნენ გუდრონის ქონით დატვირთულ ბადიებს. ჯოხზე ქანაობდა მრავალფუთიანი ბადია, რომელიც გადამზიდველთ მხრებს ულურჯებდა. ისინი ზოგჯერ ერთი დღის განმავლობაში სამასოთხას ფუთს გადაზიდავდნენ ზურგით.

გადამზიდველებს, ყოველთვის სიმაღლის მიხედვით შეარჩევდნენ — ახალგაზრდებსა და ღონივრებს. საშიშარ სამუშაოზედაც, ბოთლებიდან როფებში სიმჟავის გადასასხმელად, თათრები იყენენ. მათ ყველას ხელი და ფეხი დაწყლულებული და დამწვარი ჰქონდათ. ამ საშინელი და საშიშარი სამუშაოსათვის მათ თვეში რვა მანეთიდან თვრამეტ მანეთამდე აძლევდნენ, მხოლოდ ისინი მუშაობდნენ მთელი დღე, ან მთელი ღამე...

როცა ხალათ გაზეთილი და დაღლილი სერგეი ქარხნიდან შინ ბრუნდებოდა, გადაიცვამდა და მაგიდასთან სასწავლებლის ნახაზებს მიუჯდებოდა, მის ყურებს კიდევ დიდხანს ესმოდა საქვაბო

განყოფილების გუგუნი, ჯალამბრების გრიალი, ოსტატების გინება და მტვირთავ თათართა გულის გამაწვრილებელი შეძახილები.

სერგეი მუშაობდა გვიან ღამემდე და თეთრ ფურცელს ავსებდა გაუმჯობესებული მანქანების, ქვაბებისა და ძრავების კონტურებით. ის ხაზავდა და ფიქრობდა კრესტოვნიკოვების ქარხნის შეხუთულ და ჭუჭყიან საამქროებზე, სადაც ასეთი ქვაბებისა და ძრავების ჭაჭანებაც არ იყო, სადაც ძველებურად მუშაობდნენ, ისევე, როგორც ორმოცდაათი წლის წინათ, როცა ქარხანა დაარსდა.

მუშების კატორღულ ცხოვრებას რომ გაეცნო და ჩაუკვირდა, სერგეიმ იმ წელს ურეუმში ასეთი წერილი გააგზავნა:

„...მაგალითად, აქ არის კრესტოვნიკოვების ქარხანა (ხომ იცით, არის კრესტოვნიკოვების სანთლები), აქ მუშები დღე და ღამე მუშაობენ და მთელი წლის განმავლობაში არავითარი უქმე არა აქვთ, ხოლო თუ შეეკითხებით, რატომ მუშაობენ ისინი უქმე დღეებში, გიპასუხებენ: „ჩვენ რომ თუნდაც ერთი დღე არ ვიმუშაოთ, სტეარინი და ქონი გაგვიცივდება და საჭირო იქნება ხელახლა გაცხელება. ამაზე კი ორმოცდაათი მანეთი დაიხარჯება, შეიძლება ასიც“. მაგრამ მითხარით, რა დააკლდება მეფაბრიკეს ან მექარხნეს ასი მანეთის დაკარგვით? სრულიად არაფერი. დიახ, ამას რომ ჩაუფიქრდე, ასე იტყვი: რატომაა, რომ ერთი ნებივრობს, არაფერს აკეთებს, მეორე კი არასოდეს არ ისვენებს და საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობს? რატომაა ასე, როგორ ფიქრობთ?“..

ამ წერილს როცა წერდა, სერგეი ჩვიდმეტი წლისა იყო. ის თვალ ღიად უყურებდა გარემოს და ბევრს ხედავდა. დასანახი კი ბევრი იყო.

მთელი ქვეყანა ჰგავდა დენთის საწყობს, რომელსაც ყოველი მხრიდან ცეცხლმოკიდებული პატრუქი ჰქონდა შემოვლებული. ახლოვდებოდა ცხრაას ხუთი წელი. ხან აქ, ხან იქ იფეთქებდა გაფიცვა.

ყრუ ხმები დადიოდა, არმიაშიც ყველაფერი რიგზე არ არისო. ჯარისკაცებსა და მეზღვაურთა შორის ხშირად პოულობდნენ საამბოხო ფურცლებს. ეტყობოდა, რომ ჯარისკაცებს მოსწყინდათ კბილებში ცემა და ვარჯიში.

საპყრობილეებში საკნები სავსე იყო. თითო კაცის საკნებში ორ-ორი იჯდა. „მოჯანყეთა“ რიცხვი ყოველწლიურად მატულობდა. ყველგან იყვნენ ისინი — ქარხნებშიც, არმიაშიც, სტუდენტურ ახალგაზრდობაშიაც. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდება ისმოდა ფურცლებსა და პროკლამაციებში, ფარულ კრებებზე და აშკარა გამოსვლებზე ქუჩებში.

ასე იყო მთელ მეფის რუსეთში, ასე იყო ყაზანშიაც. 1903 წლის 21 იანვარს ქალაქში გააკრეს და მოფანტეს პროკლამაციები. ფურცლები გავრცელდა ალაფუზოს, კრესტოვნიკოვის, სვეშნიკოვების, დენთის და ლუდის სახდელ ქარხნებში. შეფრინდნენ ისინი სახელოსნოებსა და სტამბებშიც.

გუბაიდულინის მაუდის ქარხანაშიაც კი, რომელიც ქალაქიდან თხუთმეტი ვერსით იყო დაშორებული, გაჩნდა საამბოხო ფურცლები. პროკლამაციები რუსულსა და თათრულ ენებზე იყო დაბეჭდილი. პროკლამაციაში ნათქვამი იყო:

„...ჩვენ უნდა გავერთიანდეთ — შევიდეთ მუშა-მებრძოლთა ოჯახში, რომელსაც ჩვენში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ეწოდება“.

„ჩვენ—ყაზანის შეგნებული მუშები უკვე შევედით ამ პარტიაში და მოვუწოდებთ ყველა ჩვენს ამხანაგებს შემოგვიერთდნენ ჩვენ. მაშ, კარგად მოიფიქრეთ ეს, ამხანაგებო! შეკავშირდით სალაროებში, წრეებში, კავშირებში! გამოგვიწოდეთ თქვენი დაკოჟრილი ძმური ხელი და გავსწიოთ მედგრად წინ, ბრძოლისაკენ, ყველა შეურაცხყოფილთა და დაწიხლულთან ერთად, ჩვენს დამჩაგვრელთა და მყვლეფელთა წინააღმდეგ!“.

ასეთი ფურცლები გაკრული იყო ბოძებზე, სახლებზე, ღობეებზე. დღის თორმეტ საათზე პოლიცია მოედო მთელ ქალაქს და ფურცლების განადგურებას შეუდგა, მაგრამ ფურცლები „სინიდისიერად“ იყო დაწებებული და მათი აგლეჯა ძნელი იყო. პოლიციელებმა ხმლები მოიმარჯვეს და კედლებიდან ამბოხებას ფხეკდნენ. მათ ფეხებში წამდაუწუმ ტრიალებდნენ თათრის პატარა ბიჭები, რომლებიც ხალხს სწორედ ასეთ ფურცლებს ურიგებდნენ, თითქოს ეს სრულიად ჩვეულებრივი ყოველდღიური გაზეთები

ყოფილიყოს. პოლიციელებმა არ იცოდნენ პირველად რა ექნათ: დაეჭირათ ეშმაკუნა-ბიჭები, თუ კედლებიდან ფურცლები ჩამოეფხიკათ.

თითქმის ყოველ თვეს ქალაქის ხან ერთ, ხან მეორე რაიონში პოლიცია გარეკავდა ხოლმე დემონსტრაციას.

26 ოქტომბერს, ყაზანში მოკვდა პატიმარი სტუდენტი, სოციალ-დემოკრატი სიმონოვი. ორი თვე დაჰყო მან საპატიმროში და ოთხი თვე სამხარეო ფსიქიატრულ საავადმყოფოში. საავადმყოფო საპატიმროზე უარესი აღმოჩნდა. სტუდენტი განგებ მოათავსეს იმ განყოფილებაში, სადაც ყველაზე ბინძური სულით ავადმყოფნი იყვნენ მოთავსებული. მას აღუკვეთეს სეირნობა და საავადმყოფოს ეზოშიაც კი არ უშვებდნენ. ის ოთხი თვე სუნთქავდა შეხუთულ ჰაერს, მას კი ჭლექი ჰქონდა.

ის იწვა საავადმყოფოში, მაგრამ მას არავინ მკურნალობდა. ექიმი მასთან არც კი შეიხედავდა. სამაგიეროდ მასთან ყოველდღე დადიოდნენ ჟანდარმები და გამომძიებლები. ისინი ცდილობდნენ დაეტყუებინათ მომაკვდავი სიმონოვისათვის იმ ადამიანთა სახელები, რომელნიც მასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ ორგანიზაციაში.

და, აი, სიმონოვი მოკვდა.

სტუდენტებისა და მუშების დიდი დემონსტრაცია გაიმართა ამ მკვლელობის საპასუხოდ. სიმონოვი სასაფლაოზე წითელი გვირგვინებითა და რევოლუციონური სიმღერებით გააცილეს. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, 5 ნოემბერს, ყაზანის უნივერსიტეტის წლისთავზე, სიმონოვის მოსაგონად მოეწყო მეორე დემონსტრაცია, რომლის მსგავსი ყაზანში ჯერ არ ენახათ. პოლიციამ სტუდენტები და მუშები შათრახის ცემით გარეკა. ოცდათხუთმეტი სტუდენტი დააპატიმრეს.

5 ნოემბრის დემონსტრაციაში სხვა მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად სამრეწველო სასწავლებლის მოწაფეებიც მონაწილეობდნენ.

დიდხანს ღელავდა ყაზანის ახალგაზრდობა ამ სამახსოვრო დღის შემდეგ. ხშირად უნივერსიტეტის აუდიტორიებში და კერძო ბინებზე კრებები ეწყობოდა.

ქარხნებსა და ფაბრიკებში სულ უფრო და უფრო მეტი ეწყობოდა ფარული, არალეგალური წრეები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ სოციალ-დემოკრატი სტუდენტები.

ის სტუდენტიც, რომელთანაც ოდესღაც ქრისტეფორე სპრუდემ გააგზავნა სერგეი, სოციალ-დემოკრატი იყო და წრეს ხელმძღვანელობდა.

მას უბრალოდ ვიქტორს ეძახდნენ, იგი უბრალო და მხიარული ჭაბუკი იყო. მის უულვაშო, ბავშვურ-დამცინავ სახეს რომ შეხედვით, ვერ დაიჯერებდით, რომ ის ოცდაათი წლისა იყო. მხოლოდ, ოდესღაც ლურჯი, აწ გახუნებული და გალიბრებული ქუდის მიხედვით, შეგეძლოთ გეცნოთ მასში ძველი სტუდენტი.

სერგეი მასთან ხანდახან შეივლიდა, მთელ საღამოს დარჩებოდა, კამათობდა, სვამდა ჩაის და როცა შინ ბრუნდებოდა თან მოჰქონდა ფარაჯის ქვეშ შემალული ბროშურები, გაზეთები და ზოგჯერ დიდტანიანი წიგნიც.

ერთხელ საღამოს, სიმონოვის დასაფლავებიდან ცოტა ხნის შემდეგ, სერგეიმ ვიქტორს გაუარა.

— სწორედ რომ თქვენ მჭირდებით, — უთხრა ვიქტორმა. — ეგებ მირჩიოთ რამე.

სერგეი დაჯდა ძველ, ჩაწეულ სავარძელში, სტუდენტი კი ბოლთას სცემდა ოთახში, პაპიროსს აბოლებდა და ეტყობოდა, რაღაცაზე ფიქრობდა.

შემდეგ ის ახლოს მიუჯდა სერგეის.

— ყური მიგდეთ, — უთხრა მან, — შეიძლება თუ არა თქვენთან მექანიკურში რამეს გაკეთება ისე, რომ უფროსებმა ამაზე არაფერი გაიგონ?

— მაინც რაა საჭირო? — პირდაპირ ჰკითხა სერგეიმ. — თქვენ ალბათ, არც ჰიდრავლიკური წნეხი გაინტერესებთ და არც კარაკინები.

ვიქტორს გაეცინა.

— წნეხი არა, მაგრამ ამდაგვარი რამ კი. იცით, რაშია საქმე?.. ჩვენ რაღაც უნდა დავბეჭდოთ. სასწრაფოდ. დიდი რაოდენობით. ჰექტოგრაფით კი შორს ვერ წავალთ. ჰოდა, არ შეგიძლიათ რამე

გამოიგონოთ? პატარა რაიმე დაზგა ან ლილვიანი საამწყობო კოლოფი. შრიფტი გვაქვს — სტამბის მუშებმა გვიშველეს.

სერგეი ჩაფიქრდა.

— რა უყოთ, უნდა მოვისაზროთ... კოლოფი — არაა ძნელი საქმე. მაგრამ ეს ხომ ცოტათი სჯობია ჰექტოგრაფს. ორ-სამ ასეულ ფურცელს დაბეჭდავთ და გათავდა...

— აბა, რა ვქნათ? — გაშალა ხელები ვიქტორმა, — ტიმოფეევის სტამბაში, ბრლშაია პროლომნაიაზე რომაა, ერთდროულად ათი ათასი ცალის დაბეჭდვაც შეიძლება, მაგრამ იქ ჩვენს შეკვეთას არ მიიღებენ...

— მოიცათ, — თქვა სერგეიმ. — მე ერთი აზრი მომივიდა თავში.

— აბა, აბა?

— ჩვენთან მექანიკურ სახელოსნოში ამჟამად ერთი ნივთის შეკეთებაზე მუშაობენ, ეს ნივთი გამოგვადგებოდა ამ საქმისათვის. ტიმოფეევისაზე ნაკლები არ იქნება, მაგრამ ბევრად პატარაა.

— ეს დიდებული იქნებოდა, — თქვა ვიქტორმა და ადგა.

სერგეიც ადგა.

— ჰოდა, მე ვეცდები გიშოვოთ ის და გადმოგცეთ. ის ჩვენთან, რომელიღაც ბრმათა დამხმარე საზოგადოებიდან გამოგზავნეს. მაგრამ, მე ვფიქრობ, ის ახლა თვალხილულებს უფრო ესაჭიროება... ოღონდ უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ მოვაწყოთ ყოველივე ეს.

— ჩინებულია, — თქვა ვიქტორმა. — ხვალ მე ამის შესახებ, ჩემიანებს ვაცნობებ, თქვენ კი მეტყვით როგორაა საქმე. საღამოს ქალაქის თეატრში მოდით. იქ შევხვდეთ ერთმანეთს.

ეს საუბარი 13 ნოემბერს მოხდა. 15 ნოემბრისათვის კი სერგეის იმედი ჰქონდა, თავისი დაპირება შეესრულებინა.

მაგრამ 14 ნოემბერს მოხდა ამბავი, რომელმაც ამ საქმეს მოულოდნელად შეუშალა ხელი.

თავი ოცდამეთვრამეტე

ჯანუი სკოლაში

14 ნოემბერს ყაზანის ქალაქის თეატრში ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ მოეწყო წარმოდგენა-კონცერტი. კონცერტში თვითონ სტუდენტები მონაწილეობდნენ.

ჯერ კიდევ კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე ქალაქში ლაპარაკობდნენ, სტუდენტების კონცერტი უეჭველად დემონსტრაციით დამთავრდებაო.

თეატრის ძლიერ განათებულ სადარბაზო კარებთან წამდაუწუმ მოდიოდა ახალგაზრდობა. ფართო საფეხურების წინ აუჩქარებლად, ბაჯბაჯით მიმოდიოდნენ პოლიციელები. დღეს ისინი განსაკუთრებით ბევრნი იყვნენ. ეტყობოდა, პოლიცმეისტერს გაძლიერებული დაცვა გამოეგზავნა.

სამი ამხანაგი — სერგეი კოსტრიკოვი, ასეევი და იაკოვლევი — მიადგა თეატრს. ამხანაგებმა მიმოიხედეს იქით-აქეთ. მათ არ ჰქონდათ დირექტორის ნებართვა, თეატრში შესვლა კი ამ ჯერზე აუცილებელი იყო.

ამხანაგები უკვე მზად იყვნენ კარში შესაპარავად, რომ უცებ ორი-სამი ნაბიჯის მანძილზე გაიძვერა და ყველგანმყოფი ზედამხედველი მაკაროვი დაინახეს. მაკაროვი იდგა, ხელები უკან დაეწყო და მათ პირდაპირ უყურებდა. გაქცევა გვიანღა იყო. სამი მოწაფე რომ შეამჩნია, ზედამხედველმა თვალი მოჭუტა და, ეტყობოდა, რაღაც უნდოდა ეთქვა. მაგრამ ასეევმა დაასწრო:

— გამარჯობა, პანფილ ნიკიტიჩ! დღეს ჩვენ ბატონმა ინსპექტორმა სამაგალითო ყოფაქცევისათვის თეატრში გამოგვიშვა.

ამხანაგებმა არც კი აცალეს ზედამხედველს გონს მოსვლა, ისე შეეიდნენ სადარბაზო კარებში.

ნაძვის წნულებით გალამაზებულ ფოიეში სამხედრო სასულე-ორკესტრი უკრავდა. კიოსკებში სტუდენტი ვაჟები და ქალები ყვავილებსა, პროგრამებსა და კონვერტებს ჰყიდდნენ. დღეს თეატრში ყაზანის თითქმის მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა შეგროვდა. სტუდენტების ქურთუკებს შორის მხოლოდ აქა-იქ გამოჩნდებოდა შავი სამოქალაქო სერთუკები და ქალების მორთული კაბები. თითქმის ყველას მკერდზე მიბმული ჰქონდა „ამურის ფოსტის“ ნუმრები.

სერგეი, ასეევი და იაკოვლევი დიდხანს დახეტიალობდნენ ფოიეში, ხალხში. ისინი ვიქტორს ეძებდნენ. უცებ სერგეისთან გრძელნაწნავებიანმა გიმნაზიელმა ქალმა მიირბინა. მხარზე ცისფერი ლენტით გადაკიდებული ჰქონდა ჩანთა წარწერით: „ამურის ფოსტა“.

— თქვენ ხართ ნუმერი 69? — ჰკითხა მან ღიმილით. — თქვენთან წერილია.

სერგეიმ გახსნა პატარა იასამნისფერი კონვერტი და დაინახა მსხვილი, გაკრული ხელით დაწერილი სამი სტრიქონი.

„მწყურია თქვენთან პაემანი. მოუთმენლად გელით დერჟავინის სკვერში კონცერტის შემდეგ. შესასვლელიდან მესამე სკამი მარჯვნივ“.

წერილი ვიქტორისაგან იყო.

ვერც კი მოასწრო სერგეიმ იასამნისფერი კონვერტის ჩადება ჯიბეში, რომ ასეევმა წასჩურჩულა:

— შიროკოვი, შიროკოვი! შეხედე, შიროკოვი მოდის.

ამხანაგებმა მოიხედეს და დაინახეს მთელი სასწავლებლის რისხვა — ინსპექტორი შიროკოვი, ალექსი საბას-ძე. ის შემოდიოდა ფოიეში სადღესასწაულო და სადარბაზო იერით, მას ერთი ორდენი კისერზე ეკიდა, და ერთიც მკერდზე. მის უკან მოცუნცულებდა თვალმოჭუტული და კისერწაგრძელებული ზედამხედველი მაკაროვი. ამხანაგებმა ერთმანეთს გადახედეს და საჩქაროდ გავარდნენ დერეფანში. მაგრამ ახლა მათ ვეღარ შესძლეს, მაკაროვს გაჰპარვოდნენ.

მაკაროვმა სტაცა ხელი სერგეის სახელოზე და ბრაზით უთხრა:

— სირცხვილია, ბატონებო, ტყუილის თქმა, სირცხვილი. ბატონ ინსპექტორს აზრადაც არ მოსვლია თქვენთვის ნებართვის მოცემა. გთხოვთ, ამ წუთსვე დატოვოთ თეატრი და წაბრძანდეთ შინ.

სერგეიმ და მისმა ორმა ამხანაგმა უხმოდ დაუკრეს თავი და წავიდნენ ტანისამოსის გასახდელ ოთახში. იქ ისინი რამდენიმე წუთს იდგნენ საკიდთან, შემდეგ კი ისევ ავიდნენ მაღლა.

კონცერტი უკვე დაწყებული იყო.

მთელი ხალხი მაყურებელთა დარბაზში იყო. მხოლოდ რამდენიმე დაგვიანებული მაყურებელი იდგა კარებთან შეჯგუფებული. დარბაზიდან როიალის გუგუნი და ვიოლინოს წვრილი ხმა ისმოდა. შემდეგ მთელ დარბაზში გაისმა ერთსულოვანი ტაში, ვიღაცამ დაიძახა „ვაშა"; სტუდენტმა-განმკარგულებელმა, რომელსაც მკერდზე საუცხოო როზეტი ჰქონდა, დარბაზში დაგვიანებული ხალხი შეუშვა.

ამ დროს სცენაზე გამოვიდა მეორე სტუდენტი, ამასაც როზეტი ჰქონდა მკერდზე, და ხმამაღლა გამოაცხადა:

— ბალმონტის „მომაკვდავი გედი". შეასრულებს ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტი პავ-ლოვ-სკი. როიალთან მოსკოვის კონსერვატორიის მოწაფე ქალი ფელდმანი.

კულისებიდან გამოვიდა წვრილტანიანი ქალიშვილი, რომელსაც შავი, მოქარგული თხელი კაბა ეცვა. მას მოსდევდა ქერა, მხარბეჭგანიერი სტუდენტი, რომელსაც თავი გამომწვევად ჰქონდა უკან გადაწეული. ფორმის სერთუკი მოჯაჯულად ეცვა, ეტყობოდა, სერთუკი ნათხოვარი იყო.

ქალიშვილი მიუჯდა როიალსა და წვრილი ხელები კლავიშებზე აათამაშა. სტუდენტი სცენაზე წინ წამოდგა, ახალგაზრდებით სავსე დარბაზს გადახედა და სწორი, ძლიერი და ლაღი ხმით დაიწყო:

„...ზღვის ჭაღარა ზედაპირზე
ქარი ღრუბლებს ერეკება...[1]

დარბაზში ნელი ჩურჩული გაისმა.

---

[1]. „გრიგალს" თარგმანი ეკუთვნის პოეტ ვ. გორგაძეს.

ხმა სცენიდან კი უფრო ძლიერად და ბრძანების კილოთი გაისმა:

ბნელ ღრუბლების და ზღვის შუა
ჩაშავებულ ელვის მსგავსად
მედიდურად ჰქრის გრიგალა...
ის ხან ტალღას ფრთით ეხება,
ხან, ცად ისრად ატყორცნილი,
მკვეთრად ჰყივის და მისი ხმა
გულს უძგერებს ღრუბლებს შვებით
ეს გრიგალას წყურვილია.
რისხვის ძალა, ვნების ალი,
გამარჯვების მტკიცე რწმენა.
ამ ყოველში ესმის ღრუბლებს.

სტუდენტი ერთ წუთს შეჩერდა და უცებ, მის საპასუხოდ, ზევით, ქანდარაზე ტაში დაუკრეს.

თოლიები ქარიშხლის წინ
კვნესენ, ძრწიან შიშით ზღვაზე,
და მის ფსკერზე მზად არიან
გადამალონ თავის ძრწოლა.
ზღვის იხვებიც კვნესენ ზარით.
მათთვის მიუწვდომელია
ამ ცხოვრების ბრძოლის სიტკბო.
მათ აშინებთ მეხის ტეხა.

ვიღაცამ თავდახრილად, შეშინებულად და სწრაფად გაირბინა დარბაზში....

და პინგვინიც უგუნური
მსუქან სხეულს კლდეში მალავს,

პოლიცმეისტერის ლოჟიდან ხრინწიანი ყვირილი მოისმა:

— ფარდა! შეწყვიტეთ უმსგავსობა!

მსხვილი, თვალებდაჭყეტილი პოლიცმეისტერი ბარიერს გადაყრდნობოდა და ვიღაცას კარებში თეთრ ხელთათმანს უქნევდა.

ხალხი წამოცვივდა თავისი ადგილებიდან და მიაწყდა რამპას. მოისმა სტვენა, დეზების ალელვებული ყღარუნი, მაგრამ ფარდა არ ეშვებოდა. სტუდენტი კი უკვე ზედ რამპის პირას იდგა და მაქ-

სიმ გორკის ლექსს „გრიგალას“ კითხულობდა — სრული, ძლიერი ხმით, რომელიც მთელი დარბაზის ხმაურს ჰფარავდა:

გრიგალა კი მედიდური,
ამაყად და თავისუფლად
ჰქრის ჰაღარა ზღვის სივრცეში.
ქარიშხალი ჩქარა დაპბერს!
ეს მამაცი გრიგალაა —
ლაღად რომ ჰქრის ელვათ შორის
გაშმაგებულ ზღვის სივრცეში:
მძლავრად ჰქუხდეს ქარიშხალ!

უკანა რიგებში მრავალმა ათეულმა ახალგაზრდა ხმამ გაიმეორა უკანასკნელი სიტყვები:

— მძლავრად ჰქუხდეს ქარიშხალი!

ფარდა ნელ-ნელა დაეშვა. ხალხი მიაწყდა გასასვლელს. ბრბოში გაჭყლეტილი სკოლის ზედამხედველი მაკაროვი გაუბედავად მიძვრებოდა გასასვლელ ოთახისაკენ, ამ დროს კიბის საფეხურებზე მხიარული ხტუნვა-ხტუნვით მას გვერდით ჩაურბინა ყაზანის სამრეწველო სასწავლებლის სამმა მოწაფემ — კოსტრიკოვმა, ასეევმა და იაკოვლევმა.

სერგეი თეატრიდან პირდაპირ დერჟავინის სკვერისაკენ გაემართა დათქმულ პაემანზე. შინ გვიან დაბრუნდა.

* * *

მეორე დილას, როგორც ყოველთვის, ამხანაგები სასწავლებლისკენ გაემართნენ.

ასეევი და იაკოვლევი ტანისამოსის გასახდელ ოთახში დაბანდნენ, სერგეი კი, რომელსაც იღლიაში თავისი ნახაზები ჰქონდა, კლასში წავიდა. კარებთან მას ზედამხედველი მაკაროვი შეხვდა.

— კოსტრიკოვ, — უთხრა მან მშვიდად და თითქოს ზანტადაც — კეთილინებეთ და მიბრძანდით კარცერში.

კარცერი წარმოადგენდა ბნელ გრძელ ოთახს, რომელიც დერეფნის ჩიხსა ჰგავდა. აქ ციოდა და ობის სუნი იდგა. ხუთი წუთის შემდეგ იქვე მოიყვანეს ასეევი და იაკოვლევი. ვერ მოასწრო ზე-

დამხედველმა გასაღების გადატრიალება ბოქლომის ჭუჭრუტანაში, რომ იაკოვლევმა სიმღერა დაიწყო:

სალამი შენდა, სავანევ წმინდა.

კარცერში ამხანაგები თორმეტი საათი უნდა მჯდარიყვნენ, არც მეტი, არც ნაკლები — დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე.

მათ გადაწყვიტეს არ მოეწყინათ.

ჯერ ფეხები დაუშინეს კარებს, თითქოს დოლს უკრავენო, შემდეგ ჭიდაობა დაიწყეს, შემდეგ ოთურმის თამაშსაც შეეცადნენ, ბოლოს სიმღერა დაიწყეს:

Сижу за решеткой в темнице сырой,[1]
Вскормленный в неволе орел молодой...

ხელს არავინ უშლიდათ. კარცერის კარის იქით დერეფანში სიჩუმე იყო, თითქოს სკოლის ზედამხედველები ამოწყდნენო.

საღამოს, როცა სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში მეცადინეობა გათავდა, პატიმრები გაათავისუფლეს და წინადადება მისცეს არ გამოცხადებულიყვნენ სასწავლებელში განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

მეორე დღეს კი სასწავლებელში ხმა დაირხა, კოსტრიკოვს, ასეევს და იაკოვლევს სკოლიდან ითხოვენო. დიდი დასვენების ზარის შემდეგ გრძელ პირქუშ დერეფანში აღელვებით დაიწყეს სირბილი მოწაფეებმა.

— სააქტო დარბაზში... ყველა სააქტო დარბაზში!

— დირექტორი მოვიდეს! ინსპექტორი მოვიდეს!

— გააუქმეთ დათხოვნა!

— დასტოვეთ სასწავლებელში კოსტრიკოვი, ასეევი და იაკოვლევი!

სკოლის ხელისუფალნი დაფაცურდნენ. ჯერ არასოდეს მომხდარა სასწავლებელში ასეთი ამბავი.

---

[1] ვზივარ ცხაურს იქით, ნესტიან საპყრობილეში, ტყეობაში აღზრდილი ახალგაზრდა არწივი...

შეშინებული ზედამხედველები მოწაფეებს ხელს ჩაავლებდნენ ქურთუკებში და ძალად ერეკებოდნენ კლასებში, თან სხაპასხუპით იმეორებდნენ.

— დამშვიდდით, ბატონებო, დამშვიდდით! ხვალ დილით ყველაფერი მოეწყობა. უეჭველად მოეწყობა. დირექტორი გესაუბრებათ და, ცხადია, ყველაფერი გამოირკვევა და მოეწყობა.

როგორც იქნა ზედამხედველებმა შესძლეს მოწაფეების შეტყუება და კლასებში შერეკვა. მეცადინეობა როგორც იქნა ბოლომდე მიათრიეს.

მესამე კლასელების მთელი ჯგუფი სასწავლებლიდან პირდაპირ რიბნორიადსკის ქუჩაზე გაემართა ასეევთან, კოსტრიკოვთან და იაკოვლევთან.

პატარა ვიწრო ოთახში ისინი ჩამოსხდნენ საწოლებზე, ტახტებზე, მკერავის ვეებერთელა მაგიდაზე და დაიწყეს მდგომარეობის შეფასება:

— დაითხოვენ! — ამბობდნენ ერთნი. — თუ შიროკოვმა რამე გადაწყვიტა, თავისას უეჭველად გაიტანს.

— არა, — უპასუხებდნენ მეორენი,—დადგენილება ამაზე ჯერ არ ყოფილა.

— რომელი დადგენილება?

— რომელი და პედაგოგიური საბჭოსი. ხომ არ შეუძლიათ საბჭოს გარეშე დათხოვა? ეს სულ ლაყბობაა.

— ლაყბობაა თუ სხვა რამე, არ ვიცი, მაგრამ, აბა, გაბედონ გამორიცხვა. დღეს ხომ ნახეთ რა დაიწყო სასწავლებელში? ხვალ კი ნახე, რა მოხდეს. აი ტომსკის სემინარიაში ორი თვის წინათ უნდოდათ ერთი ბიჭის გაგდება, მაგრამ ბიჭებმა ფანჯრები ჩალეწეს, მავთულები გადასჭრეს და თვითონ ინსპექტორიც, ამბობენ, მიბეგვესო. ჩვენც იმასვე ვიზამთ.

მესამე კლასელები კიდევ დიდხანს დავობდნენ და ღელავდნენ,— მაგრამ აქ სერგეი ჩაერია.

— აი რა, ბიჭებო. ხვალ ჩვენ, თითქოს არაფერი მომხდარაო, მოვალთ გაკვეთილებზე. მერე ვნახოთ რა იქნება.

ამაზე შეთანხმდნენ და დაიშალნენ.

მეორე დილას, როგორც კი დაირეკა შვიდი საათი, კოსტრიკოვი, ასეევი და იაკოვლევი გამოვიდნენ თავისი სახლის ჭიშკრიდან და სასწავლებლისაკენ გაემართნენ.

გასახდელი ოთახი, რომელსაც სამრეწველოში „საფარაჯოს" ეძახდნენ, უკვე გაჭედილი იყო მოწაფეებით და ხმაურობდნენ. არც ერთ ზედამხედველს არ შეუნიშნავს თვითნებურად გამოცხადებული მოწაფეები. მაგრამ როგორც კი ისინი საფარაჯოდან დერეფანში გამოვიდნენ, მაკაროვი მაშინვე მიიჭრა მათთან.

— გთხოვთ დასტოვოთ სასწავლებელი ინსპექტორის განსაკუთრებულ განკარგულებამდე. მე ეს თქვენ რუსული ენით გითხარით.

ამხანაგებმა ერთმანეთს გადახედეს და საფარაჯოში დაბრუნდნენ. მაგრამ ვერც კი მოასწრეს ფარაჯების ჩაცმა, რომ მათ გარს შემოეხვივნენ მოწაფეები მესამე კლასიდან, მეორე კლასიდან და პირველიდანაც კი.

— გთხოვთ, ამ წუთსვე, დაუყოვნებლივ, დაიშალოთ თქვენ თქვენს კლასებში. გაკვეთილები იწყება! — დაიყვირა მაკაროვმა, როცა შეიხედა საფარაჯოში, მაგრამ არავის უნდოდა მისთვის ყური დაეგდო.

კლასები ცარიელი იყო. ეტყობოდა, თვითონ მასწავლებლებიც ამ დილას გაკვეთილებზე არა ფიქრობდნენ.

ისინი ჩაიკეტნენ სამასწავლებლოში და არც ერთი მათგანი არ გამოდიოდა დერეფანში, თუმცა ზარი რა ხანია დაირეკა.

კიდევ ნახევარ საათს ისხდნენ კოსტრიკოვი, ასეევი და იაკოვლევი დერეფნის ბოლოს ფართო რაფაზე, ამხანაგების მთელი ჯგუფით გარსშემოხვეულნი. მაკაროვი შორიდან უყურებდა ამ შეკრებას, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა მისვლა.

მაგრამ, აი, ისევ გაისმა ხანგრძლივი, გამჭოლავი ზარი. მასწავლებლები ერთი მეორის მიყოლებით გამოვიდნენ სამასწავლებლო ოთახიდან და გაემართნენ კლასებში გაკვეთილზე. რაფასთან ბრბომ იკლო.

— როგორ? თქვენ კიდევ აქა ხართ, ბატონებო? — გაუკვირდა მაკაროვს, რომელმაც ისევ გამოიჩინა სიმამაცე.

„ბატონები“ უგუნებოდ გაემართნენ გასასვლელისაკენ, და ზედამხედველმა მაკაროვმა ისინი თვითონ მიაცილა სადარბაზო კარამდე.

მაგრამ როგორც კი მიიხურა მათ უკან მუხის მძიმე კარები, სასწავლებელში ალიაქოთი ატყდა.

უფროსი კლასის მოწაფეები მიაწყდნენ საფარაჯოს, რომ შეეჩერებინათ კოსტრიკოვი და მისი ამხანაგები. მაგრამ საფარაჯო უკვე ცარიელი იყო.

— გამოაგდეს! — დაიყვირა ვიღაც ბიჭმა, მიირბინა მძიმე, გრძელ საკიდთან, რომელზედაც ასიოდე ფარაჯა ეკიდა, და მოუნდომა წაქცევა, მაგრამ საკიდი დიდი იყო და ვერ მოერია.

ბიჭს კიდევ რამდენიმე ბიჭი წაეშველა. საკიდი შეირხა, მოიქნია ყველა სახელოები, კალთები, და იატაკზე ზღართანი მოიღო.

საკიდზე, როგორც ბარიკადაზე, შედგნენ მოწაფეები.

— შეწყვიტეთ, ბიჭებო, სწავლა! — ყვიროდნენ ისინი ისე, რომ მთელ დერეფანში ისმოდა. — დე, დააბრუნონ სასწავლებელში კოსტრიკოვი, ასეევი და იაკოვლევი.

— დირექტორი მოვიდეს! ინსპექტორი მოვიდეს!

ზედამხედველები სულ დაიბნენ. როგორც კი ისინი შეიხედავდნენ კარიდან, მათ კალოშებსა და ქუდებს აყრიდნენ, ხანდახან ფარაჯებსაც. მოწაფეები უკვე გამოეფინენ კიბეზე.

— დირექტორს! ინსპექტორს მოვითხოვთ! ინსპექტორს!

— დირექტორი არ არის ქალაქში. ინსპექტორიც არ არის. წასულია, — ატყუებდა მოწაფეებს გაფითრებული, საშინლად შეშინებული ზედამხედველი ტუმალოვიჩი.

მაგრამ მისი არავის სჯეროდა. ყველა ქუჩაში გამოეფინა და სასწავლებელს ჩამოუარეს. ერთ-ერთ ფანჯარასთან მოწაფეთა გროვა შეჩერდა. აქ ცხოვრობდა ინსპექტორი შიროკოვი.

— მოდი ვუგალობთ მას სულთათანა! — დაიყვირა ვიღაცამ.

— დაიწყე, ვუგალობთ! — დასცეს ყიჟინა.

— საუკუნოდ იყოს ხსენება მისი... საუკუნო ხსენება მისი... საუკუნო ხსენება ინსპექტორისა, შიროკოვისა, ალექსი საბას-ძისა, — დაიგუგუნა ერთსულოვნად გუნდმა, ხოლო ერთი ბიჭი კუნძზე შედგა და ლოტბარობა დაიწყო, იქით-აქეთ აქნევდა გრძელ ხელებს.

ფანჯარასთან ფარდას ამოფარებული იდგა გაბოროტებული და დაბნეული შიროკოვი.

„სულთათანას“ შემდეგ მოწაფეები გაემართნენ გრუზინსკაიას ქუჩით. ისინი მიდიოდნენ და მღეროდნენ სტუდენტურ რევოლუციურ სიმღერას:

Был нам дорог храм юной науки,[1]
Но свобода дороже была.
Против рабства мы подняли руки,
Против ига насилья и зла.

მათ შესახვედრად უკვე პოლიციის რაზმი გამოდიოდა. მოწაფეები შეაჩერეს და უკან დააბრუნეს. მათ ქუჩის კუთხემდეც ვერ მოასწრეს მისვლა.

Пусть нас ждут офицерские плети,[2]
Казематы, казарма, сухарь,
Но зато будут знать наши дети,
Как отцы их боролися встарь...

მღერიდნენ მეამბოხენი, რომელთაც პოლიცია ფანტავდა.

იმ დღეს, როცა სამრეწველო სასწავლებლის მოწაფეებმა ცოცხლად დაასაფლავეს ინსპექტორი შიროკოვი და სიმღერით ქუჩაში გამოვიდნენ, სერგეიც არ იყდა სახლში.

დერჟავინის სკვერში, სადაც ორი დღის წინათ მას პაემანი ჰქონდა ვიქტორთან, სერგეი კვლავ შეხვდა ვიქტორს.

— მაშ, როგორაა საქმე? — ჰკითხა ვიქტორმა. — ამ სალამოს

ქნება?..

სერგეი მოიღუშა.

— დღეს არა, — თქვა მან.

— რა მოხდა?

— არაფერი ისეთი. სასწავლებელში ვერ შევალ. სასწავლებლის უფროსებს უნდათ ჩემი, ასეევისა და იაკოვლევის გარიცხვა. თოთხმეტი ნოემბრის გამო...

— ჰოო, — მოიღუშა ვიქტორი. — არა სასიამოვნო ამბავია. რამდენი დაგრჩათ დამთავრებამდე?

---

[1] ძვირფასი იყო ჩვენთვის ნორჩი მეცნიერების ტაძარი, მაგრამ თავისუფლება უფრო ძვირფასი იყო. ჩვენ ავმხედრდით მონობის წინააღმდეგ, ძალმომრეობისა და ბოროტების წინააღმდეგ.

[2] დ ე ბ ' ე ლ ოდეს ჩვენ ოფიცერთა მათრახები, საკანი, ყაზარმა, ხმელი პური. სამაგიეროდ ეცოდინებათ ჩვენს შვილებს, თუ როგორ იბრძოდნენ მათი მამები უ?ინ.

— ექვსი თვე.

— ექვსი ღა? საძაგელი ამბავია... თქვენ, მგონი, მშობლები არა გყავთ?

— არა მყავს. რვა წლიდან თავშესაფარში ვარ.

— ჰო, რამეს მოვიფიქრებთ, — უთხრა ვიქტორმა სერგეის და თანაგრძნობით დაადო ხელი მხარზე.

— რასაკვირველია, მოვიფიქრებთ, — დააქნია თავი სერგეიმ.— შეიძლება საქმე კიდევაც გამოკეთდეს. ჩვენები იქ ჯანყობენ... მაგრამ როგორც უნდა წავიდეს საქმე, დაზგა მაინც უნდა ვიშოვოთ, თორემ მას ორი დღის შემდეგ შემკვეთებს დაუბრუნებენ. შისამართი იგივეა?

— იგივეა, — თქვა ვიქტორმა.

— აბა, მაშ თვრამეტამდე.

17 ნოემბერს დილით ყაზანის სასწავლებლის პარმაღთან მარხილი გაჩერდა.

მარხილიდან ქშენით ჩამოვიდა პოლიცმეისტერი და მსხვილი, ჭაღარა ყოვლადსამღვდელო, რომელსაც წვის მაღალი ქუდი ეხურა.

მოწაფეები საქტო დარბაზში შეკრიბეს.

პირველად სიტყვა ყოვლადსამღვდელომ წარმოსთქვა. ის დიდხანს ლაპარაკობდა იმაზე, რომ ცოდვაა და უგუნურობა უფროსეპის წინააღმდეგ გამოსვლა, რომ ღმერთი სჯის მეამბოხეებს, ხოლო უფროსებს უფლება აქვთ მოეპყრან მათ „მკაცრად და სამართლიანად“. მოწაფეები დუმდნენ. შემდეგ მოკლედ და მკვახედ თქვა რამდენიმე სიტყვა პოლიცმეისტერმა. მისი გამოსვლის გადმოცემა შეიძლებოდა რამდენიმე სიტყვით: „სახაზინო ხარჯზე სწავლობენ და ამავე დროს ჯანყს აწყობენ“.

— შაურიან სტიპენდიას გვაყვედრის! — თქვა ვიღაცამ უკანა რიგებში.

ბოლოს ალაპარაკდა თვითონ ინსპექტორი. ალექსი საბას-ძე შიროკოვმა ნაპოლეონისებურად ჩაიდო ხელი სერთუკის კიდურში, გამოვიდა წინ და ხრინწიანი, აჩქარებული ხმით თქვა:

— ვაცნობებ მოწაფეებს, რომ კოსტრიკოვი, ასეევი და იაკოვლევი გამორიცხული... — აქ შიროკოვმა გუგუნით ამოისუნთქა.

ყველა გაინაბა.

— ...არ იქნებიან, — დაამთავრა შიროკოვმა.

დარბაზში ხმაურობა ატყდა. ვიღაცამ ხმამაღლა დაიძახა „ვაშა“.

სასწავლებლის ხელისუფალნი იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ მოჯანყეები, რადგან ეშინოდათ, რომ სკოლის ჯანყი სასწავლებლის კედლებს არ გასცილებოდა. ყაზანის სტუდენტებსა და მუშებს ყოველწუთს შეეძლოთ მხარი დაეჭირათ სამრეწველო სასწავლებლის მოწაფეთათვის.

18 ნოემბრიდან სამრეწველო სასწავლებელში ყველაფერი თავისი წესით წავიდა. ირეკებოდა ზარი, იწყებოდა და თავდებოდა გაკვეთილები, იწყებოდა და თავდებოდა დასვენებები. ყველაფერი თავის ადგილზე იყო, — მასწავლებლებიც, მოწაფეებიც, დარაჯებიც.

გრძელი, მძიმე საკიდიც თავის ადგილზე იდგა საფარაჯოში. მისი სამი განაპირა კავი სამ ფარაჯას ჰქონდა დაკავებული — კოსტრიკოვისას, ასეევისას და იაკოვლევისას.

როცა დილით სასწავლებელში სამი მეგობარი გამოჩნდა, მათ როგორც გმირებს ისე შეხვდნენ.

საფარაჯოში ისინი ხელზე აიყვანეს, ეზოში მათ „ვაშა“ უძახეს.

გაკვეთილებზე მასწავლებლები მათ ფრთხილად და წყნარად ელაპარაკებოდნენ, თითქოს სამივე ამხანაგმა ახლახან მძიმე ავადმყოფობა გადაიტანესო.

ერთი სიტყვით, სასწავლებელში წესრიგი დამყარდა, ყველაფერი რიგზე და მშვიდად იყო — შემდეგი დღის დილის რვა საათამდე.

რვა საათზე კი ისეთი რამე აღმოჩნდა, რამაც სასწავლებლის ხელისუფალნი და პოლიციაც კი ხელახლა შეაშფოთა. მექანიკურ სახელოსნოებიდან გაჰქრა ხელით საბეჭდი მანქანა, რომელიც ახლახან შეკეთებული და გამზადებული იყო შემკვეთთათვის გადასაცემად.

როცა ეს ინსპექტორმა შიროკოვმა გაიგო, ზედამხედველებს შიშითა და ბრაზით უთხრა:

— რა არის ეს, ბატონებო? რატომ ვერ ადევნეთ თვალყური? ეს ხომ შანდალი არაა, ეს დაზგაა — მაზე ბეჭდვა შეიძლება. ჩქარა საქმე იქამდე მივა, რომ კაბინეტში ყუმბარას შემომიგდებენ... დაუყოვნებლივ გამოარკვიეთ, ვინ წაიღო დაზგა!

ზედამხედველები აწრიალდნენ, დაფაცურდნენ, მაგრამ დამნაშავე, ვერ იქნა, ვერ იპოვეს. დაზგაც ვერ ნახეს.

იმავე დღის საღამოს დაზგა უკვე ახალ ადგილას იყო.

ახალმა პატრონებმა ის მაშინვე აამუშავეს.

დაზგა, რომელიც იმისათვის იყო დანიშნული, რომ საქველმოქმედო საზოგადოების მშრალი და მოსაწყენი წლიური ანგარიშები და შემომწირველთა სიები ებეჭდა, ახლა ფურცლებზე ათასობით ბეჭდავდა მოწოდების გაბედულ და მხურვალე სიტყვებს:

ძირს თვითმპყრობელობა!

ძირს ექსპლოატატორები!

გაუმარჯოს რევოლუციას!

თავი ოცდამეცხრამეტე

დაბრუნება უაზანიდან

1904 წლის ივნისის ბოლოს პოლსტოვალოვის ქუჩაზე მდგომ პატარა სახლში სასწრაფო მზადებაში იყვნენ.

ელოდნენ სერგეის. ის დღე-დღეზე უნდა ჩამოსულიყო ურ-ჟუმში. სერგეის განსაკუთრებით ელოდა ბებია მელანია. ის უკვე ოთხმოცდათორმეტი წლისა იყო. თითქმის დაბრმავდა, ხშირად ავადმყოფობდა და ხანდახან მთელი დღეების განმავლობაში ღუ-მელიდან არ ჩამოდიოდა.

— ცალი თვალით მაინც შევხედო შვილიშვილს და მერე მოვ-კვდე. მექანიკოსობა ისწავლა. ხუმრობა საქმეა?—ეუბნებოდა ბებია მეზობლებს.

სერგეის ჩამოსვლისათვის სახლში კედლები და ღუმელი შეა-თეთრეს. დებმა ანიუტამ და ლიზამ იატაკი გარეცხეს, გარეცხეს ფანჯრის მინები და ქაღალდით გაწმინდეს ისე, რომ ბრჭყვიალებ-დნენ. ოთახში მაგიდაზე გაშალეს თეთრი სუფრა, რომელსაც მხო-ლოდ საშობაოდ და სააღდგომოდ შლიდნენ. მაგიდის შუაგულს თიხის ქოთნით, სერგეის საყვარელი ყვავილების — ღიღილოების ვეებერთელა თაიგული დადგეს.

შეთეთრებული კედლებისა, მორთული სუფრისა და მაგიდაზე დადგმულ ყვავილების გამო პატარა ღარიბმა დარბაზმა ისეთი სა-ზეიმო სახე მიიღო, რომ თითქოს უფრო დიდი და ნათელი გახდა.

ყველაფერი მზად იყო სერგეის შესახვედრად.

ნავმისადგომ ცეპოჩკინოში გემი კვირაში ოთხჯერ მოდიოდა, დაახლოებით დღის თორმეტ საათზე.

მაგრამ სერგეის ჩამოსვლის დღეს გემმა დაიგვიანა.

და როცა სერგეი პოლსტოვალოვის ქუჩაზე მოვიდა, შინ მარტო ბებია მელანია დახვდა. უფროსი და, — ანიუტა ამხანაგებთან წავიდა, ლიზა კი ურეუმკაზე გაიქცა საბანაოდ.

ბებიას შალი წამოესხა და სკამზე თვლემდა.

— ვინ არის? — დაიძახა ბებიამ, როცა ფერეფანში ვიღაცის ღონიერი ნაბიჯების ხმა მოისმა.

— თავისიანი! — უპასუხა ზღურბლიდან მამაკაცის ხმამ.

— სერიოჟა ჩამოხვედი? — შესძახა ბებიამ.

ბებია ადგა სკამიდან და ხელების ფათურით, კედელ-კედელ სერგეის შესახვედრად გაემართა.

ერთი წუთის შემდეგ ისინი უკვე ერთმანეთის გვერდით ისხდნენ სკამზე. ბებიას დანაოჭებული სახე გაბრწყინვებოდა.

— დიდი, დიდი გაზრდილხარ. ქურთუკიც ფორმისაა. ულვაშებიც ამოგსვლია!.. ყველაფერი რიგზეა! ნეტავი შეეძლოს საწყალ კატიას შემოგხედოს ახლა. — ბებია ატირდა.

და მართლაც, სერგეი გაიზარდა და ძალიან დავაჟკაცდა ყაზანში ცხოვრების უკანასკნელ წელს. მხარბეჭგანიერი და ღონიერი, მაუდის ფორმის ქურთუკში გამოწყობილი, შავი, სქელი უკან გადავარცხნილ თმებით, ის გამოიყურებოდა უფრო მეტი ხნისად, ვიდრე მისი თვრამეტი წელი იყო.

ჩქარა დაბრუნდნენ დებიც, და სახლში აწკრიალდა ახალგაზრდა მხიარული ხმები, ერთი საათის შემდეგ მთელმა პოლსტოვალოვის ქუჩამ-იცოდა სერგეის ჩამოსვლა. კოსტრიკოვის სახლის ძველი, დაბალი ჭიშკარი წამდაუწუმ ჯახუნობდა და ჭრიალებდა.

მოვიდა სანიას დედა, უსტინია სტეფანეს ასული სამარცევა, შემოიხედა ძველმორწმუნე პრონკამ, შემოირბინა სერგეის ორმა ამხანაგმა, რომელნიც მასთან ერთად სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდნენ. საღამო ჟამს თავშესაფრის მეეზოვე პალადი გამოცხადდა.

პალადი საგრძნობლად მოხუცებულა. მას ქერა თმებში, რომელიც რკალისებურად ჰქონდა შეკრეჭილი, ჭაღარა გარევია.

პალადი მიესალმა, მიაყუდა კარებთან დიდი ნუერიანი ჯოხი, რომელსაც „ჩემს მეგობარს“ ეძახდა, და სერგეის პირდაპირ ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— აი, შეხედეთ, ტექნიკოს-მექანიკოსი გამხდარა! — უკვირდა პალადის, — თერთმეტი წელია თავშესაფარში ვცხოვრობ და პირველად ვხედავ, რომ თავშესაფრელი ობოლი ადამიანი გამოვიდა.

პალადი მოწიწებით ათვალიერებდა ფორმის ქუდს, რომლის საჩინი ფრთხილად, ორი თითით ეჭირა.

მეეზოვე დიდხანს იჯდა კოსტრიკოვებთან, სვამდა ჩაის, ჭამდა ბლითს, ეკითხებოდა სერგეის ყაზანზე და ძალიან კმაყოფილი წავიდა მით, რომ სერგეიმ „მექანიკოსობა“ შეისწავლა და „არ გაამაყდა“.

მეეზოვე პალადის წასვლა და სანია სამარცევის მოსვლა ერთი იყო. სანიას ახალი კოსტუმი ეცვა, მალალი, გახამებული საყელო ჰქონდა, რომელიც ნიკაპზე ებჯინებოდა, და აბრეშუმის ჰალსტუხი გაეკეთებინა. ხელში ეჭირა წვრილი ლერწმის ჯოხი, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „კავკასია“.

— აი, ჩვენი კავალერიც მობრძანდა, — თქვა ბებია მელანიამ.

მართლაც, ახლა სხვა სახელს — თუ არ კავალერს, ვერც შეარქმევდი სანიას.

— პირველად ვერც კი გიცანი,შეხე, რა ფრანტია, — უთხრა სერგეიმ და ხელები შემოხვია მეგობარს.

— თქვენი ცნობაც ძნელია, პატივცემულო სერგეი მირონოვიჩ, — გაიცინა სანიამ.

* * *

პირველივე კვირას მეგობრები დილის ექვს საათზე ადგნენ და სათევზაოდ გაემართნენ.

ქალაქი უკვე იღვიძებდა. ურჟუმელი დიასახლისები მდინარეზე ვედროებით მიდიოდნენ. ეკლესიაში დილის წირვაზე რეკავდნენ. სახლის პატრონები თავისი პატარა სახლების წინ ქუჩას ჰგვიდნენ.

ამხანაგები მივიდნენ მდინარემდე, ამოირჩიეს მყუდრო ადგილი, ტანთ გაიხადეს და წყალში ჩახტნენ. რა კარგი იყო მდინარეში ცურაობა ივნისის ამ ცხელ დილას. წყალი გამჭვირვალე იყო, ქვიშიანი ყვითელი ფსკერი მოჩანდა.

— განაგრძობ სწავლას? — ჰკითხა უცებ სანიამ, რომელიც სერგეის გვერდით მიცურავდა.

— უარს არ ვიტყოდი, მაგრამ თვითონ იცი, ზოგს თავზე საყარი აქვს, ზოგს კი კუჭი უხმება, — გაიცინა სერგეიმ.

— ანდა დარჩი აქ. ჩვენთან ქალაქის გამგეობაში რეგისტრატორის ადგილი თავისუფლდება. გინდა ვთხოვ შენს მაგივრად?

— არ მინდა, — თქვა სერგეიმ.

რამდენიმე წუთს ორივე ჩუმად მიცურავდა.

— ივან ნიკონოვიჩ!—დაიძახა უცებ სანიამ.—ივან ნიკონოვიჩ!

სერგეიმ ნაპირზე ნავი დაინახა, ხოლო ნავში იჯდა ოცდაექვსი წლის კაცი, რომელსაც საუცხოო ქერა ხშირი თმა ჰქონდა. მზისაგან გახუნებული სტუდენტური ფორმის ქუდი კეფაზე მოჰქცეოდა. ნავიდან წყალს ასხამდა თუნუქის ქილით.

— ამბობენ პოლიტიკურიაო, — წყნარად თქვა სანიამ. — გაგაცნო?

ივანე ნიკონის-ძეს, ტომსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტს, სანია ჯერ კიდევ ვიატკიდან იცნობდა. სანიამ გააცნო ისინი ერთმანეთს. ეს დღე მათ ერთად გაატარეს, ხოლო საღამოს სამნივე სტუმრად წავიდნენ პოლიტიკურ გადასახლებულებთან.

მოჯანყეებიდან რომ ბრუნდებოდნენ, სერგეიმ უცებ თქვა:

— კარგი იქნებოდა შეგვეგროვებინა ნაცნობი ახალგაზრდობა და მდინარეზე ნავით წავსულიყავით.

— ცუდი აზრი როდია! — მხარი დაუჭირა სტუდენტმა.

ერთი კვირის შემდეგ მოაწყვეს არიფანა. ნავებით წავიდა თორმეტი კაცი: სტუდენტი ვაჟები, ქალები და გიმნაზიელები. თან წაიღეს სამოვარი, ბუტერბროდები, გიტარა.

ჯვიან საღამოს ურეუმკის ნაპირას კოცონი დაანთეს, მოხარშეს თევზის წვენი. უკრავდნენ გიტარაზე და მღეროდნენ რევოლუციურ ლექსებს:

ზიზღით ვუცქერით ჩვენ ოქროს კერპებს,
მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი!

ისმოდა ახალგაზრდა ხმები მდინარეზე.
წყალზე კოცონის მოწითალო ანარეკლი კიაფობდა.
ბერგეი კოცონთან იდგა და მწვანე ტოტით ლოტბარობდა.

ალსდეგ, შემოკრბით, მუშებო, ალსდექით!
ალსდეგ მტერზედა, მშიერო ძმანო!

თავი მეოთხმეტე

სერგეი მიემგზავრება

თითქმის ყოველდღე ხვდებოდა სერგეი სტუდენტს.

გამგეობიდან რომ ბრუნდებოდა, სანია მუდამ ერთად ხედავდა მათ. მას შურდა სერგეისა და სტუდენტის დაახლოება, რადგან ეჩვენებოდა, რომ სერგეის მასთან ასე ხალისით და გაცხოველებით არასოდეს უსაუბრნია, როგორც ახალ ამხანაგთან.

ბებია მელანიაც კი კარგად ეპყრობოდა ივანე ნიკონის-ძეს, რომელიც ყოველდღე დადიოდა კოსტრიკოვებისას. ბებიამ მას „ტარა-რი-რა" შეარქვა. სტუდენტს სასაცილო ჩვეულება ჰქონდა: ის ყოველთვის ხმადაბლა მღეროდა თავისთვის უსიტყვო მოტივს, ასე, რომ ერთი დაუსრულებელი „ტარა-რი-რა, ტარა-რი-რა" ისმოდა.

აგვისტოს შუა რიცხვებში სერგეიმ განაცხადა სახლში, ივანე ნიკონის-ძესთან ერთად ტომსკს მივემგზავრებიო.

— შენ რა, ტექნოლოგიურში მიდიხარ სასწავლებლად? — ჰკითხა სანიამ.

— სურვილი მაქვს, მაგრამ ვინ იცის, როგორ წავა საქმე.

— მაინც რა გინდა გამოხვიდე?

— გამოვალ ის, რაც ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე საჭიროა, — უპასუხა სერგეიმ.

— არაფერი მესმის, — გაბრაზდა სანია და დადუმდა.

ბებიამ რომ სერგეის წასვლის ამბავი გაიგო, ოხვრა დაიწყო.

— რა საჭიროა წასვლა? მოგაწყობდა სანია გამგეობაში და იცხოვრებდი შენთვის ურეუმში, წყნარად და მოსვენებულად.

— წასვლა საჭიროა, ბებია!

— რადგან საჭიროა, წადი, — ჩაიქნია ხელი ბებიამ. — ეს სულ იმისი საქმეა, „ტარა-რი-რასი“, იმან აგრია!

გამგზავრებამდე შვიდი დღით ადრე სერგეი ფოტოგრაფთან წავიდა ბებიასთან და დებთან ერთად.

ასეთი საზეიმო შემთხვევის გამო ბებიამ უსტინია სტეფანეს ასულს დაუძახა და ღიდხანს ბჭობდა მასთან, თუ რომელ თავშალში გადაეღო სურათი — სახეებიან თავშალში თუ შავ შალში. ლიზამ ჩვეულებრივი ნაწნავის ნაცვლად თმა აივარცხნა.

ლიზასა და სერგეის ხელიხელგაყრილი ფრთხილად მიჰყავდათ ბებია ქალაქში. ბებია მიდიოდა და ბორძიკობდა, — მოხუცი ფეხები ეურჩებოდნენ.

ფოტოგრაფი — პატარა გამხდარი კაცუნა — ფაცურობდა, დიდხანს მოუნდა მათ დაწყობას და ბოლოს დასვა: ბებია ლიზას გვერდით, ლიზას წიგნი ეჭირა ხელში, ხოლო უკან სერგეი და ანიუტა დააყენა.

ოთხი დღის შემდეგ სურათი მზად იყო. ბებია მელანიამ ის თვალსაჩინო ადგილზე ჩამოჰკიდა. — ოთახში ხატის ქვეშ.

* * *

სერგეი გაემგზავრა შემოდგომის თბილ და მზიან დღეს. არყეებზე აქა-იქ უკვე შეყვითლებული იყო ფოთოლი, მაგრამ ცა ლურჯი და უღრუბლო იყო.

მზადებას დიდი დრო არ დასჭირდა. კალათი საცვლებით, საბანი და ბალიში — აი მთელი ქონება.

ამ დილას ბებია მელანია უთენია ადგა, გამოუცხო სერგეის სამგზავრო ქადა და ბოთლში ადუღებული რძე ჩაუსხა.

— დალევ გზაში. წყალზე ყოველთვის მოგინდება ჭამა, — არწმუნებდა ის სერგეის და, მიუხედავად პროტესტისა, მაინც ჩაუდგა ჯიბეში რძიანი ბოთლი.

უმცროსმა დამ ლიზამ გამომშვიდობებისას ძმას ცხვირსახოცი აჩუქა, რომელზედაც მისი ინიციალები ამოექარგა.

სერგეი გამოემშვიდობა ბებიას და დებს, მას გამოუარეს ივან ნიკონის-ძემ და სანიამ, რომელსაც უნდოდა ამხანაგები ცეპოჩკინის ნავმისადგომამდე გაეცილებინა.

გემის გასვლამდე კიდევ თხუთმეტი წუთი რჩებოდა, მაგრამ მგზავრები უკვე გემბანზე იყვნენ. ფუთებიანი და ბავშვებიანი ქალები, ჭილის ქუდიანი და ტილოს დიდქოლგიანი ხუცესი, წითელლოყება ტყაპუჭიანი მოიჯარადრე და რამდენიმე ტომრიანი გლეხი.

ძლივს მოასწრეს სერგეიმ და სტუდენტმა კიბით გემზე ასვლა, რომ ფეხშიშველა ქერა მეზღვაურმა ბაგირი მოხსნა და გემი ნელა მოშორდა ნავმისადგომს.

სერგეი და ივანე ნიკონის-ძე გემბანზე იდგნენ და ქუდებს აქნევდნენ.

— ნახვამდის ივან ნიკონიჩ! ნახვამდის სერგეი! მოიწერეთ წერილები, მოიწერეთ! — ეძახდა სანია.

სანია იდგა ნაპირზე, სანამ გემი მდინარის მოსახვევს არ მიეფარა. მაშინ სანია ჯოხის ქნევით ნელა გაემართა შინისაკენ.

„აი გაემგზავრნენ, — ფიქრობდა ის, — იცხოვრებენ დიდ ქალაქში, ისწავლიან, იმუშავებენ, მე კი ურჟუმში დავრჩი“.

ის მიდიოდა, ჯოხს აქნევდა და გულის ჯავრზე გზისპირა ბუჩქებიდან ფოთლებს გლეჯდა.

ამხანაგები კი ამ დროს გემზე პატარა კაიუტაში მუსაიფობდნენ.

გემი ტოკავდა, სადღაც ქვემოთ ხმაურობდა მანქანა. სერგეი ვიწრო საწოლზე იჯდა, ნიკონოვი კედელთან იდგა და თამბაქოს ეწეოდა.

— შენ უნდა იცოდე, სერგეი, რა მოგელის! სახრჩობელაზე ასვლა გამორიცხული არ არის. ციხესა და გადასახლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია...

სერგეი ადგა, თავი გააქნია, შუბლიდან თმები გადაიყარა.

— ვიცი, ივანე!

გააღო პატარა მრგვალი ფანჯარა, კაიუტაში მდინარის გრილი ჰაერი და ბორბლების ხმაური შემოიჭრა.

— აი, შურმაც გავიარეთ, — თქვა სერგეიმ და თავი ფანჯარაში გაჰყო.

საღამოვდებოდა. უკან რჩებოდა ასწლოვანი ულრანი ტყეები, ჭაობიანი ლია, დაბალი ბორცვები და მხოლოდ ხანდახან დაფენილ თიხნარ ნაპირებზე შავად მოჩანდნენ პატარა, ამოკუზულ ქოხები.

აქა-იქ სინათლეს უკიდებდნენ.

მდინარეზე ლეგა ცივი ნისლი დგებოდა.

გემი მიდიოდა ტომსკს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	88·
ავტორისაგან . . .	3
თავი პირველი პატარა სახლი პოლსტოვალოვის ქუჩაზე და მისი მობინადრენი	9
თავი მეორე ყუბმოვნა . .	15
თავი მესამე სერიოჟას ბებია	22
თავი მეოთხე ობლები .	25
თავი მეხუთე გაპირვება	32
თავი მეექვსე თავშესაფარში	36
თავი მეშვიდე „თავშესაფარში"	39
თავი მერვე აღსაზრდელები . .	45
თავი მეცხრე თავშესაფრის ცხოვრება	48
თავი მეათე შ ი ნ	54
თავი მეთერთმეტე სკოლისაკენ .	59
თავი მეთორმეტე თავშესაფრის ბავშვები და ქალაქელი ბავშვები	69
თავი მეცამეტე უ. ს. ს. .	76
თავი მეთოთხმეტე მასწავლებლები და მოწაფეები	82
თავი მეთხუთმეტე სანია რეალისტია	87
თავი მეთექვსმეტე მეორეკლასელი	94
თავი მეჩვიდმეტე წარმოდგენა	103
თავი მეთვრამეტე რატომაა ეს ასე? .	111
თავი მეცხრამეტე ურჟუმელი ხელისუფალნი	114
თავი მეოცე „ჭელმოჭმედნი" .	119
თავი ოცდამეერთე ყ ა ზ ა ნ შ ი	124
თავი ოცდამეორე კუთხის მდგმური	128
თავი ოცდამესამე ახალი ადგილები, ახალი-ხალხი	134
თავი ოცდამეოთხე შეერთებული სამრეწველო	138

თავი ოცდამეხუთე სტუდენტის გაცნობა	145
თავი ოცდამეექვსე კატორღელები	149
თავი ოცდამეშვიდე ძრავას ამბავი	157
თავი ოცდამერვე „ქვილმოქმედნი“ უარს ამბობენ	168
თავი ოცდამეცხრე სამის ცხოვრება	177
თავი ოცდამეათე სიყრმის მეგობრები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს	182
თავი ოცდამეთერთმეტე მოჯანყეები	191
თავი ოცდამეთორმეტე პატარა სახლი მთის ძირას	195
თავი ოცდამეცამეტე პირველი დავალება	205
თავი ოცდამეთოთხმეტე „ისკრა“ ურეუმკაში	208
თავი ოცდამეთხუთმეტე საიდუმლო სტამბა	211
თავი ოცდამეთექვსმეტე როცა ქალაქს ეშინა	217
თავი ოცდამეჩვიდმეტე უკანასკნელი წელი ყაზანში	225
თავი ოცდამეთვრამეტე ჯანყი სკოლაში	231
თავი ოცდამეცხრამეტე დაბრუნება ყაზანიდან	246
თავი მეორმოცე სერგეი მიემგზავრება	251

რედაქტორი ვ. ქიქნაძე მხატვარი შ. ბერიტაშვილი

გადაეცა წარმოებას 3/XII 47 წ. ხელმოწ. დასაბეჭდად 5/III 47 წ. უე 00336. სასტ ფორმათა რაოდ. 16. საღრ.-საგამ. ფორმათა რაოდ. 14,7. ტირაჟი 5000. ანაწყობის ზომა 6×9. ქაღალდის ზომა 60×84. სტამბის შეკვეთა № 371.

სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც. სტამბა, მარის ქ., 1.